


საქართველოს საკათრიკო



1

საქართველოს საკათრიკო
თბილისი - 2004




ჯვარი ვაზისა - შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით. IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,
დაგვიცევ და დაგვიფარე ჩვენ

Քրիստոս Կենսութիւն

Չմանկան համարներն ու չմանկան,
ենթադրեալ յայտնաբերուած հետազոտչական-մանկան համար
նոստր II-ին հանձնարարութեամբ 25 հոկտեմբեր






ፀግፀግፀግ

ቡጉቆግፀግ

ግፀ ተጉግሃግግግ

ፀግግግ ሁጉግፀግግግ



იესო ქრისტე
ხახულის ღვთისმშობლის ხატიდან

ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა,
ეგრე სურის სულსა ჩემსა შენდამი ღმერთო!..
ფსალმუნი დავითისი. 41.1

კაცად-კაცადმან თავისი



20-21 ნოემბერს აღინიშნება წმიდა მთავარანგელოზ მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა კრება...



ღიკურთხა ხუთჯგერიანი სახელმწიფო დროშა და უფლის მადლითა და მშვენიერებით, ღვთის დიდი წყალობით შეიმოსა სრულიად საქართველო.


ილია II. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი 23.01.2004

ღროშას ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანს სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას.

წმიდა ილია მართალი

ტვირთი იტვირთოს

მოციქული პავლე



23 ნოემბერი
ხსენება წმიდისა დიდმოწამისა და
ძლევამოსილისა გიორგისა



გელათის საკათედრო ტაძარი. 24 იანვარი

გელათში წმიდა დავით აღმაშენებლის საფლავზე ფიცის დადება
სიმბოლურია და დიდად საპასუხისმგებლო, ვინაიდან აქ არა მარტო
დღევანდელი, მთელი ზეციური საქართველო დგას და თქვენგან
„ჩვეულებისაებრ მამულისა სვლას მოითხოვს“

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ჩვენი გზა, ალბათ, წააგავდა უდაბნოში ხეტიალს. თითქოს ბიბლიის გაგრძელებაა ჩვენი ცხოვრება.

ეს ჩვენი ქვეყანაა, ჩვენი მიწაა. „ამ მიწიდან ამოვდიოდით ჩვენ, ქართველები და ამ მიწაშივე ვბრუნდებოდით“... ისევ ამოვდიოდით და ისევ ვბრუნდებოდით. ამ მიწის სუნთქვა მოგვაქვს... ამ მიწიდან მივისწრაფვით მზისაკენ, სინათლისაკენ... მზისაკენ, რომელიც მაცხოვარს შევადარეთ, რომელიც ნიჭიერების ნაპერწკლებს გვიგზავნის, ნაპერწკლებს, რომელიც იქცევა კოცონად, ცეცხლად, სიცოცხლედ. თქვენ ერთი მათთაგანი ხართ.

უნდა აგვისრულოთ ყველა იმედი, რომელიც თქვენმა მოსვლამ აღანთო ჩვენში. ძველი ერი ვართ ჩვენ... ტრადიციული... მოგვებმარეთ, რომ მოვუაროთ ამ ტრადიციებს, ნიჭიერებას, შემოქმედის სულს, რომელიც ჩვენშია. ამაში იქნება ჩვენი გადარჩენის გზა და საშუალება. გვაშოროს ღმერთმა ყოველივე, რაც რღვევით ემუქრება ჩვენს არსებობას.

საქართველოს ზეცას მრავალი ვარსკვლავი ანათებს... ამ ვარსკვლავთა სინათლით ჩვენს მრავალგზის მიმქრალ, მიძინებულ ცხოვრებას კვლავაც ბევრჯერ ამოუფეთქავს და არ დაშრობია სიცოცხლის წყარო.

ისინი ზეციდანაც დაგვანათიან და საფლავებიდანაც ამოგვეყურებენ, გვიფარავენ. ოღონდ ესაა, ჩვენ უნდა შეგვეძლოს მათი დანახვა და შეცნობა მათი. ეს ქრისტეს ნათელია, ქრისტეს მიერ მონიშნული გზაა.

ჩვენ ხშირად ვამბობთ (და სამართლიანადაც), რომ ქრისტიანობამ გადაარჩინა ჩვენი ერი. და რაკი ასეა, რაკი ძირი ცხოვრებისა წარსულშია, იგი არ უნდა გავახშოთ, არ უნდა მოვსწყედოთ მას. ამ წარსულისა და მომავლის ერთიანობის ნიშნად აღვიქვით ჩვენ 24 იანვარს საქართველოს უდიდესი მეფის საფლავთან გელათში ახალი პრეზიდენტის ფიცი და სიტყვები: „სიკვდილი მირჩევნია ჩემი ხალხის იმედის გაცრუებას“.

ბევრი იტანჯა ქართველი ხალხი, ჩვენო პრეზიდენტო, ბევრი წვალეა გამოიარა მან წარსულშიც და სულ ახლაც, ამ ბოლო წლებშიც.

მეორე დღეს კი, თქვენი კურთხევის დაუვიწყარ დღეს ბრძანეთ: – მე ვხდები ამაყი ხალხის პრეზიდენტი, ხალხისა, რომელიც იმედით შეჰყურებს მომავალს, მე მზად ვარ ვემსახურო ჩემს ხალხს და ავაშენო ისეთი საქართველო, რომელზეც ვოცნებობთ ჩვენ და ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრებიო. ეს სიტყვები თქვენ წარმოთქვით მთავრობის სასახლის წინ ზღვა ხალხის თანდასწრებით. იქ, სადაც ოდესღაც უზარმაზარი ეკლესია (სობორო) იდგა... იგი კომუნისტებმა დაანგრიეს.

იქ სადაც საქართველოს თავისუფლებისათვის თავგანწირული ახალგაზრდების სისხლი დაიღვარა.

იქ იბრძოდნენ გმირები, რომლებიც იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის 1989 წლის 9 აპრილს; სწორედ იქ მოხდა მათთან უსასტიკესი

ანგარიშსწორება საბჭოთა ტანკებით.

ეს ახალგაზრდები შეეწირნენ თავინთ ოცნებას საქართველოსთვის. თქვენი და ჩემი ვალია ეს ოცნება რეალობად ვაქციოთო, ბრძანეთ თქვენ.

იმედით და რწმენით გვაკვებს ეს სიტყვები. და ისიც თქვით, საქართველო უნიკალური ქვეყანაა. დღეს კი იგი დამცირებულიაო. ვიცი და მწამს ამ დამცირების ტკივილის მოშუშებას შეეცდებით თქვენ.

ჩვენი ერთი დიდი თანამედროვე, დიდი ქართველი კაცი აკაკი ბაქრაძე პირველი იყო, ვინაც სთქვა, აფხაზეთთან ომში ჩვენ მართო კი არ დავმარცხდით, ღირსება დავკარგეთო და მოგვიწოდა ამ ღირსების აღსადგენად ვიღვაწოთო. ამისა და კიდევ ბევრი რამის გამო, ვინ იცის მერამდენეჯერ, შერისხეს და განკვეთეს იგი მაშინდელი ღროისათვის დამკვიდრებული აზრის მომხრეთაგან.

დღეს თქვენც ამასვე ამბობთ და ამაში არის იმედი.

ამ 20-23 ნოემბრის (ცოტათი აღრეც) მთავარანგელოზ მიქაელისა და წმიდა დიდმოწამე გიორგის ხსენების დღეებში ჩვენ ვხედავდით რა საოცარი ვულკანური ენერგიით იბრძოდით თქვენ.

სწორედ მაშინ ქარში, გადაულეებელ წვიმაში, ყინვაში, ღამითაც, დღისითაც პარლამენტის შენობის წინ ლოცვად დამღარი ხალხი ანთებული სანთლებით, სინანულით, რწმენით, უფალს გაღვიძებული სიცოცხლისა და იმედის გადარჩენას შესთხოვდა, შესთხოვდა თქვენს გამარჯვებას, რომელიც საქართველოს გადარჩენის ერთადერთ იმედად იქცა.

იმ დღეებში მთელ საქართველოს სწორედ წმიდა მიქაელ მთავარანგელოზი და ქართველთა დიდი მფარველი წმიდაი გიორგი მიუძღოდა წინ. საოცრება და სასწაული იყო, უფალმა ჩვენი ლოცვა და ვედრება რომ შეისმინა. გიორგობის დღეს, ოდეს თქვენ საქართველოს პრეზიდენტის ტახტზე აღზევდით, წვიმაც შეწყდა და მზემაც გამოანათა. ეს ყოველივე იყო ჩვენი განსაწმედელი და ჩვენ მას გავუძელით.

დიდი სიტყვაა წარსული... იგი მხოლოდ პირუტყვებს არ ჭირდებათ.

დიდი ქართველი კაცი, მწერალი, მეცნიერი, მეისტორიე, პავლე ინგოროყვა, თავის სულთმობრძავ ქვეყანას, რომ „დიდ ღამეებს“ უთენებდა, ბრძანებდა: „ისეთ მცირერიცხოვან ერს, როგორიც ჩვენია, აუცილებლად გამძაფრებული უნდა ჰქონდეს ნაციონალური გრძნობა და წარსულის განცდა. უამისობა მრავალრიცხოვანი ერისათვის თუ საშიშროებას არ წარმოადგენს, მცირერიცხოვანი ერისათვის დამღუპველია“.

ძლიერია ჩვენში ეს განცდა... ძლიერი და მძაფრი.

ჩვენ დავიღალეთ... ჩვენ გვსურს გვიყვარდეს ჩვენი პრეზიდენტი. ეს ყველა ნორმალური ადამიანის ოცნებაა.

თქვენ გვეუბნებით: „თუ ხალხი ყველა ერთად ხელებდაკაპიწებული დადგება, შეეძლებთ, საქართველო დავაყენოთ ფეხზეო. ნოემბრის მოვლენებმა გამოამყდუნა უზარმაზარი ენერგია, რომელიც არის ქართველ ერში, უზარმაზარი იმედი, იმედის ნაპერწკალი, რომელიც არის ყველა ქართველში“.

ერთულია დღეს ადამიანმა შესძლოს ხალხის სულში ისეთი დიდი განცდისა და

რწმენის აღძვრა, როგორც შესძელით თქვენ, სრულიად ახალგაზრდამ. იმელს გვაძლევს თქვენი ქმედებები, რომელიც ეროვნულ ნიადაგს ეფუძნება. სწორედ იმ ერთსა და ერთადერთს, რომელსაც უხსოვარი დროიდან ეთაყვანება ჩვენი ხალხი. ეს ისევ და ისევ, ჩვენი ტრადიციებია, ის, რამაც გადაგვარჩინა, რამაც აქამდე მოგვიყვანა, ხოლო იდეები, რომელიც ზოგადსაკაცობრიოა, უცხო არასოდეს ყოფილა ჩვენთვის. შემწყნარებლობა, თანადგომა, სიყვარული... ყოველივე ეს ჩვენს ეროვნულ სულს ესადაგებოდა მუდამ. ხოლო, იმას, რაზედაც ამ ბოლო დროს ხშირად მიგვითითებენ, თქვენ ეს იცით, დრო სჭირდება. ჯერ ფეხზე გვინდა დავდგეთ, ჯერ სულის მიერი ჭრილობები მოვიშუშოთ. რწმენასა და ტრადიციებთან ნაჯახით ნურავინ ნუ მივა.

ყველასაგან გამოგარჩიათ თქვენ დღეს უფალმა.

ერთ წმიდანს მიმართავს ღმერთი: – მე შენ უთვალავი საუკუნის წინ, ჯერ რომ ამ ქვეყნად მოსული არც იყავი, გიცნობდიო.

უფალმა იცოდა, რომ თქვენც უსათუოდ უნდა მოსულიყავით და ჩვენი წყლულებისათვის უნდა გეწამლათ. იგივე უფალი შევაძლებინებთ ადასრულოთ თქვენი დიდი მისია.

კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისაო, ბრძანებდა ლეგენდარული ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე.

თქვენ ქართველი ხალხი დღეს სინათლესა და მშვიდობას გთხოვს. თქვენ უნდა დაუბრუნოთ მას ეს სინათლე და მშვიდობა.

მე თქვენ წარმოგიდგენთ, ვითარცა მეუღაბნოეს, ვინაც გაემიჯნა პიროვნულ სურვილებს და დაადგა უმძიმეს გზას, რომელზეც მხოლოდ რჩეულნი მიდიან.

და საქართველოს ესმის თქვენი ზარების ხმა. მშვენიერია სიყვარულის ეს დიდი ძალა.

მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, ილია II, რომელმაც, ვითარცა მოსემ, ურწმუნოების ორასწლოვანი ბნელეთიდან თავისი ერი ეკლესიისაკენ მიმავალ გზაზე გამოიყვანა, გვასწავლის: ღმერთი კაცს იმაზე დიდ ჯვარს არ მისცემს, მისი ზიდვა რომ ვერ შესძლოსო.

და ჩვენც გვწამს, თქვენც ბოლომდე მიიტანთ თქვენს დიდ და მძიმე ჯვარს. მწამს და მჯერა, ჩვენ თუ არა, მომავალი თაობა უსათუოდ შეესწრება ჩვენი ამ „ჭრილობაჩაკირული“ ქვეყნის გაბრწყინებას და ამაში თქვენი დიდი წვლილიც იქნება.

უფალო შენით, უფალო შენით!...

ულრმესი პატივისცემით და იმედით, ქრისტესმიერი სიყვარულით,
ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ რედაქციის სახელით,
მხმვალე ღვთისა, თინათინ კობალაძე.



გელათის მონასტერი, სადაც განისვენებს დიდი მეფე დავით აღმაშენებელი



საგარეო ქრისტიანობა

XVII–XVIII საუკუნეებში ათასობით ლაზი დაისაჯა მაჰმადიანთაგან ქრისტეს სჯულის და სამშობლოს ერთგულებისათვის. დაახლოებით 1600–1620-იან წლებში 300 ლაზ მეომარს მოკვეთეს თავი, რის შემდეგაც ამ ადგილს „დუდიკვათას“ (თავისკვეთის) გორა ეწოდება. ხოლო იქვე მთაზე მდებარე მამათა მონასტერთან სასულიერო პირთა მოწამეობრივი აღსრულების ადგილს – „პაპათის“ (სამღვდელოთა) გორა. გადმოცემით ამ მიდამოებში საერთოდ, 30.000 ლაზისთვის მოუკვეთიათ თავი. ფსალმუნში კვითხულობთ: „ნეტარ არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმიდათა მისთა“.

წმიდა სინოდმა განაჩინა: XVII–XVIII საუკუნეებში „პაპათისა“ და „დუდიკვათას“ გორაზე მოწყვეტილი მართლმადიდებელი სასულიერო და საერო პირნი, ასევე ქრისტიანობისათვის წამებული ყოველი ლაზი შერაცხილ იქნან წმიდანად და ეწოდოთ მათ:

„სარწმუნოებისა და საქართველოსთვის დუდიკვათასა და პაპათში მოწყვეტილნი წმიდა ლაზი მონამენი“.

მათი ხსენების დღედ დადგინდეს 12 მაისი ძვ. სტ. 29 აპრილი (წმ. ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე), დაიწეროს ხატი და შედგეს ტროპარ-კონდაკი.



იმელი გვაქვს უნი ღმერთო,
გვიშველე, არსად დავიხრჩოთ...
გადაგვარჩინე ამ ზღვას და,
შემოგფიცავ...
ქალაქში ვიყიდი სანთელს,
სამი მინარის სიმაღლისას,
ღლე და ღამ რომ იწვოდეს
და წარღვნამდის არ ჩაქრეს.

ხალხური

ლაზი ვარ მე...

ლაზი,

ლაზი ვარ მე. ეუჭ, სად იწყება, თურმე ჩემი, სათავე,

რა უღრანებში...

მუჰამედ ვანლიში

ლაზი ვარ მე და ლაზის შვილი...

დიახ. ლაზი ვარ მე დიდი გუბაზისა და ფარტაძის, დიდი ქუჯისა და

აიუტის შთამომავალი; დიდი ცოტნეს მოდგმა, დიდი საქართველოს

ფესვი და ძირი.

ალი თანდილავა



ლაზები

სატომო სახელი „ლაზი“ პირველად ახ. წ. ა. პირველ საუკუნეში იხსენიება, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, იმას, რომ ეს ტომი მანამდე არ არსებობდა.

ამ უკანასკნელ დროს ლაზებს უკავშირებენ ძველადმოსავლური წყაროების „ლუშა“-ს ტომს, მაგრამ ეს მოსაზრება ჯერჯერობით შესაძლებელ ვარაუდად რჩება მხოლოდ.

რომაელი მწერალი პლინიუს უფროსი (I ს. ახ. წ. ა.) ლაზებს აფსარის (ჭოროხის) სანაპიროზე მცხოვრებ ტომთა (პენიოხები, ამპრევიტები) შორის ასახელებდა. ბერძენი ავტორი მენონ ჰერაკლიდელი (I-II ს-ის მიჯნა) მათ უფრო ჩრდილოეთით, სანიგების მეზობლად მიუთითებდა, ხოლო ფლაბიუს არიანე (II ს.) – ძიდრიტებსა (სამხრეთით) და აფსილებს (ჩრდილოეთით) შუა. V ს-ის უსახელო ბერძენი გეოგრაფი ლაზებს აფსარსა და დიოსკურას (სოხუმთან) შორის გულისხმობდა, პროკოპი კესარიელი (VI ს.) – მდინარე ფაზისის (რიონის) მიდამოებში და ა. შ.

ბიზანტიელი მწერლები ლაზებს კოლხებად თვლიდნენ. V ს-ის უსახელო ავტორის ცნობით, კოლხებს შემდეგ „გადაერქვათ ლაზები“, „... სახელი „კოლხები“, როგორც სხვა მრავალი ტომისა, ამჟამად „ლაზთა“ სახელად შეიცვალა“ – წერდა პროკოპი კესარიელი. „ლაზებს რომ ძველად კილხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, თუ კი ის გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას“, – ამბობდა VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია მირინელი.

რიონისპირეთში მოსახლე „ძლიერი და მამაცი ლაზები“ ისე დაწინაურდნენ, რომ აგათია მირინელისავე მოწმობით, ბევრ „სხვა ძლიერ ტომსაც მბრძანებლობდნენ“. საინტერესოა ამავე ავტორის სხვა ჩვენებაც: „მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული (ტომი), როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიციქვით... ისინი უკვე... არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ... თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ“.

მოგვიანებით ეთნიკური ტერმინი „ლაზი“ მეორე ასეთივე სახელს „ჭანი“ შეენაცვლა და

დღემდე შემორჩა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მცხოვრები ამ ქართველური ტომის აღსანიშნავად.


ლაზთა (ჭანთა) ტომის ისტორიული თავდასავალი მრავალფეროვანი წყაროების (წერილობითი, ნივთიერი, ენობრივი, ფოლკლორული და სხვა) მეცნიერული შესწავლით შეიძლება აღვადგინოთ.

წერილობით წყაროებში ცნობათა სიუხვით გამოირჩევიან ძველბერძნული და ბიზანტიური ძეგლები. მათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს VI ს-ის ისტორიკოსების: პროკოპი კესარიელის და აგათია მირინელის თხზულებები.

პროკოპი კესარიელი „დე ბელლო პერსიკო“-ში („ომი სპარსელებთან“) დაწვრილებით აგვიწერს ჭანეთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს, ცხოვრების დონეს, ბიზანტიელთა და ჭანთა „მრავალტომიანობას“ და შედარებით ვრცლად ჩერდება „ოკენიტის“ ჭანებზე. ბიზანტიელი ისტორიკოსი სიამაყით აღწერს იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) ღონისძიებებს ჭანეთში – ტყეების გაჩეხვა, გზების შეკეთება და სხვა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი შეიქმნა „დაუბრკოლებელი კავშირი“ ჭანებთან. მაგრამ ყველაფერ ამას სანუკვარი თავისუფლების დაკარგვაც მოსდევდა. რა თქმა უნდა, ბიზანტიელთა მფლობელობაში მოხვედრა არც ისე „იოლ მონობას“ მოასწავებდა, როგორც ეს ავტორს მიაჩნია, მაგრამ რაოდენ მსუბუქიც არ უნდა იყოს „მონობა“, იგი ვერასოდეს ვერ იქცევა თუნდაც ყველაზე „სახიფათო თავისუფლების“ ექვივალენტად.

აგათია მირინელის ცნობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია აჯანყებულ ჭანთა გმირული ბრძოლა ბიზანტიის ჯართან 556 წელს (რიზესთან). აჯანყებულებს რომ ისეთი „გამჭრიახი და მარჯვე“ წინამძღოლი ჰყოლოდათ, როგორც ეს მოწინააღმდეგის სარდალი თეოდორე ჭანი იყო, პირველ წარმატებას ხელიდან არ გაუშვებდნენ. მაგრამ ისინი დამპყრობლის სამსახურში მდგომი, მათივე თვისტომის მოხერხებით დამარცხდნენ სწორედ.

ძველი ბერძენი მწერალი სტრაბონი უშუალოდ ჭანებს არ იხსენიებს. მაგრამ „გეოგრაფია“-ში (დაწერილია ახ. წ. I ს-ის ათიან წლებში) ბევრი საგულისხმო ჩვენებაა დაცული სამხრეთ-



ლაზური სოფელი

დასავლეთ ზღვისპირეთის ტომებზე. მათგან აღსანიშნავია ცნობები „ჰენიოხების ოთხი ბასილევსის“ (მითრიდატე VI დროს), ხალიბ-ხალდთა ქვეყანაში „აღმართული ლითონებით სავსე და ტყიანი მთების“, ტრაპიზონისა და ფარნაკიის ზემოთ მცხოვრებ ტომთა განსახლებასა და სხვათა შესახებ.

ამ მხარის გეოგრაფიისა და ისტორიული ვითარების გასათვალისწინებლად მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს ფლაბიოს არიანეს „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“. რომელიც 134 წელსაა შედგენილი. რომელიც მოხელე თანმიმდევრულად ასახელებს პუნქტებსა და მდინარეებს (მანძილების აღნიშვნით). ამავე თხზულებიდან ვგებულობთ, თუ რომელ პუნქტებში ედგათ რომაელებს ჯარები („პისოსი, აფსაროსი), სად იყო „ანქიალეს სასახლე“ (მდ. პრიტანიდთან), როგორი იყო ამ სანაპიროს ზოგიერთი ნავსადგური (ათინა) და სხვა.

ამ წყაროს ისე ძლიერ დასესხებია ერთი გვიანდელი (V ს.) უსახელო ავტორი, რომ მის თხზულებასაც ერთ დროს არიანესვე მიაწერდნენ.

V ს-ის მე-2 ნახევარში კაპადოკიასა და სირიაში ჭანთა ლაშქრობაზე ცნობა დაუცავს VI ს-ის ბიზანტიელ ისტორიკოსს იოანე მალაქას. საგულისხმო ცნობებს შეიცავს იმავე

საუკუნის მწერლის – სტეფანე ბიზანტიელის „ეთნიკაც“.

VIII ს-ის მეორე ნახევრის კონსტანტინოპოლელი მოღვაწის, ეპიფანეს „ანდრიას ცხოვრებაში“ ყურადღებას იქცევს ერთი ადგილი, სადაც „ტრაპეზუნტი“ ლაზიკის ქალაქად იხსენიება.

შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსათვის ახალი სახელწოდების (ლაზიკა) დამკვიდრებისა და ამ მხარის საეკლესიო დაყოფაში განხორციელებულ ცვლილებათა გასათვალისწინებლად, ძვირფას ჩვენებებს შეიცავს ბასილი სოფონელის (IX ს.) „ეკთესისები“.

საინტერესოა ევსტათი თესლონიკელის (XII ს.) ზოგიერთი ჩვენებაც.

ლაზებზე (ჭანები) მრავალი შესანიშნავი ცნობა მოეპოვება ტრაპიზონის იმპერატორთა სახლის ისტორიკოს მიქაელ პანარეტოსს, რომლის „ტრაპიზონის ქრონიკა“ 1204 წლის ამბებით იწყება და 1426 წლამდე გრძელდება.

პანარეტოსი მართებულად მიუთითებს იმ გულმოდგინებასა და ღვაწლზე, რაც თამარ მეფეს მიუძღვის ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში. იგი „იბერიის მეფის – დავითის“ ტრაპიზონზე ლაშქრობასაც ეხება (1282 წლის აპრილში). ისტორიკოსი თუმცა პირდაპირ წერს, რომ

თამარ მეფის შვილიშვილი ტრაპიზონიდან „ხელცარიელი დაბრუნდა უკან“-ო, მაგრამ ცდებამანუილ I კომნენის (1238-1263) ასულ თეოდორას (რუსუდან იბერიელი დედოფლისაგან) სწორედ დავით ნარინის დახმარებით უნდა დაეკავებინა ტრაპიზონის საიმპერიო ტახტი.

საინტერესოა, რომ ალექსი II კომნენის (1297-1330) უფროსი ასული ანნა (ქართველი დედოფლისაგან) ტრაპიზონში გახელმწიფებას სწორედ ლაზეთიდან და „ლაზური ჯარით“ ახერხებს. 1341 წლის 17 ივლისს ლაზებმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს ანნა დედოფალს უზურპატორ მიხეილ კომნენის წინააღმდეგ ბრძოლაში. პანარეტოსის ჩვენებით, „ლაზებმა გაძარცვეს“ ის კატარღები, რომლებიც ანნა დედოფლის მეტოქეს მოჰყვა (1341 წლის 30 აგვისტოს). მათვე დედოფლის მტრები „ბევრი დახოცეს ისრებით“.

XIV ს-ის მე-2 ნახევარში ლაზები არაერთი საინტერესო ისტორიული ფაქტის მომსწრე და მონაწილე გამხდარან. იმპერატორ ალექსი მესამის (1349-1390) ასული ანნა, რომელსაც საქართველოს მეფე ბაგრატ მეხუთე დიდზე (1360-1393) ათხოვედნენ, მაკრიალამდე მიუცილებიათ ლაზებს (1367 წლის ივნისში). მაკრიალი არა მარტო საქართველოს დედოფლის გასტუმრების მოწმე ყოფილა, არამედ ტრაპიზონში სადედოფლოდ მიმავალი ქართველთა მეფის ასული გულქანიც დიდი ზარზემით მიიღეს იქ 1377 წლის აგვისტოს ბოლოს, ერთი ღამითაც ისტუმრეს და ასევე ზემოთ გააცილეს ტრაპიზონისაკენ.

„ქრონიკა“ სავსეა სელჩუკიან სულთნებისა და ამირების თუ მათ მემკვიდრეთა განუწყვეტელი შემოსევების, თუ მათ მემკვიდრეთა ეპიზოდებით. „მოვიდა მალიქ-სულტანი, დაესხა ტრაპიზონს და ყველაფერი მოაოხრა“, წერს ბერძენი ისტორიკოსი და იქვე თარიღსაც მიუთითებს (1223). ამავე „ქრონიკიდან“ ჩანს, რომ იოანე II კალიოანეს მეფობაში (XIII ს-ის უკანასკნელ ოცეულში) მტერს ხალიბიაც დაუპყრია. „თავდასხმა ისე დიდი“ იყო, რომ „მთელი მხარე გაპარტახდა“ – დასძენს ავტორი.

მავე ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს შესახებ საინტერესო ცნობებია რომელიც მწერლის პლინიუს უფროსის (23-79 წ.წ.) „ნატურალის ჰისტორიაში“. პლინიუსის გეოგრაფიული ცნობები ღირსებით თუმცა არ ჩამოუვარდება არიანესას, მაგრამ მასთან ეთნიკური თვალსაზრისით საინტერესო ჩვენებებია დაცუ-

ლი: „კაენთა ტომი“, „არმენო-ხალიბთა ტომი“ და სხვა.

ძველი სომხური ძეგლებიდან აღსანიშნავია VII ს-ის უსახელო ავტორის თხზულება, რომლის მიხედვითაც „ჭანივი“ კოლხეთის ერთ-ერთი „პატარა ქვეყანაა“. ამავე ავტორის რწმენით, „ჭანივი“ ეს იგივე „ხალტიქია“ (ხალდეტია), სადაც მოედინება „მეგალო პოტამოსი“ (დიდი მდინარე). კოლხეთის ქალაქთა შორის აქ მოხსენიებულია „ათინა და რიზონი“, ხოლო ზღვის სანაპირო დაბებიდან – „ტრაპიზონი“.

ზოგიერთი საინტერესო ცნობა მოეპოვებათ ფრანგ მისიონერ ლუი გრანჟიეს, იტალიელ მისიონერ არქანჯელო ლამბერტის და სხვებს. 1614 წელს ლუი გრანჟიე შემთხვევით მოხვდა ლაზეთში და გულმოდგინედ აკვირდებოდა ლაზთა ცხოვრებას. მას, როგორც იეზუიტთა ორდენის წარმოგზავნილს, განსაკუთრებით აინტერესებდა ქრისტიანობის ბედი ამ მხარეში, ისლამის შემოსვლა და სხვა. ფრანგი მისიონერი მოწმე იყო იმ დიდი ბრძოლისა, რომელიც იმ დროს ლაზეთში მიმდინარეობდა ცხოვრების მამაპაპური წესებისა და ქრისტიანობის დასაცავად. იგი იმასაც აღნიშნავს, თუ როგორ ტოვებდნენ უცხო სარწმუნოებასთან შეურიგებელი ლაზები მშობლიურ სამკვიდრებელს და გადადიოდნენ დედა საქართველოს შიდა რაიონებში.

იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც დიდხანს იმყოფებოდა დას. საქართველოში (XVII ს.), ხშირად იხსენიებს „ჭანებს“.

გვიანდელ ლაზეთზე ცნობები შემონახულია ოსმალურ წყაროებშიც. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია XVII ს-ის ავტორის ევლია ჩელების „მოგზაურთა წიგნი“, რომელშიც ლაზური ფოლკლორული ჩვენებანიც არის დაცული და ზოგი სხვაც.

ჭანებზე უხვი ცნობები დაუცავს ქართულ მწერლობასაც. ბასილი ზარზემელის თხზულებაში („ცხოვრება სერაპიონ ზარზემელისა“) იხსენიება „ხელოვნებით განთქმული ზოფელი კაცი“, რომელიც ზარზემის წინამძღვარს მიქელს მიუწვევია სამცხეში. ამავე თხზულებაში ჭანეთის პოლიტიკური გეოგრაფიისათვის საინტერესო ცნობაცაა დაცული.

XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი არჩილ მეფის დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობის დახასიათებისას, მიუთითებს ციხის აშენებას „საზღუარსა ზედა გურიისა და სა-

ბერძნეთისასა“. VIII ს-ის მე-2 ნახევარში, როდესაც ეს ღონისძიება იგულისხმება, საქართველოს (გურიის) და ბიზანტიის სასაზღვრო პუნქტი ხუფათი იყო, სადაც ბერძნებს ჯერ კიდევ V ს-დან ჰქონიათ ციხე, ხოლო ქართველებს ამისათვის VIII ს-ში დაუპირისპირებით თავიანთი სიმაგრე.

XI ს-ის ქართული საისტორიო თხზულება „მატიანე ქართლისაი“ გვამცნობს, თუ როგორ მიაღდა 1046 წელს მეფე ბაგრატ IV-, „გურიელნი“ და „ლომსიანნი“ აზნაურებით „ხუფათს“ და როგორ იბრძოდნენ იქ. ამავე ძეგლში აღწერილია ლიპარიტ ბაღვაშისაგან ბიზანტიაში ლტოლვილი ბაგრატ მეფის დაბრუნება საქართველოში ჭანეთ-ლაზეთის გზით და ლიხთიქეთა, „ყოველი ლაშქრის“ მიგება „ზღვის პირსა, ხუფათს“.

ტრაპიზონისა და მისი მხარის შესახებ ზოგიერთი საგულისხმო ცნობა დაუცავს ანდრია მოციქულის ცხოვრების ვერსიასაც (XI ს.).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც რამდენჯერმე იხსენიებს ხუფათს. 1116 წელს შიდა ლაშქრით იქ გაიარა ტაოში დაბანაკებულ სელჯუკიანთა განსადევნად მიმავალმა დავით მეფემ. იგივე ისტორიკოსი ქართველთა ძლევაშისილი მეფის ლაზეთში (ხუფათა) მორე (და უკანასკნელ) ჩასვლასაც (1120 წ.) აგვიწერს.

თამარ მეფის (1184-1213) ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოდვარი მოგვითხრობს ქართველი მხედრობის ტრიუმფალურ სვლაზე 1204 წელს სპერის ზღვისპირეთში და ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაზე. ამ სახელმწიფოს თამარ მეფემ სათავეში ჩაუყენა მისი ნათესავი ანდრონიკე კომნენის შვილი ალექსი, „რომელი იყო მაშინ თვით წინაშე თამარ მეფისა შემოხვეწილი“.

ჭანეთის პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხის გასათვალისწინებლად საინტერესოა XVI ს-ის ქართველი ფამთალმწერლის ცნობები – 1299 წ. ტრაპიზონში ბექა ჯაყელის ასულის გადედოფლებისა და „სრულიად ჭანეთის“ სამცხესთან შეერთების შესახებ.

გვიანდელი წყაროებიდან ცნობების სიუხვით, აქ დაცულ ცნობებს ადასტურებს და ზოგიერთ ახალ ჩვენებსაც გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.). ასეთი ცნობები უხვადაა სახელოვანი ისტორიკოსის ისტორიულ-გეოგრაფიულ თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ვახუშტი მოუთითებს ჭანეთ-ლაზეთის საზღვრებზე გვიან შუა საუკუნეებში („გონივრად... ტრაპიზონის საზღვრად“). ამ მხარეში იგი განსაკუთრე-



დავით აღმაშენებლი
მხატვრობა ამირან გოვლიძისა

ბით გამოჰყოფს „მცირე ქალაქებს“: „ხოფვას“ და „რიზას“, იხსენიებს „რკინის-პალოს“ და „სატრაპელას“. მისი დაკვირვებით, არჩილ მეფეს ჭანეთში ციხე („შემდგომად ყრუს შემოსვლისა“) თითქოს რიზეში უნდა აეშენებია.

ვახუშტი ჭანეთის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებსაც აგვიწერს, სამეურნეო-ეკონომიკურსა და კლიმატურსაც.

ამა თუ იმ მხარის ისტორიული თავგადასავალის შესასწავლად ძვირფას ჩვენებას შეიცავენ მატერიალური კულტურის ძეგლები – წარმართული, ქრისტიანული თუ ისლამური საკულტო ნაგებობანი, გზების მიმართულების მანიშნებელი სხვადასხვა დროის თალიანი ხიდები, სხვადასხვა ეპოქის და დანიშნულების ციხე-სიმაგრეები და სხვა.

ლაზეთში პირველი ქრისტიანული სამლოცველო იუსტინიანე კეისრის დროს აუგიათ. სკამალიზონს („კოქსილნის ჭანეთი“ აქედან მოკ-



იდებული XVI ს-მდე ამ მხარეში ასეთსავე სამლოცველოებს აგებდნენ, როგორც ბიზანტიელები, ისე ჭანები (ლაზები), ხოლო მოგვიანებით – გენუელებიც.

უკანასკნელი ეკლესიები ლაზეთში XV-XVI ს.ს-ებით თარიღდება. ამიერიდან ქვეყანაში შემოდის ისლამი და შესაბამისად „მეჩეთიც“.

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ამ მხარეში განმტკიცდა ისლამი, მაგრამ ხალხი მაინც არ ივიწყებს მამა-პაპურ „ოხვამე“-თა ნანგრევებს, რომელიც დღემდე შემორჩა ლაზეთის მრავალ ადგილას (სუმჯუშაში, მაკრიალში, აზლადაში, პირონოში და ა. შ.).

ჭანეთში ციხეებიც მრავლად იყო. პროკოპი კესარიელი, როცა იუსტინიანე კეისრის დროინდელ ღონისძიებებს აგვიწერს ჭანეთში, ხშირად მიუთითებს, რომ მაშინ ბიზანტიელებმა, „განაახლეს ძველი ჭანური სიმაგრეები“ („ზარტონის ციხე“, „სისილისონის ციხე“, „ოკენითის“ სასაზღვრო სიმაგრეები). ამიერიდან ჭანთა თავისთავადობის უზრუნველყოფელი ეს ციხეები დამპყრობლის სამსახურში ჩადგნენ.

ზოგიერთი სიმაგრეც ბიზანტიელებს (თუ პროკოპი კესარიელს ვერწმუნებით) ადრე უციხურ ადგილასაც აუშენებიათ („პორონინის ციხე“ – ჭანეთისა და პერსარმენის გზა-ბოძალზე), ხოლო ერთიც („ბურგუნისი“) იქ, სადაც ადრე ჭანეთთან მებრძოლი ბიზანტიელი სარდლის „ლონგინეს თხრილი“ იყო („კოქსილინის“ ქვეყანაში). პროკოპი სხვა ციხეებსაც ასახელებს („სკამალიზონის“, „ჯვანჯაკონის“). ბიზანტიელი ისტორიკოსის მონათხრობიდან ისე გამოდის („ამჟამად აქ აგებულია ორი ციხე“), რომ თითქოს ესენი ბიზანტიელებს აეგოთ, მაგრამ ეს ძნელი სარწმუნოა, რადგან პირველი („სკამალიზონის“) „კოქსილინის ჭანების“ დედა ციხე ჩანს, ხოლო მეორე – სასაზღვრო ციხე, რომელშიც იუსტინიანეს დროიდან ბიზანტიელთა ლაშქრის „დუქსი“ იდგა ისევე, როგორც პორონის.

იუსტინიანეს დროს განუხლებიათ რიზეც და შემოუზღუდავთ კიდევც. ერთი წყაროს (დანიელ მესვეტის „ცხოვრება“) ცნობით, ზოფის ციხეც ბიზანტიელებს „აუგიათ“ ლეონ პირველის დროს (457-474).

XI საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1027-1072) ბიზანტიელებს მარტოოდენ ლიხთიქით კი არ ებრძვის, არამედ – ჭანეთშიც. აიღო თუ არა ზოფის ციხე, რომელსაც ის შემოადგა, ამაზე პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ დავით აღმაშენებელს

(1089-1125) ზოფა რომ უჭირავს, ეს კარგად ჩანს მისი ისტორიკოსის თხზულებიდან.

ფლავიუს არიანეს ცნობით, ციხე ჰქონია ათინასაც, რომელიც II ს-ის 30-იან წლებში „მიტოვებული“ ყოფილა.

ნაციხვარი არის სოფელ ყალეშიც (ათინადან 20 კმ-ზე). ადგილზე მისვლის გარეშე ამ „ჯიხას“ ასაკი ვერ გაირკვევა. რაც შეეხება მის დანიშნულებას, ის კონტროლს აწესებდა არზრუმ-ათინას გზის ერთ მონაკვეთზე.

„ჯიხა“ მელექსურის ხეობაშიც არის, მაგრამ იმ აღწერილობის მიხედვით, რომელიც ნ. მარმა დაგვიტოვა, მისი არც ასაკის გათვალისწინება ხერხდება და არც დანიშნულებისა.

საინტერესო ჩვენებებს შეგვძენდა „კიზ-კულეს“ (რიზეში), „კალეჯუკის“, „მეძბრუნის“ და ლაზეთის ტერიტორიაზე შემონახული სხვა ციხეების არქეოლოგიურ-არქიტექტურული შესწავლა და ისტორიულ-გეოგრაფიული გააზრება.

ენობრივი მასალებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა გეოგრაფიული ნომენკლატურა. ჯერ კიდევ პროკოპი კესარიელთანაა დადასტურებული სოფლის სახელი „კენა“. ამ სოფელს (მდებარეობდა ბარხონის მთის გადაღმა) უკავშირდება სატომო ქვეყნის სახელი „ოკნოტი“, რომელსაც იგივე ბიზანტიელი ისტორიკოსი იხსენებს.

ასევე ეთნიკურ ტერმინებს უკავშირდებიან სოფლების სახელები: „ხალდოსი“ (რიზეს მახლობლად), „წანო“ (ართაშენის უბანში), „ზანათი“ (ათინას უბანში) და სხვ. ზალდი ერთ-ერთი ძველი განთქმული მელითონე ქართველური ტომის სახელია. სოფლის სახელ „წანო“-ში შემონახული სატომო სახელი „წან“-ი (ვარიანტული ფორმით „წენ“-ი) „ჭანის“ ექვივალენტად მიაჩნიათ. „წ“ „ჭ“-ს მეორეული სახეა (შეადარეთ ჭალენჯინა-წალენჯინა). საინტერესოა, რომ ლაზეთიდან (ჭანეთიდან) მონაბერ ქარს „წანი ბორიას“ უწოდებენ.

„ათ“ სუფიქსით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელ „ზან-ათ“-ში დაცულია ფართოდ გავრცელებული სატომო სახელი „ზ-ან“-ი. ეს ეთნონიმი დღესაც ცოცხალია.

გარდა ჭანეთისა, „ზან“ უფმისაგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ზანათი – სოფელი ოდიშს (სუჯუნის ახლოს), ზანა – სოფლები (დიდი, პატარა) ცივის ხეობაში (იქვე), ზანაკარი – სოფელი ცაგერის ჩრდილოეთით,

საზანო – სოფელ ზემო იმერეთში, ზანავი – სოფლები სამცხესა და ქართლს.

მიჯნის აღმნიშვნელი სიტყვა „სამანი“ შემოუნახავს მდინარის სახელს „სამან-სუ“. ეს მდინარე ლაზეთის იმ რაიონში მოედინება, სადაც ერთ დროს საქართველოს პოლიტიკური საზღვარი გადიოდა.

საზღვარზე მიუთითებს, აგრეთვე, მთის სახელწოდება „რკინის-პალო“-ც.

ლაზეთის ადგილთა სახელების მეცნიერული შესწავლა ჯერჯერობით საწყის სტადიაშია. ამას აფერხებს მასალების უქონლობა. ის გეოგრაფიული სახელები, რომლებიც პროფ. ი. ყიფშიძემ შეკრიბა ამ მხარეში, ძირითადად მაკრო-ტოპონიმის განეკუთვნება, მიკრო-ტოპონიმურად კი მხოლოდ ლაზეთის საქართველოს მხარეა აღწერილი (იხ. ი. სინარულიძე. ჭანეთი (ლაზეთი) I-II ტ.).

ადამიანთა საზოგადოების (გვარის, ტომის, ხალხის...) ისტორიული ცხოვრება თავისებურად აისახა ფოლკლორში. მეცნიერულად შესწავლილი ამგვარი ჩვენებანი ისტორიის საიმედო საშენი მასალაა. ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ისტორიული გადმოცემები, რომელთა დიდი ნაწილი თამარ დედოფალს უკავშირდება. ტრაპიზონის საკეისროს დამპყრობისა და ლაზთა დიდი ქომაგის თამარის სახელის პოპულარობა ამ მხარეში შემთხვევით მოვლენად ვერ ჩაითვლება. თუ აქ იმასაც გავიხსენებთ, რომ საუკუნეების განმავლობაში ლაზები უშუალოდ შემოდიოდნენ მშობლიური ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვა-მშენებლობაში, მაშინ ნათელი გახდება, თუ რატომ შეითვისეს და შეიყვარეს თამარი მათ.

წყაროებს არ შემოუნახავთ ცნობა თამარის უშუალო ყოფნისა ლაზეთს 1204 წელს, მაგრამ ბათომ-გონით რომ მიდიოდა საქართველოს მხედრობა იმ დროს ტრაპიზონისაკენ, ეს სწორად აუსახავს გადმოცემას.

შესაძლოა, ბუღაჯის „მაფა წყარო“ (მეფის წყარო) დავით აღმაშენებლისაც კი იყო, რომელიც რამდენჯერმე იყო ბუღაჯსა და ხოფას, მაგრამ ლაზები მას მაინც თამარის წყაროდ თვლიან, რის ახსნაც ძნელი არაა.

ლაზები „კიზ-კულე“-საც (ქალიშვილის ციხე) თამარ დედოფალს უკავშირებენ.

თამარი ლაზებს თავიანთ ყოფა-ცხოვრების მფარველადც მიაჩნდათ და მას მიაწერდნენ წარმატებას ხით ხურობაში („თამარმა დაგვილოცა ხელი“-ო). ლაზეთში გავრცელებუ-

ლი ყოფილა თქმულება თამარის „ერ ღერ თმა“-ზეც და სხვ. ძლიერი მფარველის სინონიმად მონანს თამარ მეფე გვიანდელ ლაზურ თქმულებებშიც. ერთ-ერთი ასეთი გადმოცემით ოსმალთაგან შევიწროებული ლაზები „თამარ მეფეს“ თხოვენ ადგილებს შიდა საქართველოს რაიონებში დასახლებლად და ისიც წყალობას არ აკლებს მათ.

ლაზური თქმულებები სიყვარულით მოვითხრობენ სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებულ გმირებზეც, რომელთა შორის გამოირჩევიან პეტრე ზეცია, კახაბერი და სხვები.

ლაზთა (ჭანთა) შესწავლა ამ ასორმოცდაათიოდე წლის წინათ დაიწყო ამ ტომის მეტყველების კვლით: კლაპორტი, როზენი, ერკერტი, აჭარიანი და სხვები შეძლებისდაგვარად სწავლობდნენ ლაზურს.

ლაზური დიალექტის შესწავლაში განსაკუთრებით დიდია სახელგანთქმული მეცნიერის – აკადემიკოს ნ. მარის დამსახურება. მისმა შრომებმა „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკა ქრესტომათითა და ლექსიკონით“ და „ლაზისტანში მოგზაურობიდან“ (დაბეჭდა 1910 წელს რუსულ ენაზე), ახალ ეტაპზე აიყვანეს ლაზთა მეტყველების კვლევა. ეს საქმე ჩინებულად განაგრძო ნ. მარის მოწაფემ პროფერსორმა იოსებ ყიფშიძემ, ხოლო შემდეგ – ი. ყიფშიძის მოწაფემ აკად. არნ. ჩიქობავამ.

ამ უკანასკნელ დროს ლაზებიც აქტიურად მონაწილეობენ თავიანთი მეტყველებისა და წარსულის შესწავლაში. თუ ადრე ისინი მხოლოდ ცნობების მიმწოდებლების როლს სჯერდებოდნენ. ჩვენს დროში ლაზთა ტომის შვილები მეცნიერულ სარბიელზეც წარმატებით მოღვაწეობენ.

ლაზები... „ითვლებიან კავკასიელ ხალხად და ნათესაური კავშირი აქვთ ქართველებთან. მათი გარეგნობაც კი მოწმობს მათს კავკასიურ წარმოშობასა და რასას“ – წერდა მამს-ადდინ-სამი 1896 წ.

ამ საყოველთაოდ ცნობილ დებულებას განსაკუთრებით ნათლად ადასტურებს ლაზური მეტყველება, რომელიც კავკასიური ენების სამხრეთ ჯგუფში შემაგალი ზანური ენის ერთ-ერთი კილოა. ამ ენის სახელწოდება („ზანური“) უკავშირდება სატომო სახელს „ზანი“, რომელიც დადასტურებულია, როგორც ისტორიულად (წერილობითი წყაროები, გეოგრაფიული ნომენკლატურა), ისე ცოცხალ მეტყველებაში.

ლაზური (ჭანური) მეტყველება ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ შავი ზღვის აღმოსავლეთით

სანაპიროზე ქემერიდან სარფამდე და, აგრეთვე, მდინარე ჩხალის ხეობაში. წინათ კი ეს მეტყველება სამხრეთითაც შორს ვრცელდებოდა და ჩრდილოეთითაც.

ქართველურ ენებთან ლაზურის სიახლოვეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ავლენს ამ ენების (ქართული, ზანური) ძირების შედარებითი შესწავლა.

მოძმებთან ლაზურის სიახლოვე კარგად ჩანს ფოლკლორშიც. მიუხედავად მძიმე ისტორიული განვითარებისა, ლაზებმა დღემდე შემონახეს არაერთი საყურადღებო ფურცელი ქართველური მითოლოგიისა. ამ მხრივ ძლიერ საინტერესოა ზღაპრები. ლაზების კულტურულ-ეთნიკური ნათესაობა კარგად მუდგანდება ეთნოგრაფიულ ყოფაშიც, კერძოდ, ჩუქურთმის კვეთის ხელოვნებაში. ლაზურ ჩუქურთმაში, ერთი მხრივ, შესანიშნავად მოჩანს ქართველთა მონათესავე წინააზიის უძველესი მოსახლეობის (ხურიტების) კულტურული ტრადიციები, ხოლო, მეორეს მხრივ, იგივე ჩუქურთმა, როგორც ტექნიკით, ისე კომპოზიციით ძლიერ უახლოვდება საკუთრივ ქართველ ტომთა, კერძოდ, სვანურ ხელოვნებას.

ლაზურ ჩუქურთმაში განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას სიცოცხლის ხის მოტივი. ასეთი ჩუქურთმებიანი სახლები დღესაც ამშვენებს აჭარას, გურიას, ოდიშს, იმერეთს, სამცხეს, თრაღეთს და საქართველოს სხვა კუთხეებს. ამ შესანიშნავი ძეგლების მნიშვნელოვანი კოლექცია დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (თბილისი).

და არა მარტო ლაზეთის მკვიდრნი ამჟღავნებენ ტომობრივ და კულტურულ სიახლოვეს მათ ჩრდილოელ ნათესაებთან, არამედ – თვით ქვეყანაც. დღევანდელი ლაზეთი, ანუ აღმოსავლეთი ჭანეთი (ზიარეთის ქედი აღმოსავლეთით) კლიმატური თავისებურებებითაც ძლიერ ემსგავსება დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარასა და გურიას.

ლაზეთის ვაკე-დაბლობსა თუ გორაკ-ბორცვოვან გეომორფოლოგიურ ზოლს კოლხური ჰავა ახასიათებს.

ამჟამინდელი ლაზეთის კოლხური ლანდშაფტი განსაკუთრებით ნათლად ჩანს მცენარეულ საფარში. მსგავსად აჭარა-გურიისა, ლაზეთშიც გაბატონებულია კოლხეთის ტიპის ტყეები, ქვეტყეები თუ ლიანები. ეს თავისებურება ამ მხარეს მნიშვნელოვნად განასხვავებს „აღმოსავლეთ ანატოლიის მშრალი და თითქმის უტყეო

ქსეროფიტული რაიონებისაგან და აახლოვებს დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკულ ლანდშაფტთან. ტყეები შექმნილია მცენარეთა ისეთივე დაჯგუფებით, როგორც გვხვდება აჭარასა და გურიაში. მათი მთავარი ედიქიკატორები აქაც წაბლი, მუხა, რცხილა, წიფელი და მუხნარია. ქვეტყე შექმნილია შქერით, წყავით, ბადვით, ბზით და სხვა ბუჩქებით“ (აღ. ტერელაძე).

მცირეოდენი განსხვავება შეინიშნება მთის წინა ზოლში (500-700 მ. ზ. დ.), სადაც ნაცვლად წიფელისა, რომელიც კოლხური ტყის მთავარი მეუფეა, ლაზეთის წიფლის ტყეში ნაძვიც საკმაოდ გვხვდება.

კოლხური ტიპისაა ლაზეთის ზღვის სანაპირო ზოლის ჭაობები და ჭალის ტყეებიც. ჭაობის მცენარეულობა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გვხვდება არქაბეს ველზე. ეს მცენარეულობანია: ჭილი, წყლის მრავალძარღვა, ზავსი და სხვ.

ჭალის ტყეებს ქმნის: ტირიფი, მურყანი, ლაინებს-ღვედკეცი, ეკალიჭი, მაყვალი.

ლაზეთის გორაკ-ბორცვიან ზოლში ვხვდებით კავკასიურ მოცეს, ხოლო საშუალო სიმაღლის მთის ტყეებში – იმერულ ხეჭრელს.

და მარტო მსგავსებით როდი კმაყოფილდება ბუნება. იგი ამავე დროს ძველებურ ურთიერთობაშია დედა-სამშობლოსთან. ამის შიკრიკად მას ძველადაც „წანი ბორია“ ჰყავდა და დღესაც ასეა. ამ ქარს საქართველოში მოაქვს ლაზეთის ტყეების სურნელება, ტენი, ზამთარში – სანუკვარი სითბო, ხოლო ზაფხულში – ასევე სანატრელი სიგრილე.

V ს-ის უსახელო ბერძენი გეოგრაფი სრულეებით არ იხსენიებს „ჭანიკეს“ (თიანიკეს) „ოფიუნტის წყალს“ (არიანეს „ოფისი“) და არქაბეს შორის მდებარე მიწა-წყალზე, რომელიც „ეკხირიელების ტომის“ გადანაცხოვრი ყოფილა. ასახელებს „მაქელონებს“ (იგივე „მაკრონები“) და „ჰენიოხებს“. ასეა „ამჟამადო“, – ირწმუნება ავტორი. მაგრამ ეს სიტყვა მას კი არა, რომელიღაც წინამორბედ მწერალს უნდა ეკუთვნოდეს. თუ ეს მართალია, მაშინ ან იმ დროს უნდა ასახავდეს, როდესაც ჭანები ზღვისპირეთში ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩაღწეულნი, ანდა მაკრონ-ჰენიოხთა მორჩილებაში იმყოფებოდნენ. პროკოპი კესარიელი თავგამოდებით ამტკიცებს, რომ ჭანები თითქოს მხოლოდ მთაში ცხოვრობდნენ, მაგრამ აგათია მირინელი ცხადყოფს, რომ მათ ის რაიონიც ეჭირათ, რომელსაც არიანე საჭანოდ ასახელებს („თიანიკე“).

აგათიასვე ჩვენებით, რიზეს მიდამოები (სადაც 556 წელს დიდი ბრძოლა გაიმართა), ჭანთა ქვეყნის „შუაგული“ იყო. ამას გარდა, ჭანები ცხოვრობდნენ მთებშიც („ოკენიტის“ და „კოქსილინის“ ქვეყნები).

ახლანდელი ლაზეთის მიწა-წყალი ადამიანს ჯერ კიდევ ქვის ხანაში აუთეისებია. რბილი ჰავა, ხეხილითა და ნადირით სავსე ტყეები, თევზით მდიდარი მდინარეები და სხვა ამ მხარეში პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.

ჭანები, ისე როგორც სხვა მეზობელი ქართველური ტომები, უძველეს დროს გორა-ღიხაკურზულაებად ცხოვრობდნენ. ტექნიკურად ღიხაკურზულა საეკიალურად გამაგრებულ გორაკს გულისხმობდა, ხოლო სოციალურად – „ძობას“ (ჯუშაით).

მადნეულებით მდიდარ ჭოროხის აუზში მოსახლე ჭანები ადრედაწვე ჩაებნენ, როგორც ბრინჯაოს წარმოებაში, ისე რკინის მეტალურგიაშიც. ბრინჯაოს ხანის საყურადღებო კომპლექსებიდან, რომელიც ამ მხარეშია აღმოჩენილი, განსაკუთრებით საინტერესოა საზაკალეს მალაროს განძი (ართეინის მახლობლად), რომელიც ანკარის ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული. „მეორე ათასწლეულის დასაწყისში და პირველი ათასწლეულის პირველ საუკუნეებში კავკასიაში მდიდარი მადნეულის საბადოების წყალობით ჩვენ ვპოულობთ ბრწყინვალე ბრინჯაოს კულტურას“. „ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო იზრდება მნიშვნელობა ართეინში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთისა...“ – წერს თურქი არქეოლოგი კ. ბიტელი.

იმ კლასიკურ ეპოქათა შორის, რომლებიც ქართველებმა განავითარეს, არის ბრინჯაოს ხანაც. საამაყო, რომ ქართველ ტომთა ამ წარმატებაში ღირსეული წვლილი უდევთ ახლანდელი ლაზების შორეულ წინაპრებსაც.

ქართველური ტომები არც რკინის მეტალურგიაში ჩამორჩნენ ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციის შემოქმედ ხურრი-ურურტულ ხალხებს. ჭანებმა სხვა მოძვე ტომებთან ერთად აქაც ისახელეს თავი. რკინის წარმოების ერთ-ერთი უძველესი კერა ჭანეთის ტერიტორიაზე (ჭარნალის ხეობაში, ხელვაჩაურის რაიონი) 1961 წელს გათხარა და შეისწავლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ-

ანელი ი. გრძელიშვილი). ჭარნალს არქეოლოგიური გათხრები შემდეგშიც გრძელდებოდა (ა. ინაიშვილი, დ. ხაზუტაიშვილი).

ჭარნალის რკინის სადნობი ქურები კონსტრუქციით ისეთივეა, რაც 1960 წელს შესწავლილი ლეღვასა და ჯიხანჯურის (ქობულეთის რ-ნი) რკინის სახელოსნოები (ძვ. წ. XIII-VII ს.ს.).

მძიმე იყო მელითონე ქართველურ ტომთა ცხოვრება. ძვ. წ. III ს-ის ბერძენი მწერლის აპოლონიოს როდოსელის მოწმობით, „არაოდეს დგებოდა მათი ალიონი ახალი გარჯის გარეშე“, დღენიდავ „შავ ჭვარტლსა და ბოლში“ ასრულებდნენ ისინი თავიანთ მძიმე სამუშაოს. ხალიბები, რომელთაც ეს ცნობა ეხება, ამავე ავტორის ჩვენებით, მხოლოდ რკინის წარმოებით ცხოვრობდნენ, არც მიწათმოქმედებას მისდევენ და არც მეჯოგეობას.

ასეთივე პროფესიული მელითონეები შეიძლება ვიგულისხმოთ ჭარნალის მიდამოებში და ჭანეთის სხვა ადგილებშიც.

ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან, როდესაც ჭარნალის მეტალურგიული კერა მოქმედებდა, რკინაზე დიდი მოთხოვნილება იყო, როგორც ადგილობრივ, ისე საგარეო ბაზარზე (მცირე აზია, ეგეოსის სამყარო). ამიტომ იყო, რომ ასე თავდადებით იღვწოდნენ ხალიბები და სხვა შემთამადნე ჭანური ტომები, რომელთა მშვიდობიანი შემოქმედება არაერთხელ დაურღვევია წინააზიურ სახელმწიფოთა თუ ბერძენ-რომაელთა მძლავრობას.

მამაცი ჭანები დიდხანს მედვარად იცავდნენ თავიანთ „თავისთავადობას“, მაგრამ იუსტიციანე კეისრის დროს დამარცხდნენ უთანასწორო ბრძოლაში. ჭანთა დამორჩილებას ბიზანტიელთა ძლიერადოსილი იმპერატორი ისე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ ეს მოვლენა სპეციალურად აღუნიშნავს 535 წლის იანვარში გამოცემულ ნოველაში „ჭანები მხოლოდ ახლა მოექცნენ რომაელთა ძალაუფლებაში... ასეთი რამ დღემდე არ მოუნიჭებია რომაელებისათვის ღმერთს – მხოლოდ ჩვენს მეფობაში მოგვენიჭა ეს მადლი“, – სიამაყით აცხადებდა იუსტიციანე.

ზოგიერთი სულმდაბალი, დამარცხების შემდეგ დამპყრობელს შეურიგდა და მის სამსახურში ჩადგა. ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ ფაზისში (ფოთი), მისიმიანეთში (კოდორის ხეობა) და სხვაგან. პატრიოტი ჭანები კი არ ურიგდებოდნენ ბიზანტიელთა ბატონობას და 556 წელს აჯანყდნენ კიდევ.

კონსტანტინოპოლის მთავრობამ ამბოხებულ ჭანთა დათრგუნვა ბიზანტიელთა ერთგულ თეოდორე ჭანს მიანდო. აგათია მირინელის ცნობით, თეოდორემ, „რომელსაც რომელი სამხედრო მეთაურთა შორის პირველი ადგილი ეკავა, კარგად იცოდა, თუ საიდან დასხმოდა მათ (აჯანყებულ ჭანებს – ი. ს.) თავს, სად დაბანაკებულიყო; ზედმიწევნით იცოდა, აგრეთვე, თუ როგორ მიეგნო მტრის კვალისათვის – ასე, რომ სრულიად მიზანშეწონილი იყო, მეფემ მას რომ დაავალა ეს საქმე“¹. ეს არჩევანი პოლიტიკურადაც კარგად იყო გააზრებული.

ფოთიდან დიდი ლაშქარით მიმავალმა თეოდორემ „... მოუარა დასავლეთით ჭანების საზღვარს და უცბად შევიდა მტრის მაშინდელი მიწა-წყლის შუაგულში. მან დაიბანაკა ქალაქ თეოდორიადისა და ეგრეთწოდებულ რიზეს გარშემო“². თეოდორე კარგად ზედავდა, რომ ბიზანტიის იმპერატორის დანასაქმის წარმატებით შესრულება თავის თანამემამულეთა გათიშვით შეიძლებოდა მხოლოდ. როცა უხვი საჩუქრებით და თვალთმაქცობით გაბრუებულ ჭანთა ერთი ნაწილი ბიზანტიელთა მხარეზე აღმოჩნდა, გადაგვარებულმა თეოდორემ ბრძოლის თადარიგი დაიჭირა. მაგრამ, მისდა გასაოცრად აჯანყებულმა ჭანებმა დაასწრეს და ბიზანტიელთა თხრილის „... მახლობლად გადმოშვერილ ბორცვზე თავი მოუყარეს ლაშქარს და შუბები და ისრები დაუშინეს რომაელებს ზემოდან. ისე რომ, რომაელთა მთელი ჯარი შეიძრა ჭანთა ამ მოულოდნელი სითამამისაგან“³. თეოდორეს ლაშქარიც ამოქმედდა. მაგრამ აჯანყებულები „ხშირ-ხშირად უშენდნენ ზემოდან შუბებს, აგორებდნენ ქვებს და სწრაფად განდევნეს მოწინააღმდეგენი“⁴.

გამარჯვებით წახალისებული ჭანი პატრიოტები მტრის ბანაკს მიაღწენ და შიგ შეჭრას ლამობდნენ. შეიქმნა ფიცხელი ბრძოლა. თავლაფდასხმულმა ბიზანტიელებმა ხელი გამოიღეს და ორივენი ეცნენ ერთმანეთს, შეპირისპირდნენ, ხელდახელაც შეიბნენ და ოდნავაც არ შესუსტებიათ გულადობა. მეტწილად თანაბარი წარმატებით ასე მიმდინარეობდა ბრძოლა ორივე მხარისათვის“⁵... ბრძოლის ბედი იმჯერად ვერ გადაწყდა.

დროებით შესვენება კარგად გამოიყენა თეოდორემ და თავისი ლაშქრის დიდი ნაწილი მოწინააღმდეგეს მოულოდნელად ზურგიდან დაასხა. ამ ღონისძიებამ ნაყოფი გამოიღო; ათასობით ჭანი ბრძოლაში დაეცა, სხვები აქეთ-

იქით გაიფანტნენ. დამარცხებულ ჭანთა ზვედრი კვლავ ბიზანტიელთა მონობა და ზარკი იყო.

ჭანები და სხვა დასავლურ-ქართული ტომები ამის შემდეგაც არ ცხრებოდნენ და იბრძოდნენ უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ, მაგრამ სანუკვარ მიზანს მხოლოდ ეგრის-აფხაზეთის სამეფომ მიაღწია, რომელმაც ჯერ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა, ხოლო შემდეგ ბიზანტიის საეკლესიო სიუზერენობაც მოიცილა; თუმცა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო მინც ვერ შეელა „ლაზიკის მიტროპოლიტს“ და, როგორც ბიზანტიური საეკლესიო ნოტიციებიდან ჩანს, ამ ზარისხში აიყვანა ტრაპუნტის „პირველმოსაყდრე“ ეპისკოპოსი, რომელიც მანამდე ნეოკესარიის მიტროპოლიტს ემორჩილებოდა.

ჭანები მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ დედა სამშობლოსთან. ამ მხარის ჩრდილოეთი სექტორი (ხოფადან მოკიდებული) აღრიდნვე ორგანულად უკავშირდებოდა საქართველოს, ხოლო XIII ს-ის მიწურულში მთელი ჭანეთიც („სრულიად ჭანეთი“) უშუალოდ შეუერთდა მას. მოგვიანებით ჭანების სამხრეთი რაიონები ისევ ტრაპიზონის იმპერიას მიუერთებია. ამ სახელმწიფოსა და საქართველოს საზღვარი XIV ს-ის 70-იან წლებში მაკრალის მდამოებში გადიოდა. XV ს-ის შუა ხანებში ჭანეთი ისევ საქართველოს შემადგენლობაშია და მესხეთის ათაბაგს უჭირავს. ამავე ს-ის 60-იანი წლებიდან ამ მხარეს გურიის სამთავრო სახლი დაეუფლა. ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიის მეთაურის, ბერი ეგნატაშვილის ცნობით, გურიის სამთავროში ერთიანდებოდა ჭანეთი რკინის პალოს მთამდე.

1461 წელს ოსმალებმა ტრაპიზონის იმპერია დაიპყრო. უშუალოდ მოადგა საქართველოს და იწყო ჭანეთისა და სხვა ქართული მხარეების რბევა. არზრუმისა და ტრაპიზონის ფაშები განსაკუთრებით აქტიურდებიან XV ს-ის მიწურულიდან. ძლიერი მტრის შეჩერებას ქაიხოსრო ათაბაგი (1498-1502) მორჩილების აღთქმითა და დიდი ძღვენით ცდილობდა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. დამპყრობელი გულდაგულ ზეერავდა ქვეყანას და წარმატებისათვის საჭირო გზებს ეძებდა. ათაბაგის მორჩილებამ საშუალება მისცა მოძალადეს უფრო მეტიც დაეწყო ლაშქრობა ზღვისპირეთში. XVI ს-ის დამდეგიდან ჩრდილო ლაზეთი დიდ განსაცდელში ჩავარდა...

ქართველი პროგრესისტები კარგად ზედავდნენ ათაბაგების მოლაღატურ მოქმედებას და ძალებს


იკრებდნენ მათი ღირსეული დასჯისათვის. ეს ჟამიც დადგა. 1535 წელს მურჯახეთის ბრძოლაში იმერთა მეფე ბაგრატ III-ემ (1510-1545) როსტომ გურიელის (1534-1564) შემწეობით სასტიკად დაამარცხა ყვარყვარე II ათაბაგი (1516-1535). საათაბაგოს დიდი ნაწილი ამიერიდან უშუალოდ შეუერთდა იმერეთის სამეფოს, ხოლო აჭარა და ჭანეთი ისევ საგურიელოს დაუბრუნდა. მაგრამ მტერი არ ცხრებოდა... 1543 წელს ქვეყანაში მუსტაფა ფაშა შემოიჭრა დიდძალი ლაშქრით. ბრძოლა მოხდა ქარაღალს. გაიმარჯვეს ქართველებმა, ფაშა მოიკლა, ხოლო თავზარდაცემული მტრის ჯარი უწყსრიგოდ გარბოდა ბრძოლის ველიდან. წარმატების შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა იმერეთის მეფის პოზიციები, მაგრამ სულთანი მაინც არ აპირებდა საქართველოზე ხელის აღებას და ორი წლის შემდეგ ბევრად უფრო დიდი ძალები შემოუსია საქართველოს. ბაგრატ მეფე კვლავ მედგრად დაუხვდა მოძალადეს, მაგრამ ბრძოლის ბედი მესხ პარტიკულარისტთა

ღალატმა გადაწყვიტა, რომელთა შემწეობით ოსმალებმა გაიმარჯვეს. ამ წარმატების შემდეგ მტერი ზღვისპირეთისაკენ დაიძრა და 1547 წელს ლაზეთი დალაშქრა. ბევრი მამაცი ლაზი ამ უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა. ნაწილი კი ტყვედ წაასხა მტერმა.

ოსმალებმა ამ დროს ბათუმამდე მიაღწიეს და მაშინვე ციხის გამაგრებას შეუდგნენ. გურიის მთავარმა ყოველივე იღონა ოსმალთა წინააღმდეგ ქართველ მეფე-მთავართა გაერთიანებული ლაშქრობის მოსაწყობად, მაგრამ ველარ მოახერხა და მტერი ჭანეთში განმტკიცდა.

აქედან მოკიდებული სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ლაზეთი ეპყრა ოსმალეთს. 1878 წელს საქართველომ კვლავ დაიბრუნა ამ მხარის ერთი ნაწილი, მაგრამ ეს სიხარულიც ხანმოკლე აღმოჩნდა, და დღეს დედასამშობლოს ფარგლებში ლაზეთის მხოლოდ მცირე-ოდენი ნაწილია დარჩენილი.

იური სიხარულიძე



ფელუკები

* * *

ქრისტიანობის გავრცელების დასაწყისი აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში, როგორც ეტყობა, ერთსა და იმავე ხანას უნდა ვიგულისხმოთ. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გელასი კვიზიკელის მოთხრობა. მას იბერთა მოქცევის ამბავში ნათქვამი აქვს: „ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე მათ არ სწამდათ, შეიწყნარესო (იხ. ს. ყაუზჩიშვილის „გელასი კესარიელი“). გამოდის, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს ქრისტიანობა ერთსა და იმავე დროს მიუღია. მაგრამ ან. გლასს გამორკვეული აქვს, რომ ლაზთა ამავე დროს მოქცევის შესახებ ცნობა არ მოეპოვება არც სოკრატეს, არც სოზომენს, არც თეოდორიტე კვირელს და არც ნიკიფორე კალისტოსს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ლაზების გაქრისტიანებას არც გელასი კესარიელის ლათინურად მთარგმნეული რუფინუსიც იხსენიებს, მაშინ ცხადი გახდება, რომ ცნობა ლაზების ამავე დროს მოქცევის შესახებ, გელასი კესარიელის ნაშრომში არ უნდა ყოფილიყო და თვით გელასი კვიზიკელის საკუთარი დანართი უნდა იყოს.

მაგრამ ამისდა მიუხედავად, გელასი კვიზიკელის ამ დანართს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს გარემოება, რასაკვირველია, იმის მომასწავებელია, რომ V საუკუნის მესამე მეოთხედში ლაზიკა, ანუ დასავლეთი საქართველო უკვე დიდი ხნის გაქრისტიანებული უნდა ყოფილიყო და ქრისტიანობის დასაწყისი იქ მაშინ IV საუკუნის დროინდელად ყოფილა მიჩნეული. მართლაც, დასავლეთ საქართველოს გაქრისტიანების შესახებ რამდენიმე ცნობაა შენახული, რომ აქ ქრისტიანობა დიდი ხნიდან იყო ხალხში გავრცელებული. პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, რომ ლაზები, აფშილები და სხვა ტომები ძველი დროიდანვე მოყოლებული ქრისტიანები არიან. ამიტომ თეოფანეს მოთხრობა, რომ ლაზთა მეფემ—წათემ 515 წლის შემდგომ 520–522 წ.წ. კონსტანტინოპოლში ქრისტიანობა მიიღო, ალბათ, პირადად თვით მეფეს შეეხება, თორემ ამ დროს ლაზიკაში მრავალი სული იყო უკვე ქრისტიანი.

მართლ იმ გარემოება, რომ გელასი კვიზიკელს V ს. მეოთხე მეოთხედში დაწერილ თავის ნაშრომში „ლაზები“ დიდი ხანია გაქრისტიანებულად ჰყავს მოხსენიებული, ცხადჰყოფს, რომ წათე მეფის გაქრისტიანება არას გზით ქვეყნისა და ერის მოქცევის ამბად არ შეიძლება იქმნეს მიჩნეული. თეოფანეს მონათხრობი მხოლოდ იმ მხრივსა საგულისხმო, რომ ნათლად ამტკიცებს, თუ რამდენად მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს გაქრისტიანების შემდგომ ახალი სარწმუნოებისადმი ყველანი ერთგულებას იჩენდნენ და წარმართობას, იმ დროიდან მოყოლებული აღარავითარი გავლენა აღარ ჰქონდა. ბრძოლა ეროვნულ წარმართობასა და ქრისტიანობას შორის, როგორც ეტყობა, მოქცევის შემდგომაც შეწყვეტილი არ ყოფილა და წარმართობის მიმდევართა შორის თვით სამეფო საგვარეულოს წევრებიც კი რეულან. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ქრისტიანობას საქართველოში თავისი საბოლოო ბატონობის განსამტკიცებლად დიდი დროცა და დიდი ენერგიაც დასჭირვებია; საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია ჰქონია, რომლის შესასწავლად ეხლა ჯერ ცნობები ცოტა ჩანს, მაგრამ ვეების შემდეგში მეტი აღმოჩნდეს. „წამება ცხრათა ძმათა კოლაელთა“, წმიდა ნინოს ცხოვრება და ორიოდე კიდევ მერმინდელი საისტორიო ძეგლიც საქართველოში წარმართობის ქრისტიანობისადმი გამძლეობისა და წინააღმდეგობის გაწევის უნარიანობის შესახებ ცხადად მოწმობენ.

ამგვარად, ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების თარიღად მეხუთე საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს IV საუკუნე მიაჩნდა. ხოლო თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ ტრაპიზონის ეპისკოპოზი დამანუსი და თვით ბიჭვინტის (ბერძენთა პეტრუს-ის) ეპისკოპოსი სტრატოფილოსი ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაში უკვე მონაწილეობას იღებდნენ, მაშინ ცხადი გახდება, რომ მათ შუაში მდებარე ისეთ მნიშვნელოვან ნავთსადგურსა და ქალაქში, როგორც ფასისი, ანუ ფოთი იყო, შეუძლებელია, ქრისტიანობა გავრცელებული არ ყოფილიყო. პროფ. ადოლფ ჰარნაკი ფიქრობს, რომ სახელების – და მიხედვით, ტრაპიზონისა და ბიჭვინტის ეპისკოპოზები ბერძენები უნდა ყოფილიყვნენ. შესაძლებელია, ეს აზრი სწორიც იყოს. აღსანიშნავია, რომ არაბული აგათანგელოსის თარგმანის დედანიც „აფხაზთა“ ეპისკოპოსად ადგილობრივს პირს კი არა, არამედ სოფრონ კაბადოკიელს ასახელებს. საფიქრებელია, რომ VIII საუკუნეშიც დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის პირველი მქადაგებლის უცხოობის შესახებ ასეთი ცნობა უნდა ყოფილიყო. მაგრამ მაინც ცხადია, რომ ქრისტიანობა მართო აქაურ ბერძენ მოახალშენეთა შორის არ იქნებოდა გავრცელებული; არამედ, მიმდევარნი ამ ახალ სარწმუნოებას ადგილობრივ მცხოვრებთა შორისაც ეფოლებოდა. ამიტომ დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ქრისტიანობის ქადაგების დასაწყისი და გავრცელება 325 წელზე გაცილებით უფრო ადრე უნდა ვიგულისხმობთ, თუ ამ დროისათვის იქ უკვე საეკლესიო ორგანიზაცია ქალაქის ეპისკოპოზის სახით უკვე ჩასახული ჩანს. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ გელასი კვი ზიკელის დანართი ცნობა, რომ იბერებმა და ლაზებმა ერთსა და იმავე დროს მიიღეს ქრისტიანობა, არსებითად სწორი გამოდის იმ მხრივ, რომ დასავლეთ საქართველოშიაც IV ს. დამდგოდან ქრისტიანობას გზა გაკვლეული უნდა ჰქონოდა.

ივანე ჯავახიშვილი


ტ. I.



ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი

პავლე ინგოროყვა

წიგნიდან „გიორგი მერჩულე“



ლაზეთის საისტორიო ოლქის სოტიროპოლისა და ალანეთის შესახებ

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს ამონარიდს დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პავლე ინგოროყვას ცნობილი ნაშრომიდან „გიორგი მერჩულე“. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ავტორი აღნიშნულ ნაშრომში ეხება ლაზეთ-ჭანეთის ისტორიის საკითხებს და დაწვრილებით განიხილავს მათ.

ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაში, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში, ლაზეთს, სამწუხაროდ მეტად მცირე ადგილი აქვს დათმობილი. ფართო საზოგადოებისათვის თითქმის უცნობია საქართველოს ამ უძველესი კუთხის ისტორია, გეოგრაფია, მატერიალური კულტურის ძეგლები, ფოლკლორი, თუ სხვა ეთნოგრაფიული და ყოფა-ცხოვრების დეტალები.

ქართველურ ტომებსა და სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს საუკუნეთა მანძილზე უცხოური და ქართული წყაროები სხვადასხვა ტერმინებით მოიხსენიებენ, კერძოდ: კოლხა – კოლხები, სასპერები, იბერია-იბერები, მუშკები, ტაბალები, ქართლი-ქართველები, ლაზები, ჭანები, აფხაზეთი-აფხაზები, სვანები, ივერია და სხვა. პირველი ქართველური სახელმწიფო კოლხა – ერთერთი უძველესთაგანია მსოფლიო კულტურათა შორის. კოლხური კულტურის მემკვიდრენი, ჩვენთან ერთად, არიან ლაზები, რომელთაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს საქართველოს სახელმწიფოს ისტორიაში. ამის დასტურად თუნდაც იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ – „დავითიან-სოლომონიანი“ ბაგრატიონთა სამეფო დინასტია სწორედ სპერიდან (ლაზთა მხარიდან) იყო წარმოშობით.

დღეს, როდესაც საერთაშორისო საზოგადოების და სამეცნიერო წრეების მხრიდან სულ უფრო იზრდება ინტერესი ძველი კულტურების მიმართ, ბუნებრივია, ეს ლაზებსაც შეეხო. ალბათ, ინფორმაციის უქონლობის გამო უცხოელ მეცნიერთა ერთი ჯგუფის დაინტერესება მათ მიმართ, სამწუხაროდ, არასწორად ვითარდება. ისინი ცდილობდნენ ლაზეთისათვის ლათინური ანბანის შექმნით და მშობლიური, კოლხური გარემოსაგან იზოლირებულად ხელი შეუწყონ მათი კულტურის განვითარებას. ეს საკითხი სასწრაფო რეაგირებას საჭიროებს. ლაზურ ე.ი. კოლხურ კულტურაზე არასწორი ინფორმაციის გავრცელება დღესაც და, მით უმეტეს, მომავალში საქართველოსათვის მეტად ძნელი შედეგების მომტანი იქნება, ვინაიდან კოლხური სამყარო ისტორიულად ყოველთვის იყო და კვლავაც დარჩება საქართველოს სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძვლად, რასაც ზემოაღნიშნული პროცესები სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის.

ამიტომაც, აუცილებელია ფართო პოპულარიზაცია გაეწიოს საქართველოს ამ უძველესი კუთხის და ხალხის ისტორიას.

ბიორბი ანდრიაძე

ჩვენი მიმოხილვა აფხაზეთის ისტორიის საკითხებისა, კერძოდ საკითხისა აფხაზეთის საკათალიკოსოს შესახებ (რომელიც დაკავშირებული იყო ზოგად-ქართულ ეკლესიასთან, ქართლის საკათალიკოსოსთან) არ იქნება სრული, თუ აქ უფრო ვრცლად არ შევეხეთ ერთ კერძო საკითხს სოტიროპოლის და ალანეთის შესახებ.

საქმე ის არის, რომ ბიზანტინოლოგიაში დღემდე გაბატონებულია მცდარი შეხედულება, ვითომც, აფხაზეთი ეკლესიურად კი არ შედიოდა ზოგად-ქართულ ეკლესიაში (ქართლის საკათალიკოსოში), არამედ ვითომც აფხაზეთი მთელ საშუალო საუკუნეთა განმავლობაში კონსტანტინოპოლთან იყო დაკავშირებული, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ნაწილს შეადგენდა. ეს მცდარი შეხედულება ემყარება ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებული სოტიროპოლის საეკლესიო ოლქის ისტორიის არა სწორ გაშუქებას.

სახელდობრ, ფიქრობენ, რომ სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი, რომელიც საშუალო საუკუნეთა განმავლობაში მოიხსენიება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში, ვითომც მოიცავდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას.

ამ შეხედულებას იზიარებენ ისეთი დიდი ავტორიტეტები ბიზანტიის ისტორიის, კერძოდ, ბიზანტიის საეკლესიო ისტორიის საკითხებისა, როგორებიც არიან, პროფ. ი. კულაკოვსკი, პროფ. ვ. ბოლოტოვი, აკად. ვ. ლატიშევი; ეს მცდარი შეხედულება დღემდე საერთოდ მიღებულია ბიზანტინოლოგიაში.

აქ საკამათოდ მიჩნეულია მხოლოდ საკითხი, თუ რომელი პუნქტი აფხაზეთისა იყო ცენტრი (კათედრა) სოტიროპოლის საეკლესიო ოლქისა, სებასტოპოლი - ცხუმი, თუ ბიჭვინთა.

საშუალო საუკუნეთა ერთ ბერძნულ საისტორიო წყაროში დაცულია ცნობა, რომ სოტიროპოლის მეორე სახელწოდება იყო პუთია. ვინაიდან სახელწოდება პუთია ჰგავს ბიჭვინთას (ბერძნულ რომაული წყაროების Pytius, Pytiunta), ამის მიხედვით დაასკვნინან, რომ ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებული სოტიროპოლის

საეკლესიო ოლქის ცენტრი (კათედრა) იყო აფხაზეთის ბიჭვინთაში.

ამავე დროს, ემყარებიან რა, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობას სოტიროპოლის შესახებ, ვარაუდობენ, აგრეთვე, იმასაც, რომ ცენტრი ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებული სოტიროპოლის ამ საეკლესიო ოლქისა შესაძლოა ყოფილიყო აფხაზეთის ქალაქი სებასტოპოლი - ცხუმი.

შეხედულებას, რომ ცენტრი (კათედრა) სოტიროპოლის საეკლესიო ოლქისა იყო ბიჭვინთა (ვითომც პუთია), იცავდა პროფ. ი. კულაკოვსკი.

შემდეგ პროფ. ვ. ბოლოტოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ცენტრი ვითომც ყოფილა სებასტოპოლი - ცხუმი.

მას შემდეგ ეს კითხვა ცენტრის შესახებ საკამათოდ არის ქცეული, ხოლო ის კი უდაოდ არის მიჩნეული, რომ სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი შეიცავდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას, დამოუკიდებლად იმისგან, თუ სად იყო მისი ცენტრი (კათედრა) ბიჭვინთაში თუ სებასტოპოლი - ცხუმში. გადავიდეთ ამის შემდეგ განხილვაზე საკითხისა, თუ სად მდებარეობდა ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებული სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი და რომელი პუნქტი არის ამ საეკლესიო ოლქის ქალაქი - სოტიროპოლი, რომლის მეორე სახელწოდება ყოფილა პუთია (პუთია).

თავდაპირველად საჭიროა გათვალისწინებული გეგონდეს ის გარემოება, რომ სწორია შემთხვევები, როდესაც ერთიდაიგივე გეოგრაფიული სახელწოდება მიემართება სხვადასხვა პუნქტს, გვხვდება სხვადასხვა მხარეებში. რასაკვირველია სახელწოდება „სოტიროპოლი“ შესაძლოა არსებულიყო, როგორც აფხაზეთში, ისე სხვაგანაც. მით უფრო ეს მოსალოდნელია ისეთი სახელწოდების მიმართ, როგორიცაა „სოტიროპოლი“. ბერძნულად ... ნიშნავს მაცხოვარს (ქრისტეს), მაცხოვრის ქალაქი, მაცხოვარის; სახელწოდება წარმომდგარა ქალაქში აშენებული მაცხოვრის სახელობის ეკლესიისგან. ცხადია, ასეთი სახელწოდების გეოგრაფიული პუნქტი - სოტი-

როპოლი (მაცხოვრის ქალაქი, მაცხოვარისი) - შესაძლოა არა ერთი არსებულიყო.

წყაროებს განხილვა არ ტოვებს არავითარ ეჭვს იმაში, რომ საძიებელი ქალაქი სოტიროპოლი არ იყო არც სებასტოპოლი ცხუმში და არც ბიჭვინთა.

1. სოტიროპოლის საეკლესიო ოლქის ცენტრი ქალაქი სოტიროპოლი რომ არ არის აფხაზეთის სებასტოპოლი - ცხუმში, ეს დოკუმენტალურად დასტურდება საეპისკოპოსოთა ნუსხებიდან ეგრედწოდებული ნოტიციებიდან. არის შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე დოკუმენტში ერთდროულად არის მოხსენებული ცალკე სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი და ცალკე აფხაზეთის სებასტოპოლის (ცხუმის) საეკლესიო ოლქი.

ასე, მაგალითად ნოტიციაში №6 მოხსენებულია ერთდროულად სოტიროპოლის ოლქი (სამთავარეპისკოპოსო № 34) და აფხაზეთის სებასტოპოლის (ცხუმის) ოლქი (სამთავარეპისკოპოსო, №47).

აგრეთვე ნოტიციებში № 14 და № 19, ასევე ერთდროულად არის მოხსენებული ცალკე სოტიროპოლის ოლქი (სამთავარეპისკოპოსო, №23) და ცალკე აფხაზეთის სებასტოპოლის (ცხუმის) ოლქი (სამიტროპოლი, № 51/91).

ამრიგად აღნიშნულის მიხედვით დოკუმენტალურად დასტურდება, რომ სებასტოპოლის საეკლესიო ოლქის ცენტრი ქალაქი სოტიროპოლი არ არის აფხაზეთის სებასტოპოლი - ცხუმში.

2. საძიებელი ქალაქი სოტიროპოლი არ არის, აგრეთვე, არც აფხაზეთის ბიჭვინთა. ერთადერთი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც გამოჰყავდათ ასეთი დასკვნა, როგორც აღვნიშნეთ, შემდეგი იყო: სოტიროპოლის მეორე სახელწოდება არისო პუთია და ეს სახელწოდება იდენტური უნდა იყოსო ბიჭვინთის სახელწოდებასთან. მაგრამ ეს არის მხოლოდ ვარაუდი, რაც არაფრით დამოწმებული, არაფრით დადასტურებული არაა.

რომ აფხაზეთის ბიჭვინთა სხვაა, ხოლო სოტიროპოლი (პუთია) სხვა, ამას ცხადყოფს ჯერ ერთი შემდეგი:

ა) სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი მრავალგზის მოიხსენება საისტორიო წყაროებში საშუალო საუკუნეთა მანძილ-

ზე და მას ყოველთვის ეწოდება ოფიციალურად სოტიროპოლი (სოტიროპოლის სამთავარეპისკოპოსო ანუ სოტიროპოლის სამიტროპოლიტო).

ბ) ამნაირადვე აფხაზეთის ბიჭვინთა მრავალგზის მოიხსენება ამავე პერიოდის საშუალო საუკუნეთა წყაროებში და მას ყოველთვის ეწოდება ბიჭვინთა (ბიჭვინთის საკათალიკოზო, აფხაზეთის საკათალიკოზო) და არასოდეს მას არ ეწოდება სოტიროპოლი (სოტიროპოლის სამთავარეპისკოპოსო, სამიტროპოლიტო), ამრიგად, აქ განსხვავებაა როგორც სახელებში (ბიჭვინთა სოტიროპოლი) ისე აგრეთვე რანგში (ერთ შემთხვევაში საკათალიკოზო, ხოლო მეორე შემთხვევაში სამთავარეპისკოპოსო და სამიტროპოლიტო).

ეს ერთი ფაქტი.

ხოლო მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტი, საიდანაც უდავოდ დასტურდება, რომ სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი არ მდებარეობდა არც აფხაზეთში და არც საერთოდ დასავლეთ საქართველოს რომელსამე სხვა მხარეში, არის შემდეგი.

წყაროებიდან ირკვევა, რომ სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი, მე-10 საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე მე-13 საუკუნემდე (ჩათვლით), შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ფარგლებში. (იხ. ნოტიციები №6, 7, 8, 9, 14, 15). ხოლო, როგორც ეს ჩვენ ზემოთ დავამტკიცეთ ყველა არსებული მასალების ყოველმხრივი ანალიზის შედეგად, დასვლეთ საქართველო მთლიანად, მათ შორის, აფხაზეთის საეკლესიო ოლქი, ჯერ კიდევ მე-9 საუკუნის 30 იან წლებში გამოეყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და ზოგად-ქართულ ეკლესიას (ქართლის საკათალიკოზოს) დაუკავშირდა; მას შემდეგ მე-9 საუკუნიდან მოკიდებული, მთელ საშუალო საუკუნეთა მანძილზე დასავლეთი (და მასთან ერთად საკუთრივ აფხაზეთი) არის განუყოფელი ნაწილი ზოგად-ქართული ეკლესიისა და არავითარი იერარქიული კავშირი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან მას არ ჰქონია. ეს ფაქტი, როგორც ვნახეთ, უცილობლად მტკიცდება, როგორც ქართული, ისე უცხ-

ოური, კერძოდ ბიზანტიური საისტორიო წყაროების მიხედვით. მაშასადამე, სავსებით უდავოა, რომ ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებული სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი, რომელიც იყო შემადგენელი ნაწილი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსი, არ არის არც აფხაზეთი და არც დასავლეთ საქართველოს სხვა რომელიმე ნაწილი.

საკითხავია, ამის შემდეგ სად მდებარეობდა ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებული სოტიროპოლის ეს საეკლესიო ოლქი და რომელი პუნქტი არის მისი ცენტრი ქალაქი სოტიროპოლი, რომლის მეორე სახელწოდება ყოფილა (პუთია).

ამის დადგენაც შესაძლებელია. წყაროებიდან ირკვევა, რომ სოტიროპოლის ეს ოლქი მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ სულ სხვა ზონაში. სახელდობრ ჭანეთში, ტრაპიზონის მხარეში. სოტიროპოლი, ანუ პითია არის პარალელური სახელწოდება ქალაქისა ოფი, რომელიც ტრაპიზონის აღმოსავლეთით მდებარეობს; სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი, მოხსენებული ბიზანტიურ წყაროებში, ეს არის ოფის ოლქი.

გავეცნოთ წყაროებს.

ა) კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში, შავი ზღვის სანაპიროზე, ტრაპიზონის მხარეში, ტრაპიზონსა და რიზეს შორის, აღნიშნულია ორი პუნქტი, ნავთსადგურები, რომლებიც ატარებენ შემდეგ სახელებს: 1)... (პიტუსა) და „...“ (ჰუსის ნავთსადგური)

ხოლო ტრაპიზონსა და რიზეს შუა მართლაც ორი ნავთსადგურია: სურმენე და ოფი.

როგორც ეს დასტურდება V საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პირდაპირი ჩვენებიდან, ჰუსის ნავთსადგური ერქვა სურმენს (იხ. SC, I, გვ.272 და ზემოთ, გვ. 252). მაშასადამე II „...“ ყოფილა სახელწოდება ოფისა.

ბ) ამიანე მარცელინეს ტრაპიზონის მხარეში მოხსენებული აქვს პუნქტი პიტუსის, რაც იდენტურია კლავდი პტოლემეს მიერ აღნიშნულ პუნქტთან „...“ პიტუსა, იგივე ოფი.

გ) V საუკუნის დასაწყისის ძეგლში, პონტოს პროვინციაში, ტრაპიზონის მხარეში,

დასახლებულია 11 პუნქტი, რომელთაგან 4 მდებარეობდა შვი ზღვის სანაპიროზე; ესენია: ტრაპიზონი, ჰუსის ნავთსადგური, პითია, და „კენე პარემბოლე“ (ბერძ. „...“ „ახალი ციხე“, ანუ „ახალი ბანაკები“ ჯარის სადგომი ციხე-სიმაგრე).

ამათგან – ჰუსის ნავთსადგური, როგორც აღვნიშნეთ, ეს არის სურმენე;

პითია არის კლავდი პტოლემეს ... და ამიანე მარცელინის, იგივე ოფი;

„კენე პარემბოლე“ მდებარეობდა ოფისა და რიზეს შუა, მდინარე კალოს („კალოს პოტამოსის“) შესართავთან, რის გამო მას ერქვა, აგრეთვე, კალოს ციხე, ანუ კალოს „პარემბოლე“, „ბანაკები“. (აღვნიშნავთ ამასთან, რომ გვიან ხანაში, ხალხურ გამოთქმაში, სახელწოდება „კენე პარემბოლე“ – „კალოს პარემბოლე“ გადაკეთებულია შემდეგნაირად: კალიპარაული, ე.ი. მას მიუღია ტიპიურ ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა სახე)“

დ) აქ აღძრულ საქმეს საბოლოოდ ნათელს ჰფენს მე-13 საუკუნის ერთი ბერძნული საისტორიო ძეგლი, რომელიც დაწერილია ტრაპიზონში და საიდნაც ირკვევა, რომ სოტიროპოლი შედიოდა ტრაპიზონის სამეფოში.

ამ ძეგლის ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ იგი ადგილობრივი წყაროა, რომელიც კარგად არის ორიენტირებული მთელ ადგილობრივ ვითარებაში, კერძოდ მხარის გეოგრაფიაში.

მე-13 საუკუნის ამ ძეგლში მოთხრობილია, რომ 1223 წელს ტრაპიზონის სამეფოზე გაილაშქრა იკონიის სულთანმა შემოსული მტრის უკუსაქცევად, – მოგვითხრობს ძეგლი, – ტრაპიზონის მეფემ მოაგროვაო ჯარი მთელ სამეფოდან - „დაწყებული სოტიროპოლიდან და ლაზიკიდან ვიდრე ოფემდე“

ქალაქი ოფე, რომელიც დასახლებულია დასავლეთ საზღვარზე, არის კარგად ცნობილი ისტორიული პუნქტი მდ. თერმოდონის სექტორში, შავი ზღვის სანაპიროზე (მას ამჟამად ეწოდება უნიე, ცენტრი ვილაიეთისა). ქალაქ ოფეს ოლქი ადგებოდა მდინარე თერმოდონს, რომელიც ტრაპიზონის სამეფოს დასავლეთ მიჯნას წარმოადგენდა.

რაც შეეხება ლაზიკას, რომელიც დასახელებულია აღმოსავლეთ საზღვარზე, უნდა ვიცოდეთ, რომ ტრაპიზონის XIII-XV საუკუნეთა ადგილობრივ წყაროებში (აგრეთვე, ამავე ეპოქის ქართულ წყაროებში) საკუთრივ ლაზიკა, ანუ ლაზია (ვიწრო მნიშვნელობით) ეწოდება რიზეს ოლქს.

მოყვანილ მე-13 საუკუნის ტექსტში ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: იმ დროს როდესაც ტრაპიზონის სამეფოს დასავლეთ საზღვარზე დასახელებულია ერთი ერთეული ოფიცის ოლქი, აღმოსავლეთ საზღვარზე დასახელებულია ორი ერთეული: ა) სოტიროპოლის ოლქი და ბ) ლაზიკა (რიზეს ოლქი)

ეს გამოწვეულია იმით, რომ პოლიტიკური მდგომარეობა ამ ორი ერთეულისა სოტიროპოლის ოლქისა და საკუთრივ ლაზიკისა, ანუ ლაზიისა (რიზეს ოლქისა) ამ ეპოქაში სხვადასხვანაირი იყო. მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში საკუთრივ ლაზია (რიზეს ოლქი) არ შეადგენდა ტრაპიზონის სამეფოს უშუალო სამფლობელოს; საკუთრივ ლაზია იყო იმ დროს კონდომინიუმი (საერთოდ სამფლობელო), რომელზედაც ვრცელდებოდა ხელისუფლება როგორც ტრაპიზონის სამეფოს, ისე საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური მთავრობისა. (როგორც ეს აღნიშნულია ამ ეპოქის ერთ დოკუმენტში, ადგილობრივი ფეოდალები იყვნენ ხელქვეითნი, როგორც ტრაპიზონის „მეფისა“ ისე საქართველოს „მეფეთ-მეფისა“ მხარეში, როგორც ირკვევა ხელისუფლება უპირატესად საქართველოს ცენტრალური მთავრობის ხელში იყო. ეკლესიურადაც რიზეს მხარე ამ დროს მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში, დაკავშირებულია საქართველოსთან, ქართლის საკათალიკოსოსთან)

აი, ამიტომ არის რომ ამ ძეგლში, ტრაპიზონის სამეფოს დასავლეთ საზღვარზე დასახელებულია ერთი ერთეული ოფიცის ოლქი, ხოლო აღმოსავლეთ მიჯნაზე დასახელებულია ორი ერთეული, სოტიროპოლის ოლქი და ლაზია (რიზეს ოლქი), პირველი მათგანი, სოტიროპოლი, არის ტრაპიზონის სამეფოს უშუალო სამფლობელო, ხოლო მეორე, ლაზია (რიზ-

ეს ოლქი) – კონდომინიუმი, რომელზედაც ვრცელდება ხელისუფლება, როგორც ტრაპიზონის „მეფისა“, ისე საქართველოს „მეფეთ-მეფისა“.

ამრიგად, ირკვევა, რომ სოტიროპოლის ოლქი, უშუალო სამფლობელო ტრაპიზონის სამეფოს, მდებარეობდა კონდომინიუმს, ე.ი. საკუთრივ ლაზიას (რიზეს ოლქი) და ტრაპიზონს შუა. მაშასადამე, სოტიროპოლის ოლქი ყოფილა ქ. ოფის ზონა (რომელიც ტრაპიზონსა და რიზეს შუა მდებარეობს); სოტიროპოლი პარალელური სახელწოდებაა ქალაქ ოფისა.

ე) აქ შევჩერდებით, აგრეთვე, სახელწოდება „სოტიროპოლის“ გვიანდელ ხალხურ ფორმებზე.

სახელწოდება სოტიროპოლი, როგორც მოვიხსენეთ, ბერძნული წარმოშობისაა. ასეთ ბერძნულ წარმოშობის სახელებს ჭანეთში შემდეგ განუცდიათ გაქართულება. ადგილობრივს ქართულ-ჭანურ მეტყველებაში მათ მიუღიათ ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა სახე; ასე მაგალითად, როგორც აღნიშნული გეკონდა, ბერძნული სახელწოდება „კალე პარემბოლე“ გვიან ხანაში გადაკეთებულა როგორც „კალიპარაული“.

ბერძნული სახელწოდება სოტიროპოლი ადგილობრივ ქართულ-ჭანურ მეტყველებაში გადაკეთებულა შემდეგნაირად: სატრაპელა და სატყეპელა.

ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი იმის შესახებ, რომ მას შემდეგ, რაც თურქებმა დაიპყრეს ჭანეთი, სოტიროპოლის (ანუ ხალხური გამოთქმით სატრაპელას) სამიტროპოლიტო კათედრა მე-16-17 საუკუნეთა საზღვარზე დროებით გადმოიტანიათ გურიაში, და თვით ამ პუნქტისათვის, სადაც მოეწყო დროებითი რეზიდენცია სოტიროპოლის (სატრაპელას) მიტროპოლიტისა, უწოდებიათ იგივე ჭანეთიდან მოტანილი სახელი სატრაპელა, ეს სახელწოდება ამ ფორმით „სატრაპელა“ დამოწმებული აქვს მე-17 საუკუნის დასაწყისში ლუი გრანჟის.

მეორე ხალხური ფორმა სატრაპელას სახელწოდებისა – სატყეპელა ჩვენ გვხვდება ბერი ეგნატაშვილის მატიანეში „ახალი ქართლის ცხოვრება“ და ვახუშტი ბაგრატიონთან. ვახუშტი საქარ-

თველოს გეოგრაფიაში, ჭანეთ-ლაზიის აღწერილობაში წერს:

„არს ქალაქი რიზა ზღვის კიდეზე... ხოლო ამის დასავლეთით ჩამოვარდბის მცირე მთა კინილა ზღვამდე ჭანეთის მთიდან და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა (ტრაპიზონის სამეფოსი) . აქა არს რკინის-პალო, აქავ არს სატყეველა“.

რკინის-პალო არის სახელწოდება ისტორიული ციხისა, რომელიც მდებარეობდა მდინარე კალოს ხეობასი. ამის დასავლეთით მდებარეობდა სატყეველა – სატრეპელა (სოტიროპოლი, იგივე ოფი).

3) რომ სოტიროპოლი არის სახელწოდება ოფისა, ამას ადასტურებს, აგრეთვე, საეკლესიო ოლქების სახელწოდებანი თურქთა მფლობელობის ხანაში. საშუალო საუკუნეებში, თურქთა მფლობელობის დამყარებამდე, ორი საეკლესიო ოლქი, რომელიც განფენილი ყოფილა ჭორიხიდან ტრაპიზონამდე, ატარებდა სახელებს – რიზე და სოტიროპოლი (რიზე იხ. ნოტიციები №6, 7, 15, სოტიროპოლი იხ. ნოტიციები № 6, 7, 8, 9, 14, 15, 19); ხოლო თურქთა მფლობელობის ჟამს ამ საეკლესიო ოლქებს ეწოდება: ლაზია და ოფი (ნოტიცია №20). ლაზიამ შესცვალა ადრინდელი სახელწოდება რიზე; ოფმა შესცვალა ადრინდელი სახელწოდება სოტიროპოლი.

ჩვენ ამით დავასრულებთ განხილვას საკითხისას ამ პუნქტის სახელწოდების სხვადასხვა სახეობათა შესახებ.

ირაკვეა ამრიგად, რომ ქალაქი სოტიროპოლი, რომლის მეორე სახელწოდებად მოიხსენება პითია, მდებარეობდა ჭანეთში, ტრაპიზონის მხარეში; სოტიროპოლი – პითია რქმევია ქალაქ ოფის; სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი არის იგივე ოფის საეკლესიო ოლქი.

გადავიდეთ ამის შემდეგ აღძრული საკითხის დანარჩენი მხარეების განხილვაზე.

ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებული სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი ცალკეულ პერიოდებში დამკვიდრებული ყოფილა, როგორც ეს აღნიშნულია წყაროებში, ალანეთის მიტროპოლიასთან.

საჭიროა გავარკვიოთ როდის და რა ვითარებაში მომხდარა დაკავშირება ეკლე-

სიურად ალანეთისა და სოტიროპოლისა. ვიდრე ეს გარკვეული არაა, მანამდე აქ აღძრული სადაო საკითხი საბოლოოდ გადაჭრილად ვერ ჩაითვლება.

ჯერ რამდენიმე სიტყვა ალანეთზე და ქრისტიანობის გავრცელების შესახებ ამ ქვეყანაში.

ალანეთი (როგორც ეწოდება ამ ქვეყანას ბერძნულად) ანუ ოვსეთი (როგორც ეწოდება მას ძველ-ქართულ წყაროებში), ჩრდილო კავკასიის მხარეა. საშუალო საუკუნეებში ალანების – ოვსების სახელმწიფოებრივ გაერთიანებას ეჭირა ჩრდილო კავკასიის უდიდესი ნაწილი და მასში შედიოდა, როგორც ალანები – ირონები, ისე ჩრდილო კავკასიის რიგი სხვა ტომები.

უნდა აღინიშნოს ამასთან, რომ ალანეთ-ოვსეთის ეს გაერთიანება საშუალო საუკუნეებში არ წარმოადგენდა მტკიცედ შეკავსირებულ სახელმწიფო ერთეულს, არამედ განიყოფებოდა მთელ რიგ სამეფო-სამთავროებად, რომელთა შორის კავშირი, ჩანს, საკმაოდ სუსტი იყო. ქართულ წყაროებში, დავით აღმაშენებლის მატთანეში, მოიხსენიებიან „ოვსეთის მეფენი და მთავარნი“

კულტურის მხრივაც, ალანეთის - ოვსეთის სხვადასხვა მხარეები, როგორც ირაკვეა, სხვადასხვა დონეზე იდგა. იყო მხარეები, სადაც სამოქალაქო ცხოვრება საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა. (ასეთი იყო, პირველ რიგში, სამხრეთი, საქართველოს მოსაზღვრე ზონა). ხოლო ამის გვერდით ყოფილა მხარეები, სადაც მოსახლეობდნენ ნომადები, რომლებიც მომთაბარეობას მისდევდნენ (ასეთი იყო ჩრდილო კავკასიის სტეპების ზონა).

ქრისტიანობა ალანეთში ვრცელდება საკმაოდ გვიან ხანაში, მეათე საუკუნის პირველ მეოთხედში.

ქრისტიანობა ალანეთში, როგორც ირაკვეა, ორი მხრიდან გავრცელებულა: ბიზანტიიდან და საქართველოდან, აფხაზეთის სამეფოდან.

რომ ბიზანტიელი მისიონერების გვერდით ალანეთში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღოდა აფხაზეთს, და კერძოდ,

აფხაზეთის სამეფოს მეთაურს მეფე გიორგი II-ს (922-957 წ-წ) ამას ადასტურებს ბიზანტიური წყაროები.

კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი (901-907, 912-925), წერილში, რომელიც მიმართულია აფხაზეთის მეფის გიორგი II-სადმი, ქებას შეასხამს აფხაზეთის ქვეყნის მეთაურს იმ დედაწლის გამო, რომელიც მან გამოიჩინა ალანეთის ხალხის განთავისუფლებისათვის და განაგრძობს: „სხვადასხვა პირთაგან, რომელთაც უწყიან შენი მოღვაწეობის შესახებ, გავიგეთ, რომ შენ, ღვთის დახმარებით, გამოიჩინე დიდი მონღომება ალანეთის მთავრის ქრისტიანობით განათლების საქმეში, და აგრეთვე, იმ პირთა განათლებაში, რომელთაც ალანეთის მთავართან ერთად მიიღეს ნათლისღება“.

კონსტანტინოპოლის პატრიარქის ეს წერილი ეკუთვნის 922-925 წლებს. მას შემდეგ, რაც ალანეთში მეთაურსა და პირველ მეოთხედში დამკვიდრდა ქრისტიანობა, ალანეთზე გაავრცელდა თავისი გავლენა კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ, მიუხედავად იმისა, რომ ალანეთის გაქრისტიანების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღოდა აფხაზეთს. ბიზანტია იმჟამად ისეთი ძლიერი იყო, რომ უზრუნველყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უპირატესობა. ალანეთი ამ დროიდან ითვლება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში, როგორც ცალკე საეკლესიო ოლქი (ჯერ სამთავარეპისკოპოსო, ხოლო შემდეგ სამიტროპოლიტო), რომლის ხელმძღვანელადაც იგზავნებოდნენ კონსტანტინეპოლიდან ბერძენი იერარქები.

მომდევნო ხანაში, მას შემდეგ, რაც საქართველო გაერთიანდა მე-10-11 საუკუნეთა ხაზღვარზე, საქართველოს სახელმწიფოს გავლენა ალანეთზე იზრდება. მე-11 საუკუნიდან მოკიდებული დინასტიური კავშირი მყარდება საქართველოსა და ალანეთის მეფე-მთავრებს შორის. ხოლო მე-12 საუკუნის პირველ მეოთხედში, დავით აღმაშენებლის დროს, ალანეთის – ოვსეთის სამეფო-სამთავროები საქართველოს პოლიტიკური გავლენის სფეროში შევიდა. როგორც ეს აღნიშ-

ნულია ერთ წყაროში (ანდერძი დავით აღმაშენებლისა), საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში ამ დროს, მე-12 საუკუნის პირველ მეოთხედში, შედიოდა დქვეყნები „ნიკოფსითგან დარუბანდის საზღვრამდე, და ოვსეთითგან – სპერად დ არეგაწამდე“.

მას შემდეგ, რაც ალანეთ-ოვსეთის მხარენი მე-12 საუკუნეში საქართველოს დაუკავშირდა პოლიტიკურად, საქართველოს მეფეთ-მეფის ტიტულატურას დაემატა გამოთქმა: „ჩრდილოისა მფლობელი“. საქართველოს მეფეთ-მეფე ამ დროიდან მოიხსენიება, როგორც მფლობელი საკუთრივ საქართველოს ქვეყნებისა და ამავე დროს, როგორც „შარვანშა და შაჰანშა და აღმოსავალისა და ჩრდილოისა მფლობელი“. ჩრდილოისა სახელწოდებით აქ იგულისხმება ჩრდილოეთი კავკასია, პირველ რიგში მთავარი ქვეყანა ჩრდილოეთი კავკასიისა ალანეთი-ოვსეთი.

მომდევნო პერიოდში, თამარის ხანაში, ეს კავშირი ალანეთ-ოვსეთისა საქართველოს სახელმწიფოსთან კიდევ უფრო განმტკიცდა. იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც თამარის ეპოქაში საქართველოსთან პოლიტიკურ კავშირში იყვნენ, დასახელებულ არიან, ამიერკავკასიის ქვეყნებთან ერთად, ჩრდილოეთი კავკასიის ქვეყნები: ოვსეთი (ალანეთი), ქაშაგეთი (ჩერქეზეთი), ღუნძეთი (ავარია, დაღესტანი), დურძუკეთი (ქისტეთი).“

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ იმ დროიდან მოკიდებული, რაც ალანეთ-ოვსეთის სამეფო-სამთავროებზე გავრცელდა საქართველოს პოლიტიკური გავლენა, ეს მხარეები ეკლესიურადაც დაკავშირებიან საქართველოს.

ბიზანტიის პოლიტიკური და საეკლესიო გავლენის ქვეშ დარჩენილა ალანეთ-ოვსეთის ის ნაწილი, რომელიც განფენილ იყო ჩრდილო კავკასიის სტეპებში და რომლის მოსახლეობაც მომთაბარე ნომადები შეადგენდნენ.

ვინაიდან ალან-ოვსეთის ამ ნაწილში არ იყო მოწყობილი დაბა-ქალაქები, სადაც მუდმივი კათედრა ექნებოდა კონსტანტინეპოლიდან გამოგზავნილ იერარქს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საჭი-

როდ დაუნახავს ალანეთის სეკლესიო ოლქის (მიტროპოლიის) გაერთიანება საპატრიარქოს რომელიმე სხვა ოლქთან.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ერთ დოკუმენტში, რომელიც ალანეთის მიტროპოლიას ეხება, პირდაპირ აღნიშნულია, რომ ასეთი გაერთიანების მიზეზი იყო შემდეგი გარემოება: „ალანეთის მიტროპოლიას სრულიად არა აქვს საკუთარი სამღვდელმთავრო კათედრა, რადგან აქაური ხალხი მომთაბარეობას, ნომადურ ცხოვრებას ეწევა“.

აი, ეს ყოფილა მიზეზი, რომ ალანეთის მიტროპოლია მე-12 საუკუნის პირველ მეოთხედში გაუერთიანებიათ სოტიროპოლის საეკლესიო ოლქთან, რომელიც ამ დროს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შედიოდა.

ხოლო რისთვის გააერთიანეს ალანეთის მიტროპოლია სწორედ სოტიროპოლის ოლქთან, და არა სხვა რომელიმე ერთეულთან?

იმის, გამო, რომ ბიზანტიის იმპერიის ფარგლები ამ დროს მხოლოდ სოტიროპოლამდე სწვდებოდა, აქ, სოტიროპოლის ზონაში იყო ამ ეპოქაში საზღვარი საქართველოსა და ბიზანტიას შორის.

ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით გვაქვს საუბარი იმის შესახებ, თუ სად გასდევდა საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური საზღვარი სხვადასხვა დროს, მე-8 საუკუნიდან მოკიდებული, ვიდრე მე-11 საუკუნემდე. ხოლო მე-11 საუკუნის 70 იან წლებში (173 წლიდან) საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის სოტიროპოლის ზონაში გატარებულა. საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ამ დროს შედის ზღვისპირა კლარჯეთი (რომელიც მოიცავდა საკუთრივ ლაზიას, რიზეს ოლქს), ხოლო ამის სამხრეთი სექტორი პოლიტიკურად ბიზანტიის საზღვრებშია მოქცეული. აქვე გასდევს, აგრეთვე, ბიზანტიის და საქართველოს საეკლესიო ოლქების საზღვარი; რიზეს ოლქი საქართველოს ეკლესიის ფარგლებში შედის, ხოლო სოტიროპოლის ოლქი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოშია მოქცეული.

ამიტომაც, როდესაც ბიზანტიის კეისრის ალექსი I კომნენის (1081-1118) დროს

დაისვა საკითხი, რომ ალანეთის მიტროპოლია გაერთიანებული ყოფილიყო რომელიმე სხვა საეკლესიო ოლქთან. (რადგან ალანეთის იმ ნაწილში, რომელიც ბიზანტიის გავლენის სფეროში დარჩა, არ იყო ისეთი დაბა-ქალაქი, სადაც შეიძლებოდა მოწყობილიყო მუდმივი კათედრა), ბუნებრივია, რომ ალანეთი გაუერთიანებიათ სოტიროპოლის საეკლესიო ერთეულთან, რადგან სოტიროპოლი იყო ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე მხარე შავი ზღვის სანაპიროზე, საქართველოს საზღვართან, ხოლო დანარჩენი ტერიტორია შავი ზღვის სანაპიროსი სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა.

გავეცნოთ ამის შემდეგ მოკლედ ამ ოლქების მომდევნო ხანის ისტორიასაც.

მე-13 საუკუნის დასაწყისში, 1204 წელს, საქართველომ დაიბრუნა ბიზანტიისაგან ტრაპიზონის მხარე, შემოიერთა შავი ზღვის სანაპირო ვიდრე პაფლაგონიამდე (ჩათვლით), და დააარსა ტრაპიზონის სამეფო საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ.

ტრაპიზონის სამეფოს არსებობის პირველ პერიოდში ჩრდილოეთი სანაპირო ტრაპიზონის სამეფოსი, რიზეს ოლქი, არის, როგორც აღნიშნული გვექონდა, კონდონიუმი (საერთო სამფლობელო) ტრაპიზონის „მეფისა“ და საქართველოს „მეფეთ-მეფისა“. ხოლო მე-13 საუკუნის დასასრულს, 1297 წელს, როგორც ეს აღნიშნული აქვს ამ ეპოქის ისტორიკოსსა და ჟამთააღმწერელს, ტრაპიზონის სამეფოს ჩამოშორდა ტრაპიზონის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია ჭანეთისა, რომელიც შევიდა მესხეთის (სამცხე-საათაბაგოს) ფარგლებში. მესხეთს შეერთებია ამ დროს როგორც რიზეს ოლქი, ისე სოტიროპოლის ოლქი - „ტრაპიზონის აქეთ“.

დაწყებული ამ დროიდან, მე-13 საუკუნის დასასრულიდან ვიდრე მე-16 საუკუნემდე, ეს ტერიტორია, რიზეს და სოტიროპოლის ოლქები, საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. (იგი მე-15 საუკუნემდე შედის მესხეთის ფარგლებში, ხოლო მე-15-16 საუკუნეებში დკავშირებულია ხან მესხეთთან, ხან გურიას-

თან). ეკლესიურადაც ეს მხარე საქართველოსთან არის გაერთიანებული.

აღსანიშნავია, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არ შერიგებია ამ ფაქტს - სოტიროპოლის გაერთიანებას საქართველოსთან არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ეკლესიურადაც.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაუტოვებია ნომინალურად სოტიროპოლის ეპარქიის სახელწოდება და კათედრა სოტიროპოლის ეპარქიისა გადაუტანია ტრაპიზონში. ამის შემდეგ ეს იერარქი, დამკვიდრებული ტრაპიზონში, თუმცა განაგრძობს სოტიროპოლის მღვდელმთავრის სახელის ტარებას, მაგრამ სინამდვილეში მისი იურისდიქცია აღარ ვრცელდება თვით სოტიროპოლის ოლქის ტერიტორიაზე. (სოტიროპოლის მხარეში მას ეკუთვნის მხოლოდ ერთადერთი ეკლესია ქ. სოტიროპოლში).

რაც შეეხება ამ ფიქტიური სოტიროპოლის კათედრის ე.ი. ტრაპიზონში გადატანილი კათედრის) კავშირს ალანეთთან, ეს კავშირი ხან არსებობს, ხან არა.

დოკუმენტში რომელიც ეკუთვნის XIV საუკუნეს და დათარიღებულია 1364 წლით, აღნიშნულია, რომ ალანეთისა და სოტიროპოლის სამიტროპოლიტოს სამფლობელოს შეადგენდა:

ა) ეკლესია ღმრთისმშობლისა ტრაპიზონში, თავისი კლიროსით და ამ ეკლესიისადმი კუთვნილი ადგილებით.

ბ) ეკლესია ათონის ღმრთისმშობლისა სოტიროპოლში.

გ) ადგილები ალანეთისა, კავკასიონისა და ახოხიის მახლობლად.

ამრიგად, როგორც დასტურდება ამ დოკუმენტით, ეს კათედრა მხოლოდ ნომინალურად ატარებდა სოტიროპოლის სახელს, ხოლო სინამდვილეში მისი იურისდიქციის ფარგლებში არ შედიოდა თვით სოტიროპოლის ოლქი (გარდა ერთადერთი ეკლესიისა ქ. სოტიროპოლში).

მას შემდეგ რაც სოტიროპოლის ოლქი, რიზეს ოლქთან ერთად, საქართველოს ეკლესიას დაუკავშირდა, აქ შეიქმნა ერთი საეკლესიო ერთეული (სამიტროპოლიტო), რომლის ცენტრი არის ოფი (- სოტიროპოლი, იგივე სატრაპელა). ამ საეკლესიო ერთეულის იერარქი მოიხს-

ენიება შემდეგი ტიტულებით: 1) „ლაზიის მიტროპოლიტი“ (ანუ მთავარეპისკოპოსი); 2) „ოფის (-სოტიროპოლის, სატრაპელას) მიტროპოლიტი“. ხოლო ვინაიდან ოფთან (სოტიროპოლთან) ისტორიულად დაკავშირებული იყო ალანეთის კათედრა, ოფიციალურ სახელწოდებაში აღინიშნება აგრეთვე ალანეთიც („ოფისა და ალანეთის მიტროპოლიტი“).

უფრო გვიან ხანაში, მე-16 საუკუნეში, როდესაც თურქეთმა დაიპყრო ჭანეთი, ოფისა და რიზეს მხარე, და ჭანეთში დაიწყო მუსულმანობის გავრცელება, ლაზიის (ოფის ანუ სოტიროპოლ-სატრაპელას) კათედრა გადმოუტანიათ გურიაში და თვით იმ პუნქტისათვის, სადაც მოეწყო დროებითი რეზიდენცია ლაზიის მიტროპოლიტისა, უწოდებიათ ლაზეთიდან მოტანილი სახელი სატრაპელა. მე-17 საუკუნის დასაწყისში, 1617 წელს, გურიაში იყო რომის მისიონერი ლუი გრანჟიე, რომელმაც ინახულა ამ ახალ რეზიდენციაში - გურიის სატრაპელაში - ლაზიიდან გადმოხიზნული იერარქი, რომელსაც იგი ლაზიის მთავარეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის სახელით მოიხსენიებს.

მომდევნო უახლოეს პერიოდში, მე-17 საუკუნის მეორე მეოთხედში, საქართველოს ეკლესია, აფხაზეთის საკათალიკოზოს სახით, ისევ სცდილა აღედგინა თვით ადგილობრივ ლაზიაში ძველი კათედრა იმ იმედით, რომ ოსმალეთის ხელისუფლება, ომების დამთავრებისა და პოლიტიკური მდგომარეობის ერთგვარი სტაბილიზაციის შემდეგ, არ შეუშლიდა ხელს ქრისტიანული კათედრის არსებობას ამ მხარეში.

დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოზ მაქსიმეს წერილში, რომელიც მიწერილია რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძისადმი (1646 წლის 1 იანვრის თარიღით), მოთხრობილია, რომ მან, აფხაზეთის კათალიკოზმა, ჩამოიყვანა ლაზიიდან, ოფის ღმრთისმშობლის სახელობის მონასტრიდან (რომელიც ჯერ კიდევ მოშლილი არ ყოფილა) მონაზონი გერმანე და აკურთხა იგი ლაზიის მიტროპოლიტად „ოფისა და ალანეთის მიტროპოლიტის“ ტიტულით.

საქართველოს ეკლესიის მიერ ლაზეთის იერარქად დადგენილ ამ პირს შემდეგ განუცდია დევნა ოსმალთაგან. ოსმალეთის ხელისუფალს სეფერ ფაშას დაუპატიმრებია ლაზეთის მიტროპოლიტი გერმანე იმ მიზეზის გამო, რომ მან ქრისტიანობაში მოაქციაო „თურქის“ (მუსულმანის) ოჯახი. საქართველოს ეკლესიამ და მეფე-მთავრებმა მიიღეს ზომები დატყვევებული ლაზიის მიტროპოლიტის გასათავისუფლებლად. ოთხი თვის პატიმრობის შემდეგ ლაზიის მიტროპოლიტი გამოსხნილ იქნა და იგი ჩამოვიდა იმერეთში აფხაზეთის კათალიკოზთან.

ამის შემდეგ ლაზიის მიტროპოლიტი გერმანე, აფხაზეთის კათალიკოზის მაქსიმეს წერილით, რომელიც მიმართული იყო რუსეთის მეფისადმი, გაემგზავრე-

ბა რუსეთში 1646 წელს და მოსკოვში წარუდგება რუსეთის მეფეს ალექსი მიხეილისძეს.

აღსანიშნავია, რომ ყველა დოკუმენტში, რომლებიც ეხება ლაზეთის მიტროპოლიტს და მის მგზავრობას რუსეთში, ყოველთვის საგანგებოდ აღნიშნულია, რომ ქვეყანა, საიდანაც იგი არის, ე.ი. ლაზია, ეს არის „საქართველოს ძველი ქვეყანა“.


ასეთია ეს ერთი საყურადღებო ფურცელი ლაზიის მხარის ისტორიისა იმ პერიოდიდან, როდესაც ეს მხარე თურქეთმა დაიპყრო.

მიუხედავად იმისა, რომ ლაზია - ჭანეთი ამ დროს მოწყვეტილი იყო დედამამშობლოს, ამ ქვეყანას საქართველოს განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ.



გრაპიზონი. ციხე და გვირაბი

კახეთ-სსრკ საშენიანო სავაჭრო



მ ნ ი შ გ ნ ა. ახაბუღი ციფრებით აღნიშნულია საოლქო ცენტრები (1, 2, 3...) და სანაპირო უბნები (1 ა, 1 ბ).
რომლებიც ი ა ვ ე ციფრების თანხედით აღნიშნულია ცხრილში

ტრაპიზონის იმპერია

თუ ერეკლეს ვერ ვეახელ ბრძოლად კრწანისს,
არხეინად სახლში არც მე მიმღერია,
დავიწყება ვერას ავნებს თუნდაც წამის
ჩემს უძლეველ ტრაპიზონის იმპერიას.
მაგრამ, ახლა დრო გასული იმდენია
ჭოროხს ერთვის, რაც რომ ცრემლი მიდენია.
დღეს მეფენი ლაშქარს სხვაგნით მიდენიან.
მე კი მათთვის არასოდეს მიდევნია.
დგას ნაკურთხი ციხე აფსარს, მზით ნაჟური
და მომბლავის სივრცე გლოვა-სიმღერეიან.
ვით გავლილი წლები ყრმობის, გიჟმაჟური,
დევს წარსულში ტრაპიზონის იმპერია.
რაც განგებას ჩემთვის მიმოუჩენია,
სხვის ტრამალებს ჩემი ადლი მირჩენია.
აქ მღეროდნენ, მღერეიან და იმღერებენ,
დულს ვულკანი ტრაპიზონის იმპერია.
ჟამი ჟამობს, ქარნი ღრუბლებს მირეკავენ,
მოწმენდილი ცა ნიადაგ ცისფერია.
ისტორიის ქვა-ღორღსა და ნარ-ეკალში,
თვლემს ვულკანი - ტრაპიზონის იმპერია.
და ძარღვებში ცეცხლოვანი სისხლი კოლხის
კლდეს მოხეთქავს, მოწოდებით იმფერია.
მე ვარ სუნთქვა, ლალი სულთქმა ჩემი ხალხის,
ხელთ მაქვს დიდი ტრაპიზონის იმპერია.
ეპეი, თამარ! მაპატიე შემახილი,
დახავსებულ წელთა კლიტე მიმტვრევია.
ერთხელ კიდევ გამაგონე ის ხმა ტკბილი, –
ჩვენაო ტრაპიზონის იმპერია.
თუ ერეკლეს აღარ ვახლდი ლაშქრით კრწანისს,
არხეინად შინ არასდროს მიმღერია.
დავიწყება ვერას ავნებს თუნდაც წამის,
ჩემს უძლეველ ტრაპიზონის იმპერიას.

იაკობ (იაშა) თანდილაშა

ტრაპიზონის იმპერია

ტრაპიზონის იმპერიის დაარსება (1204-1461) საქართველოს საგარეო ინტერესებთან, მის აღმოსავლურ და დასავლურ პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული. დიდ საერთაშორისო და საზღვაო მაგისტრალების კონტროლთან, რაც მას საშუალებას აძლევდა ხელთ ეგდო მსოფლიო ვაჭრობის სადავები. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავრიზ-ტრაპიზონის გზის ფლობას. საქართველოს წინაშე დასმული ამ ამოცანების გადასაწყვეტად თამარ მეფემ მთელი ძალისხმევა ორი მიმართულებით – ტრაპიზონისა და ირანისაკენ მიმართა. მან ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შემდეგ წარმატებით ილაშქრა ირანში (1210). ამდენად ეს ორი ამბავი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და თამარის ეპოქის იმ მასშტაბის გააზრების საშუალებას იძლევა, რომელიც პასუხს სცემს კითხვას, თუ რატომ ერქვა ამდენ ადგილს და ციხეს საქართველოში თამარის სახელი. რითი აიხსნება ქართველი ხალხის განსაკუთრებული დამოკიდებულება ამ მეფისადმი, რომელსაც თანამედროვენი (იოანე შავთელი, ჩახრუხაძე...) ზღვისა და ხმელეთის მპყრობელს უწოდებენ.

ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, სადაც თამარმა ბაგრატიონების ახლო ნათესავი, ბიზანტიიდან დევნილი ალექსი I კომნენოსი (1204-1222) დასვა, საქართველოს საზღვაო პოლიტიკის პირველ ეტაპს უკავშირდება. მეორე ეტაპი, რომელიც გაცილებით უფრო მასშტაბური იყო, ხმელთაშუა ზღვაში გასვლას გულისხმობდა, რაც საქართველოს კონსტანტინოპოლისაკენ გაუხსნიდა გზას. როგორც ბიზანტიური და ევროპული წყაროებიდან ჩანს, მისი განხორციელება ევალეობდა ალექსი I-ის ძმას – დავით კომნენოსს. ამავე წყაროებიდან ჩანს, აღნიშნული პოლიტიკის გატარებაში დავითს ზურგს საქართველო რომ უმაგრებდა. ეს ძმებს შორის უზრუნველყოფდა კოორდინაციასა და კარგ დამოკიდებულებას, რაზეც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული საქართველოს ამ მასშტაბური გეგმის წარმატება.

თამარ მეფემ საქართველოს აღნიშნული გეგმის განხორციელებლად მიზანმიმართული პოლიტიკა გაატარა ჯერ კავკასიის, შემდეგ კი მის ფარგლებს გარეთ. მან ამიერკავკასიის სავაჭრო გზები თავის კონტროლს დაუქვემდებარა.

ბარა. შამქორსა (1195) და ბასიანში (1202) თამარმა მუსლიმთა ორი კოალიციური ლაშქარი დაამარცხა. ამასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრება“ აღნიშნავს, რომ „შიში და ზარი მეფისა იყო ყოველთა სულტანთა ზედა“. იგივეს ამბობს XII ს-ის ერთი სპარსული დოკუმენტიც, რომლის თანახმადაც თამარი პირობას დებს, რომ დაიცავს კეთილმეზობლობის პრინციპს და ხელს აიღებს თავდასხმისაგან. აქედანაც ჩანს, თუ რამდენად ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა მაშინდელი აღმოსავლური სამყაროსათვის საქართველო.

ტრაპიზონი, რომლის მიმართ საქართველოს ძველთაგანვე თავისი დამოკიდებულება ჰქონდა, ყოველთვის საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაწიერში იმყოფებოდა. ტრაპიზონის რეგიონს საქართველო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დაჭაობებულ სანაპიროსთან შედარებით, ზღვაოსნობის განვითარების საჭირო პირობებიდან გამომდინარე, უპირატესობას ანიჭებდა. ტრაპიზონის მსოფლიო რეზონანსი აქ გამართული ყოველწლიური საერთაშორისო ბაზრობითაც იყო განპირობებული, სადაც სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ვაჭრებს შორის ქართველებიც არიან მოხსენიებულნი. შუა საუკუნეების აღმოსავლური და ევროპული წყაროები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ ქალაქის სიმდიდრის მთავარი წყარო საზღვაო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი იყო. ამიტომ ლაზთა ზედა ფენა საერთაშორისო საზღვაო ვაჭრობითა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკით იყო დაინტერესებული. ნიშანდობლივია, რომ ლაზების ცხოვრებაში ზღვის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, მათ ორნამენტში სიცოცხლის ხე ხშირად თევზის გამოსახულებით იცვლებოდა. ლაზების ზღვაოსნობასა და შუა საუკუნეების ფლოტს საგანგებოდ სწავლობენ თანამედროვე მკვლევარები (ა. ბრაიერი...).


ტრაპიზონის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ შავი ზღვის მრავალსაუკუნოვან სახელებს შორის შუა საუკუნეების არაბულ-სპარსულ წყაროებში გვხვდება „ტრაპიზონის ზღვა“, „ლაზთა ზღვა“, რომელმაც შეცვალა „კოლხთა ზღვა“ (სტრაბონი). თუმცა კოლხი და ლაზი, რომ ერთი და იგივეა, ამაზე ჯერ კიდევ ძველი ბერძნები წერდნენ. აღნიშნულ სახელებს

უკავშირდება ქართული წყაროების „სპერის ზღვა“, რომელიც იმ რეგიონის სახელწოდებ-
დან მოდის, საიდანაც ბაგრატიონები იყვნენ.
მასში შეიძლება ამ დინასტიის შავი ზღვის
პოლიტიკის ერთგვარი ანარეკლიც დავინახოთ.
ყველა ზემოაღნიშნულ სახელწოდებას კი ეხ-
მაურება X ს-ის სპარსულ წყაროში დადას-
ტურებული „ქართველთა ზღვა“, რაც ასევე ქარ-
თველების შავი ზღვისადმი დამოკიდებულების
და ინტერესის მაჩვენებელია. თანაც ეს სახელ-
წოდება ჩნდება მაშინ, როდესაც საქართველო
მსოფლიო ლაშქრობაშია ჩართული, ხოლო
სპარსელები განსაკუთრებულ როლს ასრულებ-
ენ საერთაშორისო საზღვაო ვაჭრობაში, საი-
დანაც დიდ მოვებას იღებენ. ამიტომ ისინი გან-
საკუთრებით აკვირდებიან ზღვებზე არსებულ
ვითარებას.

ცხადია, ტრაპიზონის პოლიტიკის შემუშავე-
ბის პროცესში, რომელსაც უკვე X ს. საქართვე-
ლოს გაერთიანებისთანავე უნდა ჩაყროდა საფუძ-
ველი, გათვალისწინებული იყო მისი ეთნიკური
შემადგენლობა, ამ რეგიონის სიახლოვე ქართულ
სამყაროსთან, რამაც დიდი როლი ითამაშა ტრა-
პიზონის იმპერიის ხასიათსა და პოლიტიკურ
ორიენტაციაზე. ნიშანდობლივია, რომ ბიზანტი-
ური წყაროები გარკვეული პოლიტიკური მიზნით
დაწვრილებით აღწერენ მათთვის უცხო სამყა-
როს, ლაზების ადათ-წესებს თუ საქმიანობას,
მაშინ, როდესაც მათი თანადროული ქართული
წყაროები ამ მხრივ ყურადღებას არ ამახვილე-
ბენ, რადგანაც აღნიშნული სამყარო მათთვის
კარგადაა ცნობილი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ
ქართული წყაროები – ლეონტი მროველი (XI
ს.), მცხეთის მეტაფრასი (XIII ს.) და სხვა.
ტრაპიზონსა და მის რეგიონს „მეგრელთა ქვეყ-
ანას“ უწოდებენ. ასევე მოიხსენიებენ ლაზიკის
ბერძნული ტექსტების ქართულ თარგმანშიც,
ეს ტრადიცია მთელი შუა საუკუნეების მან-
ძილზე ვრცელდებოდა XIX ს-ის ჩათვლით.
ქართული წყაროებიდან ისიც ირკვევა, რომ თამარ
მეფე ტრაპიზონში ნაკლებ სირთულეებს შეე-
ჯახა, ვიდრე ირანში. ამავე ქართული წყაროე-
ბის რაოდენობა და ინტერესი იზრდება ტრაპი-
ზონის იმპერიის დაარსებასთან ერთად, რომელიც
უშუალოდ იყო დაკავშირებული წინა აზიაში
მიმდინარე მოვლენებთან (ჯვაროსანთა ომები
ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე სეპარა-
ტისტული მოძრაობები, რაშიც აქტიურად იყო
ჩართული ტრაპიზონი). თამარ მეფემ ყველა აღნი-
შნული ფაქტორის გათვალისწინებით ზუსტად

გათვალა ტრაპიზონის იმპერიის დაარსების დრო
და მომენტი. მისი ისტორიკოსის თანახმად, მან
აილო ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი,
სინოპი, კერასუნტი, კოტიორა, ამასტრია, არ-
აკლია, ფებლალონია და პონტოს სხვა ტერი-
ტორიები. მიქელ პანარეტოსი (XIV ს.), ტრაპი-
ზონის ქრონიკის ავტორი, ასე აღწერს ამ მოვ-
ლენას: „მოვიდა დიდი კომენოსი, უფალი აღექ-
სი, რომელიც წამოსული იყო დიდებულ ქალაქ
კონსტანტინოპოლიდან, ხოლო გამოილაშქრა კი
იბერიიდან მისი მამიდის, თამარის გულმოდ-
გინებითა და ღვაწლით. 22 წლისამ დაიპყრო
ტრაპიზონი“.

თამარმა ტრაპიზონის ტახტზე კომენოსთა
დასმით გაითვალისწინა მათი საერთაშორისო
ავტორიტეტიც. ამ თვალსაზრისით, მრავლის-
მეტყველია, როდესაც კონსტანტინოპოლი დაე-
ცა და 1204 წ. 16 მაისს ტახტზე ლათინთა
იმპერატორი, ფლანდრიელი გრაფი ბოლდუენი
ავიდა, მან თავი იუსტინიანეს და კომენოსთა
შთამომავლად გამოაცხადა. ქართულ პოლიტი-
კას კარგად ჰქონდა გააზრებული კომენოსთა
ბაგრატიონებთან კავშირის მნიშვნელობაც, ვისაც
ბიზანტიური წყაროები ლაზთა მმართველებს
უწოდებენ. ამასთან დაკავშირებით, ტრაპიზო-
ნის ისტორიის ცნობილი რუსი მკვლევარი ა.
კუნიკი აღნიშნავდა, რომ ალექსი და დავითი
ბაშვობიდან ქართულ გარემოში იზრდებოდნენ.
ქართული ენა, ზნე და ადათ-წესები მათთვის
მშობლიური იყო. ისინი 20 წლის ასაკში უფრო
ქართველ ფეოდალებს ჰკავდნენ, ვიდრე ბიზან-
ტიელებს. ტრაპიზონის ისტორიის ასევე ცნო-
ბილი მკვლევარი თ. უსპენსკიც წერდა, რომ
კომენოსები გაცილებით ახლოს იყვნენ საქარ-
თველოსა და თბილისთან, ვიდრე კონსტანტი-
ნოპოლთან. ქართული წყარო საგანგებოდ აღნი-
შნავს, რომ ამ კავშირს ჯერ კიდევ დავით აღ-
მაშენებლის დროს ჩაეყარა საფუძველი და კიდევ
უფრო განმტკიცდა გიორგი III-ის პერიოდში,
როდესაც მან ბიზანტიიდან დევნილი ანდრონი-
კე კომენოსი შეიფარა, ვისი შვილიშვილიც,
არც თუ ისე შორეულ მომავალში, ტრაპიზო-
ნის იმპერიის ტახტზე დაჯდა. ქართული პოლი-
ტიკა ანდრონიკეს პიროვნებას საქართველოს
მომავალ გეგმებს, მათ შორის საზღვაო ინტერ-
ესებსაც უკავშირებდა. მისი ბიზანტიის ტახტზე
აყვანაშიც საქართველოს ხელი უნდა დავინახ-
ოთ, რის გამოც ანდრონიკე ტრაპიზონთან დაკავ-
შირებით გარკვეულ გარიგებაზეც წავიდა. ეს
იქიდან ჩანს, რომ მისი ტახტზე ასვლის შემ-



ტრაპიზონი. აქ, წმიდა გიორგის ეკლესიაში განისვენებდა იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II. ეს მისი აკლამაა.

ამ რამდენიმე წლის წინ ქართველმა საზოგადოებამ მისი ნეშტი სამშობლოში გადმოასვენა.

დღე სეპარატისტულ მოძრაობებში მონაწილეობას არ იღებს მანამდე აქტიურობით გამორჩეული ტრაპიზონი. მრავლისმეტყველია, რომ კორონაციის დროს ანდრონიკე კომნენოსი იბერიული ქსოვილისაგან შეკერილ სამოსელსა და ტიპიურ ქართულ ქუდში იყო გამოწყობილი. სხვათა შორის, აკად. შ. ამირანაშვილმა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე აღმოჩენილი შოთა რუსთაველის სამოსელი, ზოგადად ქართველი ფეოდალისა და ანდრონიკეს ჩაცმულობას დაუკავშირა.

საქართველო ტრაპიზონის იმპერიას, რომელიც მისი არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ბერკეტიც იყო, კარგად იყენებდა, როგორც ბიზანტიის, ისე იტალიელების წინააღმდეგ და საამისოდ სხვადასხვა ზერხს მიმართავდა – დიპლომატია, დინასტიური ქორწინებანი, პროქართული დასის გაძლიერება, სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობა. ამის შესახებ ქართული წყაროები პირდაპირ მიუთითებენ; საქართველოს ძალის დემონსტრირების ნიშნად იყო დავით ნარინის მიერ ტრაპიზონისათვის ალყის შემორტყმა (1282 წ.). ქართული ჯარი ერეოდა იტალიელებისა და ტრაპიზონელების დაპირისპირებაშიც. სწორედ ქართველებმა აღკვეთეს გენუელთა პრეტენზიები, პრო-

ქართული ორიენტაციის ალექსი II-ს მიმართ, რომლებიც კონსტანტინოპოლის მსგავსად ტრაპიზონშიც სრულ პრივილეგიებს ითხოვდნენ. იტალიური წყაროები აკვირდებიან და საგანგებოდ აღნიშნავენ ამ კავშირს არა მხოლოდ ტრაპიზონის, არამედ შავი ზღვის მასშტაბითაც. ამავე წყაროებიდან ჩანს, რომ ქართველი და ტრაპიზონელი მეფეები ერთობლივად მფარველობდნენ თავის ქვემეგრდომებს. იტალიელები ამ ორ ქვეყანას ერთ სახელმწიფოდაც აღიქვამენ. რაც მთავარია, XV საუკუნეშიც ქართველებთან კარგი ურთიერთობა მათ ზემელთაშუა ზღვაზე უსაფრთხოების გარანტიად მიანდათ. სწორედ ტრაპიზონსა და შავ ზღვაზე ქართველების ასეთი დიდი გავლენის გამო რომის ეკლესიამ აღმოსავლეთის კათოლიკური ცენტრი სმირნადან თბილისში გადმოიტანა, ანუ იმ ქვეყნის დედაქალაქში, რომლის სახითაც ძლიერი მეტოქე დაინახა. ყოველივე ეს ახლებურად ამუქებს საქართველოს საზღვაო ისტორიასა და ტრაპიზონთან დაკავშირებულ მრავალ პრობლემას. საქართველოსა და ტრაპიზონის იმპერიის ისტორია მჭიდროდაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული და ბევრი რამ მათ ცხოვრებაში ამ ურთიერთობით აიხსნება.

მანანა ბაბაშვილი.

„ლაზების ენა მცირედ განსხვავდება მეგრულისაგან და დღეს არსებობს ლაზურის სამი კილო: ხოფური, არქაბული და ათინური. პირველი მათგანი თითქმის ეტოლება მეგრულს, მეორე, რომელზედაც აბუს ხეობა ლაპარაკობს, საშუალოა ხოფურსა და ათინურს შორის; მესამე კი ბერძნულისა და თურქულის გავლენით დაშორებულია საერთო ძირიდან.

... ხოფელები წმინდა სისხლის ლაზები არიან. ლაპარაკობენ ლაზურად. მათი ტანსაცმელი გურულსა და აჭარულს ემსგავსება. ყველანი გამაჰმადიანებულები არიან.

ადამიანს თვალში ეცემა ზღვისპირა ლაზების სილამაზე. ისინი გამოირჩევიან გონებრივი განათლებითა და გარეგნული სიფაქიზით... და... მათი მოსახლეობა ზნეობრივადაც უფრო მაღლა დგას თურქეთის ქართულ მოსახლეობაზე.“

ბიორბი ყაზბეგი
1878 წ.



დიდგვაროვანი ლაზი

ეგრისის, ანუ, როგორც მას ბერძნები და რომაელები ეძახდნენ, ლაზიკის სამეფოს წარმოშობის საკითხი, ერთს მეტად საყურადღებო გვერდს შლის ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან დასავლეთ საქართველოში. კოლხეთი, წვრილი ტომობრივი სამთავროები გარდამავალი პერიოდისა, ეგრისის სამეფო, აფხაზთა სამეფო, საქართველოს ფეოდალური მონარქია, იმერეთის სამეფო და მისი შემადგენელი სამთავროები (გურია, სამეგრელო, აფხაზეთი და სვანეთი) – ასეთია დასავლეთ საქართველოს განვითარების ეტაპები (XIX ს. დამდეგამდის) წმინდა პოლიტიკური, – და მაშასადამე, გარეგანი, – ისტორიის თვალსაზრისით. მაგრამ, ცხადია, რომ ამ პოლიტიკური კალეიდოსკოპის მიღმა იმალება საზოგადოების შინაგანი განვითარების რთული პროცესი, რომლის მეცნიერული შეგნებაა სწორედ ჩვენი მთავარი ამოცანა.

აღნიშნულ განვითარების ჯაჭვში ეგრისი (ლაზიკა) მნიშვნელოვანი რგოლია, თუნდაც იმიტომ, რომ ფეოდალური ურთიერთობის გენეზისის საკითხს დასავლეთ საქართველოში, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, სწორედ ეგრისისა და მისი



დიდგაროვანი ლაზი ქალბატონი

წინაპრებისაკენ მივყავართ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეგრისი და მისი წინამორბედი ტომობრივი წარმონაქმნები წარმოადგენენ ხიდს რომლითაც ეს ქვეყანა ძველი სამყაროდან ფეოდალურში გადავიდა უკვე საბოლოოდ.

მაგრამ, რამდენადაც საინტერესოა და მნიშვნელოვანი ამ თავისებური სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზმის აღნაგობა და მისი გაჩენის პირობები, იმდენადვე შეუსწავლელი და გაურკვეველია იგი. ნაწილობრივ ეს აიხსნება წყაროების სიმცირითა და სიდატაკით, რაც ეხლაც ბევრ რამეს სიბნელეში ტოვებს.

... ცნობილია, რომ ეგრისის სამეფო წარმოადგენს შემდგომ განვითარებას ლაზების სამთავროსი, რომელმაც თანდათანობით დაიმორჩილა და დაიქვემდებარა მეზობელი, მსგავსივე წვრილი ტომური სამთავროები აფშილებისა, აბაზგებისა, სანიგებისა და კიდევ სხვათა...

სიმონ ჯანაშია
შრომები. ტ. II. 1952 წ.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე სტატიიდან – ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი)

IV ს-ის ბოლოსა და V ს-ის დასაწყისში რევიან მეფეთა კარზე გაჩაღებულ ქრისტიანული სამწერლობო და კულტურის ენის შექმნა-შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლებსაც. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ამ საქმეში „მეგრელებსა და სვანებს თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი“. ამის პიროვნულ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ პატარა პეტრე იბერის (მურვანოსის) აღმზრდელად დასავლეთ საქართველოდან იოანე ლაზის მოწვევა. იოანე ლაზი პატარა პეტრეს „დღე და ღამ“, 3 წლის ასაკიდან ვიდრე 12 წლის ასაკამდე, ზრდიდა და მწიგნობრობას ასწავლიდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი აქტიურად მონაწილეობდა იმ დიდ შემოქმედებით მუშაობაში, რომელიც სამეფო კარზე მიმდინარეობდა საეკლესიო-ლიტერატურული ენის შექმნა-ჩამოყალიბებისათვის. IV ს-ის ბოლოსა და V ს-ის დასაწყისში, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში არსებობდა რაღაც სკოლა ამ მიმართულებისა, რომლის წარმომადგენლის მოწვევა ქართველი უფლისწულის აღმზრდელად საჭიროდ მიუჩნევათ. ს. ყაუხჩიშვილის თვალსაზრისით, იოანე, ანუ მითრიდატე ლაზი იყო კოლხეთის ცნობილი რიტორიკული სკოლის წარმომადგენელი, რამდენიმე ათეული წლით უფროსი პეტრე იბერზე. მიუხედავად ამისა, იგი პეტრეს ასწავლიდა არა ბერძნულ მწიგნობრობას, არამედ ქართულს, რადგანაც ბერძნული „ენა და სწავლა“ პეტრემ შეითვისა კონსტანტინოპოლში, ქართლიდან წასვლის შემდეგ; იოანე ლაზი უნდა ყოფილიყო ქართული საეკლესიო საღვთისმსახურო ენისა და ლიტერატურის ფუძემდებელთა პირველ მთარგმნელთა წრის აქტიური წევრი, ქართული თავდაპირველი მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი ლიდერი. ამ განცხადების უფლებას იძლევა ის, რომ სწორედ იოანე ლაზის მიერ აგებულ პალესტინის მონასტერში აღმოჩნდა ქართული წარწერები. ერთ-ერთი უძველესი უცხოეთში დღემდე ცნობილ წარწერათა შორის. მათში ნახსენებნი არიან ანტონი, აბაი და იოსია. ეს უკანასკნელნი პირველ ქართულ მთარგმნელებად იყვნენ მიჩნეულნი ძველ საქართველოში. პალესტინის აღნიშნული წარწერების აღმოჩენამდე დიდი ხნით ადრე პირველქართველ მთარგმნელთა ვინაობას შეეხო კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე (XX ს-ის დასაწყისში). იგი წერდა, რომ „პეტრე მაიუმელის მიერ აგებულ მონასტერში უნდა მიეღოთ თავშესაფარი პირველ ქართველ მთარგმნელებს – ანტონსა და საბას, რომელთა სახელები მოიხსენიება წმ. გიორგი მთაწმიდელის პირადად მცნობის – ეფრემ კირილეს-ძის ჩანაწერებში“ (წიგნიდან საღვთისმეტყველო კრებულები, № 1, 1991 გვ. 176).

ქართული ისტორიოგრაფია პეტრე იბერს აკავშირებს პირველ ქართულ მთარგმნელობით სკოლასთან. ამ სკოლის წევრი უნდა ყოფილიყო პეტრეს აღმზრდელი და მოძღვარი იოანე ლაზი. ს. ყაუხჩიშვილი მათ აგებულად მიიჩნევს პალესტინის იმ ქართულ მონასტერს, სადაც აღმოჩნდა ზემოაღნიშნული წარწერები მთარგმნელთა სახელებით.



პატრი იბერი

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ იოანე ლაზისა და პეტრე იბერის, საერთოდ, დასავლელ და აღმოსავლელ ქართველთა აქტიური ურთიერთ თანამშრომლობის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო ის საოცარი ძველი ქართული საეკლესიო-ლიტურგიკული და, ამასთანავე, სალიტერატურო ენა, რომელიც მოიცავდა სრულიად საქართველოში არსებულ დიალექტებს. (მათ შორის, მეგრულსა და სვანურს) და იქვემდებარებდა მათ. საქართველოში იმ დროისათვის, თითქმის 1600 წლის წინ არსებული დიალექტები ძალზე ახლოს უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან, როგორც ეს მრავალგზის აღინიშნა და ერთმანეთისაგან უფრო ნაკლები სიშორე უნდა ჰქონოდათ, ვიდრე მათ ამჟამად აქვთ. როგორც ცნობილია, ერთ დროს ქართველის, მეგრელებისა და სვანების ენები ერთ ენობრივ მთლიანობას ქმნიდა და მხოლოდ შემდგომ ათასწლეულთა მანძილზე დაშორდნენ ერთმანეთს. ფარნავაზის მიერ ერთიანი, დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ, და ახალი წელთაღრიცხვის II-III სს-ებში ქრისტიანობის ქადაგებათა უამს, ჩანს მთელ საქართველოში ჯერ კიდევ ესმოდათ ის ერთიანი ენა, რომელიც საფუძვლად დასდებია წარმართულ კულტმსახურებას; შემდგომ კი ქრისტიანულ დვთისმსახურება-ქადაგებას. იმავედ ჯერ კიდევ არსებული ენობრივი ერთობა დაედებოდა საფუძვლად IV ს-ის ბოლოს და V ს-ის დასაწყისში პირველ მთარგმნელთა საქმიანობას. ამ პროცესში, როგორც იოანე ლაზისა და პეტრე იბერის ურთიერთთანამშრომლობის მაგალითი მიუთითებს. ... საქართველოში არასოდეს შექმნილა რაიმე თხზულება, ანდა უბრალო წარწერებიც კი, რომელიმე კუთხურ ენასა და დიალექტზე. ძველი ქართული სალიტერატურო ენა სინამდვილეში იყო საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრთათვის მშობლიური, უმთავრესი, ანუ დედა ენა.

იოანე ლაზი

ყველა ნიშნით, უფლისწულ ნაბარუნგის მომავალ პეტრე იბერის (411-491) აღსაზრდელად ქართულ სამეფო კარზე მოწვეული მასწავლებელი, წარმართობაში მითრიდატე ლაზი, ზოლო შემდეგ იოანე ევნუქი, ანუ იოანე ლაზი (გარდაიცვალა დაახლოებით 465 წ.), შესაძლოა, კოლხიდის აკადემიის ხელმძღვანელ, ანუ მასწავლებელთა წრეს ეკუთვნოდა.

აღმოსავლეთიდან შავი ზღვისაკენ ძველი მდინარე ფაზისის ზღვასთან შეერთების ადგილზე, სადაც კოლხეთის მთავარი ნავსადგური მდებარეობდა IV საუკუნეში, ზოლო, მეორე მხრივ, ხმელთაშუა ზღვის ნაპირთან მდებარე ქალაქ ჰაზისაკენ, მის ნავთსადგურ მაიუმისაკენ, IV-V საუკუნეებში მიიმართება გზები ბერძნული ფილოსოფიის მემკვიდრეობის შეთვისებისა. ეს ქალაქი ჰაზა გახდა არა მარტო სავაჭრო ცენტრი, არამედ განათლების არეც, ამ სიტყვის ანტიკური მნიშვნელობით. აქ იყდა და მოღვაწეობდა ცნობილი სამი ჰაზელი ფილოსოფოსი: ზაქარია რიტორი, პროკოფი ჰაზელი და განსაკუთრებით ენეი (ენუს) ჰაზელი. აქვე ცხოვრობდა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე კონსტანტინოპოლიდან გამოქცეული პეტრე იბერი და მასთან ერთად, მისი მასწავლებელი იოანე ლაზი, რომელიც ფილოსოფიურ საქმეებში იმდენად დაწინაურებული იყო, რომ უკანასკნელ ბერძენ ფილოსოფოს პროკლეს ამსგავსებდნენ: აქ დაიწერა, როგორც დღეს უკვე ნათელი ხდება, ნაწილი ამ ორი ადამიანის ნაწარმოებისა, პროკლეს თხზულების „კავშირნი თეოლოგიურნის“ ნიადაგზე.

... მაგრამ ვინ იყო იეროთეოსი, რომელსაც მუდამ ხალისიანად და ვრცლად იმოწმებს პეტრე იბერი და ამ დამოწმებას, ანუ ციტატებს ფრიად საგულისხმოდ თვლის.

ასკარაა, რომ ეს სახელი არაა ნამდვილი. იგი ფსევდონიმი, შემუშავებული თვითონ პეტრე იბერის მიერ. მაგრამ ეს ფსევდონიმი მიეკუთვნა ნამდვილად არსებულ ადამიანს. ამის გამო იყო, რომ რუსულ შრომაში 1942 წელს ჩვენ ვწერდით: „ეს სახელი გადმოღებულია თვითონ ფსევდო-დიონისეს ლქსიკონიდან“. ვინ არის ეს იეროთეოსი, ანუ ის ადამიანი, რომელსაც გულისხმობს იბერი მის მიერ შექმნილი ხელოვნური სახელის ქვეშ? ერთი რამ ცხადია, რომ ეს იეროთეოსი, პეტრე იბერის რწმუნებით, მისი მასწავლებელი, მისი განმანათლებელია. თავისი

თეოლოგიურ-ფილოსოფიური მსჯელობების დროს წიგნში – „საღმრთო სახელისათვის“, პეტრე იბერი ასახელებს იეროთეოსს, როგორც მზის მსგავს მოაზროვნეს. თავის მსჯელობაში ზეციური და მიწიერი იერარქიის შესახებ კი პეტრე იბერი თავის მასწავლებლად ასახელებს მას, ვინც განავითარა მოძღვრება იერარქიების შესახებ და ამ შემთხვევაშიაც იეროთეოსს ასახელებს. პეტრე იბერის ბიოგრაფიის მიხედვით, მოძღვრება ზეციური იერარქიის შესახებ დასაბუთებული იყო ფსევდო-დიონისეს მიხედვით და ეს შეუსრულებია იოანე ევნუქს (ლაზს). აი, სწორედ ამ მასწავლებელზე იერარქიის შესახებ, რომელიც ცნობილია დასახელებული ბიოგრაფიიდან, ფსევდო-დიონისე აღნიშნავს, როგორც „თავის ღვთაებრივ მასწავლებელს“. „პეტრე იბერის ცხოვრება“ მოგვითხრობს ზედმიწევნით იმის შესახებ, თუ როგორ წარმოედგინა ზეციური იერარქიის აგებულება იოანე ევნუქს – მასწავლებელსა და სიცოცხლის თანამგზავრს პეტრე იბერისა. იგივე იდეები „ზეციურ იერარქიაში“ განვითარებული მიეწერება „ღვთაებრივ მასწავლებელსა და განმანათლებელს ფსევდო-დიონისესი – იეროთეოსს“. არ უნდა გვეჩვენებოდეს მაინცდამაინც ნაჩქარევად დასკვნა ყველა ამ მოყვანილი საბუთისაგან, სახელდობრ ის, რომ იოანე ევნუქი (ლაზი), პეტრე იბერის მასწავლებელი, და იეროთეოსი, ფსევდო-დიონისეს მასწავლებელი, ერთი და იგივე პირია.

... იეროთეოსის სახელი მართლაც ემთხვევა ნამდვილ იოანე ევნუქს (ლაზს), პეტრე იბერის მასწავლებელს. აი, ასეთი დამთხვევა ფაქტურ აგიოგრაფიულ და ლიტურგიულ მონაცემთა ნიადაგზე, მართლაც მოახერხა ბელგიელმა მეცნიერმა ერნსტ ჰონიგმანმა, რომელიც 1952 წელს გამოქვეყნებულ შრომაში ურყევად ადასტურებს პეტრე იბერის იგივეობას ფსევდო-არეოპაგისტული წიგნების ავტორთან. ვეებერთელა სპეციალური მასალის ნიადაგზე ე. ჰონიგმანი ადგენს, რომ მასწავლებელი და ცხოვრების თანამგზავრი პეტრე იბერისა გარდაიცვალა 4 ოქტომბერს, და ადგენს, როგორც იეროთეოსის საეკლესიო მოხსენიების დღეს. ე.ი. 4 ოქტომბერს 465 წ. მისი მოწაფე – პეტრე იბერი მაიუმელი ეპისკოპოსი ასაფლავებს მას თავის საგანეში და ამავე დღეს დაადგენს, იეროთეოსის საეკლესიო მოხსენიების დღეს. ამავე მეთოდით ავ-

ტორი ადასტურებს პეტრე იბერის გარდაცვალებისა და მოხსენიების დღესაც.

მართალი იყო ე. ჰონიგმანი, როდესაც 1952 წ. წერდა: „იეროთეოსის მოხსენიების დღის დამთხვევა იოანე ევნუქის სიკვდილის დღესთან იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აგვისნის ჩვენ იეროთეოსის ნამდვილ სახელს და ამავე გზით თვითონ ფსევდო-დიონისეს სახელსაც“.

... ჰონიგმანი აღნიშნავს, რომ შუამავალი პროკლესა და ფსევდო-დიონისეს შორის სხვა არააქნა იყო, თუ არა იეროთეოსი.

აქედან ნათელია, თუ რა დიდ ფიგურად იმლება იეროთეოსი, რომელიც პეტრე იბერის, ანუ დიონისეს ნააზრევში ანტიკური ფილოსოფიის ელემენტების შემოშთანად გამოდის, რაც მას უადვილებდა თავისი ახლო დამოკიდებულებით პროკლეს მიმართ. ჰონიგმანი აღნიშნავს, რომ პროკლეს მთავარი წიგნები დაიწერა იეროთეოსის სიკვდილამდე, ე.ი. 465 წლამდე, ან შეიძლება ცოტა გვიან. თუ ამას დაუერთავთ, რომ ფსევდო-არეოპაგისტული წიგნების ავტორი ალავ-ალავ აციტირებს იეროთეოსის ნაწერებს, რომლებიც ძალიან ენათესავებიან პროკლეს ფილოსოფიურ იდეებს, ნათელი გახდება იეროთეოსის მნიშვნელობა არა მარტო პეტრე იბერის, თუ დიონისეს წიგნების იდეოლოგიური სახის გამორკვევაში, არამედ პავლე მოციქულის ადგილისა და მნიშვნელობისაც პეტრე იბერის პიროვნების გასახსნელად. ... ამასთან დაკავშირებით, იეროთეოსის წყალობით პავლე მოციქულთან ერთად, დიონისეს პიროვნებაც უნდა მოიხსნას. რჩება პეტრე იბერი თავისი მასწავლებლით, რომელსაც დიონისესთან იეროთეოსი ეწოდება, ხოლო პეტრე იბერის ბიოგრაფიაში იოანე ევნუქი. (უფრო ვრცლად ეს საკითხი იხილეთ გვ. 200-201. შ. ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ. I. 1956. რედ.)

ჩვენ 1942 წლის გამოკვლევაში არ გამოგვეპარა იეროთეოსის ეს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ჩვენ ვწერდით: „საკითხი იეროთეოსის შესახებ, რომელიც ხშირად მოიხსენიება ფსევდო-დიონისესთან, უნდა იქნეს გამოკვლეული“. ჩვენ მიერ მოხაზული ამოცანა უდავოდ შეასრულა ე. ჰონიგმანმა და ამაშია მისი ერთი დიდი დამსახურებათაგანი.

რა მისცა ჰონიგმანს იეროთეოსის საკითხის გამოკვლევა? ჰონიგმანი თვითონ აღნიშნავს, რომ „გასაღები იეროთეოსის პრობლემაში, ამავე დროს, იყო გასაღები ფსევდო-დიონისეს პრობლემაში“. მართლაც, ჰონიგმანის ნარკვევში იე-

როთეოსის იგივეობით იოანე ევნუქთან, ანუ ლაზთან, რომელიც აღმზრდელი და ცხოვრების თანამგზავრი იყო პეტრე იბერისა, უდავოდ წყდება საკითხი არეოპაგისტული წიგნების ავტორის შესახებ. იმავე დროს, არ შეიძლება განსაკუთრებულად არ იქნეს აღნიშნული იეროთეოსის ნაწერად და აზრებად გამოცხადებული ადგილების პროკლეს იდეებსა და ნაწერებთან სიახლოვე და ნათესაობა, რაც უნდა ადასტურებდეს ადრევე აღნიშნულ გარემოებას, რომ ეს დიდი კაცი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ბერძნულადაც და ქართულადაც წერდა და ლაზად იწოდებოდა, კოლხეთის აკადემიის წრეებიდან უნდა ყოფილიყო გამოსული. ჰონიგმანმა დაადგინა არა მარტო ის, რომ სახელი იეროთეოსი შექმნილი იყო დიონისეს მიერ, არამედ ისიც, რომ ეს ხელოვნურად შექმნილი სახელი ნამდვილად ადამიანს ეკუთვნოდა. ეს მან გააკეთა პეტრე იბერის მთავარი თხზულების „საღმრთო სახელისათვის“ ტექსტზე დამყარებით. როდესაც ეს ნამდვილი იეროთეოსი გარდაიცვალა, მოკვდა რა თქმა უნდა, არა ლიტერატული ფსევდონიმი პეტრე იბერის შეთხზული, არამედ მისი ცოცხალი მატარებელი – იოანე ევნუქი, ანუ ლაზი. უკანასკნელის მოსახსენებელი დღე, 4 თქტომბერი დადგენილ იქნა ეკლესიისათვის იოანე ევნუქის – პეტრე იბერის მეგობრისა და მასწავლებლის მოსახსენებელ დღედ.

აი, ამ იგივეობით იოანე ევნუქისა და იეროთეოსის, უდავოდ დამტკიცებულ იქნა, ვინ იყო ის კაცი, რომელიც მოხსენიებულ იყო პეტრე იბერის, ანუ დიონისეს წიგნებში და რომლებსაც V-VI საუკუნეების იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში პარტიულის მოსაზრებით დიონისე არეოპაგელის სახელი დააწერეს.

ამდენად, ჰონიგმანის მეცნიერული არგუმენტაციის შედეგად იოანე ევნუქი, რომელსაც, როგორც, ზემოთაც იყო აღნიშნული, საბოლოოდ შეიძლება მხოლოდ იოანე ლაზი ეუწოდოთ, არეოპაგისტულ კვლევა-ძიებაში განსაკუთრებული როლი ეკისრება.

...იოანე ლაზთან დაკავშირებით პეტრე იბერთან მის ურთიერთობაში ირკვევა ჰონიგმანის მიერ აღნიშნულ ფაქტებთან ერთად აქამდე უცნობი გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ, როგორც ფილოსოფიის ისტორიისათვის საერთოდ, ასევე პეტრე იბერისა და იოანე ლაზის სამშობლოსათვის.

...პეტრე ხშირად ასახელებს და ზოგ შემთხვევაში კიდევ აციტირებს იოანე ლაზის თხზუ-

ლებებს ღვთისმეტყველებითი კავშირის შესახებ და ერეტიკულ ჰიმნებს. ამ ფაქტის უარყოფა შეუძლებელია, თუმცა, საფიქრებელია, რომ პეტრე იბერი თავის საკუთარ აზრებს გამოთქვამდა ისე, თითქოს ისინი იოანე ლაზის, ე. ი. იეროთეოსის მიერ გამოთქმული იყო. ყოველ შემთხვევაში, ის აღფრთოვანებული დასახელება იეროთეოსისა, რომელსაც ადგილი აქვს პეტრე იბერიის ტექსტში, საბუთს იძლევა გვაფიქრებინოს, რომ ინტერპრეტირებული გადმოლება პროკლეს თხზულებისა „კავშირნი თეოლოგიურნი“, მთლიანად მართლა პეტრე იბერს არ ეკუთვნის და შედგენილია იოანე ლაზის მონაწილეობით.

...მეცნიერული მონაცემების მიხედვით, დღეს იოანე ევნუქი, ანუ ლაზი წარმოსდგება, როგორც დიდი მასშტაბის ფილოსოფიური მწერალი და მოაზროვნე. თანამედროვე მეცნიერების რიგი სპეციალისტები მას პროკლეს გვერდით აყენებენ, რაც ფილოსოფიურ-ისტორიული თვალსაზრისით პატარა რეკომენდაცია არაა. მისი ბერძნული წიგნები ემთხვევა პროკლესას, როგორც თემატურად, ისე იდეურად. ქრონოლოგიურადაც ისინი თითქმის ერთ დროსაა დაწერილი. უკანასკნელ გარემოებებს ის მნიშვნელობა აქვს, რომ პროკლესა და იოანე ევნუქის, ანუ იოანე ლაზის თხზულებანი ერთს ფილოსოფიურ გარემოში იქმნება.

... გვაქვს თუ არა საბუთები, რომ იოანე ლაზს ქართულადაც უწერია. უნდა ითქვას, რომ ასეთი ძეგლი ჩვენამდე არ მოღწეულა, მაგრამ ჩვენ გვაქვს საშუალება დავამტკიცოთ, რომ იოანე ევნუქი, ანუ ლაზი ქართულადაც წერდა. ამას მოწმობს იგივე წყარო, რომელიც ადასტურებს პროკლეს თხზულების – „კავშირნი თეოლოგიურნი“ ქართულად გადმოლებას. ე. ი. იოანე პეტრიწი. შეუძლებელია ჩვენ უარყოფოთ იოანე პეტრიწის ცნობა დასახელებული კომენტარებული გადმოლების არსებობისა. აგრეთვე, შეუძლებელია იმის უარყოფაც, რომ ეს ნაშრომი დიონისეს სახელთან არის იმავე ცნობით დაკავშირებული. აქ ერთია მხოლოდ საეჭვო და გასარკვევი. იოანე პეტრიწი მხოლოდ ერთ ავტორს ასახ-

ელებს, სახელდობრ, დიონისეს – პეტრე იბერს. როგორც ვნახეთ, დიონისეს ქართველობაც სწორედ ამ ქართული გადმოლების წყალობით დადასტურდა. თუმცა, იოანე პეტრიწი ერთი სიტყვითაც არ ლაპარაკობს იოანე ლაზზე.

მაგრამ იოანე ლაზის შესახებ ლაპარაკობს უფრო ახლობელი მოწმე, მისი მოწაფე და თანამშრომელი პეტრე იბერი. პეტრე იბერი თავის თხზულებაში და, განსაკუთრებით კი, თხზულებაში სათაურით „საღმრთო სახელთათვის“ არაერთგზის აღნიშნავს, რომ მან იოანე ევნუქთან, ანუ ლაზთან (იეროთეოსთან) ერთად გადმოიღო პროკლეს წიგნი „კავშირნი თეოლოგიურნი“. პროკლეს დასახელებული წიგნი გადმოღებულა, როგორც ბერძნულად, ისე ქართულად. პეტრე იბერი არ აღნიშნავს საგანგებოდ ამ ორი ვერსიის ენობრივ განსხვავებას. ჩანს, ის ორივე ვერსიის გადაკეთებას ერთ საქმედ თვლის, ამ საქმეში ის იოანე ევნუქის დიდ მონაწილეობას აღნიშნავს.

ქართული ფილოსოფიის ისტორიაში იოანე ლაზს გარკვეული ადგილი უჭირავს, რამდენადაც მას ერთის მხრივ აზროვნების დიდი სიმაღლისათვის მიუღწევია და, მეორე, ქართული აზროვნება პროკლეს სახით ბერძნულ ფილოსოფიასთან დაუკავშირებია.

... ქართული ფილოსოფიის ისტორიის საკვლევ საგნად დარჩება ამ დიდი ადამიანის, ორენოვან მწიგნობარ-მოაზროვნის საქმე, რომელიც იოანე ლაზის სახით წარმოსდგა ჩვენს წინაშე მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა ნიადაგზე. დამატებითი კვლევა-ძიება, განსაკუთრებით კი, პროკლეს წიგნის გადმოლების ბერძნული ვარიანტისა, რომელიც, თითქოს, ბრიტანეთის მუზეუმში უნდა იყოს დაცული, მისცემს საშუალებას მონაწილე მკვლევართ ამ საკითხში მეტი სინათლე შეიტანონ.

შალვა ნუცუბიძე

ქართული ფილოსოფიის ისტორია ტ. I. 1956 წ.

მასალა ამოკრეფილია გვერდებიდან:

185, 187, 188, 200, 201, 204, 214, 215, 216.



ისტორიული ციხე ფორტუნას ხეობაში

იამბე ციხის ნაშალო,
რა დრო გაქვს გამავლილიო,
ვისი რა აგებული ხარ,
ვისი რა ჩამაშლილიო...



დედაო, წმიდაო ნინო, შეგვკრიბე და
მიგვგვარე ღმერთსა მართალსა.

ლაზები საზღვარგარეთის ქართულ ეკლესია-მონასტრებში

V ს-ის ავტორს, გელასი კვიციკელს აღნიშნული აქვს, რომ IV ს-ის პირველ ნახევარში რომის იმპერატორის, კონსტანტინე I-ის (306-337 წ.წ.) დროს „ღმერთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა“. ამ ავტორის უწყებით, იბერებსა და ლაზებში, ქრისტიანობის დამკვიდრება იყო შედეგი წმიდა ნინოს მისიონერული მოღვაწეობისა. საინტერესოა, რომ სამხრეთ კოლხეთში, – ჭანეთ-ლაზეთში, თვით XVII ს-მდე არსებობდა გადმოცემა, რომ ქრისტიანობა ამ მხარეში წმიდა ნინომ გაავრცელა. მოხსენებაში, რომელიც 1651 წელს წარუდგენია რუსეთის მეფის, ალექსი მიხეილისძისადმი ჰოფის (ლაზეთის მხარის) მიტროპოლიტს გერმანეს, აღნიშნულია, რომ ჰოფის ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც ლაზეთის სამიტროპოლიტო კათედრა იყო, ითვლებოდა წმიდა ნინოს დაარსებულად. ეს გადმოცემა მაჩვენებელია ადგილობრივი ლაზური საქრისტიანო ტრადიციების ერთიანობისა ზოგად ქართულ ტრადიციებთან.

V ს-ში ლაზებს საეკლესიო მშენებლობა უწარმოებიათ ქვეყნის გარეთაც. პალესტინის ლაზურ კოლონიაში ქართველები განსაკუთრებით ზრუნავდნენ უდაბნო-მონასტრების დაარსებაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია, პეტრე ქართველის (411-491) მრავალმხრივი და ფრიად ნაყოფიერი საქმიანობა. იგი იოანე ლაზთან ერთად პალესტინის უდაბნოში იწყებს მოღვაწეობას და აქ მაიუმის ეპისკოპოსის პატივიც მოიპოვა. პეტრე და მისი აღმზრდელი იოანე გულმოდგინედ ზრუნავდნენ თავინთ თანამემამულეებზე და მათთვის აგებდნენ სავანეებს იერუსალიმში. მათ „აღაშენეს სახლი სასტუმროდ და განუსვენებდეს მომავალთა ძმათა ქართველთა“. მათვე იერუსალიმში, ბეთლემის ახლოს ააგეს უდაბნო-მონასტერი. მონასტერს განუწესეს წესი და კანონი და დაუდგინეს წინამძღვრად კაცი „ღმერთშემოსილი და წმიდა“. ამ მონასტრისათვის „ქართველთა მონასტერი“ უწოდებიათ. შემდგომ იოანე ლაზი და პეტრე ქართველი ერთად გადასულან ეგვიპტეში, სადაც „გამოარჩიეს ადგილი და აღაშენეს ეკლესიად და გარემოც მონასტერი“.

მოგვყავს ამონაწერი ბატონ ლეო მენაბდის წიგნიდან: – „ძველი ქართული მწერლობის კერები ახლო აღმოსავლეთში“ ტომი II, გვ. 22,23,24.

„სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია მსჯელობის საგნად იქცა პროკოპი კესარიელის (VI ს.) თხზულება „შენობათათვის“, რომელშიაც აღნიშნულია, რომ იუსტინიანე დიდმა (527-565) „განახლა იბერთა მონასტერი იერუსალიმში და ლაზთა მონასტერი იერუსალიმის უდაბნოში“. ცხადია, თუ ქართველთა სავანეებს VI ს-ში აღდგენა-განახლება დასჭირდათ, მათი აგება V ს-ში მაინც უნდა ვივარაუდოთ. ითვალისწინებდნენ რა ამას, პროკოპის მიერ მოხსენიებულ იბერთა მონასტერს პეტრეს აგებულად მიიჩნევდნენ, ხოლო ლაზთა მონასტერი იორდანის უდაბნოში ეგულებოდათ. სპეციალისტების ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმაც, რომ ხარიტონის მიერ იერიქონში დაარსებულ სავანეს „ლაზთა მონასტერი“ ეწოდებოდა. საძიებელ საკითხს ნათელი მოჰფინა არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილმა მასალამ.

იერუსალიმის სამხრეთით, სულ რაღაც რამდენიმე კილომეტრზე მდებარეობს ბეთლემი, რომელსაც ნაზარეთის დასავლეთით მდებარე ბეთლემისაგან განსასხვავებლად ჩვეულებრივ „ჭურისტანის ბეთლემს“ უწოდებენ. ეს ქრისტეს დაბადების ადგილია. IV ს-ში იმპერატორმა კონსტანტინემ (306-337), ზოგი ცნობით, მისმა დედამ ელენემ, იქ ააგო ბაზილიკა – ქრისტიანული სამყაროს უძველესი ტაძარი. ბეთლემში შემდეგ ხანაში ქართველებსაც ჰქონიათ თავინთი სამწირველო.

აი, ამ ბეთლემის მახლობლად, უდაბნოში, ბირ ელ-ყიეთის მიდამოებში, ხირბეთ სიიარ ელ-ღანაშის ჩრდილო-დასავლეთით, ფართო ტაფობის ფერდობზე იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ გათხარა კვადრატული ფორმის ნაგებობა, რომლის ჩრდილოეთ მხარეს გამოჩნდა ეკლესია. მის სამხრეთით იყო ეკლერა, რომლის იატაკი, – ისე, როგორც ეკლესიისა, – მოზაიკით ყოფილა მოჭედილი. ახლად გამოვლენილმა ხუროთმოძღვრულმა ძეგლმა შემოგვინახა ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები და რამდენადმე შუქი მოჰფინა პეტრე ქართველის მოღვაწეობის ზოგიერთ მხარეს...

გათხრების შედეგად მიკვლეული წარწერების საფუძველზე დადგინდა, რომ ქართული სავანე აგებული ყოფილა IV ს-ის ცნობილი მოღვაწის, თეოდორე ტირონის სახელზე, რომელიც დიდი პატივით სარგებლობდა იერუსალიმის ეკლესიაში. იქ მისი ტაძარიც კი არსებობდა. ასეთივე პატივით სარგებლობდა თეოდორე ქართველთა შორისაც...

თეოდორეს ტაძრის წარწერათა საფუძველზე დადგინდა, რომ საქმე გვაქვს პეტრე ქართველის მიერ დაარსებულ მონასტერთან. სხვაგვარად, გაუგებარიც იქნებოდა სავანის წარწერებში პეტრესა და მისი წინაპრების მოხსენიება. მაგრამ ეს კიდევ არაა ყველაფერი. ვ. კორბომ გამოავლინა სათავსოები – ყურძნის საწური და ზეთის სახდელი, რაც, – მისი დაკვირვებით, – ქართველთა მონასტერს განასხვავებდა სხვათაგან. პეტრე ქართველის ბიოგრაფიიდან კი ცნობილია, რომ პეტრეს მიერ დაარსებულ სავანეებში იყო, როგორც „საფქვილე და საპურე“, ისე საზეთე და საღვინე“. ეს კიდევ უფრო საფიქრებელს ხდის, რომ ახლად გათხრილი სავანე პეტრეს მიერ დაარსებული მონასტერია, რომელიც VI ს-ში იუსტინიანემ განაახლა. ლაზთა მონასტერი კი მას უთუოდ იმიტომ ეწოდა, რომ მისი აგების ინიციატორი პეტრესთან ერთად მისი აღმზრდელი იოანე ლაზი იყო.

ამრიგად, ლაზთა მონასტრის გათხრა და წარწერების გაშიფრვა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია. ერთი მხრივ, მოპოვებული იქნა უძველესი ქართული წარწერები. მეორე მხრივ, ერთობ გაფართოვდა ჩვენი წარმოდგენა ქართველთა მოღვაწეობაზე პალესტინაში...

V ს-ის პირველ ნახევარში იერუსალიმის სანახებში ლაზთა მონასტრის აღმოცენება ქართველთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ბუნებრივი შედეგი იყო. მართალია, საკმაოდ დამკვიდრებული აზრით, ლაზიკაში ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ რელიგიად 523 წელს გამოცხადდა, მაგრამ ისიც კარგადაა ცნობილი, რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტეს მოძღვრება ადრეულ ხანაშივე გავრცელდა. შავი ზღვის პირას არსებული ბერძნული კოლონიებიდან ქრისტიანობა ადრევე იკვლევდა გზას ადგილობრივი მოსახლეობისაკენ. 523 წელზე გაცილებით ადრე ქრისტიანობის გავრცელებას დასავლეთ საქართველოში მოწმობს ნიკეის კრებაზე (325 წ.) ბიჭვინთის ეპისკოპოსის სტრატოფილეს დასწრება. ასე

რომ, დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა გავრცელდა და იერუსალიმის მიდამოებში ლაზთა მონასტრის დაარსება V ს-ის პირველ ნახევარში სრულებით არ არის მოულოდნელი და გაუგებარი“.

ლაზები, როგორც ჩანს, შედიოდნენ კონსტანტინოპოლზე დამოკიდებული ფასისის მიტროპოლიაში. მათი მწიგნობრული ენა, რომელზედაც ისინი პალესტინაში ღვთისმსახურებას ასრულებდნენ, ქართული იყო.

„თეოდოსის ცხოვრების“ მოწმობით, ქართველები უკვე მოღვაწეობდნენ პალესტინის სავანეებში. თეოდოსის სავანეში იბერები და ლაზები ქართულ ენაზე ასრულებდნენ ღვთისმსახურებას.

პალესტინაში ერთი-მეორის მიყოლებით აღმოცენდა რამდენიმე სავანე: ხარიტონის, პალავრის, თეოდოსის, საბაწმიდისა და სხვა, რომლებიც შემდეგ უდიდეს კულტურულ-საგანმანათლებლო კერებად იქცნენ.

VIII ს-ის მე-2 ნახევარში ტრაპიზონის მხარე დასავლეთ საქართველოს შეუერთდა. იგი ეკლესიურადაც გაერთიანებულია ლაზიკის მიტროპოლიასთან, რომლის ცენტრი იყო ფასისი-ფოთი. ტრაპიზონი ამ დროიდან მოკიდებული, ეკლესიური მიხედვითაც ლაზიკად იწოდებოდა. ასე იხსენიება იგი, როგორც ქართულ, ისე ბერძნულ წყაროებში (ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, თეოფანე აღმსარებლის ქრონოგრაფია, ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი, ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმიდელი და სხვა).

VIII-IX ს-ის ლაზისტანისა და ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ფართო სამონასტრო სავანის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. კლარჯეთის თორმეტი სავანის მშენებლობა გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მიერ ადრეული მეუდაბნოეობის ეპოქის – IV-V ს.ს-ების საბერ-მონაზვნო ცხოვრების აღორძინებაა. ფართო კულტურული თანამშრომლობა საზღვარგარეთის – ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის უდაბნოსა და სამონასტრო ცენტრებთან, სადაც ქართველები უკვე IV ს-დან იწყებენ მოღვაწეობას და რაც ქრისტიანული მწიგნობრულ-შემოქმედებითი და აღმშენებლობითი საქმიანობის გადმონერგვასა და ქვეყნის შიგნით გავრცელებას უწყობს ხელს. ლაზისტანის ტერიტორიაზე ერთი ასეთი მნიშვნელოვანი კერაა ბაგრატი



წმიდა კლაქი იერუსალიმი

III კურაპალატის მიერ X ს-ის 70-იან წლებში აშენებული პარხლის დიდი სამონასტრო კომპლექსი. იმავე წლებში შატბერდის სავანეში მოღვაწე იოანე ბერაიმ გადაწერა და პარხლის მონასტერს შეწირა სახარება, რომელიც პარხლის ოთხთავის სახელითაა ცნობილი. პარხლის მოღვაწეთა შორის ცნობილია ბერ-მონაზონი გაბრიელი – პარხლის ოთხთავისა და მრავალთავის გადამწერი.

მონასტრის მთავარი ტაძარი ბაზილიკური ნაგებობაა. მისი გეგმიურ-სივრცობრივი სტრუქტურა ოთხთა ეკლესიის მსგავსია და მასთან ერთად ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ნიმუშია. აქვეა კლდეში ნაკვეთი მრავალკილომეტრიანი სარწყავი არხი, რომლის მშენებლობა თამარ მეფეს მიეწერება.

XIX ს-ის დასაწყისში, როდესაც მესხეთის მხარე კვლავ საქართველოს ნაწილი გახდა, მეცნიერები იწყებენ ჭანეთ-ლაზეთში მოგზაურობას. ექვთიმე თაყაიშვილმა თავის მონოგრაფიაში თვალნათლივ წარმოგვიდგინა თურქეთში ძველი ქართული კულტურის ძეგლებისა და თვით ქართველების მდგომარეობა. გამაჰმადიანებულ ქართველთა ერთმა ნაწილმა მშობლიური ენა ზოგ მხარეში შეინარჩუნა. ამ ნაშრომში ლაზისტანის მონასტრის პარხლის დიდებული ხუროთმოძღვრების სურათებია წარმოდგენილი.

ქეთევან გაფრინდაშვილი



საბაწმიდა. საერთო ხედი

ლაზებს ქრისტიანული მონასტრები უცხოეთშიც ჰქონდათ. სახელდობრ იერუსალიმის უდაბნოში. ლაზებს სცოდნიათ ბერძნული ენაც. აგათია სქოლასტიკოსის სიტყვით, კოლხებს „(ლაზებს) უკვე კარგა ხანია, შეუსწავლიათ ელინთა ენა“ (გეორგიკა ტ. III გვ.127).

ამასვე მოწმობს ბერძენი მწერალი თემისტე (317-338 წწ.), რომელიც ამბობს, რომ კოლხეთში გავრცელებული იყო ბერძნული სწავლა-განათლება და კულტურა. კოლხები მონაწილეობდნენ ელინთა დღესასწაულებში, რომელშიც არა ერთ კოლხი დელს უსახელებია თავი მჭევრმეტყველებითა და რიტორიკით. მისივე სიტყვიდან ჩანს, რომ IV ს. შუა წლებში კოლხეთში (ლაზიკაში), ფოთის მახლობლად, არსებული რიტორიკული განათლების ცენტრი, სადაც სწავლობდნენ ბიზანტიიდან მოვლენილი ახალგაზრდები და თვით მასაც აქ მიუღია რიტორიკული განათლება. „მეც ჩემო კარგებო, – ამბობს თემისტე – რიტორიკის ნაყოფი მოვწყვიტე ფასისის მახლობლად, სადაც არგომ, თესალიიდან წამოსულმა, დაისადგურა, რასაც პოეტები გაოცებით მოგვითხრობენ“.

(ს. ყაუხჩიშვილი. რიტორიკული განათლების ცენტრი ძველს კოლხეთში. საქ. მუზეუმის მოამბე. ტ. 10. თბ. 1940 წ. გვ. 337-8).

დიმიტრი ბაქრაძე.
წიგნიდან: არქეოლოგიური მოგზაურობანი
გურიასა და აჭარაში

გურია-აჭარაში სამეცნიერო მოგზაურობის ჟამს დიმიტრი ბაქრაძეს შეხვედრია ერთი ძველი ნაცნობი – ლაზი ხასან-ალა...

მოგვყავს ამონაწერი საუბრიდან, რომელიც გამოქვეყნებულია მის წიგნში: „... რაც შეეხება ჭანეთს, ანუ ლაზეთს, ხასან-ალას სიტყვით, მისი საზღვრებია: ერთი მხრიდან მდ. ჭოროხი, მეორედან მთები, მესამედან ზღვა, მეოთხედან ქემერი რიზესა და მაფავრს შორის, რაც ლაზურად ამოდრუტნულ ქვას ნიშნავს. ქემერი ზღვიდან ამოშვერილი უზარმაზარი ფრიალო კლდეა, თვით ბუნების მიერ გახვრეტილი. იგი ძველადვე იყო ლაზეთისა და საბერძნეთის საზღვარი. სწორედ ამ საზღვრებშია გავრცელებული ჩვენი ენა. იგი დაჯაბნილია მხოლოდ გონიასა და რიზეში, პირველში თურქულის, მეორეში ბერძნული ენის მიერ და, გარდა ამისა, ხოფასა, არჰავესა და ათინაში მასზე გავლენა მოუხდენია ბერძნულ ენას. ლაზური ენა წმინდად შემოინახა მხოლოდ სოფლის მოსახლეობამ. იგი ძალიან ჰგავს მეგრულს. მეგრელები და ლაზები თავისუფლად უგებენ ერთმანეთს. საერთოდ, ჩვენებური თქმულებით, ჩვენ, ლაზები, მეგრელებთან ერთად ერთ ტომს შევადგენდით. ამბობენ, რომ ამ ტომს ოდესღაც შავი ზღვის მთელი სანაპირო ეკავა ქემერიდან ბიჭვინთამდე.

... კვენაში ნუ ჩამომართმევთ და, – განაგრძო ხასან-ალამ, ამ მხარეში ჩვენ ყველაზე მეომარი ხალხი ვართ. ჩვენში ყველა იარაღსხმულია და, გარდა ამისა, ყოველი შემთხვევისათვის თითოეულ ოჯახში 5-6 თოფია. ჩვენ ძალიან მარჯვედ ვისვრით და სირცხვილად მიგვაჩნია მტრისათვის ზურგის ჩვენება, როგორც უნდა გვჭარბობდნენ რიცხოვნობით. განსაკუთრებით მეომარი ხალხი არიან ჩვენი ბევრები. მათი საგვარეულოები წინათ შეძლებული იყო: ბევრი მოწა ჰქონდათ და ბევრი გლეხი ჰყავდათ. ჰქონდათ გემები და ყირიმამდე, ოდესამდე და ღუნაიმდე დაცურავდნენ, ხანდახან ბათუმსა და ფოთსაც კი იკავებდნენ. ახლა გაცილებით სუსტები არიან. ჩვენმა ბევრებმა თითქმის ყველამ იცის ქართული. ქართულად უპირატესად მათი ცოლები კითხულობენ და წერენ. მათ ძველთაგანვე ნათესაობა აქვთ ჩურუქსუელ და მეგრულ მაღალ საგვარეულებთან.

... ლაზეთში საკმაოდ ბევრია ძველი ეკლესიები; თუმცა, მათი უმეტესობა დანგრეულია. ასე მაგალითად, სარფის ტყეში დგას ერთი თლილი ქვის ეკლესია. მაკრიალში ზვანბაიას სახლის მახლობლად, მაღლობზე დგას მშვენიერი დიდი გუმბათიანი ტაძარი, ირგვლივ მაღალი გალავანი ავლია. მასში არც წარწერებია, არც მხატვრობა. იქვე დგას სვეტებზე შემდგარი ორსართულიანი სამრეკლო. ტაძარი იმიტომ გადარჩა, რომ მას ხან თავლად იყენებდნენ, ხანაც კაზემატად. იმავე სოფელში მახსოვს ძველი მომცრო ეკლესია. იქვე მინახავს ტყეში მიმობნეული ნანგრევები სხვა ეკლესიებისა. აბუ-ისლამში ეკლესია მაღალ მთაზე დგას. მას ოხვამეს ეძახიან. მგონია, მონასტერი უნდა ყოფილიყო. ძველი ჩვეულებისამებრ, გვალვის დროს აქ იკრიბებიან სოფლელები და წვიმას ევედრებიან. ქვემოთ კიდევ იყო მოხატული ეკლესია. ერთ დროს შიგ დუქანი გამართეს, მაგრამ ამ ცოტა ხნის

წინათ დაანგრეს. ორთაზოფაში მაღლობზე ეკლესია იდგა. იგი დანგრეულია, მაგრამ საძირკველი ჩანს. დიმიტრეთშიც არის დანგრეული ეკლესიები, ერთ მათგანს ბალუქლის ეკლესიას ეძახიან. ქისის მთებში კლდეზე დგას ეკლესია, რომელსაც ჯიხას ეძახიან. ფერონითში, ჟორდანას მამულში, გუმბათ-მონგრეული ეკლესია ახლაც ყველას შიშის ზარს სცემს და ახლოს მიკარებას ვერავენ ბედავს.

უნდა დავძინოთ, რომ ლაზეთის ზოგიერთ ეკლესიასთან არის ქვის საწნახელი და მიწაში ჩაფლული ქვევრები, ხოლო მათს აკლდამებში მიწაში პოულობენ სხვადასხვა საგნებს. მაგალითად, მონეტებს და სხვა. ბალუქლის ეკლესიაში ოთხი წლის წინათ ვერცხლის აკვანი იპოვეს, რომელიც ვიღაც ბერძენმა იყიდა.“

დ. ბაქრაძე – მე სიტყვა-სიტყვით გადმოვცემ ხასან-ალას ნაამბობს ლაზების შესახებ. შეიძლება, ეს ნაამბობი ზოგ რამეში სწორი არ იყოს, ანდა აზვიადებდეს რამეს, მაგრამ, ჩემი რწმენით, მან მკითხველის დიდი ინტერესი უნდა გამოიწვიოს... ლაზები რომ „ჩინებული მსროლელები არიან და პატივისცემის ღირსი მეომრული სულისკვეთებით გამსჭვალულნი, ამას ყოველად სანდო წყაროები ადასტურებენ, მაგრამ მათ მზარეში ქრისტიანობის რაიმე ძეგლები რომ შემორჩენილიყოს, ეს არ იყო საგულგებელი. მიუხედავად იმისა, რომ ლაზები მეცნიერული თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი არიან, ჩვენ მათ თითქმის არ ვიცნობთ.

... ლაზური ენის გამოკვლევის შემდეგ თუმცა ეჭვი აღარ გვეპარება, რომ ლაზები ქართველთა მონათესავენი არიან, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეგვიძლია მათს გეოგრაფიულ საზღვარზე დასავლეთით. მართალია, ამ მხრივ მიღებულია ხასან-ალას მიერ გამოთქმული შეხედულება; ასეთივე აზრის არის ვახუშტიც, რომელიც ლაზეთის დასავლეთით საზღვრად დებს „რკინის პალოდ“ წოდებულ ადგილს რიზესთან, მაგრამ ასეა კი? ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი მონაცემები: ჯერ კიდევ ჰეროდოტესა და სტრაბონის დროს ლაზები დასახლებული იყვნენ შორს დასავლეთით ტრაპიზონიდან მდ. ლალისამდე, ანუ ახლანდელ ყიზილ-ერმაკამდე. ქსენოფონტეს მიხედვით, ტრაპიზონი მდებარეობდა კოლხთა (ლაზთა) ქვეყანაში. თავის მხრივ, ქართული მატრიანეები I ს-ში (ქ. შ.) მას უწოდებენ ეგრისის სოფელს. XVII ს-ის მცხოვრებთა უმეტესობა მათ ლაზებად მიაჩნიათ. ზოგიერთი გვიანდელი მწერლის, მაგალითად, ფონტანიეს აზრითაც კი ლაზური მოსახლეობა შეჭრილია ტრაპიზონიდან დასავლეთით, თვით ჩალდირამდე, თუმცა, – შენიშნავს იგი – ბერძნული ენა აღწევს ტრაპიზონიდან აღმოსავლეთით მაფრაკამდე ქემერის კონცხთან“.

1878 წ.



ლაზები



ფარულქრისტიანთა საკითხისათვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში

1461 წელს მეტეღ II-მ რომ ტრაპიზონი (ლაზურად – ტამტრა) აიღო და ოსმალებმა იქ ფეხი მოიკიდეს, მათი ძალაუფლება დანარჩენ ლაზეთში თითქმის არ გავრცელებულა და ლაზი ხელისუფლები, თუმცა ოსმალთა ვასალებად ითვლებოდნენ, კიდევ დიდხანს, საუკუნეთა განმავლობაში, ცდილობდნენ, ეწარმოებინათ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა.

ისქანდერ მუნში თავისი თხზულების – „შაჰ-აბას დიდის ისტორიის“ ბოლოს, როცა აღნიშნავს შაჰ აბას I-ის სიკვდილს (1629 წ. 19 იანვარს), მოკლედ ეხება მის პიროვნებას, მისი დროის ცნობილ ამბებს, თუ რა ფართო მასშტაბი ჰქონდა მის საერთაშორისო კონტაქტებს, რომ მასთან მიმოდითდნენ ელჩები სხვადასხვა ქვეყნების მმართველებიდან: „ამ მმართველებს შორის იყვნენ ქრისტიანი მმართველები: ლაზეთისა, გერმანიისა, საფრანგეთისა, ინგლისისა, პოლანდიისა, პორტუგალიისა და ესპანეთისა, ისევე, როგორც პაპი, რომელიც წარმოადგენს ყველაზე დიდ ქრისტიან მმართველს, ქრისტიანების ხალიფას და არის მაგალითის მიმცემი ყველა ქრისტიანული სექტისათვის. შაჰის კარი იშვიათად იყო უცხოელი ელჩების გარეშე“. ისქანდერ მუნშის წიგნის ინგლისურ ენაზე მთარგმნელი როჯერ მ. სეიფორი ამ ადგილს უკეთებს შემდეგ კომენტარს: „ლაზები არის ხალხი სამხრეთ კავკასიური ტომისა, რომელიც ცხოვრობს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან მიმდებარე რეგიონში, უძველეს კოლხიდაში. ეს მიმართება ელჩების გაგზავნასთან სეფიანთა ირანში წარმოადგენს მნიშვნელოვან საბუთს ლაზების მმართველთა ვირტუალური ავტონომიისა XVII საუკუნეში“.

ისქანდერ მუნშის ამ ცნობაში ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა არა იმდენად ის, რომ ლაზი ხელისუფალნი აწარმოებდნენ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას და თანაც იმდენად დამოუკიდებელს, რომ, ამყარებდნენ დიპლომატიურ ურთიერთობას ოსმალების მოწინააღმდეგე სახელმწიფოსთან, რამდენადაც ფაქტი ლაზეთის მოხსენიებისა ქრისტიანულ ქვეყნად იმდროინდელი ევროპის ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოთა შორის. თვით ოსმალური წყაროებიდანაც ჩანს, რომ ტრაპიზონის ვილაიეთში XVI

საუკუნეში მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ქრისტიანები შეადგენდნენ; მაგალითად: სურმენეს ნაპიეში – 2514 კომლიდან მუსულმანურია მხოლოდ 124, რიზეს კაზაში – 2225-დან 162, ათინას კაზაში – 3683-დან 584“ და ა. შ.

რადგან XVII საუკუნის მუსულმანი ისტორიკოსი სპარსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის მქონე ქრისტიანული ქვეყნების ჩამოთვლას ლაზეთით იწყებს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ შემდეგში ლაზეთის ტერიტორიაზე მუსულმანობის გავრცელებას დიდი სირთულეები უნდა შეხვედროდა.

ტრაპიზონის ვილაიეთის ტერიტორიაზე, ანუ შავ ზღვასა და პონტოს (იგივე ლაზეთის) ქედს შორის მდებარე მიწის ვიწრო ზოლზე ეთნოგენეტიკური პროცესები, ანატოლიის სხვა ოლქებისაგან განსხვავებით, ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა და ავტოქთონურ მოსახლეობას ხალხთა აღრევის პროცესმა თითქმის გვერდი აუარა. სამაგიეროდ, გადამწყვეტი როლი ითამაშა აქ ეთნორელიგიურმა ფაქტორებმა, რამაც აღნიშნულ რეგიონში მოსახლეობის მოჩვენებითი სიჭრელე გამოიწვია.

ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკურ შედგენილობაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ არც ძველი და არც მოგვიანო ხანის ავტორები არაფერს იუწყებიან. თუმცა, როგორც ცნობილია, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX–V საუკუნეებში ჩნდება ცალკეული ბერძნული ქალაქ-კოლონიები, რომლებიც გაცხოველებულ ვაჭრობას ეწევიან ადგილობრივ მოსახლეობასთან, რის შედეგადაც ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის ეკონომიკურ ბაზარში ჩაერთო ავტოქთონური ეთნიკური ელემენტი. ამან კი ხელი შეუწყო მომდევნო საუკუნეებში ბერძნულ-რომაულ კულტურულ სამყაროსთან კონტაქტს.

ბერძნული ეთნიკური ელემენტი ქვეყნის სიღრმეში არ შეჭრილა: „აქ, როგორც ჩვენ ვცადეთ დაგვემტკიცებინა, – აღნიშნავს ო. დ. ლორთქიფანიძე, – არ აღმოცენებულან ბერძნული პოლისები სამიწათმოქმედო ეკონომიკით, ე. ი. ქალაქები, სიღრმისეული სტრუქტურითა და ტერიტორიით. მართლაც, არქეოლოგიური

გამოკვლევები კოლხეთის ზღვისპირა ზოლში... მოწმობენ, რომ როგორც შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის დასაწყისამდე, ასევე მის პერიოდში, მთელი ეს ტერიტორია მყარად იყო დაკავებული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, რომლის საწარმოო საქმიანობაც, მიწათმოქმედებასა და ხელოსნობასთან (კერამიკული, რკინის დამამუშავებელი, საფეიქრო) ერთად, დაკავშირებული იყო ზღვასთანაც (თევზჭერა და მარილის რეწვა). ყოველივე ეს, თავის მხრივ, ხელს უშლიდა ბერძნების აგრარული კოლონიების განვითარებას“.

დ. ე. ერეშევი, თურქთა ეთნოგენეზისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური შრომის ავტორი, აღნიშნავს, რომ „სპარსელთა შემდეგ მაკედონელთა ბატონობა ნაკლებად შეეხო ამ მხარეს, რომელიც გამოყოფილია მცირე აზიის დანარჩენი ნაწილებისაგან პონტოს მთებით. მაკედონელის იმპერიის დაშლის შემდეგ აქ წარმოიქმნენ დამოუკიდებელი მონათმფლობელური სახელმწიფოები: დასავლეთით – პაფლაგონია, აღმოსავლეთით – ბერძნულ-ლაზური პონტოს სამეფო. IV საუკუნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბერძნული კოლონიზაცია გაძლიერდა, რამაც გამოიწვია, განსაკუთრებით დასავლეთ რაიონში, ელინური კულტურის გავრცელება. მაგრამ ლაზიკაში რიცხობრივი შეფარდებით ლაზები სჭარბობდნენ ბერძენ კოლონისტებს. ჩვენი წელთაღრიცხვის III-IV საუკუნეებში ლაზებმა გადაადგეს რომაელთა ბატონობის უღელი, შექმნეს ეგრისის სამეფო, რომელიც გაშლილი იყო მდინარე ეშლი-ირმიქიდან რიონის დაბლობამდე. იგი VI ს. დაპყრობილ იქნა ბიზანტიელების მიერ. ...XIII ს-ის დასაწყისში ლაზიკაში საქართველოს მხარდაჭერით შეიქმნა ბერძნულ-ლაზური სახელმწიფო – ტრაპიზონის იმპერია, ქართველთა დედოფლის ნათესავების – ალექსი და დავით კომნენოსების (ლაზურად – კომანარი, წ. ბ.) ძალაუფლების ქვეშ“.

თითქმის ორიასწლეულიან მეზობლობას, უფრო ხშირად კი ბერძენთა უშუალო ბატონობას, არ შეიძლებოდა კვალი არ დაემჩნია აქაური ქართული ტომების მდგომარეობაზე.

ლაზთა ელინიზაცია საუკუნიდან საუკუნემდე ძლიერდებოდა, ხოლო ქრისტიანობის წარმოშობასთან ერთად, რომელმაც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში „იპოვა განსაკუთრებით ნაყოფიერი ნიადაგი სწორედ პონტოს პროვინციებში“, ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია გაძლიერდა, რასაც, ცხადია,

ხელს უწყობდა ის, რომ სახელმწიფო და საეკლესიო ენა იყო ბერძნული.

ტრაპიზონის ოსმალთა მიერ დაპყრობის შემდეგ ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც ლაზეთის ქალაქური მოსახლეობის ბერძნულ ელემენტს შეადგენდა, გასახლებულ იქნა კონსტანტინოპოლსა და ბალკანეთში, ბევრი გარბოდა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროსაკენ, „ხოლო აქ ჩაასახლეს თურქულენოვანი ხალხისა და ალბანელების გარკვეული რაოდენობა“. ადგილობრივი, ძირითადად სოფლის, ლაზური მოსახლეობის ისლამიზაცია კი საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. ამას მრავალი ფაქტორი უწყობდა ხელს, მაგრამ მათგან უმთავრესი იყო მუსულმანთათვის საგადასახადო უღლის შემსუბუქება და გაბატონებული ტომის უფლებათა მიღება, რადგან მხოლოდ მუსულმანს ჰქონდა „იარაღის ტარების უფლება და ყველაზე მაღლა მდგომ ქრისტიანს შეხვედრისას გზა უნდა დაეთმო ყველაზე დაბლა მდგომი მუსულმანისათვის“.

ისლამის რჯულზე გადასვლა ზოგჯერ მხოლოდ მოჩვენებითი იყო. ისლამზე გადასული ქრისტიანები საუკუნეების განმავლობაში „ფარულად მისდევდნენ ძველ, მართლმადიდებლურ ადათ-წესებს“. ქრისტიანები კი, როგორც ვიცით, ოსმალთა იმპერიის ბოლო დრომდე რომ არაფერი ვთქვათ მისი ძლიერებისა და აყვავების პერიოდზე, აბსოლუტურად უუფლებონი იყვნენ. ამიტომ ახალმოქცეული მუსულმანი ერთგულად იბრძოდა თავის გარემოცვაში ისლამის დამკვიდრებისათვის. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო საზოგადოების შეძლებული ფენა, რომელიც ცდილობდა, არ დაეკარგა თავისი მამულები და მეტი სარგებელი მიეღო. სასულიერო პირთა და მოქალაქეთა ნაწილი ხშირად იცვლიდა თავიანთი რელიგიის დოგმებს და ქრისტიანობის შესანარჩუნებლად იღებდა გრიგორიანობას, კათოლიკობას, უფრო ხშირად კი ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქს და მათივე მუსულმანი თანატომების თვალში ხდებოდა შესაბამისად: სომხად, ფრანგად და ბერძნად. ქართველები კი „სწორედ ამის გამო მუსულმან ქართველს უწოდებდნენ თათარს ან თურქს (იმის მიხედვით, თუ ისლამის რომელ მიმდინარეობას აღიარებდნენ – შიიზმს თუ სუნიზმს). ქართველს, რომელსაც გრიგორიანობა ჰქონდა მიღებული – სომეხს, ქართველ კათოლიკეს – ფრანგს, იუდაიზმზე გადასულს კი – ებრაელს“. ამის შესახებ ჯერ კიდევ XIX ს-ში ცნობილი ქართვე-

ლი საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი ს. მესხი გულისტკივილით წერდა: „დიდი ხანია მას აქვთ, რაც ჩვენ ყოველი კავშირი გავწყვეტით ოსმალის საქართველოსთან, ახალს ქართულ ლიტერატურაში ორი სიტყვაც არ თქულა მათზე!

ისინი ჩვენ ძმებად გეთვლიან და ჩვენ კი იმათ ოსმალეობად ვრაცხავთ“. ასე რომ, მუსულმანობის შემოჭრასთან ერთად ისედაც რთული ეთნორელიგიური შემადგენლობა ადგილობრივი მოსახლეობისა საბოლოოდ აირია. ელნიზებული ავტოქთონების ნაწილმა სიხარულით გაცვალა „საზიზღარი“ დამყრობელი ბერძნების ენა და რელიგია თურქულ ენასა და მუსულმანობაზე, ნაწილმა კი კიდევ უფრო განამტკიცა თავისი „ბერძნული“ თვითშეგნება. თუმცა ერთნიც და მეორენიც დღემდე ინარჩუნებენ ლაზურ ანთროპოლოგიურ ტიპორობას, ყოფას და უწოდებენ თავიანთ თავს ლაზებს, თავიანთ ქვეყანას კი ლაზისტანს.

XIX საუკუნეში ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ქრისტიანობას და სხვებისაგან იწოდებოდა „ბერძნებად“, თუმცა როგორც აღნიშნავდა ნ. მარი: „არიან აგრეთვე ბერძენები, კავკასიელი ბერძენები, რომელთა ეროვნების გამოცნობა ყოველთვის როდი ხერხდება ენის და კიდევ უფრო ნაკლებად, რელიგიის მიხედვით“.

გ. პალგრევი თავის ანგარიშებში ანატოლიის პროვინციის შესახებ წერს, რომ „მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ახლაც ჯერ კიდევ შედგება ე. წ. „ბერძნებისაგან“... და ბოლოს, ვინაიდან მოყოლებული აღმოსავლეთით, ტრაპიზონამდე, გვხვდება უფრო წარმოსადგევი და ლამაზი ტიპი, რომელიც ლაზებს ანუ კოლხებს მოგვაგონებს“. თუმცა-ღა 1867-1868 წწ. ანგარიშებში თვითვე ამბობს, რომ „ამ მხარის მუსულმანური მოსახლეობა ძირითადად ლაზურია“. ე. ი. ამ რეგიონის ქრისტიანული და მუსულმანური ელემენტი ლაზურია, რაც მტკიცდება ბევრი სხვა მკვლევარის მონაცემებიდანაც. ცოტა ქვემოთ კი, როცა ეხება იქაურ ბერძნებს, წერს: „უნდა აღინიშნოს, რომ აქაური ე. წ. ბერძენები სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ლაზები, რომლებმაც ბიზანტიის პერიოდში მიიღეს ქრისტიანობა და მას შემდეგ თავისებურად ინარჩუნებენ მას“.

მუსულმანთა და ქრისტიანთა გვერდით XIX საუკუნეში ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში საინტერესო ეთნორელიგიურ მოვლენას წარმოადგენენ ე. წ. კრომლები; სპეციალურ ლიტერატურაში მათ აგრეთვე სტავრიოტებს, კრიპ-

ტოქრისტიანებს, კარამანლიებს, მეზომეზოებს და უბრალოდ ლაზებს უწოდებენ: „ტრაპიზონიდან მოყოლებული აღმოსავლეთით, ლაზეთის ქედის ჩრდილოეთით, ნაწილობრივ კი სამხრეთით ფერდობებზე ჭარბობს ბერძნული (ქრისტიანული, ე. წ. ბ.) ტომი, რომელიც აშკარად მისდევს ბერძნულ სარწმუნოებას, არა აქვს საკუთარი ეკლესიები და ეფარება თურქთა (მუსულმანთა, ე. წ. ბ.) წეს-ჩვეულებათა აშკარა შესრულებას. სწორედ ამ განდგომილებს უწოდებენ თურქები ლაზებს, რომლებსაც არ მიაკუთვნებენ არც ურუმებს (ბერძნებს), არც გურჯებს (ქართველებს) და არავითარ შემთხვევაში ოსმალ-თურქებს. თურქები ირწმუნებიან, რომ ლაზებს აქვთ რაღაც საკუთარი სარწმუნოება, რომელიც არა ჰგავს არც ბერძნულს, არც ქართულს, არც თათრულს, არამედ წარმოადგენს ყველა ამ სარწმუნოებათა ნარევს“. ცოტა ზევით იგივე ავტორი წერს, რომ „ჩრდილოეთის ფერდობის მთელი სანაპირო სივრცე, ტრაპიზონიდან მოყოლებული აღმოსავლეთით შავ ზღვასთან დღეუ მენის შესართავამდე, ძირითადად დასახლებულია ხალხით, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს ლაზებს, რომელთა წარმოშობის უეჭველობით გარკვევა ძნელია: დასაშვებია ვივარაუდოთ, რომ ისინი წარმოშობილი არიან თავის ენა და სარწმუნოებადაკარგულ ქართველთაგან. თუმცაღა ბერძენები და თურქებიც მარწმუნებდნენ, რომ ეს ხალხი (თუმცა არა მთელი მასა, არამედ ნაწილი) ფარულად აღიარებს რაღაც სხვა სარწმუნოებას, ხოლო სახელდობრ რომელს, ამის გაგება შეუძლებელი აღმოჩნდა“.

ამ მხარეში რაიმე განსაკუთრებული რელიგიის არსებობის შესახებ ლაპარაკი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. აქ, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, ქრისტიანობისა და ისლამის თანდათანობითი შერწყმა იგულისხმება და, აგრეთვე, ქრისტიანობამდელ წეს-ჩვეულებებისა, რომლებიც ამ მხარის ავტოქთონებს ჯერ კიდევ შემორჩათ. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ აქ ე. ი. სტავრიოტების (კრიპტო-ქრისტიანების — კრომლების) შესახებ იყო ლაპარაკი.

პ. ედვინი თავის წიგნში „თურქეთი და მისი ხალხი“ ამ პრობლემას მთელ თავს უძღვნის და წერს: „სტავრიოტების უმრავლესობა ლაზისტანიდან არის გამოსული. ბევრი მათგანი მადანთომობოვებელია.“

ლაზთა უმრავლესობა ფანატიკოსი მუსულმანია, მაგრამ მათ შორის შეიძლება ლაზ ქრისტიანებსაც შევხვდეთ.

ისინი, ისევე როგორც ბევრი სტავრიოტი, დიდ მანძილს გადაინსამადნობებზე სამუშაოს ძებნაში. ვფიქრობთ, რომ მათი პოვნა უფრო მრავლად შეიძლება აქტალ-მადენის სამადნობებზე, რომლებიც ანგორის ვილაიეთშია. მათ ჰყავთ თავისი ეპისკოპოსი, ცხადია, მართლმადიდებელი, ის იმყოფება გიუმუშხანეში (გერცხლის საწყობი). მას შორის უხდება მოგზაურობა თავისი „სამწყოსათვის“ ყურადღების მისაქცევად. ბევრი მათგანი იმყოფება მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, არიან სხვებიც; ისინი მუშაობენ სამადნობებზე, რომლებიც მდებარეობს ერგელის მახლობლად, კონიას იქით, და აგრეთვე ტავროსში“.

ამგვარად, კრიპტოქრისტიანების ძირითად მასას, ყოველ შემთხვევაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში მაინც, ლაზები შეადგენენ. იგივე ავტორი სტავრიოტებისადმი მიძღვნილ თავში წერს: „უეჭველია, რომ მცირე აზიაში ცხოვრობენ კრიპტოქრისტიანები, რომლებსაც მაჰმადიანებამ თვლიან. 1904 წელს მართლმადიდებელი პატრიარქი არკვევდა საქმეს, რომლის დიდი ყურადღება მიიქცია სტავრიოტების ჯგუფმა, ქრისტეს მიმდევრების სახელით რომ არის ცნობილი და ბათუმსა და ტრაპიზონს შორის რომ მოსახლეობს. მართლმადიდებელი მღვდელი ციხეში ჩასვეს ამ სექტის ერთ-ერთი წევრის დაკრძალვისას ქრისტიანული წესის შესრულების გამო. მიცვალებული, ხელისუფლების მტკიცებით, მუსულმანი იყო.“

მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომლებიც ისლამს უხდიდნენ ხარკს, იმდენად მრავალრიცხოვანი იყვნენ, რომ პატრიარქს ეშინოდა აჯანყებისა, თუ მოძღვარს არ გაათავისუფლებდნენ. მთელი მსოფლიო შეიტყობდა ამ სკანდალსა და იმის შესახებ, თუ როგორ უშლიდნენ ხელს ადამიანებს მოეხდათ თავისი ქრისტიანული ვალი. პორტამ (ოსმალეთის მთავრობამ, წ. ბ.) დათმო“.

იგივე ავტორი წერს, რომ ლაზეთში „იმყოფება დაახლოებით 30 ათასი სტავრიოტი. ისინი აშკარად აღიარებენ მუსულმანობას, თუმცა ფარულად ქრისტიანულ წესებს ასრულებენ. ისინი დასაშვებად არ თვლიან მრავალცოლიანობას. ქორწინების ცერემონიალი ქრისტიანულია. მას ატარებენ ქვის სახლში, ან სარდაფში. შემდეგ, მუსულმანობის კუთვნილებისადმი მოჩვენებითი შთაბეჭდილების შესაქმნელად, აგრძელებენ ცერემონიალს მაჰმადიანური წესების დაცვით. ერთმანდობის ღირსმა ბერძენმა მიაბზო ისტორია იმის

შესახებ, თუ როგორ ეწვია შინ ოჯახს, რომელსაც ყოველთვის მუსულმანურად თვლიდა. სახლში სუფრა იყო გაწყობილი, რომლის ერთ მხარეს ელაგა სამარხვო საჭმელი, მეორეს მხარეს კი ხორცი. ის გააკვირვა მათმა მიხვედრილობამ, რომ მისთვის სამარხვო საჭმელი მოეზადებინათ, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ ისინი თვითონვე იცავდნენ დიდმარხვას (ქრისტიანულს, წ. ბ.), ხოლო, რაც შეეხება ხორცს, ის სტუმრისათვის არის მომზადებული. ცოტა ხანში სახლში მოლა შემოვიდა, რომელმაც სტუმართა გასაოცრად ქრისტიან მღვდლად წარადგინა თავი“.

რაც შეეხება მათ ჩვეულებებს, – „როდესაც სექტის წევრი კვდება, ქრისტიანული ცერემონიალის გვერდით სრულდება მუსულმანური. ამ თემის მოხუცებმა გვითხრეს, რომ 50 წლის წინ მათი საიდუმლო ცერემონიალები დიდი სიფრთხილით უნდა შესრულებულიყო, მაგრამ ახლა იმის გამო, რომ მამაკაცები ჯერ კიდევ ითვლებიან მუსულმანებად და აძენად სამხედრო ვალდებულნი არიან (ოსმალეთის იმპერიის ჯარში იწვევდნენ მხოლოდ მუსულმანებს, წ. ბ.), არაფერი იწუხებს თავს იმის გასარკვევად, მართლაც ქრისტიანები არიან ისინი, თუ მუსულმანები“.

ერთ-ერთი უდიდესი პუნქტის, სადაც კრიპტოქრისტიანები ცხოვრობდნენ – კრომის სახელწოდების მიხედვით, ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ყველა ფარულ ქრისტიანს კრომლი უწოდეს. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, კრიპტოქრისტიანები, ანუ კრომლები წარმოშობით ძირითადად ლაზები არიან, თუმცა ზოგიერთი ავტორი, მათ შორის ა. შპაუნიკოვი, საქმეში ჩაუხედავად, ყველა ქრისტიანს ბერძნად მიიჩნევს. კერძოდ, ის წერს: „კარამანლები (კრომლები, ან სტავრიოტები) – გათურქებული ბერძნები (ალბათ, ავტორს იმის თქმა უნდოდა – გამაჰმადიანებული მართლმადიდებელი ქრისტიანები არიანო, წ. ბ.). ...რელიგიის მიხედვით ოფიციალურად მუსულმანებად ითვლებიან, მაგრამ, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, ფარულად აღიარებენ მართლმადიდებლურ ქრისტიანობას (რისთვისაც მათ აგრეთვე კრიპტოქრისტიანებს უწოდებენ“.

უნდა აღინიშნოს, რომ კრომლების სარწმუნოებას წარმართულ კულტებთანაც ბევრი საერთო აქვს.

წარმართობისა და ქრისტიანობის გადმონათობები დღემდე შემორჩა ლაზთა ყოფაში, ძი-

რითადად ქალთა შორის; ისინი, მამაკაცთაგან განსხვავებით, ენისა და ტრადიციების ჭეშმარიტი დამცველები არიან: „აჭარული და ლაზური მოსახლეობის მამაკაცური ნაწილი საბოლოოდ მოხვდა თურქთა (მუსულმანობის, წ. ბ.) გავლენაში, მაგრამ ქალები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ნახევრად ქრისტიანულ ზოგიერთ იდეას, რომლებიც ახლოს არიან გურიამი არსებულ ასეთივე იდეებთან. დღევანდლამდე აჭარლებს შემორჩათ პატივისცემა ქრისტიანული ძეგლებისადმი, რომლებიც მრავლად არის მთებში. მათ მიმართავენ ქალები ძვირფასი არსების ავაღმყოფობის შემთხვევაში, ლოცვით გამოსთხოვენ წმინდანებს განკურნებას, სწირავენ მსხვერპლს, ნანგრევთა კედლებზე აწებებენ თაფლის სანთლებს, ბურჩების ტოტებზე აბამენ თავისი კაბის ნაჭრებს, რათა მათთან ერთად, ლოცვის შემდეგ, დატოვონ თავიანთი სწულულებანი. წმინდა ადგილებს ეწვევიან ხოლმე მუსულმანები ამა თუ იმ ქრისტიანული წმინდანების დღეობაზე გაუცნობიერებლად და ნახევრად გაცნობიერებულად, რასაც ისინი იმით ხსნიან, რომ ასე იქცეოდნენ მათი წინაპრები“.

აკადემიკოსი ა. ჩიქობავა ჭანური ტექსტების ანალიზის შედეგად ასკენის, რომ ლაზეთში „ქრისტიანობის ადათ-წესები მოსახლეობას კარგად ახსოვდა. ზოგჯერ მას იცავდნენ არა როგორც გარკვეული სარწმუნოებისათვის ნიშანდობლივ მოვლენას, არამედ როგორც მამა-პაპათაგან ნანადერძვე ჩვეულებას, რომელიც უპირისპირდებოდა ახალს, უცხოურს, მუსულმანურს, როგორც ძველი, მშობლიური, საკუთარი ჩვეულება“.

ს. მესხი თავის წერილში „ოსმალის საქართველო“ წერს, რომ აქაური ქართველობა „თუმცა დიდი ხანია გამაჰმადიანებულია, მაგრამ ახლაც სასოებით დაიარებიან თურმე იქაურს ქართული ეკლესიების ნანგრევებში და შესაწირავი მიაქვთ. იმათ ახსოვთ, რომ ჩვენი თანამოძმენი არიან, რომ ერთ დროს საზოგადო ისტორიული ცხოვრებით გვიცხოვრია, ერთს ბედსა და უბედურობის ქვეშ ვყოფილვართ, ერთი მეფეები გვეყოლია, ერთი მმართველობა და ერთი ენა, სარწმუნოება“.

ეს ყველა იმათ ახსოვთ, იმათ იციან, მაგრამ ჩვენ?

ვის ახსოვს ჩვენში, რომ ჩვენ გვერდით, აქვე, მთებს გადაღმა ორას ათასამდე ქართველი ცხოვრობს, რომ ჩვენ ერთი ქვეყნის შვილინი, ძმები ვართ, რომ ჩვენ შორის განსხვავება მხოლოდ

ის არის, რომ იმათ ძალდატანებით სარწმუნოება შეუცვლიათ და სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან? ან თუ ახსოვს ვინმეს, ვინ ცდილობს, რომ ჩვენს შორის ისტორიულ ვითარებათა წყალობით გაწყვეტილი კავშირი და მათი მდგომარეობა გაეცნო და, აგრეთვე, ჩვენი თავიც გაეცნო მოძმეებისათვის“.

როგორც ნ. მარი და ბ. კუფტინი აღნიშნავენ, ლაზეთა შორის აქამდე შემორჩა მითრას კულტი და მასთან დაკავშირებული რიტუალები: „ძველი იბერიის სახელმწიფოში ძლიერ გაცვეთილ დანაღებულ სწორედ ამ კალენდარულ ფაზაში არსებული დღესასწაულის მითრას (ძველი სპარსული მითრა, ფალაური მიტრო) პატივსაცემად აქამდე კიდევ ლაზეთში შენარჩუნებულია, ზაფხულის მზებუდობის პერიოდშივე, ხოლო ზოგიერთი ცნობის მიხედვით, 14 აგვისტოს (ძვ. სტ.), სახალხო დღესასწაული, რომელიც ცნობილია მიტროპის (მიტრობას ნაცვლად) ან ლიტროპის სახელწოდებით, ზღვაში რიტუალური განბანვით“.

პ. ელვინი კი აღნიშნავს: „გულდასმითი კვლევა დაადგენს, რომ საინტერესო რელიგიური რიტუალი ღვინის მიღებისა, კრიპტოქრისტიანთა ზოგიერთ სექტაში მეტად დაფასებული, სინამდვილეში მითრაიზმის თუ ქრისტიანული ზიარების გადმონაშთია“.

ამასთან ერთად, XIX საუკუნის დასასრულსაც კი იყვნენ მთელს ზღვისპირა მთიან ქვეყანაში „გაფანტულნი ბერძნული (ქრისტიანული წ. ბ.) დასახლებანი. ზოგიერთი მათგანი, შორეულ გვერდითა ხეობებში მდებარე, აშკარად აღიარებს მართლმადიდებლურ რელიგიას და იყენებს ბერძნულ ენას. თავის წევრთა შორის თვლიან მედგარ მღვდლებს და მთელს სამონასტრო სამშობებს, რომლებიც ცხოვრობენ განმარტოებულ მონასტრებში. სხვებმა, როგორც ჩანს, ვერ გაუძლეს რა გამარჯვებულ ფანატიკოსთა მოწოლას, ისლამი მიიღეს, ლაპარაკობენ თურქულად, ატარებენ თურქულ სახელებს, საჯაროდ ლოცულობენ მეჩეთში, მაგრამ ფარულად, ბერძნებისათვის დამახასიათებელი სიჯიუტით, ვერ ეღვევიან მშობლიურ წესებსა და რელიგიას, ინარჩუნებენ ბერძნულ სახელებს, იკრიბებიან მთის გამოქვაბულებში და იქ ფანატიკური მორწმუნეობით ემსახურებიან თავის წინანდელ ღმერთს“.

აქ არ იქნება უადგილო, გავიხსენოთ პ. აჭარიანის სიტყვები, რომ „ტრაპიზონში, გიუმუშხანეში, პლატანასა და სხვა ადგილებში

მცხოვრები ქრისტიანი ლაზები ექვემდებარებიან კონსტანტინოპოლის პატრიარქს და ლაპარაკობენ ბერძნულად. რიზეს, იომურას, ოფის, სურმენეს და სხვა რაიონებში მცხოვრები მუსულმანი ლაზები კი ლაპარაკობენ თურქულად“.

რომ აქ ნამდვილად ლაზებზეა ლაპარაკი და არა ბერძნებზე, მშვენივრად ჩანს მისიონერ ლუი გრანჟეს ცნობიდანაც. 1651 წელს იგი წერდა: „დაბა რიზე მდებარეობს ლაზების ქვეყანაში, რომელიც განვრცობილია ტრაპიზონიდან საქართველომდის. მაგრამ იმ ნაწილში, რომელიც უფრო ახლოსაა ტრაპიზონთან, ლაპარაკობენ ბერძნულად. იმაში კი, რომელიც უფრო ახლოსაა საქართველოსთან, ლაპარაკობენ, საერთოდ, სამეგრელოს ენაზე... იმ მცირედენ ნაწილს, რომელიც დარჩა წინანდელ მცხოვრებთაგან (ქრისტიანებად), შერჩენილი აქვთ მხოლოდ ქრისტიანული სახელი და ნათლისღება, რომელიც მათზე იყო უკვე შესრულებული“.

ამას გარდა, თვით „ლაზთა, რომლებიც ხშირად ავლენენ თავს მართლმორწმუნე მუსულმანებად, მაჰმადიანურ რელიგიაშიც შემონახულია ბევრი ქრისტიანული ჩვეულება“.

ცნობილი რუსი მეცნიერი და მოგზაური პ. ა. ჩინაოვი, რომელმაც მრავალი წელი გაატარა ოსმალეთში, ამ საინტერესო ეთნორელიგიური მოვლენის შესახებ წერს: „მოსახლეობა თვით პრიმიტიულ სოფლებშიც კი, გირესუნსა და თირებოლუს შორის, ისევე როგორც თირებოლუსა და გიუმუშხანეს შორის, წარმოადგენს საინტერესო მოვლენას. ეროვნება (რელიგიური კუთვნილება, წ. ბ.) მოსახლეობის უმრავლესობისა შერეულია, ისინი აშკარად აღიარებენ ისლამს და საზოგადოებრივ ადგილებში ლაპარაკობენ თურქულად, მაგრამ ფარულად ასრულებენ აღმოსავლური ბერძნული ეკლესიის წესებს, შინ ლაპარაკობენ ბერძნულად და თითოეული მათგანი ორ სახელს ატარებს. ასე, მაგალითად, თუ რომელიმე მათგანი დილას გამოჩნდება თეთრ ან მწვანე ჩაღმაში („ნაღდ მართლმორწმუნეთა“ ფერები) და ეძახიან ახმედს ან სელიმს, საღამოთი ქოხში, ან ფარულ მღვიმეში ის უერთდება თავის ერთმორწმუნეთ ქრისტიანული რელიგიის წესის საიდუმლოდ შესასრულებლად პაპას-ის (მღვდელი) ხელმძღვანელობით, რომელიც რამდენიმე საათის წინ მჩრეთში მოლას როლს ასრულებდა. აქ ხალხი ლაპარაკობს ბერძნულთავის დამახასიათებელი სწრაფმეტყველებით და ატარებენ უკვე სხვა სახელებს – გიორგი,

სიმონი ან პეტრე.

ქრისტიან-მუსულმანთა უმრავლესობა წარმოშობით საკმაოდ დიდი სოფლიდან – კრომიდანაა, რომელიც მდებარეობს გიუმუშხანედან ჩრდილოეთით – ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 30 კილომეტრზე. აქედან ისინი განსახლდნენ მთელს რაიონში ტრაპიზონის, გიუმუშხანესა და თირებოლუს შორის და აგრეთვე სანაპიროს ზოგიერთ ადგილას. მათი რაოდენობა სულ მცირე 50 000 აღწევს“.

ეს ციფრი გადაჭარბებული არ უნდა იყოს. მაგალითად, ი. ი. სოკოლოვი წერს, რომ მხოლოდ „ტრაპიზონში და მის შემოგარენში 1860 წ. აშკარად განაცხადა თავი ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებლად 20 ათასამდე მცხოვრებმა, რომლებიც ძველთაგანვე იყვნენ ქრისტიანები და ფარულად, ღამით ასრულებდნენ ქრისტიანობის ყველა მოთხოვნას, მაგრამ მუსულმანთა შიშის გამო და თავისი მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესამსუბუქებლად თავს მუსულმანებად ასალებდნენ“.

ოსმალეთის იმპერიის მოსახლეობის რელიგიურ შემადგენლობაზე ლაპარაკისას მ. ა. უბინინი აღნიშნავს: „არიან კიდევ ლაზები შავი ზღვის ნაპირის გასწვრივ, ტრაპიზონის აღმოსავლეთით, რომლებიც, დრუზების მსგავსად, ერთნაირად აღიარებენ ქრისტიანულ სარწმუნოებასა და ისლამიზმს. ისინი აღირიცხებიან 20 000-მდე“.

აქ, ორივე შემთხვევაში, ლაპარაკია კრომლების შესახებ, რომლებმაც XIX ს-ის მეორე ნახევარში, სარგებლობდნენ რა რუსი და ევროპელი კონსულების მხარდაჭერითა და მფარველობით ოსმალეთის ამ ნაწილში, დაიწყეს ქრისტიანობაზე აშკარა გადასვლა. ამიტომ მათი რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. გიუმუშხანეში კრომლების მართლმადიდებლობასთან შერწყმის დროიდან მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სხვადასხვა ხერხებით შეძლო რუსეთის ქვემეგრდობის მიღება, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ არ ყოფილიყვნენ დევნილნი სარწმუნოების აშკარა აღმსრულებლობისათვის.

აქ არ იქნება ურიგო შევნიშნოთ, რომ ისტორიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისი, თითქოს არამუსულმანები ოსმალეთის იმპერიაში განიცდიდნენ უმოწყალო დისკრიმინაციას, დაზუსტებას მოითხოვს. საქმე იმაშია, რომ მუსულმანური იდეოლოგიის ბატონობის პირობებში ოსმალეთის იმპერია გამოირჩეოდა შედარებით „რჯულშემწყნარებლობით“. გამაპ-

მადიანების პროცესი მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან, რომლებიც ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარეობდნენ. მოსახლეობის ძალდატანებითი გამუსულმანების პროცესს მასობრივი ხასიათი არ მიუღია, ეს არც შეესაბამებოდა იმპერიის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს. ჩვეულებრივ მუსულმანობას მოსახლეობა იღებდა საკუთარი საზოგადოებრივი და ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად.

მუსულმანობა, რომელმაც ჯერ კიდევ „დიდ-თურქობის“ დროიდან დაიწყო და შემოიჭრა მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთში, იმთავითვე ერწყმოდა ადგილობრივ ქრისტიანულ ტრადიციებს.

ვ. გ. გორდლეკსკი იბნ ბატუტაზე დაყრდნობით წერდა, რომ „ჩრდილოეთში, შავ ზღვასთან, არა მხოლოდ მოსახლეობა, არამედ ყალიც კი, ისლამის ოფიციალური წარმომადგენელი, არღვევდა სუნას“. თუმცა ლაზეთში გამუსულმანების პროცესი საკმაოდ სწრაფად მიდიოდა, აქ „ქრისტიანებს და მუსულმანებს აახლოვებდნენ. ცხადია, ხშირი ურთიერთ ქორწინებანი, შესუსტებული რელიგიური დაპირისპირება ქვედა ფენებში რბილდებოდა; ბიზანტიის იმპერიის განაპირა მხარეებში ორთოდოქსული ქრისტიანობა (მართლმადიდებლობა) სუსტდებოდა, მაგალითად, საქართველოში ვრცელდებოდა. ერთი მხრივ, მანიქეველობა, მეორე მხრივ, კი სუფისტური მოძღვრება“.

სულთან კუთილმიშის მიერ გატარებული სოციალური რეფორმის პრინციპი, რომლის მიხედვითაც „ყმები და მონები, რომლებიც მუშაობდნენ

მცირე აზიის ლატიფუნდიებში, მან გამოაცხადა თავისუფლებად და მათ მასობრივად დაიწყეს ისლამის მიღება“. ეს სახელმძღვანელოდ ჰქონდათ როგორც სელჯუკებს, ასევე ოსმალებს.


ამას გარდა, „ბერძნული (ქრისტიანული, წ. ბ.) მოსახლეობა მცირე აზიისა, მიტოვებული კონსტანტინოპოლის მიერ, დაიბნა. ისინი ფიქრობდნენ სელჯუკიდებზე, შემდეგ კი კვლავ იმედგაცრუებულინი, ჩუშჩუმად კაბადოკიასა თუ შავიზღვისპირა მთებში მღვიმეებს შეფარებულნი, ოცნებობდნენ წარსულ ძალაუფლებაზე. ასე გაჩნდნენ მცირე აზიაში ქრისტიანები, რომლებმაც მხოლოდ გარეგნულად მიიღეს მუსულმანური სახე, რადგან ისლამზე გადასვლისას ისინი უნებლიედ ინარჩუნებდნენ ქრისტიანობის ელემენტებს, არა იმდენად იდეურს, რამდენადაც ყოფითს“.

ამასთანავე, საინტერესოა ის, რომ ზოგიერთი წყარო მიგვანიშნებს ფარულქრისტიანთა არსებობაზე თანამედროვე თურქეთში. უცხოური წყაროების მიხედვით, რომლებშიც ცნობებს ვპოულობთ მუსულმანურ ქვეყნებში და კერძოდ თურქეთში მცხოვრები ქრისტიანების შესახებ, თვით მეორე მსოფლიო ომამდე ე. წ. მეზო-მეზო (კრიპტოქრისტიანები) აღირიცხებოდნენ „დაახლოებით 50 000-მდე“. ამას გარდა მუსულმანი ბერძენი XX ს. დასაწყისში იყო „დაახლოებით 15 000 ადამიანი“. თუმცა, თუ წყაროებს ვენდობით, ერთნიც და მეორენიც „არიან ლაზები, რომლებმაც ფარულად შეინარჩუნეს ბერძნული რელიგია“.


ამის თაობაზე XX ს-ის დასაწყისში იბრაჰიმოვი წერდა: „მრავალი ლაზი დღემდე უფრო ქრისტიანია, ვიდრე მუსულმანი“.

ვათე ბაჭაში





მაკრიალის ეკლესიის ნანგრევი. აქ მოჭრეს თავი 30.000 ქრისტიან ლაზს, რომლებმაც უარი თქვეს მიეღოთ ისლამი. მათ შორის იყო ქრისტიანი მღვდელი, რომლის პატივსაცემად ხალხმა „ღუდიკვათას“ მოპირდაპირე მთას „პაპათი“ უწოდა.




ფხიზლად!
ფხიზლად!
საქართველოს
გარეშემო
უკლიან!




ფხიზლად! ფხიზლად!
ლომური კამარისთვის წახრილან.
ფხიზლად! ფხიზლად! – ხორუმი
გრგვინავს სულის ძახილად...
ფხიზლად! – საქართველოს
გარეშემო უვლიან.
არავინ გადათელოს
აჭარა და გურია...
ბრძოლებით გვიპოვნია,—
ჰკითხე სარფს და ცინისძირს,—
ხორუმი – სიმფონია
საქართველოს სიფხიზლის.

მურმან ლეზანიძე



მაკრიალი. ეკლესიის ნანგრევი



ტრადიციული ლაზური სახლები

საქართველოში ბევრი ძმა და მეგობარია ჩვენი!
საქართველოში ჩვენი ჭკვიანი ძმებია...
ძველ ქართველთა მოდგმა ვართ ჩვენ...
იცი, ეს, ჩემო ძმაო?
დავიწყებულები ვართ ჩვენ...
ჩვენო ძველო ძმაო...
ლაზი, ქართველი, მეგრელი
– ძმები ვართ ყველანი...
თურქმა დაგვწვა და დაგვდაგა...
შენ არ იცი, ეს ამბავი?
თქვენი ვინა ვართ...
აქამდე რატომ ვერ გვიცანით...

ხალხური



მეფეთ-მეფე თამარ
ნაქარგობა ანა ღამბაშიძისა

ნიგნდან: — „ლაზისტანი“

„...ლაზებ-მეგრელებზე მთელი მწერლობა არსებობს. ამის საფუძვლად დავასახელებთ მართო ერთს წიგნს, მაგალითად, ბარონ უსლარის ისტორიულს გამოკვლევას ლაზებ-მეგრელთა შესახებ (ყაზანი 1891).

ეს ღირსება და გარემოება იმის საფუძველია, რომ ოსმალითმა ლაზებს ძველათვე მიაქციეს დიდი ყურადღება და ისლამთან დაკავშირების შემდეგ, დაუწყეს გადაგვარება და მოსპობა. მათ შესძლეს ეს. ლაზებში აღმოკვეთეს ყოველივე, დაამხეს მათში მათი ვინაობის ყოველივე ცნობიერება და ვინაობის ხსოვნა.

ლაზებში მათ უარყვეს ლაზური ენა. ამის გარდა, ლაზებს შეაძულეს ქართული ენა, ქართული წერა-კითხვა, მეგრელების და ქართველების ნათესაობა. ყალბის ლაპარაკით მათ აუწყეს, რომ თქვენი ანბანი არის არაბული და არა ქართული.


მიუხედავად ამისა, მაინც ლაზებს შეუნარჩუნებიათ თავიანთი ვინაობის ხსოვნა. ამ დღეებში მე ვნახე ბათომში რამდენიმე ლაზი. ერთი მათში თავისუფლად მოლაპარაკე ქართულის ენით.

გაცნობის შემდეგ მე მათ ვუთხარი ლაზების ნათესაობის ცნობები ქართველებსა და მეგრელებთან. ამათ ეს დიდად მოეწონათ. მადლობა მითხრეს და დამავალეს შემდეგი პირობა: „ვგ წიგნები ქართულს ენაზე რომ დაბეჭდოთ, მის შემდეგ მოახერხეთ და ოსმალურ ენაზედაც დაბეჭდეთ; ჩვენმა ხალხმაც გაიგოს, რომ ჩვენ ქართველ-მეგრელების ნათესავები ვართ და არა თურქებისა და ქურთებისა. ამ საქმეში ფულით ჩვენ დაგეხმარებითო“...

დღეს ლაზებმა უკვე შეიტყვეს, რომ იგინი მეგრელ-ქართველების ნათესავები არიან და ამათი ანბანის წიგნიც არის ქართული და არა არაბული.

ლაზებ-მეგრელების შესახებ ზეპირი ამბები

...ლაზები, ჭანები და მეგრელები ერთნი ცყოფილვართ. აფხაზეთის შემდეგ მთელი ზღვის ნაპირები სულ ლაზებით და მეგრელებით ყოფილა დასახლებული. აქეთ იმ ხალხს გარდა სხვა ტომის ხალხს არა ჰქონდა ადგილი და ცხოვრება. მართლად ლაზები და მეგრელები



ზაქარია ჭიჭინაძე

ყოფილან. მაშინ, თურმე, მთელი ხალხის ქვეყანა გაიყოფებოდა სამ ნაწილად: ერთ ნაწილს ეწოდება ლაზისტანი, მეორეს — ჭანეთი, მესამეს სამეგრელო.

სამივე ამ სახელწოდების ხალხის ენა ყოფილა ერთი — ლაზური, ანუ მეგრული. ეს ენა ლაზებს გარდა მაშინ ქართველებსაც კარგად ესმოდათ. ყოველი ლაზი თავისუფლად ელაპარაკებოდა იმერელს, ქართლელს და სხვებსაც. ლაზებმაც იცოდნენ ქართული და ძველათ, თურმე, ამ ორივე ხალხში თითქმის ყველა სიტყვები ერთნაირად იხმარებოდა. მერე კი, როცა დავშლილვართ, მაშინ სიტყვებიც გაყოფილან, გადასხვაფერებულან და ამიტომ ერთმანეთი მიგვივიწყებია და სიტყვების გაგებაც ვეღარ შეგვძლება.

მოხუცი ლაზის ნაამბობი. 1895 წელი.

მარადიდის ნაწილის უფროსის მოხუც ახმედ ეფენდი ხალვაშისაგან ნაამბობი

ახმედ ეფენდი გონიერი კაცი იყო, შვენებული ქართველი და საქართველოს ზეპირ ამბებიც ერთობ ბევრი იცოდა. საქართველოს გარემოების გამო მას გული დარდით ჰქონდა სავსე.

ერთხელ კავკასიონის მთების, ანუ მყინვარის ამბავი მკითხა, მეც უამბე ყოველივე სამხედრო გზის ამბავი. იგი შეწუხდა და მერე თქვა:

— აბა ჩვენი უბედურება ეს არის, იქით ასეთი მთის სიმაგრენი, აქეთ კიდევ ასეთი სიმაგრენი და განა ეს ქვეყანა უნდა დაცემულიყო და გაყოფილიყო, მაგრამ რას ვიქმთ, ყველა ეს

სულ ჩვენი ოჯახის არევამ ქნა.

სამწუხაროდ, ამ პირის ბიოგრაფია დღემდე ვერ დავსწერე და დავებუკდე. ეს კაცი დიდი მოტრფივალე იყო საქართველოს აღორძინების და ქართველ მაჰმადიანთა გათვითცნობიერების მარადიდში მამინ ამან ქართული სკოლაც გახსნა, მაგრამ სკოლა მალე დაიკეტა, რადგანაც მასწავლებელი რუსი იყო და ქართული ენა არ იცოდა, რაც მიზეზი გახდა სკოლის დაკეტვისა.

სამწუხაროდ, ერთ დროს ლაზებს და მეგრელებს რაღაც მიზეზით ქართული ენა დაავიწყდათ. ამის მიზეზები მგონი ის ყოფილა, რომ ლაზელ ხელოსნებს ქართლსა და იმერეთში მგზავრობა მოუსპიათ. სამუშაოდ იქიდან აღარ მოდიოდნენ თურმე და თვით ჩვენშიც კი აღარ გადმოდიოდნენ, მაგალითად, აჭარასა და ლივანში. ამიტომაც დროის განმავლობის წყალობით, ერთმანეთის ენა მივიწყებიათ ისე, რომ ერთმანეთისა აღარაფერი ესმოდათ.

ამ გარემოებისათვის ქართველ მეფეებს ყურადღება მიუქცევიათ. იმ ადგილებიდან, სადაც ახლა გურია გახლავთ და მის კიდეებზედ ზღვის ნაპირების და ადგილების სოფლები, იქიდან ლაზები და მეგრელები აუყრიათ; ისინი იმერეთში გადაუსახლებიათ და მათ მაგიერ მათ ალაგას დაუსახლებიათ ქართველები და ქართულად მოლაპარაკე ურიები. და მით სურვებით, ლაზისტანში ქართული ენა ისევ განახლებულიყო და მოფენილიყო, რომ ამ ენის გაგება ლაზებს, მეგრელებს და ქართველებს ისევ შესძლებოდათ. მაგრამ სამწუხაროდ ესეთი ენის შეერთება ვეღარ მომხდარა და ლაზები და ჭანები მეგრელებს მთლად მოსწყვეტიან.

დაახლოებისა და მეგობრობის მაგიერ ერთმანეთს მტრადაც გადაჰკიდებიან და მით თვისი მტრები გაუხარებიან. ეს რომ არ მომხდარიყო, მამინ საქართველოს ვერავინ ვერას დააკლებდა...

...ლაზთა სასულიერო წოდებას თვით ლაზების შთამომავალნი შეადგენენ. მოღვათ და ხოჯებადაც ბევრი ლაზია. უმეტეს წილად სასულიერო სწავლა-განათლება მოღვათსა და ხოჯებს სტამბოლში აქვთ მიღებული. ზოგს მიღებული აქვს ღვთისმეტყველის, ანუ „ხაფიზის“ სახელიც. ფანატიკოსობას ძლიერ აქვს გადგმული ფესვი.

...ლაზური ენა ძალიან წააგავს ქართულს. ერთ ალაგას ვნახე ლაზი ღურგლები. სახლის შენების დროს, როდესაც კოჭები აჰქონდათ, ეს ლაზები მთელ ქართულ წინადადებებს ხმარობდნენ და ხშირად იძახდნენ...

1882 წელს აკადემიკოსმა მარი ბროსემ მოი-

წერა: ქართველებო, რუსეთის ხელში თქვენ ნუ გემინიათო. თქვენ არ გადაგვარდებით. რუსეთი თქვენ ვერას დაგაკლებთ, რადგან თქვენი წარსულის კულტურით ქართველები რუსებზე ბევრად მაღლა დგებართო. საქართველოს მონობა უცხო სახელმწიფოთა ხელში არ უნდა გაშინებდეთ, რადგან ეს მონობა ორ დღესა ჰგავსო.

ვიტყვი, რომ ლაზებსაც ასე მოუხდათ. მართალია, ოსმალებმა ლაზებს ქართული ენა დაავიწყეს, ქართული ანბანის ხმარებაც მოსპეს ისე, რომ იგი აღარსად დასტოვეს, მაგრამ ვერ მოსპეს ლაზები. ისე, როგორც პოეტი ამბობს: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“. ეს თქმულება სწორედ ზედგამოჭრილია ლაზებზედ.

ასე მოუხდათ ლაზებსაც ამ მეოცე საუკუნის დამდეგს. მათში ისეთი ცვლილება დატრიალდა, საქმე ისე მოეწყო, რომ ლაზებმა ისევ გაიღვიძეს; ისევ ლაზური ენის და ქართული წერა-კითხვის შეგნებით თავი წამოყვეს. ეს გარემოება იყო შესანიშნავი საქმე და მეტად დიდებული მოვლენა ქართველი ერის ცხოვრებაში. ეს გარემოება რომ თავისთავად დიდებულია, ამის არსებობა თვით ლაზების გაღვიძების და აღორძინების ისტორიაა, რასაც ახლა მკითხველს გავაცნობთ.

1900-ან წლებში ლაზებში გაჩენილან ისეთი შეგნებული ადამიანები, რომელთაც ხმამაღლა დაუწყიათ ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ ქართველის ტომის ნათესავები ვართ. ჩვენი ენაც ქართულია და ჩვენი წიგნიც ქართულიაო. ასეთ ქადაგებას ლაზებში დიდი ზეგავლენა მოუხდენია და ლაზებსაც განცვიფრებით დაუწყიათ ცხოვრებაზე მზერა. ჩვენ ქართველების ძმები ვართ და ქართული ენა კი არ ვიცითო. ამ გარემოებას ლაზები ძალიან დაუდარდიანებია. დიდად დაღონებულან და დაუწყიათ ამაზედ გოდებით და სინანულით ლაპარაკი. ...ბოლოს დაუდგენიათ, რომ მათ უსათუოდ უნდა შეისწავლონ ქართული წერა-კითხვა და მათვე უეჭველად უნდა წაიკითხონ თავიანთი ისტორია და გეოგრაფიაც, გაიცნონ კარგათ თვით თავიანთ ქართულს ენაზედ.

...ამიტომაც სოფ. აბოსიალიარში მცხოვრებთ კოლექტიური თხოვნა შეუდგენიათ ოსმალების განათლების მინისტრთან, სტამბოლში კაცები გაუგზავნიათ და უთხოვიათ, ჩვენ მოგვეცეს ნებართვა, რომ ლაზებმა ჩვენი ენისა და წიგნის შესასწავლი სკოლები დაგხსნათ და ჩვენს შვილებს ჩვენი ენა და ჩვენი ენის წიგნის კითხვა ვასწავლოთო.

ამ საქმის მეთაური ყოფილა ლაზი აბდულა

აშვიკ ჰასან ოლლი და ორიც სხვა ხელქვეითი. მინისტრს ამათი თხოვნა დიდის პატივისცემით მიუღია და ნებართვაც მიუცია.

მაღე დაბრუნდნენ სახლში და ჩამოსვლის-თანავე უნდა შესდგომოდნენ სკოლების მოწყობის საქმეს. პირველად ესენი უნდა გადმოსულიყვნენ ბათუმში. აქ უნდა ეპოვათ ქართული ენის მასწავლებელი, როგორც კაცი, ისე ქალი. ამ მასწავლებლებს ისინი წაიყვანდნენ თავიანთ ქვეყანაში და მის მერე მოაწყობდნენ სკოლის გახსნის საქმეს და სწავლასაც დაიწყობდნენ ქართულს ენაზედ, მაგრამ ამ გარემოებას ხელი შეუშალა ომიანობის დაწყებამ 1914 წელს. გადმოგვცეს ლაზებმა, რომ ეხლა ვერ შევასრულეთ ეს განძრახვა, მაგრამ ომის გათავების შემდეგ კი სისრულეში მოვიყვანთ და ქართულ სკოლებს უსათუოდ დავხსნით.

...ბუნებრივმა სიმართლემ თავისი გაიტანა და ლაზებში აღსდგა თვითგამორკვევის და შეგნების დასაწყისი.

აწინდელი ლაზების წინაპრებმა შეიგნეს ის მარტივი გარემოება, რომ ლაზისტანი საქართველოა და თვით ლაზებიც ქართველების ტომისანი არიან.

ტრაპიზონში არსებობდა ოსმალთა საბეთლო სასწავლებელი, სადაც ბეთლო მოწაფეთა რიცხვიც სულ ლაზთა შვილებისაგან შესდგებოდა. ...ამათ შორის შემთხვევით ვიღაცას მიუტანია ფრანგულ ენაზედ დაბეჭდილი აკადემიკოს მარი ბროსეს მიერ „ქართლის ცხოვრება“ და ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფია“.

ლაზთა შვილებს ეს წიგნები წაუკითხავთ და გაუცნვიანთ, რომ ლაზისტანი საქართველოა და ლაზებიც ქართველების და მეგრელების ნათესავები არიან და არა თურქები. ამ ცნობისაგან ძთელი სკოლის მოწაფეები სახტად დარჩენილან და დაუწყიათ ძიება და ლაპარაკი მასზედ, თუ ჩვენი გადაგვარება და დაკარგვა როგორ მომხდარაო. ბოლოს დაწვრილებით ყველაფერი შეუტყვიათ.

...1882 წელს ტრაპიზონიდან ბათუმში ჩამოვიდნენ ლაზები. რამდენიმე მოწაფე — სამი ამათგანი ფრანგული ენის კარგად მცოდნენი. ბათუმიდან ქობულეთში ამოვიდნენ და აქ ერთს, მაჰმადიანთა წარჩინებულ პირს სთხოვდნენ ქართულს ენაზედ დაბეჭდილ „ქართლის ცხოვრებას“ და ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიას“...

ქობულეთში ეს წიგნები მათ ვერაინ უშოვა. მერე პატივცემულმა ქართველმა მაჰმადიანმა, შვენებულმა მამულიშვილმა, ცნობილმა და დამ-

სახურებულმა პირმა, პატიოსანმა ადამიანმა გულო-აღა კაიკაციშვილმა ამ ლაზებს უამბო ცნობები, თუ იგინი ამ წიგნებს სად იშოვიდნენ და მასთან მაშინვე მისწავლა ყოვლათ პატიოსანს და ცნობილს გრიგოლ დავითის-ძე გურიელთან, მასთან ამ წიგნებს უსათუოდ იშოვიით.

...ლაზები გრიგოლ გურიელს, თურმე, დიდის მოწიწებითა და თავაზით შეხვდნენ. პირველნახვისთანავე ლაზებმა გრიგოლ გურიელს ფრანგულად მისცეს სალაპი. მერე ჰკითხეს, თუ გნებავთ, თურქულად ვილაპარაკოთო.

გრიგოლის პასუხი ყოფილა:

— ორივეს ენაზედ ვისაუბროთ. მე ფრანგული კარგად არ ვიცი; მაგრამ თქვენთან, ლაზებთან ძრიელ მიზარიან, რომ ამ ენაზედ მექნება საუბარი. ფრანგულ ენაზე თქვენთან საუბარი იმას ნიშნავს, რომ თქვენ ლაზების ხსოვნა ჯერ კიდევ არ დაგიკარგავთ და ფრანგულად, ევროპულად ლაპარაკობთ. ამით მე იმედი მაქვს, რომ თქვენ, როგორც ქართველების ტომის და ენის მონათესავენი, დღეის შემდეგ დაწინაურდებით ლაზურ-ქართულ ნაციის შეგნებით და თქვენი სამშობლოს ისტორიასაც შეისწავლით.

პატივცემულმა გრიგოლ გურიელმა თქვა: მე რომ ამ უკანასკნელ სიტყვებს ვუბნებოდი, ერთ ლაზს თვალეში ცრემლები მოერია და ამიტომ მეც სიტყვა აღარ განვაგრძე. ორმა მათგანმა დიდი მადლობა გადამიხადეს და მითხრეს:

— დიახ, შენერალო, ჩვენ მიტომ მოვედით თქვენთან, რომ ეგებ დაგვეხმაროთ და ისეთი წიგნები გვიშოვნოთ, რითაც ჩვენ ჩვენის ქვეყნის ისტორიას შევისწავლით. მხოლოდ ჩვენი ერთი უბედურება ის გახლავთ, რომ ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა არ ვიცით, რადგანაც ოსმალის მხარეში ლაზებს და მთლად ქართველებს სკოლაში ქართულ ენას არ ასწავლიან...

ჩვენ წავიკითხეთ ბროსესაგან დაბეჭდილი საქართველოს გეოგრაფია ფრანგულს ენაზედ და იქიდან გავიგეთ, რომ ჩვენ ლაზები თურქები კი არა, ქართველის ტომისანი ვართ და ჩვენი ქვეყანაც — ლაზისტანიც საქართველო ყოფილა... ამიტომ მოგმართავთ შენერალო და გთხოვთ, ეგებ სიკეთე გვიყოთ და ფრანგულს ენაზედ დაბეჭდილი წიგნები გვიშოვოთ. ამით თქვენ დაუფასებელს სიკეთეს გვიზამთ.

გრიგოლ გურიელს ასეთი საუბარი ძრიელ გაუხარდა და ლაზებს დაჰპირდა ზოგი რამ წიგნის შოვნას. იმავე დროს, თურმე, გადასცა ბროსეს მიერ ფრანგულ-ქართულს ენაზედ დაბეჭდილი ვახუშტის საქართველოს გეოგრაფია და

ფრანგულადვე დაბეჭდილი „ქართლის ცხოვრება“... ზოგიც სხვა წიგნები ფრანგულათ დაბეჭდილი საქართველოს შესახებ. თურმე ლაზებმა გადაშალეს ვახუშტის გეოგრაფია და ფრანგულის თარგმანის გვერდით ქართულის კითხვა დაიწყეს. მერე, თურმე გრიგოლ გურიელს უამბეს ასეთი ცნობა:

— ქართულის კითხვა ჩვენის ცდით ვისწავლეთ, ვკითხულობთ, გაგებით კი არა გვესმის რა, რადგანაც ლაპარაკის პრაქტიკა არა გვაქვსო. ახლა აქ, ბათუმში ქართულს ლაპარაკს ყური მოვკარით და სახტად დავრჩით, სიტყვების გაგონებამ და მათ დაკვირვებამ ბევრს ქართულს სიტყვებს სწორეთ მიგვახვედრა. ქართული ენა ლაზურთან ისე ყოფილა დაკავშირებული, რომ ლაზი ორი კვირის განმავლობაში ისწავლის და ილაპარაკებს ქართულს ენაზედა, რაც ცხადი ნიშანია იმისა, რომ ეს ხალხი და ქართულ-ლაზური ენაც არის ერთი და იგივე. გურიელმა ასეთი გონივრული შეგნებისათვის ლაზებს დიდი მადლობა უთხრა. ლაზებმა შემდეგ გურიელს უამბეს ლაზების ლაზისტანიდან გადასახლების ამბავი. მთავრობის სტატისტიკური ცნობიდან სცოდნიათ, რომ ოსმალეთის მთავრობის მოხარკე ლაზთა რიცხვი 600 ათასი არისო.

ლაზების ძველი და ახალი

ლაზები და ლაზისტანი თამარ მეფეს დიდათ ჰყვანდა მიღებული. ამიტომაც გახლდათ, რომ იგი ლაზისტანში ძრიელ ხშირად სცხოვრობდა. ლაზისტანის ყველა ძველს ნაშთების კეთებას სულ თამარ მეფეს აწერენ. 1885-90 წლებში მე ენახე ლაზები და მათგან შევიტყე, რომ მათში ყველა ლაზმა იკის თამარ მეფის სახელი და ისიც, რომ ის ქართველი მეფე იყო.

„ქართლის ცხოვრებით“ და ვახუშტის გეოგრაფიით ვიცით, რომ ლაზები XII-XIII საუკუნეებში დიდათ იყვნენ ამაღლებულნი; სწავლა-განათლების მხრით დიდათ იყვნენ წინ დაწინაურებულნი, სამხედრო სამსახურის ცოდნით, საომარი იარაღის კეთებით და მეზღვაურობით, რომელსაც ბარონ უსლარიც ასაბუთებს.

ლაზების ასე დაწინაურებამ და ნიჭიერებამ თამარ მეფეს მისცა დიდი საბუთი, რომ თვით ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში, ლაზები იქმნენ უპირველეს გმირებათ და მოღვაწეებათ ჩარიცხულნი, რასაც ჩვენი ისტორიაც ასაბუთებს.

ტრაპიზონის იმპერიას თამარ მეფემ ერთგულ მცველებათ ლაზები დაუყენა გარს... ლაზები ისე

იცავდნენ თავის ქვეყნის საზღვრებს და ისეთი წესები ჰქონდათ, რომ მის ხელის ხლებას ვერც ბიზანტიელნი ახერხებდნენ, ვერც სომხები და ვერც ოსმალნი. ყველას ემინოდა ლაზების.

ლაზების ნაციონალური ძლიერება ისეთი მძლავრი იყო და ამაღლებული, რომ იგინი ტრაპიზონის იმპერიის მართვა-გამგეობის დროს ყველგან სულ ქართულს წერა-კითხვას ხმარობდნენ. ქართული ენა და წერა-კითხვა მათ ისე უყვარდათ, რომ თვით ლაზისტანის ტრაპიზონის მთავარებისკოპოზსაც კი ეწოდა ეპისკოპოზი ხალთისა, რაც ნიშნავდა, თურმე „ეპისკოპოსი ქართლისას“. ასე რომ ბიზანტიელნი „ქართლის“ ნაცვლად „ხალთას“ ხმარობდნენ თურმე.

თამარ მეფემ ტრაპიზონის იმპერიის დაარსების და გაძლიერების გამო, ისურვა ლაზისტანის საზღვრებში დიდი ეკლესიის აშენება. ამ ეკლესიების გაკეთების ზეპირი ცნობები ლაზებს გარდა იციან ართვინის გასომხებულმა ქართველმა კათოლიკეებმაც.

ყველა ეს ნაშენი ეკლესია ლაზებმა შეამკეს, მორთეს, როგორც შინაგან, ისე გარეგან. შიგნით მორთულობით უფრო დიდ ყურადღებას იპყრობდა მარმარილოს თეთრსა და ლურჯ ქვებზე ქანდაკება და ჩუქურთმის ხელოვნური ხელოვნება, რომლის ერთი ნაშთი 1885 წელს შავშეთ-ტბეთის ეკლესიაშიც კი იყო დაშთენილი. ეხლა იქ ეს ქვა აღარ არის, სომხებს ჩამოუშტვრევიათ. ასე გადმოგვცემს ექვთიმე თაყაიშვილიც.

ასეთ იშვიათ ჩუქურთმა-ქანდაკების გარდა, ხსენებული ნაშთები შესანიშნავი იყო კიდევ ფერადი მხატვრობით, რომელიც უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევდა. მაშინდელი ნახატები დღესაც დიდ ინტერესს იწვევს მნახველებში, რომელნიც უხვათ მოიპოებიან საქართველოში და თვით ლაზისტანშიაც (სამწუხაროდ ზ. ჭიჭინაძე არ მიუთითებს ამ ტაძრების დასახელებებსა და ადგილმდებარეობას, რაც ძალზე დასანანია. რედ.).

ერთი სიტყვით, ლაზებმა XII და XIII საუკუნეებში ლაზისტანში დიდი აღმშენებლობითი მუშაობა აწარმოეს.

ლაზები უსათუოდ უნდა გაეცნონ თავიანთ წარსულს და წინაპრების ცხოვრებას, თუ როგორ იყვნენ ისინი კულტურულად დაწინაურებულნი.

ლაზისტანის ძველის ნაშთების მშვენიერების მნიშვნელობა ლაზებს ისე კარგად სცოდნიათ, რომ იგინი თურმე, — ხან-უღს, იშხანს, ანჩას, პარხალს დიდ მოწიწებით უყურებდნენ, მის

ყოველ ნაშთს იცავდნენ დიდის სიფრთხილით და მასთან ლაპარაკობდნენ შემდეგ საქებურს ცნობებს, რაც კი ხსენებულ ნაშთებს ძვირფას მნიშვნელობას ეხებოდა. ეს ამბები მათში იყო ზეპირ დაშთენილი.

ლაზები იტყვიან: „სახელქებულია სიჭრელით ხახული, ანუ ვარდის მსგავს მოქარგულობით“, რადგანაც კვლეები ასეა გაკეთებული, ერთი წყობა თეთრი ქვა ხმარებული, მის ზემოთ მეორე ფერი ქვა. ასევე არის ზემოთ სხვა ფერის ქვა. ასევე სხვები და მთელი აშენებულია ვარდის კონის მსგავსათ სხვა და სხვა ფერით და ასევე სხვაგვარ არის შემკობილი იგი“.

ლაზები იტყვიან: „მშვენიერია ანჩა თავისი კარგის წარსულით და მის შესანიშნავთ მორთულის ჰაუზ-მილებით და შადრევანებით და ყველა ეს მარმარილოს ქვებით, ჩუქურთმიანი ძველის ფიგურებით და ასეთი შემკობილობით, რომელთაც გარსვე აკრავთ დასასვენებელი ადგილები და სხვადასხვანაირი ტახტები.

ამნაირ საქები გახლავთ თავის მცენარეთა წალკოტებით და მასში მოწყობილ და დანერგულ ხეების მშვენიერით და სილამაზით, რომელთა ხილვაც ლაზებს დიდათ ახარებს, ასულდემულებს და გონებითაც ამაღლებს თავიანთ წინაპართა ღირსებაზე.

პარხალი ქებულია თავისი კარგი ჰავით და ბუნების სიკეკლეუცით. ლაზები იტყვიან ხოლმე, რომ მისი ბუნება არის ზურმუხტისა და ლალისა.

თამარ მეფის დალოცვა და კურთხევისაგან ლაზელ ხელოსნებს ისე კარგად წაუვიდათ საქმე, რომ მთელი ლაზისტანის ხალხი სულ ხელოსნობის სწავლას გაჰყვნენ. მალე ისიც მოხდა, რომ მთელს საქართველოში სულ ლაზი ხელოსნები მიეფინენ. ყველგან სახლებს, ხიდებს, კოშკებს, გალავნებს, ეკლესიებს და სხვასაც ბევრს ასეთებს სულ ლაზი ხელოსნები აკეთებდნენ.

აქ ერთი სასახელო კიდევ ის გახლავთ, რომ ჩუქურთმის ჳრა და ნამეტურ მარმარილოს ქვაზე ქანდაკებაც ერთობ ძნელი საქმეა. მიუხედავათ ამისა, ლაზებს ყველა ესენი და ნამეტურ ფერადის წამლებით ხატვაც ისე კარგათ ჰქონდათ შესწავლილი, რომ იგინი სახელოვან ხელოსნებად გამოცხადებულან მთელს საქართველოში. რადგანაც აქ ხელოვნებაზედ არის ლაპარაკი და მტკიცება ლაზების წინაპართა კულტურულად ამაღლების შესახებ, ამიტომ ჩვენ მოკლედ მოვსთვლით კიდევ ლაზების კულტურულად არსებობის ცნობებს.

უამრავ სიკეთესთან ერთად, ლაზებს ჰქონდათ ასევე, საეკლესიო ზარების ჩამოსხმის ცოდნაც. ასევე იცოდნენ საეკლესიო ნივთებისა და ხატების კეთება. ლაზებში ამის ცოდნით დიდათ ბრწყინავდნენ ძველათ.

ამის მაგალითია ხახულის ღეთისმშობლის ხატის გაკეთების საქმე და ისტორია. აგრეთვე, ანჩის ეკლესიის ხატის ისტორია, იშხნის, პარხლის და სხვა ეკლესიათა ხატების ისტორიები და სხვა მრავალი.

თუ ლაზები ამას არ გაიცნობენ და თავის ისტორიას არ შეისწავლიან, მაშინ ისინი ველურის მღვდომარეობიდან ვერ გამოვლენ და ვერც ოსმალებს დააღწევენ თავს.

XII საუკუნიდან ჩანს, რომ ქართული წერა-კითხვა ყველა ლაზმა იცოდა, როგორც კაცებმა, ისე ქალებმა.

...ლაზებში არ იყო არცერთი სოფელი, რომ იქ ეკლესია არა ყოფილიყოს. ვახუშტის თქმით, ზოგ სოფელში ორი ეკლესიაც იყო. წირვა-ლოცვა ლაზეთში სრულდებოდა ქართულად, რადგანაც ლაზებს საეკლესიო ენად მიანდათ ქართული. ქადაგება კი მღვდლებმა ლაზურად იცოდნენ.

ყველა ეკლესიის გვერდით ჰქონდათ სამრევლო სკოლები, სადაც სწავლა სწარმოებდა ლაზურს ენაზედ. საღმრთო წერილს კი ასწავლიდნენ ქართულად, რადგანაც ქართული ენა ლაზებისათვის საღმრთო ენა გახლდათ, ანუ საეკლესიო. საეკლესიო ნივთებს და ხატებს აკეთებდნენ შიგვე, ლაზისტანში. თვით ლაზებმა ამის ხელობა ისწავლეს ქრისტეს სჯულის მიღების შემდეგ, ანუ ანდრია მოციქულის დარიგებით, ზოგიც ბიზანტიიდან და ზოგიც მესხეთიდან და ქართლ-იმერეთიდან.

სამღვდელო და სამღვდელომთავრო და ბერების შესამოსლებს ლაზისტანშივე ჰკერავდნენ ლაზი ქალები. შესამოსელის მოქარგვა და მორთვაც მათ იცოდნენ. ამის ცნობის დამაკმაყოფილებელია თვით უძველესი დროის შესამოსლებზედ ოქრო-ვერცხლის ქსოვილებით მოქსოვილებიც.

ზაქარია ჰიჭინაძე

თიფიელი ფიხუნია

ქართველურენოვანი მოსახლეობის უძველესი მეფე ქართული სახელმწიფოებრიობა 3400 წლისაა

მოსაზრება

... ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიის მი-
ელთა ზოგადი სახელი ხეთებთან „ქაშქა“ იყო.
ასურეთის მეფის თიგლათფილესერ I-ის (1115-
1075) წარწერებში ამ სახელის ვარიანტად
იხმარება „აბეშლა“. აი, ეს იყო ძირითადი არგუ-
მენტი, რომ ქაშქები აფხაზ-ადილეველებად გამოე-
ცხადებინათ (Г. А. Меликишвили, Наир-
Урарту, Тб., 1954, ст. 75-76). ქაშქებს ზოგი
მკვლევარი პროტოხეთებს უახლოვებს, რადგან
ბევრი ქაშქური ტერმინი პროტოხეთური ენის
მასალით ჰპოვებს ახსნას (Г. Г. Гиоргадзе,
К вопросу о локализации и языковой стр-
уктуре каскских этнических и географиче-
ских названий. Переднеазиатский сборник,
III, М., 1961). ქაშქურიც და პროტოხეთურიც
აფხაზურ-ადილეურად ცხადდებოდა. ხეთებთან
მოსხენიებული „ქაშქა“-ს სახელი (როგორც უკვე
ითქვა) კრებითი იყო და უთუოდ, ამ მხარეში
მოსახლე ქართველ ტომებსაც მოიცავდა (საქარ-
თველოს ისტორიის ნარკვევები, თბ. 1971, ტ. I,
გვ. 361). ცნობილი ხეთოლოგის, აკადემიკოს
გრიგოლ გიორგაძის მიერ ამ ბოლო დროს
დაწერილმა ორმა სტატიამ სრულიად ახლე-
ბურად წარმოაჩინა საქმის ვითარება. ეს სტატიე-
ბია: „ასურული ლურსმული ტექსტის „ქაშქა“
და „აბეშლა“ ტერმინთა ურთიერთ დამოკიდებუ-
ლების შესახებ“, ნარკვევები, IV, საიუბილეო
კრებული, თბ. 1998; მისივე „ხეთური ლურსმუ-
ლი ტექსტების – ქაშქების (ქასქების) ტომთა
ეთნიკური წარმომავლობის შესახებ“. ამ ორი
ნაშრომის გათვალისწინებით სრულიად ახლებუ-
რად წარმოჩინდა საქართველოს ისტორიის უძვე-
ლესი პერიოდის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი
საკითხები.

ჩვენის აზრით, თიფიელი ფიხუნია, რომელიც
ქაშქების პირველ მეფედ მოიხსენიება (ძვ. წ. XIV-
ს.) იყო ქართველურენოვანი მოსახლეობის ყველა-
ზე ძველი მეფე. იგი დაახლოებით 200 წლით
ადრე მეფობდა დიაოხი (ტაოხი, ტაო-ს) მეფე –
სიენი-ზე. თიფიელი ფიხუნია ასევე წინ უსწრებდა
კოლხ აიეტის მეფობას. ამ მოსაზრების დას-
აბუთება შემდეგნაირია:

ხეთები ქაშქებთან საუკუნეების მანძილზე
აწარმოებდნენ მძიმე ბრძოლებს, რომლებსაც ხში-
რად ხეთებისათვის თავდაცვითი ხასიათი ჰქონ-
და. ქაშქები თავს ესხმოდნენ ხეთებს და ზოგჯერ
საფრთხეს უქმნიდნენ თვით მათ დედაქალაქ ხა-
ტუსასაც. ხეთების მეფე მურსილი II (ძვ. წ. 1345-
1315) ქაშქების ერთ-ერთი ბელადის, თიფიელი
ფიხუნიას შესახებ წერს: „იგი ქაშქურად კი არ
მართავდა, არამედ მეფურად“ და დასძენს –
„ქაშქებში ერთი კაცის ბატონობა წესად არ იყო
მიღებული“ (მურსილი II-ის ანალები, §32, სტრ.
73-75; A. Gotze, Die Annalen des Mursilis, გვ.
86-95). ეს არის დაბადების მოწმობა ქართუ-
ლი სახელმწიფოებრიობისა (კ. თოფურია). ქაშქე-
ბის მეზობელი ქვეყნების მოსახლეობაც, ძირითა-
დად, თავისი საზოგადოებრივი განვითარების
დონით, იმავე საფეხურზე იმყოფებოდა. მხედვე-
ლობაში გვაქვს „თრიალეთის კულტურა“, რომე-
ლიც ვრცელდებოდა მეზობელ რაიონებშიც. ამ
კულტურის ძირითადი ნაწილი შუა ბრინჯაოს
ხანისაა (ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევ-
არი). ხსენებული კულტურის ძეგლები ყორღან-
ული სამარხების (გორსამარხების) კულტურა,
თავისი უძვირფასესი ინვენტარით, რაც მიუთი-
თებს ქონებრივ დიფერენცირებაზე. ამ კულტურის
ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს დიაოხის
(ტაოხის, ტაო-ს) სამეფო და კოლხა.

ქასქების (ქაშქების) ტოპონიმი – თიფია,
იგივეა, რაც შემდეგდროინდელი ტიბარენები,
ტიბარენები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვის-
სპირეთში კოტიორასა (ახლანდელი ორდუ) და
პონტოს მთებს შორის მობინადრე ძველი ტომე-
ბია. ბერძენ-რომაული და ბიზანტიელი მწერ-
ლების ცნობით, ტიბარენების აღმოსავლეთით
მოსინიკები ბინადრობდნენ, დასავლეთით ხალობ-
ები და ლევკოსირები, სამხრეთით მოსხები. ტიბა-
რენების სახელწოდების რამდენიმე პარალელური
ფორმა დადასტურებული („ტიბარენები, ტიბარე-
ბი, ტაბარენები“ და სხვა). ქართველი მკვლევარე-
ბი ტიბარენებს დასავლურ ქართველურ ტომთა
რიცხვს მიაკუთვნებენ (ნანა ხაზარაძე – პროფ.,
„ტიბარენები“. ქართული საბჭოთა ენციკლოპე-

და; ნისივე აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი, თბ. 1978; Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959).

ტიბარენებზე ქართველ მკვლევართა მოსაზრებებს იზიარებს რუსი მეცნიერი ი. მ. დიაკონოვი: „...Тибарени, название которых могло бы считаться идентичным названию каскского племени Типия (Тибия)? (И. М. Дьяконов, Предистория Армянского народа, Ер. 1968 стр. 122), იქვე ვკითხულობთ: „С нашей точки зрения наиболее вероятно что название тибаренов торжественно с именем каскского племени еще XIV в. до н. э. Типия (Тибия), с каким-либо местными суффиксами - например с распространенным в ряде кавказских языков суффиксом множественного числа - ар-“ (იქვე, გვ. 193) (აქ მოტანილი მრავლობითობის სუფიქსი – არ, ზანურია (მეგრულ-ლაზური. კ. თოფურია).

ამრიგად, ტოპონიმი თიფია (ტიბია) იგივეა, რაც ტოპონიმი ტიბარენი, რომელსაც აქვს მეგრულ-ლაზური მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსი – არ.

ახლა გავანალიზოთ სახელი *ფიზუნია*. იგი თავისი შედგენილობით ქართველურია. სამეგრელოში, ჩხოროწყუს რაიონში, სოფელ კირცხში, 1963 წ. ფიქსირებულია მამაკაცის სახელი „ფიზონია“. ჩვენ იგი შევედარეთ სახელ – ფიზუნია-ს. ბატონმა გრ. გიორგაძემ გაიზიარა ჩვენი შედარება და დასძინა, რომ ხეთურ-ლურსმულ დამწერლობაში „უ“ და „ო“ ერთი და იგივე ნიშნით ვადმოიცემაო.

ამრიგად, სახელი ფიზუნია (იხ. ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ. 1986, გვ. 203) მეგრულში დადასტურებულია ფიზუნის სახით.

ორივე სიტყვა თვით სახელ ფიზუნია-ს შედგენილობის შესახებ. „ფიზუნია“-ს პირველ ელემენტს „ფიზ“-ს შეესატყვისება მამაკაცის მეგრული სახელები: ფუზუ, ფუზული (სოფ. აბელათი და ჩხოროწყუ, ალ. ლლონტი, იქვე, გვ. 204), მასთან ახლოსაა სახელები: „ბიზა“, „ბიზო“ (იქვე, გვ. 90); ბახა, ბახუ, ბახუა (იქვე, გვ. 85). არის მეგრული გვარსახელები: „ბახია“, „ბოზ-უა“ და ა. შ. ამრიგად, სახელი ფიზუნია-ს პირველი ელემენტი, დადასტურებულია მეგრულში.

„ფიზუნია“-ს მეორე ელემენტი – „უნია“ საკმაოდ გავრცელებული დაბოლოებაა თანამედროვე მეგრულ გვარ სახელებში: ხუზ-უნია. გაბ-უნია, გ-უნია... ამრიგად გაირკვა – „უნია“-ს მეგრული წარმომავლობაც.

გამომდინარეობს დასკვნა:

1. თიფიელი ფიზუნია-ში, თიფი, თიბია, როგორც ტოპონიმი იგივეა, რაც შემდეგდროინდელი „ტიბარენი, ტაბარენი, ტიბარენი“, რომლებსაც ერთვის მეგრულ-ლაზური მრავლობითობის მაჩვენებელი სუფიქსი – არ. ე. ი. თიფია (თიბია) ქართველური ტოპონიმია.

2. მეფის სახელ „ფიზუნია“-ს შეესატყვისება მეგრულში შემონახული სახელი „ფიზონია“.

3. ქაშქურ სახელ ფიზუნია (ფიზუნია), როგორც პირველ, ისე მეორე ელემენტს დამაჯერებელი პარალელები მოეპოვება ქართველურში, განსაკუთრებით, მეგრულ-ლაზურში.

ამრიგად, თიფიელი ფიზუნია, რომელიც ქაშქების პირველ მეფედ მოიხსენიება ძვ. წ. XIV ს-ში, იყო ქართულენოვანი მოსახლეობის უძველესი მეფე. იგი ბევრად უფრო ადრე მეფობდა ვიდრე აიუტი (კოლხაში) და სიენი – დიაოხში (ტაოხში). ამრიგად, ქართული სახელმწიფოებრიობა 3400 წლისაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ.გ. არბინა. „პოსლესლოვიე ი ნეკოტორიხ ნოვიხ რეზულტატან ვ ისლედოვანი იაზიკოვ ი კულტური დრევენი ანატოლი“, რომელიც ერთვის წიგნს – ხეტი. იხ. „სოვერემენიკი მალი ი აზი“ ავტ. ვ.გ. მაკკუიდ მოსკოვი. 1983 წ.
2. გრ. გიორგაძე – „ასურული ლურსმული ტექსტების „ქაშხა და აბეშლა“ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ“ (ნარკვევები. IV საუბილეო კრებული. 1998 წ.).

3. გრ. გიორგაძე. „ხეთურ-ლურსმული ტექსტების – „ქაშქების“ ეთნიკური წარმომავლობისათვის“. (ჟურნალი „არტანუჯი“. № 10 2000 წ.).
4. გ. ელიავა – მეგრულ-ქართული ლექსიკონი. მარტვილი-თბილისი. 1997 წ.
5. ნ. ჯობიდავა – კოლხური (მეგრული) გვარ-სახელები. თბილისი. 1995 წ.
6. რ. თოფჩიშვილი. როდის წარმოიშვა ქართული გვარები. 1997 წ.
7. ი. ბ. დიაკონოვი. პრედისტორია არმიანსკოვო ნაროდა. ერევანი, 1968 წ.
8. გ.ა. მელიქიშვილი. ძველი საქართველოს ისტორიისათვის. თბილისი. 1959 წ.
9. ალ. ლლონტი. ქართული საკუთარი სახელები. თბილისი 1997 წ.
10. ნ. ქუთელია. გაზ. „თბილისი“. 1998 წ. 9 აპრილი.
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. თბილისი. 1997 წ. ტ. I, გვ. 359.
12. ივ. ჯავახიშვილი. თხზ. 12 ტომად, ტ. I. თბილისი. 1979 წ. გვ. 43.
13. თ. გამყრელიძე. საქართველო. ევროპა თუ აზია. გაზ. ლიტერატურული საქართველო. 18-25 იანვარი. 1998 წ.
14. გ. ყორანაშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ნაწ. I. თბილისი. 1994 წ. გვ. 61.
15. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. I. 1964 წ. გვ. 367.

პარლო ი(ო)ფურიბა

რედაქტორის შენიშვნა

სომხეთის ისტორიის მეხუთე კლასის სახელმძღვანელოში პირველი სომეხი მეფის არსებობა დათარიღებულია ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნით. თუმცა, ამ მოსაზრებას ჰყავს ოპონენტები თვით სომხეთში.

ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევია და..., ყოველი შემთხვევისათვის, კვლავ ჩაღრმავებით შესწავლის ღირსია საკითხი, რომლის შესახებაც ამ სტატიაშია საუბარი.





თუ ყველგან არა... ზოგიერთ სოფელში ისევ ცოცხალია
ლაზების მშობლიური ენა. ეს სასწაულთა სასწაული.

და როგორც აჭარის სოფლებში, აქაც ძირითადად, ქალები
ლაპარაკობენ ამ ენაზე... ის ქალები, რომლებიც საკუთარ
ეზო-კარს არ გასცილებიან და კეცზე დაკრულ მჭადს ფერის
გამოსახულებით აცხობენ... ცხადია, არა შთაგონებით, არამედ,
ტრადიციით.



მდინარე ფორტუნას ხეობა



ისე როგორც აჭარაში, ლაზეთშიცაა შემორჩენილი
ძველი ისტორიული ხიდები.



ლაზეთი... ლაზეთი...

„ხოზიდან ვარ მე, შენ – ხოფედან. მეგრელი ვარ მე და შენ ლაზი. ძმები ვართ ჩვენ, ერთი დედის განაყარი ძმები ვართ ჩვენ. და შენცა და მეც – ორივენი ტომით, შთამომავლობით ვეკუთვნიტ ქართველ ერს. ოდესღაც ენაც ერთი გვქონდა ქართველებსა და ჩვენ. მერე დროთა ვითარებაში, ბედის უკუღმართობისა და სხვა ათასი უბედურების წყალობით, დავიშალენით, ჩვენი ენაც თანდათან, ნელ-ნელა გამოეყო საერთო დედაენას... მერე უკუღმართმა დრო-ჟამმა ჩვენც, კოლხებიც დაგვშალა, გაგვყო; გაღმით დარჩით თქვენ, გამოღმით ჩვენ. და აი, შენ გაღმელი ხოფელი შეხვედი გამოღმელ ხობელს. როგორც ეს ორი სიტყვა ჰგავს ერთმანეთს, ასეთივე მსგავსებაა ჩვენ ენებს შორისაც. სისხლიც ერთი გვაქვს. ერთი მოდგმისანი ვართ ჩვენ და ერთმანეთს ვპოულობთ... დადგა ჩვენი დროც – ჩვენ უნდა მოვნახოთ ერთმანეთი“.

ისევ მუჰამედ ვანლისის საუბრიდან.

ციალა არდაშელისა წიგნიდანაა ეს ამონაწერი. „გადარჩენილი სული კოლხეთის“... ჰქვია ამ წიგნს. ჩვეული მღელვარებით გადმოგვცემს იგი თავის მოუშუმარ ტკივილებს მასში... ყვირილი გემართებსო დღისით და მზისით.

ძველი მეგობრები ვართ ჩვენ... მახსოვს ის დღეებიც, ოცი თუ ოცდახუთი წლის წინათ ეს წიგნი „ცისკარში“ რომ იბეჭდებოდა... წლებისა და წლების მანძილზე, ძალზე იშვიათად ნახავდით მაშინ რაიმე მნიშვნელოვანს და საინტერესოს, დაბეჭდილს სამხრეთ საქართველოსა და კერძოდ ლაზეთზე... ეს მაშინ აკრძალული იყო და ამიტომაც უეცრად მიიზიდა მკითხველის გულისყური ამ წერილებმა, რომელშიაც გადმოიღვარა უზარმაზარი ტკივილი, „მღულარება“ სულისა“.

დამწერებელი და თავზარდაცემული, იგი აქაც, თბილისშიაც თავის ძველ, დავიწყებულ ძმებსა და დებს ეძებდა... მათი გულის გათბობას ცდილობდა... სარფში უნდა გადავსახლდე საცხოვრებლადო, ამბობდა. ძლივს-ძლივობით გადააფიქრებინეს და ბოლოს, იქნებ, აქედან მართლა უფრო მეტის გაკეთება შეეძლო, დათანხმდა. არც ახლა ისვენებს. ახლაც ბორგავს და წუხს... ახლა, მთლად საქართველოა გადასარჩენი და ჯერ კიდევ მაინც არსებულ, ქვეყნის ჭეშმარიტ ჭირისუფლებთან ერთად, ისიც იღვწის. ამის ერთი მაგალითი მისი სულ ახლახან გამოსული პუბლიცისტური წერილების წიგნია, რომელსაც „უძლური ჭირისუფალი“ ჰქვია.

მახსენდება დიდი მწერლის, ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები: „საქართველო არასოდეს არ მოკვდება“ რომ წერს (გვ. 126).

არასოდეს არ მოკვდება საქართველო, ჩემო „ძველო მეგობარო“ და დაო დიდი კოლხეთიდან, რადგან როგორც არ უნდა უძმიდეს, შენნაირები, რომელნიც საბუნდოვან კვლავაც არიან ჩვენში, ვითარცა სვეტნი დარბაზისანი, მხრებით შეუდგებიან მის მაღალ სასახლეს და უშველიან, გადაარჩენენ.

რედაქტორი

„დავიწყებულები ვართ ჩვენ, ჩვენო ძველო ძმაო“, – ნათქვამია ერთ ლაზურ ხალხურ ლექსში. ლაზი მთქმელი საყვედურს ეუბნება თავის ქართველ თანამოძმეს. თითქოს შორეული საუკუნეების ამოკენსაა ამ სიტყვებში. მასში ის დარდი და კაემანი მოისმის, რაც ისტორიის ბედუკუღმართობამ მოუტანა ლაზეთის მკვიდრთ.

ლაზეთი... ლაზეთი... ამ სახელის ხსენებას ზღვის ლურჯი ტალღების შრიალი მოაქვს ჩვენთან. იგი მაღალი, უსაზღვროდ მაღალი და

ლურჯი ზეცის მოგონებას იწვევს, იგი ძველი და მოუშუმებელი იარა და ლეგენდარული კოლხეთის გამო სიამაყეცაა ამავე დროს. კოლხეთით კი ჩვენი ისტორია იწყება.

ლაზეთი... ზღაპრული, ლეგენდებით მოცული მხარე! ათასწლეულების სიმორიდან მოაქვს მისი დიდება პინტის ზღვის ტალღებს, გემმა „არგომ“ რომ დაურღვია მყუდროება.

პირველად მაშინ იხილეს ბერძნებმა უჩვეულო სილამაზე – ზურმუხტისფერი ქედების საო-

ცარი სიმსუბუქე – შერწყმული ასევე ზურმუხ-ტისფერი ველ-მინდვრებისა და ზღვის უსასრულო სილურჯესთან. ამასთან უცხოელს აქ თვალში ეცემოდა ადგილობრივ მკვიდრთა დახვეწილი, ნატიფი გარეგნობა, გულადობა, რითაც საუკუნეების მანძილზე იყვნენ განთქმული კოლხეთის მკვიდრნი.

„იმ ტომებს შორის, სხვა სახელმწიფოს რომ ემორჩილებიან, არ მეგულება არც ერთი ისეთი სახელგანთქმული და დიდებული ტომი, რომელსაც შეეძლოს შეედაროს მას, როგორც ბარაქ-სიმდიდრით, ისე ქვეშევრდომთა მრავალრიცხოვნებით, როგორც ვრცელი მიწებითა და უხვი მოსავლით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიქვეითი“ – წერდა კოლხეთზე ბიზანტიელი ისტორიკოსი ავათია სქოლასტიკოსი.

ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევარში გიორგი ყაზბეგი, რომელმაც იმოგზაურა ლაზეთში სამხედრო – სტრატეგიული დავალებით, აღნიშნავს:

„ზღვისპირა ლაზების სილამაზე ადამიანს თვალში ეცემა. ისინი გონებრივი განათლებითა და გარეგნული სიფაქიზით გამოირჩევიან... აქაური ქალები ლამაზნი, ტანადნი არიან და ჩვეულებრივ ცისფერი თვალები და თეთრი პირისაზე აქვთ. ამასთანავე, ლაზი ქალები არაჩვეულებრივი ენერგიით, გულადობითა და მტკიცე ხასიათით გამოირჩევიან“.

„ნაოსნობა ათასობით ლაზს აცლიდა სამშობლოს, ვაჭრობა და სილამაზეც ხელს უწყობდა გადასახლებას სამშობლოდან. ლაზები ლამაზი ხალხია: ოსმალონი ძალიან მისდევენ ნათესაობას ლაზთა შორის, ფულითაც ყიდულობენ“ – წერდა ზაქარია ჭიჭინაძე.

პირველი კარტოგრაფები, განთქმული მეზღვაურები და გემთმშენებლები, ვაჭრები და გულადი მეომრები, პირველი ქრისტიანები საქართველოში, ხალხი, რომელმაც დასაბამი მისცა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ესოდენ ცნობილ გვარსა და დინასტიას... შრომისმოყვარე, თავისი ქვეყნისა და ენის უსაზღვროდ მოყვარული – ასე იცნობდნენ ლაზებს ძველ მსოფლოში. მაგრამ ამ მამაც და ამყ ტომს იმთავითვე დაუსრულებელ ტრაგედიად ექცა არსებობა.

ხან ერთი იმპერიის ბრძოლის ასპარეზად იქცეოდა ძველი ლაზიკა, ხანაც – მეორის, ერთ მბრძანებელს მეორე ცვლიდა, კეისარს შაჰი მოჰყვებოდა, შაჰს – ხონთქარი... და ასე დაუსრულებელი.

გოლგოთის გზა არგუნა ბეგმა ლაზეთს, ისევე, როგორც მთელს ძველ საქართველოს.

ლაზეთი... ძველი და მოუშუშებელი იარა ჩვენი ერის სხეულზე, მისი დაცემა-დაკნინების უტყუარი საბუთი, მისი დაშლა-დაქცევის გულისშემძვრელი მაგალითი.

ალზევების ჟამს ჩვენი დიდი მეფეები გრძობდნენ ამ იარის სიმწვავეს და ცდილობდნენ, გაეწვდინათ დახმარების ხელი მოძმეთათვის, მაგრამ დროის მცირეოდენი მონაკვეთი-და არგუნა ბეგმა საქართველოს ამ ისტორიული მისიის შესასრულებლად. მერე ისევ აიწიწი-დაიწიწა ყველაფერი, ისევ უკულმა დატრიალდა ბედის ჩარხი და ნელ-ნელა, ხან ერთი ნაწილი ეკარგებოდა, ხან – მეორე, მთლიან სხეულს. მერე ამ დარღვეული სხეულის გულის გადასარჩენად იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი გამართული. ვის-და ეცალა ახლა დანარჩენი ნაწილებისათვის, ან ახსოვდათ კი იგი?

ხსოვნით იქნებ ახსოვდათ კიდევ, მაგრამ თანდათანობით ბუნდოვანი, გაურკვეველი ხდებოდა მოგონება!

დავიწყების ფერფლი ეყრებოდა წარსულს, თანდათან ქრებოდა თანამომძმეთა ხსოვნაც...

ხოლო უზარმაზარ იმპერიასთან მარტო და პირისპირ დარჩენილი ლაზეთი, ოდესღაც დიდებული და სახელოვანი კოლხეთის მემკვიდრე, სულს დაფავდა; ამაოდ მოუცვდა ხმალი ქნევაში, ან კი, რა ძალას შეეძლო მამინ გაერღვია გარს მომდგარი სიბნელე? ფიზიკურად გადარჩენის ინსტინქტი-და შერჩათ ლაზებს, მუსულმანობის ზღვაში ჩაძირულთ.

„დავიწყებულები ვართ ჩვენ, ჩვენო ძველო ძმაო...“ – ეს საყვედური საქართველოს ისტორიულმა ბედუკუდმართობამ წარმოშვა.

და, თითქოს ამ საყვედურის საპასუხოდ გამოანათა ჩვენს ლიტერატურაში ლაზი კონსტანტინე არსაკიძის სახელმა.

ჩვენმა სასიქადულო მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ არსაკიძის ლაზად წარმოჩენით თავისი ეროვნული ვალი მოიხადა ლაზეთის წინაშე. შეუძლებელია, აუღელვებლად მოიგონო ის ეპიზოდი, როცა ჟამიანობის გამო შიშით შეპყრობილ თანამომძმეებს მიმართავს არსაკიძე:

„ლაზებო, მართალია ჟამიანობა დაიწყო, მაგრამ გახსოვდეთ, ჟამის საფრთხე ყველას გვიქადის...“

რას იტყვიან იბერიელები? მშინშარანი ყოფილანო ლაზები. იცოდეთ, ყველაზე მეტად ძმების უნდა გერიდებოდეთ, ლაზებო, რადგან არავინ ისე საყვარელი არაა ამ ქვეყანაზე, როგორც დედა, არავინ ისე მოსარიდებელი, როგორც დედის ხსენის თანაზიარი.

საქართველო ჩვენი დედაა, ლაზები, ხოლო იბერიელები ძმებია ჩვენი. აბა მოიგონონ უხუცესებმა თქვენ შორის, სარკინოზებთან ან ბერძნებთან ომებში თუ გილალატნიათ მათთვის? ახლა ვირთხებისა და რწყილების მიერ გავრცელებულმა ჟამმა რომ გვასწავლოს ლალატი, სირცხვილი იქნება უთუოდ, ლაზებო.

ეგეც იცოდეთ, ძმებო, არავინ ისე საბაგელი არაა ამ ქვეყნად, როგორც ძმების მოლალატი, მშიშარა ვაჟაკები...

– მართალს ბრძანებს, მართალს ბრძანებს ოსტატი, – მიაძახეს ლაზთა შორის უხუცესებმა“.

შემდეგ ნოდარ დუმბაძის რომანში „ნუ გეშინია, დედა“, – ახშიანდა მკაფიოდ იგივე პრობლემა, ალი ხორავას კოლორიტული სახით გამოკვეთა მწერალმა თავისი სატკივარი.

„რამდენჯერ ამოსულა სათვალთვალო კოშკზე ალი ხორავა და გაღმა გაუხედავს. ჭოგრიტი გამიწოდებია და არ გამოურთმევია – ისედაც კარგად ვხედავო. დიდ ხანს უცქერია, მერე მძიმედ ამოუოხრებია და წასულა. ვინ იცის, რაზე ოხრავს ალი, გაღმა დარჩენილ ბიძებზე, ბიძაშვილებზე, თუ ლაზეთზე, იქაურ ჩაბნელებულ ოდებზე მორყეულ დედაბოძებზე, უმინო სარკმლებზე, დაკერებული შარვლებით მოტანტალე ბავშვებზე, თუ მინარეთის თავზე დარჭობილ ნახევარმთვარეზე. არვინ იცის, რაზე ოხრავს ალი ხორავა, იმიტომ, რომ არასოდეს არავის არაფერს ეუბნება. ერთი კია, რომ ოხრავს ხოლმე, ალბათ, ყველაფერზე ერთად ოხრავს ალი“. ხოლო ეს უთქმელი სევდა საცნაური ხდება იმ წარმოსახვით დიალოგში, რომანის მთავარ გმირ ავთო ჯაყელსა და გაღმელი მასწავლებლის ცოლს შორის რომ იმართება.

„გიცქერით ჩემს და მოგაფერებს და ჯუმა მოგაფერებს; დავდივარ ყველა ოჯახში, დაგყვებით ყველგან, თქვენთან ვარ, ჩემს სისხლ და ხორცთან, ნათესავებში“, – ესიტყვება გაღმელი დობილი თავის გამოღმელ ჯუმა მოგაფერს...

„სულ ჩვენი იყო, ჯაყელო, აქედან ეპეი... იქამდე. ლაზები ჩვენი ძმებია...“

არის ასეთი მეგრული ძველებური სიმღერა „დიდოუ ნანა, მებდინაო ჩქიმი ცოლა“ – ვაიმე დედა, ნუთუ დავიკარგები, ჩემი ცოლვა?

ბავშვობაში ერთი მოხუცებული მთქმელისაგან გამიგონია: ჩვენი ქვეყანა განძის პატარა კუნძულია. იგი აბობოქრებულ ოკეანეში მოისროლა ღმერთმა და უბრძანა: ებრძოლე აზვირთებულ ტალღებს, ებრძოლე გამუდმებით, თუ ბრძოლას შეწყვეტ, ჩაიძირებიო.

და იბრძოდა. ებრძოდა ათასგვარი ჯურის გადამთიელსა და მტაცებელს. ებრძოდა მესთა ტენას, და ცოცხლობდა და ქმნიდა; სისხლის წვიმაში ქმნიდა ოშკსა და გელათს, სვეტიცხოველსა და ალავერდს, ქმნიდა ხახულის კარედს, თავის იგავიუწვდენელ ფრესკებსა და მინიატურებს, ცოცხლობდა, შრომობდა.

ცოცხლობენ ლაზებიც. ყველას გასაოცრად ახერხებენ შეინარჩუნონ თავიანთი მეობა. მართალია, დაილიენ. ოდესღაც დიდებული და მრავალრიცხოვანი ტომიდან მცირედნიდა დარჩნენ, მაგრამ მაინც არიან, არსებობენ, გამოირჩევიან.

„დავიწყებული ვართ ჩვენ, ჩვენო ძველო ძმაო!“ – ჩიოდა თავის დედასამშობლოს მოწყვეტილი ლაზი და თანამოძმეთა ეს გულსაკლავი ჩივილი მოჰქონდა ჩვენამდე შავი ზღვის ტალღებს.

ციალა არლაშელია

ეპ, ვუმზერ საქართველოს და გული
ცრემლებით მევსება. უწინ დედამიწის სამოთხე
რომ იყო, დღეს კვნესის და ქაოსად ქცეულა.

მონაზონი ქრისტინე.
კასტელის ალბომიდან

არგონავტების ნაკვალევზე

რამდენადაც მსოფლიო სულ უფრო და უფრო ერთგვაროვანი ხდება და ახლოვდება დღე, როდესაც ხუთი კონტინენტის ხალხები გაიზიარებენ ერთსა და იმავე იდეებს და დაიცავენ ერთსა და იმავე ტაბუს, ამიტომ დღეს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება თავისებური ეროვნული უმცირესობის არსებობის ფაქტს. ისეთი მცირერიცხოვანი ტომები, როგორიცაა მაგალითად, აღმოსავლეთ თურქეთში მცხოვრები ლაზები, ღირშესანიშნავ ინდივიდუალობას წარმოადგენენ და ნაწილობრივ, სწორედ ამ ხალხის გასაცნობად გაეშურა შარშან ოთხი ჩვენგანი სტამბოლიდან აღმოსავლეთისაკენ.

თურქეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ზღვის დონიდან დაახლოებით 13000 ფუტის სიმაღლეზე აღმართულა პონტოს მთები, რომელთაც ზოგჯერ მცირე კავკასიონს უწოდებენ. ისინი შავი ზღვის ნაპირს ორმოციოდე მილით არიან დაშორებულნი სამხრეთის მიმართულებით და ასეთივე მანძილი აშორებს სამხრეთის მიმართულებით; ასეთივე მანძილი აშორებს მათ საბჭოთა კავშირის საზღვარს. მთიან ხეობებში ცხოვრობენ ლაზები – საინტერესო რასობრივი და ენობრივი ნაშთი; დაახლოებით 20000 მიწათმოქმედი და მწყემსი ლაზი მოსახლეობს აქ. ცოტა რამაა ცნობილი მათი წინაპრების შესახებ. თუმცა უდაოა, რომ ისინი კავკასიური ჯგუფის ხალხებს ეკუთვნიან. ისინი წინაბერძნული მოსახლეობის ნაშთს წამოადგენენ და ითვლებიან კოლხების მემკვიდრეებად, რომელთა საზოგადოება ბრინჯაოს ხანაში ყვაოდა... იმ კოლხებისა, რომელთაც შეხვდნენ იაზონი და არგონავტები შავი ზღვის ამ შორეულ კუთხეში. მათი ენა, დაუწერელი და აღუწერელი, ნამდვილად უნათესავდება ქართულს.

თავის დროზე ლაზები ვასალები იყვნენ ტრაპიზონის იმპერიისა, რომლის დედაქალაქი, დღევანდელი ტრაპიზონი, სულ სამოცი მილითაა დაშორებული მათგან დასავლეთით, სანაპიროს გასწვრივ. ლაზებს ისლამი მიაღებინეს XV ს-ში, როდესაც ისინი თურქებმა დამორჩილეს; დღეს ისინი ლოიალურნი არიან თურქეთის მიმართ და წარმოადგენენ მახლობელი აღმოსავლეთის მკვეთრად გამოყოფილი უმცირესობის იშვიათ მაგალითს, რომელიც არ ქმნის რაიმე პოლიტიკურ პრობლემას. ეს ალბათ, იმის

გამოა, რომ მათ აქვთ ცხოვრების დიდი გამოცდილება და მოგზაურობის მოყვარულნი არიან. სულ 10.000 მათგანი ცხოვრობს თვით ლაზისტანში; ხოლო დანარჩენი გაფანტულია შავი ზღვის გასწვრივ და მთელ თურქეთში. სანაპიროზე ისინი თავს ირჩენენ მეზღვაურობით; მათ უძველესი დროიდან ჰქონდათ კარგი გემთმშენებლების რეპუტაცია. უფრო შორს, ანკარაში, სტამბოლში, იზმირში ისინი მისდევენ მეშაქარლაშობას. ამ ხელობით ისინი დიდხანს იყვნენ ცნობილნი და რევოლუციამდე რუსეთშიც კი საუკეთესო კონდიტრებად წარმოშობით სწორედ პონტოს მთების მცხოვრებნი ითვლებოდნენ.

ლაზეთის ჰავა ისევე განსაცვიფრებელია, როგორც მისი ხალხი. მთელი მცირე აზია მშრალ ქვეყანას წარმოადგენს. მთლიანი მხარეები მშრალია და მზე უხვად ეფრქვევა გადამხმარ მიდამოს. იმის საწინააღმდეგოდ კი შავი ზღვის ბრიზებს მძიმე საწვიმარი ღრუბლები მოაქვთ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. სანაპიროს თბილი და ნოტიო ჰავაში კარგად ხარობენ ჩაის პლანტაციები.

ისინი აქ მას შემდეგ მოაშენეს, რაც დაირღვა საუკუნოვანი სატრანზიტო ვაჭრობა რუსეთთან, ზშირი ტროპიკული ტყე ფარავს მთების ფერდობის ძირებს, მაგრამ იქ ტროპიკებზე უფრო ზომიერი მცენარეული საფარია, მხოლოდ მაღალმთიან იალალებზე დააღწვეს ადამიანი თავს მოღრუბლულობასა და ნერვების მოშლელ წვიმას, 30 000 ფუტის სიმაღლეზე შავი ზღვის ჰავას ანატოლიის ჰინდერლანდის მშრალი ჰაერი უკუავადებს. ღრუბლები იშვიათად გადალახავენ ხოლმე ქედს; მის სამხრეთით თვალწინ თურქეთისათვის დამახასიათებელი გადამშრალი არე იშლება; ლაზეთს კი საკუთარი ჰავა აქვს.

თითქმის დღემდე პონტოს მთებთან მისვლა შეუძლებელია მხოლოდ ნელმავალი პაკეტბოტებით, რომლებიც გზადაგზა თითქმის თორმეტ პატარა ნავთსადგურში ჩერდებოდნენ, სტამბოლიდან საბჭოთა კავშირის საზღვრამდე. ახლა მოგზაურობა ლაზეთამდე შეუძლებელია მხოლოდ ოთხ დღემდე დაეიყვანოთ, რადგან ადამიანს საშუალება აქვს თვითმფრინავით მიაღწიოს ტრაპიზონის პრიმიტიულ საფრენ მოედანს. ჩვენც ასე მოვიქვეით შარშან ზაფხულს. გარდა ბოლო

დროს აღდგენილი წმიდა სოფიოს ტაძრისა, ძალიან ცოტა რამ შემორჩენილა „ტრაპზონის გალავნის“ და იმპერატორ კონსტანტინე დიდ-ებიდან: ტრაპზონში აღმოჩნდა ყველგან მიმავალი მანქანა და ჩვენც ვიჭირავთ ის, რათა გადაგვეზიდა კარვები და სხვა ბარგი. საჭურველი ბევრი გვექონდა, რადგან ვაპირებდით არა მარტო ლაზებს შეგხვედროდით, არამედ მოგვევროვებინა მცენარეები და ავსუღიყავით პონტოს მთების ზოგ მწვერვალზეც, სადაც ჯერ არც ერთი ინგლისური ექსპედიცია არ ყოფილა.

როდესაც სანაპირო სოფლებში მივდიოდით, დავინახეთ ნაპირზე ნაგებს აკეთებდნენ და ვიფიქრეთ, ეს ხელოსნები, როგორც ჩანს, პირველი ლაზები არიან, ვისაც შეეხვედით-თქო. საშინელი სიცხე იყო და შავი ზღვა ერთფეროვანი, უსიცოცხლო ჩანდა. ნოტიო ჰაერი ზღვის მოქცევასავით გადაეღებოდა ჩაის პლანტაციებს. მთებისაკენ, მიწის შარავზაზე გადახვევამ, შეება მოგვიტანა. გზა ზევით მიდიოდა, გადადიოდა რამდენიმე მშენიერ ქვის ხიდზე, რომელიც ამ მთიანი ხეობებისათვის არის დამახასათებელი; ბოლოს ტროპიკული ტყის ნაპირას გამოჩნდა ლაზების პირველი სახლები. ეს იყო ხისგან ნაგები საზამთრო ბინები, განიერი ლავგარდნებით. ისინი მოგვაგონებდნენ ზემოალპების შევიცარიულ სახლებს (შალე) და ისევე მტკიცედ იყვნენ ნაგებნი. ტყე იყო შიშისა და კრძალვის მომგვრელი. არასოდეს გვენახა ასე ფართოდ გაშლილი ხეები. სანაპირო წვიმების წყალობით გაზრდილი წიფელი, რცხილა, წაბლი, ნაძვი აფრავაშლილ გოლიათურ ხომალდებს გვაგონებდნენ. ხავსი და ლიქენი ეკიდა ხეებზე. პონტური შქერი, ამ ტყეების მკვიდრი და დაფნის ხის დიდი ჯგუფები, ლამის დიდი ტყის სიმაღლეზე რომ გაზრდილიყვნენ. მიწის დონეზე იყო პონტური შროშანი, ბრჭყვიალა ნარინჯისფერი. მხოლოდ ამით განსხვავდებოდა იგი ალპების წითელი შროშანისაგან.

ხეების განშტოებაში 50-60 ფუტის სიმაღლეზე გაჩრილი რაღაც კასრის მსგავსი საგნები ჩვენს გაკვირვებას იწვევდა, ვიდრე არ გავივით რომ ეს იყო ველური ფუტკრის სკები, ჩამოკიდებული, დათვისათვის მიულწეველ ადგილას. დათვი ტყეში ხშირია. ველური პონტური თაფლი მათობეღაა და ისეთივეა, როგორც თაფლი, ქსენოფონტეს ჯარისკაცები რომ გაავიჟა. მას აქვს მომწარო გემო, მოწითალო ფერი, ძლიერი სუნი. წარმოადგენს ნარკოტიკის მსგავს საშუალებას და მისი დასუნვაც კი მიუჩვეველ

კაცს ცხვირის საშინელ ცემინებას აწყობინებს. მისი უცნაური ბუნება წარმოდგება ყვითელი *Luteum Aralea*-დან (იელი), რომელიც უყვარს ფუტკარს. მისი სუნი მკვეთრად სჭარბობდა ზემო ხეობებში.

გზა და ტყე ერთდროულად დამთავრდა. ზემოთ ტყესა და მწვერვლებს შორის იყო მშრალი საძოვრები, სადაც ლაზების უძრავლესობას თავიანთი ფარები გადმოურეკათ. ამ მთიან სოფლებში ცხოვრობენ ისინი ზაფხულის სამ თვეს. ტყეში მდებარე უკანასკნელ სოფელში გაეხსნათ პრიმიტიული დუქანი, რომლის მფლობელი ზამთრობით ანკარაში მუშაობდა კონდიტერად. აქვე აკვიდრეთ ჩვენი ბარგი პატარა, გამძლე ცხენებს. მზიდავებზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ლაზები არისტოკრატები არიან და ტვირთს არ აიკიდებენ.

მთიანი საძოვრები მოშხიბლავი იყო. ჩვენი ბანაკები იდგა ანკარა წყაროების გვერდით. ალპური ყვავილებით დაფარულ მიწაზე. 7500 ფუტის სიმაღლეზე თეთრი კავკასიური შქერის ხშირნარები იყო. ისინი მცირე ყინვარებამდე ვრცელდებოდნენ. უფრო მაღლა, მთების კლდოვან მხარეზე ხარობდა ყვითელი *Arabis Polytricha*, თავის მსგავსი ცხოველი ხშირად მეგობრულად ესტუმრებოდა ხოლმე ჩვენს კარებს. მაგრამ რატომღაც არაფერს ერჩოდა ჩვენს სურსათს. გათენებისას გაგვადვიდა „თოვლის მამლის“ ხმამ. ესაა დიდი თეთრი ზოხბის მსგავსი ფრინველი, ოღონდ უკულო. კლდეების ეს მკვიდრი ხშირია ჰიმალაებში. ლაზეთი მისი გავრცელების უკიდურესი დასავლეთია.

ლაზები ჩვენდამი იყვნენ ძალიან მეგობრულად განწყობილნი და ისევე პატიოსანნი, როგორც თურქები. მათი სტუმართმოყვარეობა უხერხულ მდგომარეობაშიც კი გვაყენებდა. ჩვენ ვერ გავივლიდით ვერც ერთ „აილას“ (საზაფხულო სადგომი), რომ დაჟინებით არ მივეწვიეთ ჩაიზე. ფულის გადახდაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, რადგან ამას ისინი შეურაცხყოფად მიიღებდნენ. დიდი გაჭირვებით ვახერხებდით, რომ მათ ჩვენგან მცირე საჩუქარი მიეღოთ. გარეგნობით ლაზები სანაპიროს მცხოვრებლებს მოგვაგონებდნენ, მაგრამ ჩანდა, რომ უფრო თხელ-თხელი, გამძლე და წვრილძვლიანნი იყვნენ, ვიდრე თურქები და უფრო წაგრძელებული სახეები ჰქონდათ. ქალების უძრავლესობა ძალიან ლამაზი იყო. და მათ ყურადღება არ მიუქცევიათ ათა თურქის რეფორმებისათვის ერთგვაროვანი ტანსაცმლის შესახებ. თავიანთ ჭრელ, ფერადოვან

ტანსაცმელში ისინი სამოთხის ჩიტებს წააგავდნენ. უტყობათ, ნაყოფიერნიც იყვნენ. „თაილებში“ ათობით ბავშვი ტრიალებდა ირგვლივ. ბავშვები ძალიან მკვირცხლები და ჯანმრთელნი იყვნენ და ჩვენ აღენიშნეთ, რომ იშვიათად სადმე თუ გვინახავს შვეიცარიის გარდა ასეთი ჯანმრთელი მთიელი გლეხობა. ეჭვგარეშეა, რომ მეზღვაურებმა და კონდიტერებმა რაღაცა შეჰმატეს ადგილობრივ მურნეობას, მაგრამ მთავარი მაინც აქ ცხვრის დიდი ფარებია. ალბათ, ნაწილობრივ ეს იმის შედეგია, რომ ლაზების საზოგადოება დღემდე ძირითადად კარჩაკეტილ მურნეობას ეწევა; ისინი იკვებებიან საკუთარი ჯოგების ძროხის ხორციით, ცხვრის ხორციით და საკუთარი


თაფლით. მათი შრომის ნაყოფი დღემდე იშვიათად იცვლება დასავლეთის მრეწველობის ბრწყინვალა და გამოუსადეგარ საქონელზე.

ტრადიციული მუსიკა და ცეკვა ჯერაც არსებობს. როდესაც მივდიოდით ზევით, საძოვრებზე, ჩვენი მეგზურები გვამხნეებდნენ თავიანთი გუდასტვირებით. საღამოობით კი უკრავდნენ ჩვენი კარგების შორიანლოს. მათი მუსიკის გამოძახილით დავიწყეთ გათენებისას ქედის უმაღლესი მწვერვალის ქაჩქარდალის პირველი ბრიტანული დაპყრობა. სწორედ ამ მეგობრული სახეების წყალობით დავბრუნდით სახიფათო მოგზაურობიდან და შემდეგ მოვუტრიალდით სანაპიროსა და შეოცე საუკუნეს.

რობინ უილმონი – ინგლისელი მოგზაური.
თარგმნა რეზო გაჩეჩილაძემ



მაკრიალი. ეკლესიის ნანგრევი



ვანის ქვაბი. ვერცხლის თასი, რელიეფური ორნამენტი – ბრიალა (ბორჯღალი).

ნიკო მარის მოგზაურობა ლაზეთში

კლარჯეთის გაცნობამ ნიკო მარს ლაზეთში გამგზავრებისაკენ უბიძგა. იგი იქ მხოლოდ 1909 წელს მოხვდა, თუმცა ეს მოგზაურობა ჯერ კიდევ 1904 წელს ჰქონდა ჩაფიქრებული. კლარჯეთში მოგზაურობისას იგი „ცხოვრების“ მონაცემებით ხელმძღვანელობდა. ამ მონაცემებიდან ირკვეოდა, რომ ამ მხარის მკვიდრ მოსახლეობას ჭანები (ლაზები) შეადგენდნენ, რომლებიც მოგვიანებით ჰიბრიდიზაციის ურთულესი გზის გავლით ქართველთა შეცვალეს.

მას ლაზეთში მეცნიერულ ინტერესთა მთელი წყება იზიდავდა: ოდინდელი გეოგრაფიული სახელწოდებები მათი ჭანური გადმონაშთებით, ძველ-ქართული დამწერლობის ძეგლთა დათარიღება, უფრო ზუსტად, სასულიერო ენისა, თუ ჩავთვლით, რომ ჭანები (ლაზები) მართლმადიდებლური ქრისტიანობის გზის გამკვალავები იყვნენ. მის ყურადღებას ასევე იზიდავდა საკითხი კოლხიდის კლასიკურ გადმოცემათა დაკავშირებისა არა რიონ – ფაზისთან, არამედ – ჭოროხ-ფაზისთან. იმედი ჰქონდა, ჩაეტარებინა არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული დაკვირვებები და რამდენიმე ფოტოც გადაეღო. მას სურდა უფრო ახლოს მისულიყო ხალხთან, რომელშიაც ერთ-ერთი იმ უძველესი ტომის წარმომადგენელს ხედავდა, ვინაც „კავკასიის ისტორიის გარიჟრაჟზე“ ამ მხარეში თავი მოიყარა. რა ბედი ეწია მას ამჟამად, როცა იგი სასიცოცხლო ენერჯის წარმომშობ მონათესავე კულტურულ ელემენტებსა მოკლებული.

ლაზეთში მას მთელ რიგ გვეგებზე ხელის აღება მოუხდა. იგი თავისი მოწაფის, ეთნოგრაფ ნ.ნ. ტიხონოვის თანხლებით მოგზაურობდა. თურქეთის ლაზეთში მათ ყოფნას ხელისუფლების მხრიდან ისეთი უნდობლობა მოჰყვა (პოლიციელთა თვალთვალი, ბრბოს წასისიანება), რომ იძულებულნი გახდნენ, ოდენ ენის საკითხებით შემოფარგულიყვნენ. თუმცა, მოგზაურობის უმთავრესი მიზანიც ეს იყო, დანარჩენი – მხოლოდ თანმხლებ ინტერესებს შეადგენდა. მის მეცნიერულ აზროვნებაში რაღაც დონემდე გადამწყვეტი ძვრები ხდებოდა; მან საბოლოოდ გააცნობიერა საქმიანობაში „ლიტერატურული ენის მხოლოდ წერილობითი ძეგლებით, თუნდაც უძველესი დროიდან“, შემოფარგულების დაუშვებლობა და იმ რწმენამდე მივიდა, რომ ძველ კლასიკოს მწერალთა მითითებებზე, მათ არჩევანსა და შეთანხმებაზე

დაფუძნებული მეთოდი იმ შემოქმედებით ძალმოსილებასაა მოკლებული, რაც უშუალოდ ახალი წყაროებიდან – ნივთიერი ძეგლებიდან და ცოცხალი ენებიდან გამომდინარეობდა. მას არც ეუხერხულებოდა ეთქვა, რომ ზოგ შემთხვევებში სამაროვანთა გათხრებისას მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალას უფრო დიდი რეალური მნიშვნელობა გააჩნია, ვიდრე მთელ პატივცემულ ქსენოფონტეებსა და ჰეროდოტეებს, ასევე „გვაროვნული წყობის მრავალრიცხოვან სოციალურ განცდათა არქაული ყოფით დაცულ ლინგვისტურ პალეონტოლოგიასაც“. მისი უკანასკნელი ეპოპეა – ვიშაპების აღმოჩენაც – ცოცხალ მასობრივ ენათა შესწავლისაკენ მათი არქაულობის გამო იზიდავდა. იგი უკვე სომხური ენის იაფტური ელემენტებით იყო დაკავებული, მის დიალექტებსა და კილო-კავებს იკვლევდა, მაგრამ ჭანური ენისაკენ, როგორც თვითონ მიუთითებს, კიდევ ერთი არსებითი მომენტი „უხმობდა“ – ეს ენა სუზის წარწერათა და სომხეთის ტერიტორიაზე ამოუცნობი ენის სოლისტური წარწერების ლინგვისტური ანალიზისთვის დასაყრდენს იძლეოდა. როგორც ყოველთვის, ნ. მარი საქმიანობას გატაცებით შეუდგა. იგი ნამდვილად იტანჯებოდა, თუ ჭანური მეტყველების მოსმენის შესაძლებლობასა და მის გამოყენებას იყო მოკლებული. ათინაში მთელ დღეს დედით ქართველ ფეეზიბისთან ატარებდა. ფეეზიბი განათლებული კაცი, ადგილობრივი მასწავლებელი იყო. მას, როგორც ნ. მარი ამბობს: „ჰქონდა თანდაყოლილი ინტერესი ფილოლოგიური საქმიანობის მიმართ... ჯანსაღი ლინგვისტური ინსტინქტი“.

ისინი ადრე დილიდან გვიან ღამემდე დროს ერთად ატარებდნენ, საქმეში ამოუწურავ ინტერესს პოულობდნენ. შესვენებებში ნ. მარი საუბრობდა და მუშაობდა ყველასთან, ვინც მასთან შედიოდა. მისი ოთახის კარი ყველასთვის ღია იყო. „ჩემს ოთახში დღისა და ღამის ყოველ მონაკვეთში (რამაზანი იდგა) შემოდიოდა ნებისმიერი, როგორც საკუთარ სახლში, ყოველი მათგანი წვებოდა ჩემს საწოლზე, ხელს აფათურებდა ჩემს ნივთებში და წინააღმდეგობას არ ვუწვედი. მხოლოდ მოვითხოვდი, რომ ჩემთვის ჭანურ ენაზე მოემართათ და ვცდილობდი ჭანურადვე მეპასუხა“.

რა თქმა უნდა, ენის შესწავლისას, ექსკურსიებზე სიარულისას, ადამიანებზე დაკვირვებისას, მათთან სტუმრად ყოფნისას, საუბრობისას, ყავა-

ხანაში, ნავში, ბაზარში, ადგილობრივ მოღვაწეებთან, მენავესთან, ბიჭუნასთან, ქალთან (თუ იქაური მუსლიმანური ყაიდის გამო ეს დასაშვები იყო) არა მხოლოდ ენობრივ დაკვირვებებს ახდენდა; ყოველგვარ ცხოვრებისეულ თავისებურებებს ამჩნევდა, აკვირდებოდა რა გათურქებულ ქართველს, მისი გაორებული როლითა და ფსიქოლოგიით, მისი ქრისტიანული გადმონაშთებით, მისი საქართველოსა და რუსეთისკენ ლტოლვით, მისი კაუშნითა და უშედეგო მცდელობებით, დაუძვრეს უცხო გარემოცვას „მჭიდვ მუსულმანური სქოლასტიკის“ ძალაუფლებას.

ამგვარად ზიაბები, მუსულმანი – ქართველი, გვარად აბაშიძე „მთელი არსებით მიჯაჭვულია რუსეთზე, რუსულ ლიტერატურაზე შეგვარებული. მისი ძმისწული კიაზიმ-ბეი კი, ვერცხლის წყალივით მოუსვენარი, „ცეცხლოვანი ტემპერამენტის“ ახალგაზრდა, საკუთარი ხელით უსწორდებოდა ყველას, ვინც თავის თავს ნ. მარის საქმიანობაში ჩარევის უფლებას აძლევდა. იგი ტრაპიზონში სწავლობდა, მაგრამ იქაური სკოლის რეჟიმი ვერ აიტანა. „თავისი არსით რა შეეძლო ჩემთვის თურქულ სკოლას მოეცა? გონებისთვის სრულიად არაფერი. სხვა საქმა რუსეთში. იქ მეცნიერებას ასწავლიან, იქ კარგი ხალხია, გაგებით გეკიდებიან, თქვენს სულს სწვდებიან, გულს აფასებენ...“-ო ამბობდა.

აქ არა მარტო გარეგნული დევნის გამო ჩივილია, არამედ მათი პიროვნების იგნორირება: მათი სულის არ ესმით, მათ გულს არ აფასებენ.

ლაზისადმი სიძულვილი თურქულ ანდაზებში ნათლად გამოვლენილი: ფრინველებს შორის ყველაზე უჭკუო ქმნილება ბატია (კაზ), ადამიანთა შორის – ლაზი. „კაზი“ ერთიმება „ლაზს“; ანდა „ლაზების კისელის ჭამა მუსულმანისთვის არ შეიძლება“.

ლაზების ეროვნული გადმოცემები ყველაზე მეტად მუსულმანთა მიერ იდეენებოდა.

კიდევ იყო ახალგაზრდა ჰუსეინ კალაფადი-ოღლი, ნამყოფი ყირიმში, მშვენივრად მოსაუბრე რუსულად. „ის იმდენად გულითადი იყო“, – ამბობს ნ. მარი, „თითქოს ნათესავები ენაზა“. ყირიმში იგი ფერწერას დაუფულა და ათინის დუქნების ფირნიშებს ხატავდა. „ასე, დროის მდომარებაში, სხვაგვარ ისტორიულ პირობებში ლაზ ოსტატებს შეეძლოთ მცირეაზიური კულტურის ჩვევები მაკი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე გადაეტანათ“.

ნ. მარი გარემომცველ მდგომარეობას ყოველთვის ითავისებდა: აკვირდებოდა ლაზთა განსახლების ადგილებს, შეძლებისდაგვარად, ლა-

ზურად მოსაუბრე სოფლების ჩამონათვალს ინიშნავდა, ასევე მატერიალურ ყოფას თავისი შეძლებულობითა და ხელმოკლეობით; ბუნებრივ სიმდიდრესა და ლაზთა საქმიანობას, რომელთაგან გამოდიოდნენ ქვის მთლელები, მხერხავები, ყასბები, პურის მცხოვრები, და განსაკუთრებით – მჭედლები... „აი, სადაა ახლა ის სუსტი ნაშთი ლითონის წარმოების კულტურისა, სახელი რომ გაუთქვა ივერ-ტიბარენსა და ჭანს, ანუ თუბალკაინს. მისი მშობლიური მხარის საზღვრებიდან შორს ლაზები უბადლო მეზღვაურები და იარაღის უსაზღვროდ მოყვარულები არიან. ნ. მარი საუბრობს ძველებურ სარეწებზე, ბაზარზე, ვაჭრობაზე, სიმინდსა და თამბაქოზე, საოჯახო ყოფასა და ავეჯზე; ნაჩქარევად ინიშნავს, მაგალითად, ისეთსავე მრგვალ მაგიდას, როგორიც მან კლარჯეთში მუსულმან ქართველებთან ნახა, ხეზე კვეთას, რომელიც ქართულ და სომხურ არქიტექტურაში ქვაზე დეკორატიული კვეთის მოტივებს იმეორებენ“.

ნ. მარი აღნიშნავს ქალის როლს, რომლის შრომაც ძველებურ სარეწართა თანაბრად სიცოცხლის წყარო და ლაზის შეძლებაცაა; მისი ბედი მძიმეა, გაწვრთნილი საქონლის შრომას ეწევა.

იგი სიყვარულით საუბრობს ბავშვებზე – საყვარელ არსებებზე, რომლებმაც ძველებური საბავშვო თამაშობები შეინარჩუნეს. „ისინი ქალების შემდეგ, შესაძლოა მათ თანაბრადაც, ყველაზე უფრო სუფთა, თავისუფალი ჭანური მეტყველებით საუბრობენ. ცინცხალი გონებით გამოირჩევიან, მაგრამ მათი მომავალი, – სევდიანად ამატებს ნ. მარი, – ამ ბავშვების არაბუნებრივ მდიდარ მონაცემებზე არაა დამოკიდებული, არამედ, გარემომცველ პირობებზე, ყოველგვარ ადგილობრივსა და ორიგინალურს რომ სპობენ.

პოლიტიკურ განწყობილობებზე საუბრისას, ნ. მარი უთითებს, რომ ლაზების უმრავლესობა პროგრესული მიმართულებისაა. „ფეზინ-ბეი ირწმუნება: არცერთ ლაზს თურქულ კონტრარევილუციაში მონაწილეობით თავი არ შეურაცხენია. ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში ლაზები თავს დამოუკიდებელ ძალად გრძნობდნენ. იტალიელი მოგზაური ბიანკი (1863 წ.) მათ „თურქების მტრებს“ უწოდებს; მაგრამ ყოველგვარი ლაზურისადმი უპატივცემულობამ და დევნამ გამოიწვია ის, რომ ეს ადგილობრივი საღაღაც შორს, სულის სამალავებში მიიმალა და მხოლოდ წეს-ჩვეულებებში ჩნდება, რომელთაც იცავენ და პატივს სცემენ ქალები და ბავშვები, ჟღერს ცოტაოდენ სიმღერაში, ლექსისა და თამა-

შობებში, ამოხეთქავს ზოლმე ადგილობრივ თავადთა შევარდნით ნადირობის გატაცებაში. ეს მხარე მიყრუებულია. „მეცნიერებაში უსათუოდ უფრო მეტი ცნობაა არაბეთის ნახევარკუნძულის შესახებ, ვიდრე, რუსეთის მოსაზღვრე ამ პატარა მხარეზე, რომელიც რუსული, ფრანგული და გერმანული საზოგადოების გემის გემბანიდან ადვილადაა თვალმისაწვდენი“.


„თანამედროვე კულტურის მატარებლებმა თითქოს პირი შეკრეს, გვერდი აუარეს ლაზეთის მხარეს. ნ. მარი თავის თავს უსვამს კითხვას, რომლითაც თავის ნარკვევს ასრულებს: „მაგრამ აღმოგვაჩნდება კი თვით ჩვენ საკმარი-

სი ძალები, რათა ჩვენი მეცნიერული თვალსაწიერის გასაფართოებლად და არსებული თეორეტიკული განწყობილების გასაღრმავებლად გამოვიყენოთ ეს ხელუხლებელი მხარე, უძველეს ძეგლთა სამარხებით, მშვიდად რომ არიან დავანებულინი მის წიაღში; მხარე ჭალარა სიძველისა, სადაც არიან მარშრუტი შემორჩენილ გეოგრაფიულ სახელწოდებათა მიხედვით ისე ისინჯება, თითქოს ეს გუშინდელი ტურისტის ჩანაწერებია?“

იური მარი
თარგმნა ზ. თორონიამ


ნიკო მარის მიერ გადაღებული ფოტოები მისივე წიგნიდან „ლაზეთში“

ფოტოები უხარისხოა, მაგრამ მათ დოკუმენტური მნიშვნელობა აქვთ. ამიტომ გვსურს, მკითხველს მაინც მივაწოდოთ ისინი, როგორც ბიბლიოგრაფიული იშვიათობა.



ქალაქი ათინა

ქაზინ ბეის სასიბინდე



მუსულმანი
ქართველები



გაღმა რომ ჩანს მთა-გორები,
სადაც მწვანე ჭალებია,
მარად მოსაგონებელი,
ძმებო, ჩვენი ჭანეთია...
ნეტავ, ლაზო, შენი დროშა
იმ ნანგრევზე გაგეფინა,
ხმაღამართულს შეუდრეკლად
სტამბოლამდე გაგერბინა...
გაღმით მოჩანს ქალ-ვაჟები,
ჩვენი სისხლი, ჭანებია,
გაღმით რომ ჩანს მთა-გორები,
იქ, გაღმით რომ ჭალებია,
მარად მოსაგონებელი
ძმებო ჩვენი ჭანეთია.

მამია ვარშანიძე



ლაზური ორნამენტი

„ლაზეთი“...

ეს წიგნი 1964 წელსაა გამოცემული. მისი ავტორებია მუჰამედ ვანლიში და ალი თანდილავა... ლაზები სისხლი სისხლთაგანია იმ დიდი კოლხეთის ქვეყნისა რომელსაც შემდეგში ჭანეთ-ლაზეთი ეწოდა...

წიგნის რედაქტორი პროფესორი სერგი მაკალათია წერდა: ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი მიზნად ისახავს მკითხველს გააცნოს ლაზეთის ისტორია და ეთნოგრაფია. და ამ მხრივ, იგი პირველი ცდა არისო. ამ წიგნის გამოსვლას ბატონი სერგი დიდ მნიშვნელობას იმის გამოც ანიჭებდა, რომ მისი ავტორები ლაზები არიან „ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვითონ ლაზებმა მოჰკიდეს ხელი თავიანთი მშობლიური მხარის შესწავლასა და გაცნობას, რათა ერთგვარი წვლილი შეიტანონ საკუთარი ხალხის გათვითცნობიერებაში“. ხოლო, ვინც ცოტათი მაინც იცნობს ლაზთა ისტორიას, მათ ცხოვრებას, დაგვეთანხმება, რომ ეს მართლა ძალზე საშური და მნიშვნელოვანი საქმე იყო მაშინ, და არა მარტო მაშინ. ეს საშური საქმეა დღესაც, როდესაც ოდესღაც დიდების მწვერვალზე მდგარი ხალხი, დღეს მშობლიურ ენასაც კი ძლივს, აქა-იქ-და თუ ფლობს...

წიგნში, რომელსაც ნარკვევის სახე აქვს, მოცემულია ლაზების სახელმწიფოებრივი ნიჭი და პოლიტიკური გამჭრიახობა წარსულში, მათი სიყვარული სამშობლო ქვეყნისადმი, მათი გმირული, აწ გარდასული ამბები.

წიგნი საინტერესოა იმიტომაც, რომ მასში უხვადაა მოთხრობილი ეთნოგრაფიული მასალები და ხალხური პოეზიის ნიმუშები; ნაჩვენებია ლაზურ-მეგრული ადათ-ჩვევებისა და სიტყვიერების მსგავსება, მათი ერთობა და სიყვარული დიდ ქართულ სამყაროსთან.

წიგნის განაცხადში თავიდანვე წერენ ავტორები: საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობასთან ერთად საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ლაზებიც მონაწილეობდნენ და სამშობლოს თავისუფლებას იცავდნენო.

ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალი არაერთ დამპყრობელს გაუთელია, მაგრამ მათ შორის ყველაზე უღმობელი იყო ოსმალეთი, რომელმაც მცირე აზიაში გაბატონებისთანავე დაიწყო საქართველოს ნაწილ-ნაწილ დაპყრობა და ხალხის ძალდატანებით გამუსულმანება-გადაგვარებაო.

როგორც თვითონ აღნიშნავენ, წიგნზე მუშაობის დროს ისინი ლაზური წეს-ჩვეულებების

საქართველოს სხვა მხარეებთან, განსაკუთრებით კი მეგრულ მეტყველებასა და ადათ-წესებთან შედარებას ახდენდნენ. მათ უმუშავნიათ ზუგდიდის, ცხაკაიას (დღევანდელი სენაკის), გალისა და სხვა რაიონებში, რის შედეგადაც წერენ, იმდენად დიდია მსგავსება, რომ თითქმის მთლიანად გვესმოდა მათი ენაო.

ეს, თურმე, დიდად აოცებდათ ლაზებსაც, და აღრიდანვე დაინტერესებულან.

ქართველ მუსულმანთა დიდ ჭირისუფალს, ზაქარია ჭიჭინაძეს შემოუნახავს ლაზების ნაამბობი, უფრო ზუსტად თხოვნა:

„თუ შეიძლება, შეგვატყობინეთ, როცა ოსმალნი მოსულან ლაზისტანში, მაშინ როგორ მოხდა ეს, რომ ჩვენ და მეგრელები ერთმანეთს დავცილებივართ... ოსმალებს ჩვენ გამოვურეკივართ აქეთ, თუ მეგრელები გაურეკიათ იქით? ამის გაგება დიდად გვინდოდა ჩვენ და იმედი გვაქვს, რომ ამ დავალებას შეგვისრულებთ, მობრძანდებით ჩვენთან და გვიამბობთ ამ ამბავსო“ (ამის შესახებ იხილეთ გვ. 70, ზ. ჭ. „ლაზისტანი“).

წიგნში ვრცლადაა მოთხრობილი ლაზეთის სამეფოს წარმოშობისა და დაშლის, — ჯერ ბიზანტიის, შემდეგ კი ოსმალეთის მფლობელობაში გადასვლის ტრაგიკული ამბები... ჭანლაზთა წარმომავლობის ისტორია... მოტანილია ქართველ და უცხოელ ავტორთა ცნობები... ძველი კოლხეთის, აიეტისა და არგონავტების ტრაგიკული მითი, რომელსაც უშორეს საუკუნეთა წარსულში უდგას ფესვები...

ამ წიგნის დაწერიდან თითქმის ორმოცი წელი გავიდა უკვე... ბევრი რამ შეიცვალა მას შემდეგ... ზოგი რამ მოძველდა კიდევ, მაგრამ ტკივილი, რომელიც მასშია, მწვავე და ღია ჭრილობაა ყოველი მოაზროვნე ქართველისათვის... ამიტომაც კვლავ გვინდა გადავფურცლოთ იგი და წავიკითხოთ ზოგი რამ...

...1877 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. ამ ომში მონაწილე ქართველი რაზმები მამაცურად იბრძოდნენ, რომ სამშობლოს მიწა-წყალი გაეთავისუფლებიათ.

ბრძოლის მთავარ ცენტრში მოექცა ბათუმი, სადაც გამგებელი იყო ოსმალთა ლაშქარი და ხელისუფლება. დიდი ბრძოლის შემდეგ, ეს ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. ამას მოჰყვა 1878 წელს ბერლინის ტრაქტატი, რომლის ძალითაც რუსეთს გადაეცა ყარსი, არტაანი და ბათუმი. ამგვარად, სამაჰმადიანო საქართველოს

დიდი ნაწილი საქართველოს შემოუერთდა.

ამ ტრაქტატით რუსებს ლაზეთის მხოლოდ მცირე ნაწილი ერგო, სახელდობრ, ჩხალის ხეობა, რომელიც მარადიდის საბოქაულოში შედიოდა. ლაზეთის ეს ნაწილი სულ 16 სოფლისაგან შედგებოდა და მას ეჭირა ზღვის სანაპირო სოფ. სარფიდან კოფიშამდე (ლიმანთან).

ამგვარად, რუსეთმა ბერლინის ზავითაც ვერ შესძლო მთლიანად შემოეერთებინა ლაზეთი. მხოლოდ მისი მცირე ნაწილი ერგო და ამით დაარღვია ლაზეთის ტერიტორიული და ეთნიური მთლიანობა. ლაზეთი ორ აგრესორთა შორის – ოსმალეთისა და მეფის რუსეთის ხელში მოექცა. რასაკვირველია, არცერთი მათგანი არ იყო დაინტერესებული ლაზეთის ეროვნულ-პოლიტიკური საკითხით, პირიქით, ორივენი ცდილობდნენ ლაზეთის საქართველოსაგან გათიშვას და გადაგვარებას.

ისტორიული მასალების მიხედვით, ლაზეთში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ (320 წ. ჩვ.წ.აღ.) აშენდა სარწმუნოებრივი და თავდაცვითი შენობები. ამ მხრივ აღსანიშნავია ტრაპიზონის სოფლის მონასტერი, რომელიც ქ. ტრაპიზონიდან 10-15 კილომეტრითაა დაშორებული. ეს მონასტერი ეკუთვნოდა კონსტანტინოპოლის ეპარქიას და ითვლებოდა კონსტანტინოპოლის სოფლის ტაძრის ფილიალად. იგი სამლოცველოსთან ერთად თავდაცვის ობიექტიც იყო.

1463 წელს, თურქ-სელჩუკთა თავდასხმის შედეგად სოფლის ტაძარი აუოხრებიათ და დაუნგრევიათ, მაგრამ ქვის სქელი კედლები, ახლაც შერჩენილია. ქრისტიანული ტრადიციის გავლენით, ტრაპიზონისა და მისი მიდამოების მცხოვრებნი (უმეტესად ლაზი ქალები) ყოველი წლის ადრე გაზაფხულზე იკრიბებიან ამ მონასტრის გარშემო და ღმერთს ავადმყოფთა განკურნებისა და მომავალი ბედ-იბლისათვის ევედრებიან.

გარდა სოფლის მონასტრისა, ლაზეთში კიდევ ბევრი ნანგრევია შემორჩენილი, რომელთა კედლები აშკარად მოწმობენ, რომ ეს ნაგებობანი ოდესღაც სამლოცველოებს წარმოადგენდნენ.

სოფელ ნოღედის მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ ეკლესიას, ოსმალთაგან დაპყრობის შემდეგ თუმცა-ღა გუმბათი მონგრეული აქვს, კედლები (წმინდანთა ნახატების ნაწილი) დღესაც შემორჩენია. ამ სოფლის მცხოვრებმა 78 წლის მუსტაფა პაპასკირმა (პაპოლი) 1931 წელს, აი, რა გვიამბო ამის შესახებ: „ჩვენ წინათ მეგრელები ვყოფილვართ – ქრისტიანები. ღორძოთს (ღმერთს) უბრძანებია და ჩვენთან მოუვლინებია მუსლი-

მანების ჯარი, რომელსაც გადაუერჩენივართ გაიურებისაგან (ურჯულოებისაგან). ეს ეკლესია დაუნგრევიათ და კავაკიბში ჯამე აუშენებიათ. ეს აშბავი მამაჩემისთვის უამბია მის ბაბუას, რომელსაც თვითონ ულოცნია ამ ეკლესიაში.

ეკლესიის ფორმა მთლიანად შენარჩუნებულია, რადგან უზარმაზარი კედლები ვერ დაუნგრევიათ. ამასთან, ამ ეკლესიის მთლიანი დანგრევის დროს ხელი შეუშლია ამ სოფლის თავადს – ზუმბაიას, რომელთა გვარის შთამომავალნი ახლაც ცხოვრობენ ნოღედში“.

აღსანიშნავია სოფელ აზლაღას (ამ სოფელს მე-17 საუკუნის დასასრულს დაარქვეს „აბუს-ლაჰ“, რაც არაბულად „წმიდა წყალს“ ნიშნავს. ლაზები ახლაც აზლაღას უწოდებენ). თავზე (მაღლობზე) ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევია, რომელსაც ლაზები „ოხვამეს“ უწოდებენ.

ეკლესიის ქვევით, ზღვის მახლობლად (ამ ადგილს „ისინას“ უწოდებენ), კლდეზე გამოსახულია ადამიანთა სახეები, მათ შორის ორი ქალისა; ხალხური გადმოცემით, აქ წმინდანები ყოფილან გამოსახულნი. ქალებიდან ერთი ღვთისმშობელი (მერიეში) არისო, მეორე თამარ მეფეო.

... ოხვამეებს შეხვდებით, აგრეთვე, სხვა ადგილებშიც; ხოფაში, არქაბში, მხივში, სარფში და სხვა.

სოფელ სარფის მახლობლად, სადაც ამჟამად სახელმწიფო საზღვარი გადის, მდებარეობს ძველი ნასოფლარი, რომელსაც სარფელი ლაზები „დიდ ოჯალს“ უწოდებენ.

ამ მიდამოების შესახებ, ხალხური გადმოცემით, საკმაო ისტორიული მასალები არსებობს. მაგალითად, სოფელ სარფის მცხოვრებმა 78 წლის ალი ლუმანიშვილმა შემდეგი გადმოგვცა: „უწინ ჩვენ, თურმე ქრისტიანები ვყოფილვართ, ჩვენი ძველები აი, იქ, სოფლის ზემოთ „დიდ ოჯალში“ ცხოვრობდნენ. სოფლის თავზე სამლოცველოს შენობა ყოფილა (ნანგრევი ახლაც არის მ. ვ.). თურმე, ჩვენი „ოხვამე“ (სამლოცველო) ყოფილა. ამ სოფელში კი (ახლანდელი სარფი) ლაზების თავადს ყმები ყოლია. ამ ყმების ნაწილი მეთევზეობას მისდევდა, ნაწილი კი ღორებს უვლიდა. თავადს მერი „ჯიხაში“ (ციხე) თავი შეუფარავს. იქაც მისულან თურქის ასკერები. თავადი იქიდანაც გაქცეულა და წასულა სამეგრელოში. ჩვენ კი გლეხები ადგილზე დავრჩით. ლაზი თავადის ადგილები თურქის ფაშას დაუკავებია. ფაშას ოხვამე დაუნგრევია და ჩვენც მუსლიმანობა მიგვიღია.

ეს ადგილები უწინ სამეგრელო ყოფილა,

ამიტომ ჩვენი და მეგრელების ენა ერთი და იგივეა“.

ხალხური გადმოცემით ოსმალებთან ბრძოლაში თავი ისახელა კახაბერ გურიელმა, რომელიც ლაზთა ლაშქარს ხელმძღვანელობდა. კახაბერმა რამდენჯერმე დაამარცხა, თურმე, ლაზეთში შემოჭრილი ოსმალები და უკანვე განდევნა.

ბოლოს ოსმალები დიდი ჯარით ხელახლა შემოესივნენ ლაზეთს, მძიმე ბრძოლების შემდეგ


მათ მოახერხეს კახაბერის მოკვლა და ლაზეთის დაპყრობა.

კახაბერის გმირობაზე ლაზეთში დღემდე შემონახულია სხვადასხვა თქმულებები. ოსმალთა მოხელეები ამ თქმულებებს სდევნიდნენ, მაგრამ ხალხი კახაბერს დღესაც პატივით ივინებს და ხშირად ამბობს: „გველა კაცი კაცია და კახაბერი სხვა კაციაო“.

ნანა ლეჟავა



ლაზი ქალების ცეკვა



ლაზური ორნამენტი

ლაზების შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და მშენებელთა ნავთათა, დიდთა, მცირეთა“. ეს ცნობა, რომელიც XVIII საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის და სანდო ავტორის ხელიდანაა გამოსული, შეიცავს ისეთ ფაქტს, რომელიც ერთის მხრივ, ვარაუდობს ლაზეთში ხეზე მუშაკობის ტრადიციის არსებობას აქ მოტანილი თარიღის მიხედვით, აღრინდელ ხანაშიც; ხოლო მეორე მხრით, იგივე ცნობა სრულ გამართლებას პოულობს მომდევნო პერიოდის სინამდვილეში.

მართლაც, მთელ დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც სამხრეთსა და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოში, XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში ლაზები საუკეთესო ხის ოსტატებად, ხუროებად და ხის ნაგებობათა საუკეთესო უსტებად იყვნენ მიჩნეულნი. მათ მიერ აშენებული ხის სახლები, ჯამბეები და ეკლესიები დღემდეა მოღწეული. ამ ნაგებობებიდან ზოგიერთზე წარწერაცაა შემონახული. მაგ. მაიაკოვსკის რაიონის სოფ. ხანში

ერთ-ერთს, აღნაგობისა და შემკულობის მხრით შესანიშნავ სახლს აქვს წარწერა ქართულ და თურქულ ენებზე. ქართული წარწერა იკითხება ასე: „ბათომის გუბერნიის არჰავე ვეზდის ფილარგეთის მცხოვრები უსტა ომერ ეფენდი“.

საყურადღებოა, რომ მაიაკოვსკის რაიონში სამი ძმა ლაზი ყოფილა ჩამოსული – ომერი, ახმეტი და მუსტაფა, რომელთაც მთელს ხანის-წყლის ხეობაში ლაზური ოდა-სახლები უშენებიათ. მათგან ადგილობრივებსაც უსწავლიათ ხურობა და იმათ ყაიდაზე უკეთებიათ ხის ნაგებობანი და ჩუქურთმები.

მაგრამ ლაზების მიერ დამზადებული ჩუქურთმები ხეზე დამოწმებულია არა მარტო ხანის-წყლის ხეობაში. ის ფიქსირებულია ეთნოგრაფიული ექსპედიციების მიერ ქობულეთში, გურია-სამეგრელოსა, ქვაბლიანის ხეობასა (მესხეთი) და თრიალეთში.

ლაზური ჩუქურთმა გამოირჩევა თავისი სახეებით, სიუჟეტითა და ოსტატობით. მასში ჭარბობს მცენარეული და ცხოველური ორნამენტი. (ვაზი, სიცოცხლის ხე, ვარდულები, ცხოველ-



ბი, ფრინველები და სხვ.), ხოლო თავისი სიუჟეტური თემატიკით უძველეს კულტურას ეკუთვნის და ძველი ტრადიციებიდან მომდინარეობს. რაც შეეხება ორნამენტის შესრულების ტექნიკას, უნდა აღინიშნოს, რომ ოსტატი ადვილად იმორჩილებს მოსაჩუქრთმებელ არეს, ჩინებულად ანაწილებს რთული კომპოზიციის შემადგენელ ელემენტებს და არა იშვიათად ორნამენტი ორმაგი და სამმაგი სიბრტყის ფენებში გამოყავს. ეს უკანასკნელი ხალხურ ხელოვნებაში იშვიათად გვხვდება და ოსტატის დახელოვნების უმაღლეს მიღწევად ითვლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ორნამენტი ამოფანჯვრის (აჟურ) ხერხითაა შესრულებული. ასეთ ჩუქურთმებს ფერადი ქსოვილი აქვს დატანებული, რაც ამ ორნამენტის ტექნიკას წინა აზიის უძველეს ტრადიციებს უკავშირებს.

თრიალეთში შემონახული ლაზური ჩუქურთმები მრავალმხრივ არის საყურადღებო, იმიტომაც, რომ ისინი ადგილობრივი ლაზების მიერაა დამზადებული.

გაირკვა, რომ თრიალეთში მცხოვრები ეგრეთწოდებული „ურუმების“ ეთნიკური შემადგენლობა ნარევია. ადგილობრივ შეკრებილი მასალების მიხედვით, აგრეთვე, ირკვევა, რომ თრიალეთის ურუმებს შეადგენენ: „გუმისხანელები“, „ოველები“, „ფასენები“ და „კროები“. ამ ჯგუფებიდან

ფასენები ძველი ქართული პროვინციიდან, ბასიანიდან არიან მოსულნი. საყურადღებოა, აგრეთვე, ის, რომ ფასენებში კარგად არის დაცული ქართული ტრადიციები და ქართული, კერძოდ, ლაზური მატერიალური კულტურის ელემენტები (ქალის თავსაბურავის ერთი სახეობა „დაბლა“, აგრეთვე, ქართული ხელნაწერები და მათთან დაკავშირებული გადმოცემები და სხვ.)

მაგრამ თრიალეთის ურუმების ეთნიკური ვითარება მარტოდმარტო ზემოთ თქმულით არ ამოიწურება. საქმე იმაშია, რომ ამ ნაკრებ „ეთნიკურ“ ერთეულში, რომელიც თავისთავად კონფესიური წარმოშობისაა, ლაზებიც არიან წარმოდგენილები. გარკვეულია, რომ სოფელ გუნია-ყალაში მცხოვრები „თურშოვები“ წარმოშობით ლაზები არიან. ამ სოფელში თურშოვებს საკუთარი უბანი („მაილა“) ჰქონდათ („თურში გილენ მაილა“). ამავე გვარში ყოფილან საუკეთესო ხუროები, რომელთაც თრიალეთის ბევრ სოფელში შესანიშნავად მოჩუქურთმებული სახლები უკეთებიათ. მათ მიერ აგებული სახლები დაამოწმა ჩვენმა ექსპედიციამ სოფ. წინწყაროსა და გუნია-ყალაში. ამ სახლების ხის ჩუქურთმების ერთი ნაწილი შექმნილი იყო ექსპედიციის მიერ და გადაეცა საქართველოს მუზეუმს.

ლაზური ჩუქურთმა ხეზე, როგორც ითქვა, შეიცავს ისეთ მოტივებს, რომლებიც ძველ

ტრადიციებსა და სიუჟეტებს ამჟღავნებს. მართალია ეს მოტივები ზოგჯერ მოცემულია მათზე შემდეგი დროის დანალექებთან ერთად, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ისინი ძველებური სახით გამოიყურებიან და ახალი ტექნიკით შესრულებულნი, თითქმის მთლიანად იცავენ უძველესი სიუჟეტის დეტალებს. ამგვარი ძველი ტრადიციებიდან მომდინარე სახეებისა და ობიექტების შემონახულობა ჩვენმა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ არა ერთი და ორი იცის. ბევრი მათგანი უძველესი მითოლოგიიდან მომდინარეობს და ხალხის უძველეს მსოფლმხედველობასთანაა დაკავშირებული.

ლაზურ ჩუქურთმაში ერთ-ერთი ამგვარი მოტივია „სიცოცხლის ხე“.

ხეზე ამოკვეთილი „სიცოცხლის ხის“ სიუჟეტი თრიალეთში ჩვენ რამდენიმე დაკამოწმეთ, მაგ., სოფ. წინწყაროში – არისტინოვის სახლში, გუნია-ყალაში – თურშოვების სახლში.

არისტინოვის სახლის „ოღაში“ (სახლის ნაწილი) იგი ორი სახითაა მოცემული. პირველ მათგანზე წარმოდგენილია ხე, რომლის გვერდებზე, მარჯვნივ და მარცხნივ ანტიპოდი ცხოველებია ამოკვეთილი, ხოლო ამათ უკან სიმეტრიულად გამოყვანილია მზის სიმბოლოები. მეორეზე, აგრეთვე მოცემულია ხე და მის მარცხნივ და მარჯვნივ ანტიპოდი ცხოველები (ირმები); მაგრამ ამათ გარდა, ამ სიუჟეტში ასახულია, აგრეთვე, ნიშანდობლივ მთვარე, მზე და ორი ვარსკვლავი. ნიკიფორე არისტინოვის ეს სახლი თავისი შემკულობით აგებულია გუნია-ყალელი ლაზის, კონსტანტინე თურაშოვის მიერ 1883 წელს, როგორც ამას ადასტურებს აქვე ხეზე ამოკვეთილი თარიღი.

ამავე მოტივის ვხვდებით სხვა სახლებშიც, მაგრამ ხის ნაცვლად ქვაზე ამოკვეთილს. ყველგან ის დაკავშირებულია ბუხართან ე.ი. ცეცხლთან, კერასთან. კერასთან დაკავშირებული საკულტო დანიშნულების ორნამენტი ჩვენ მოგვეპოვება თრიალეთური ოღების გარდა გლეხური დარბაზების – ცეცხლის, კერის მახლობლად მდგარ – დედაბოძებზე და დედაბოძების ბუღაურებზე. ეს ორნამენტები, როგორც ქართლურ, ისე მესხურ დედაბოძებზე, ძირითადად ასტრალური ხასიათისანი არიან. ცეცხლთან, კერასთან იყო დაკავშირებული წინაპრის კულტი, რაც კარგად ჩანს სვანური ეგრეთწოდებული „ლიფანლის მხატვრობიდან“.

ამ მხატვრობაში, რაც საახალწლოდ გამოჰყავდათ გარდაცვლილ წინაპართ სახელზე, სხვა

სარიტუალო სიუჟეტებს შორის ქალები ხატავდნენ სვანურ ლეჭინდირებზე „სიცოცხლის ხის“ სიუჟეტსაც. ეს სიუჟეტი წარმოდგენილი იყო შემდეგი ძირითადი ელემენტებით: ფიჭვის ხე, მის გვერდით მარჯვნივ და მარცხნივ თხები, აგრეთვე, აღორანტი, მთვარე, ჯვარი, მზე და სხვ.

ის გარემოება, რომ სვანური „სიცოცხლის ხის“ მოტივი (სვანურად ეწოდება „გიგობს იზბიხ და არ“ – თხები ფიჭვს ჭამენ) მიცვალებულის კულტთან არის დაკავშირებული, რომ მას ქალები ხატავდნენ, ხოლო ნახატი, რომ პრიმიტიული ტექნიკით სრულდება – ამ მოტივის უძველეს წარმოშობაზე მიუთითებს. რაც შეეხება საკუთრივ სიცოცხლის ხეს და მის სიუჟეტს მთლიანად, მის ანალოგებს წარმოადგენს ჩვენში დიდად გავრცელებული ხის კულტი საზოგადოდ, ხოლო კერძოდ ხევსურული მეგრელიაურის მირონიანი მუხა, ფშაური ლაშარის ჯვარის ოქროს შიბიანი ბერ-მუხა, მცხეთის „სვეტიცხოველი“, მარტვილის ჭყონდიდი, მეგრული „კელაპტარი“ (მიცვალებულის ხე), ბავშვის სახელზე ხის დარგვის გურული წეს-ჩვეულება, დასავლურ-ქართული ჩინილაკი, ხემხვივანი (ვაზის) და მრავალი სხვა.

თრიალეთის სიცოცხლის ხის მოტივს გარდა სვანეთისა, მრავალი პარალელი მოეპოვება, როგორც სხვა ქართულ, აგრეთვე, კავკასიურ ეთნოგრაფიულსა და ისტორიულ სინამდვილეში. ეს მოტივი მოიპოვება ხეზე: ს. მლაშეს ჯამში (მესხეთი), ს. ღორჯოში (აჭარაში), ქვაზე – საფლავის ქვებზე – ქართლში, იმერეთში, ქსოვილზე – ს. ბობოყვათში, ხალიჩაზე (ქობულეთი) და სხვ.

საქართველოს გარეთ იგი მოიპოვება ინგუშეთსა და დაღესტანში. ინგუშეთში სიუჟეტი გამოხატულია თიხის ფილაზე, რომელიც ნაპოვნია თხაბერდის ტაძართან. ფილას აქვს წარწერა ქართული ასომთავრულით, რომელიც არ არის ამოკითხული. დაღესტანში (ს. ყუბაჩი) აღმოჩენილი ნიმუში სიცოცხლის ხის მოტივით ეკუთვნის ეგრეთ წოდებულ ალბანურ-დაღესტნური კულტურის შრეს. ასეთ ერთ-ერთი ძველის სიუჟეტში ხის ნაცვლად თევზია გამოხატული, რაც გვიადვილებს სიუჟეტის დედა-აზრის მიკვლევას.

მაგრამ ლაზური სიცოცხლის ხის მოტივის ანალოგები დასტურდება არა მხოლოდ ქართველ-კავკასიულ ტომებში, ის მოცემულია წინა აზიის უძველესი კულტურის ძეგლებზე. ჩვენთვის

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ის დამოწმებულია ხურიტების მეტად თავისებურ ხელოვნებაში. ის მოიპოვება ტელ-პალაფსა, კარხემიშსა, იფლატუნ ფუნარსა და ზენჯირლში აღმოჩენილ ძეგლებზე. (თარიღდება ძვ. წ. მეათე საუკუნით) გამოსახული სიცოცხლის ხის სიუჟეტი პირდაპირ ანალოგს პოულობს სვანურ გიგობს იზბის და არ-ისა და წინწყაროს სიცოცხლის ხის მოტივთან: სპეციალისტების აზრით, ხურებიტების ხელოვნებაში დაცული სიცოცხლის ხის მოტივი წარმოადგენს ძველ სუმერული სიცოცხლის ხის მოტივის თავისებურ ვარიანტს და იგი გენეტიკურად უკავშირდება ურში აღმოჩენილ მსგავს მოტივს.

აქედან აღვნიშნავთ, რომ ქართულ-კავკასიური მასალების ეს დამთხვევა ხურიტულთან შემთხვევითი არ უნდა იყოს. არსებობს რიგი სხვა კულტურის ელემენტების შეხვედრა, რომელთა აქ მოტანა შორს წაგვიყვანდა და მას ახლა ვერ გამოვეკიდებით.

მოკლედ აღვნიშნავთ, რომ 1. ლაზური ორნამენტი ხეზე უპირატესად მცენარეული და ცხოველური სახეებითაა წარმოდგენილი, ხოლო მისი ტექნიკის დამახასიათებელია ამოღარვა და პლასტიკური რელიეფი; 2. სიუჟეტის მხრივ ლაზურ ორნამენტში უძველესი მოტივებია მოცემული, რომლებიც დეკორატიულ დანიშნულებასთან ერთად მითოლოგიურ შინაარსს შეიცავენ. 3. ლაზურ ორნამენტებში მოცემული სიცოცხლის ხის სიუჟეტს შეადგენს: სიცოცხლის ხე (სხვადასხვა ჯიშის), ცხოველების

წყვილი („ანტიპოდები“) და მნათობები (მთვარე, მზე, ვარსკვლავები).


4. სიცოცხლის ხის სიუჟეტი ქართულ ხალხურ ორნამენტში უძველესი სიუჟეტი და ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფართოდაა გავრცელებული. დამოწმებულია: ხეზე, ქვაზე, ქსოვილზე. იგი მოიპოვება ქართულ ისტორიულ ძეგლებზე, ინგუშურ და ალბანურ-დაღესტნურ ობიექტებზე.

5. განსაკუთრებით საყურადღებოა ეს სიუჟეტი სვანურ ლიფანალის მხატვრობაში, რაც ამ სიუჟეტის სიძველეზე მიუთითებს.

6. ლაზურ სიცოცხლის ხის სიუჟეტს, ხოლო განსაკუთრებით, მის სვანურ ვარიანტს ანალოგები მოეპოვება ხურიტულ ძეგლებზე. ამ ანალოგებს ამაგრებს ქართლურ-კავკასიური კულტურის ელემენტების შეხვედრა ხურიტული კულტურის სხვა ელემენტებთან. თავის მხრივ ხურიტული სიცოცხლის ხის სიუჟეტი გენეტიკურად უკავშირდება მის სუმერულ ვარიანტს („ადამ და ევა“).


7. სიცოცხლის ხის მოტივში ხის შეცვლა თევზით. ალბანურ-დაღესტნური ძეგლი ამტკიცებს, რომ ამ მოტივში ძირითადად ნაყოფიერების სიმბოლოა მოცემული. ქართველ ტომებში თევზი, როგორც ნაყოფიერების მომნიჭებელი ძალა, მრავალი მასალითაა დადასტურებული: თევზის ღვთაება ლარსა-იმერეთში, საახალწლო კალმახი გურიაში, ცოცხალი თევზი უშვილობის რიტუალში – თრიალეთის ქვის ქანდაკებანი – ვეშაპები და ვეშაპიოდები (სომხეთი, საქართველო).

ბი(ო)რბი ჩიტაია





ბაგრატის ტაძრის ამშენებლები



არსენ ფოჩხუა

დიდი მხატვარი ლაღო გუდიაშვილი გამორჩეულად აფასებდა ლაზი მხატვრის არსენ ფოჩხუას ხელოვნებას. იგი წერდა, რომ არსენ ფოჩხუა ჩვენს თანამედროვეობაში პირველი მხატვარია, ვინაც საფუძველი ჩაუყარა ბზაზე კვეთილობის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან დარგს, მის ხელმეორედ დაბადებასო. მას შემდეგ თითქმის 30 წელი გავიდა, მაგრამ ამ დღემდე საინტერესო ხელოვნებას გამგრძელებელი დღესაც ცოტა ჰყავს.

ბზა ფოლადივით მაგარი და მტკიცეა. ძნელია მასზე მუშაობა, მაგრამ იგი არაჩვეულებრივი გამომსახველობისა და ფაქტურის მასალაა.

არსენ ფოჩხუა თავისი კუთხის, თავისი ხალხის ტრადიციებიდან მოდის და ხეზე კვეთილობის ძველ ხელოვნებას აცოცხლებს. ბატონი ლაღო აღნიშნავდა, რომ მან „ხალხურ ტრადიციებს“ კარგად შეუხამა დაზგური ფერწერის მხატვრული ამოცანები და შექმნა ძალზე საინტერესო, სილამაზით სავსე პოეტური ქმნილებები.

იგი ხატავდა, კვეთდა, კაზმავდა, აქანდაკებდა, მუშაობდა ხეზეც, ბროლზეც...

საბედნიეროდ ქართულ საზოგადოებას უყურადღებოდ არ დაუტოვებია მისი ნამუშევრები. იმთავითვე მათ იგი თანამედროვე ხელოვნებაში ახალ სიტყვად მიიჩნიეს და ბზასა და მინაში გაცოცხლებული საქართველო უწოდეს.





მაკრიალი. ეკლესიის ნანგრევი

წამით ხვინა ვარსკვლავები
მოწკურავენ თვალებს.
მოდექი და ეს ცივლივა ცანგალები თვალე...
ბებერ ქვათა მსურვალება მოიჩრდილე ხელით...
მღერის ვიდაც შორეულში, ოდოიას მღერის,
როგორც წითელბატონები და მირონის წვეთა,
ტანზე აყრის საქართველოს ეს უკვდავი სევდა..
ბონდოია მიდის, მიდის ...
და კოლხეთის ველზე,
ოდოიას აღარ უსმენს, ოდოიას ეძებს.

ზურაბ გორგილაძე

განათლება და ქრისტიანული ენა ეგრისში.

ძველი კოლხეთის სახელმწიფოს შექმნის გარიჟრაჟზე, როცა ბერძნული კოლონიზაციის მძლავრი ტალღა შავიზღვისპირეთსაც მოადგა და ბერძენი კოლონისტების არაერთი დასახელება გაჩნდა, კოლხები გაეცნენ და ეზიარნენ უცხო ტომთა შვილების ყოფასა და კულტურას. გავრცელდა ბერძნული ენა და იგი გახდა საერთაშორისო ურთიერთობის ენა, მაგრამ, როგორც აკად. გ. მელიქიშვილი მიუთითებს, კოლხეთის ის ქალაქები, რომლებიც ანტიკური ხანიდანვე ბერძნულ ახალშენებად არიან მიჩნეულები, აღმოცენდნენ არა ცარიელ ადგილას, არამედ აქ ძველი დროიდანვე არსებული დასახელების ტერიტორიაზე. იმთავითვე ისინი მოექცნენ ადგილობრივ ტომთა გაერთიანებების გავლენის ქვეშ და შემდეგ ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც დამორჩილდნენ კოლხეთის სამეფოს. ამიტომ წარმოადგენდნენ არა ბერძნულ პოლისებს, არამედ კოლხეთის სამეფოს საქალაქო ცენტრებს გარკვეული ბერძნული ელფერით და ასრულებდნენ ბერძნულ სამყაროსთან კოლხეთის დამაკავშირებელი სავაჭრო ქალაქების როლს.

ბერძნული ცენტრების გაჩენას კოლხეთში მოჰყვა ბერძნული ენისა და დამწერლობის გავრცელება, მაგრამ ბერძნული გავლენა შიდა კოლხეთში მაინც ზედაპირული ხასიათისა იყო. იგი არ შეხებია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წყობის სიღრმეებს. კოლხეთის სამეფო რჩებოდა სპეციფიკური თავისებურებების მქონე თეოკრატიულ სახელმწიფოდ, რომელსაც ჰქონდა თავისი ეკონომიკური საფუძველი და საკუთარი თვითმყოფადი მატერიალური და სულიერი კულტურა.

კოლხეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ვანსა და საირხეში მოპოვებული ლითონის ნაწარმი და მხატვრული ნაკეთობანი იმასაც ნათელჰყოფენ, რომ ქვეყანაში არსებობდა არა მხოლოდ ერთიანი მხატვრული სტილი, არამედ ერთიანი იდეოლოგიაც, ერთიანი რწმენა-წარმოდგენები, ოფიციალური კულტები, რაც გარკვეულად განპირობებული იყო ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობით, კოლხეთის საზოგადოების გაერთიანებით ერთ საზოგადოებრივ სისტემაში... მთავარი ძალა, რომელიც აზორციელებს, იცავს ამ საზოგადოების იდეოლოგიას, რელიგიური წარმოდგენების ერთიანობას, არის ტაძარი და მის სათავეში მდგომი თეოკრატიუ-

ლი ზედაფენა. ალბათ, ამანაც განაპირობა ის, რომ მეტროპოლიდან კოლხეთის ბერძნულ ქალაქში შემოტანილი კულტები აქ გაბატონებულ მდგომარეობას ვერ იკავებენ, რაც ფაზისში ქალღმერთ ფასანეს ქანდაკებიდანაც ჩანს. კოლხურ საქალაქო ცენტრებში დაწინაურებულია ხურთმოდღერება და არქიტექტურა, ჭკლური ხელოვნება და განსაკუთრებით, კერამიკული წარმოება. ათენში VI საუკუნეში (ძვ.წ.) ჰიდრიაზე ნახულია ბერძნული წარწერა „კოლხმა გამაკეთა“, ან კიდევ ბერძნულ ამფორაზე: „ექვსიტემ გააკეთა, კოლხმა მოხატა“; აგრეთვე ყუბანში ფიალა წარწერით: „მე ვეკუთვნი აპოლონ წინამძღოლს, ფაზისში რომ არის“ და სხვა. ყოველივე ეს მიუთითებენ ჩვ. წ-მდე VI-V საუკუნეების კოლხეთში ადგილობრივი კულტურის მაღალ დონეზე.

ძველ კოლხთა კულტურის მაღალ დონეზე მიუთითებს ისიც, რომ მათ უძველესი დროიდან ჰქონდათ დამწერლობა. კოლხური დამწერლობა კვირბების, ანუ საკრალური ჩანაწერების სახით ქურუმთა წრეში უნდა გაჩენილიყო. წერის ხელოვნებას კოლხეთში, ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, უძველესი დროიდან ქურუმთა კოლეგიები მეთაურობდნენ. კოლხეთში დამწერლობის არსებობას ადასტურებენ ძველ ავტორთა ცალკეული გამონათქვამებიც. ძვ. წ-ის IV-III საუკუნეების მოღვაწის პალეფატეს თხზულებიდან მომდინარეობს გადმოცემა, რომლის მიხედვით კოლხეთში დაცული იყო არა ოქროს საწმისი, არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელშიც აღწერილი იყო ქიმიური საშუალებებით ოქროს მიღების წესი. ოქროს საწმისის ანალოგიური განმარტებაა მოცემული იონანე ანტიოქიელთანაც (VII ს.) და სვიდას (I ს.) ლექსიკონშიც. ასევე, II-III საუკუნეების ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის, ხარაქს პერგამონელის მიხედვით „ოქროს საწმისი“ ნამდვილად არის ტყავზე ნაწერი ხერხი ოქროს მოპოვებისა, რომლის გამოც, ამბობენ, რომ „არგოს ლაშქრობა“ მოეწყო. საინტერესოა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ კოლხებს შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზედაც მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი. უცხოელ ავტორთა გამონათქვამებს მხარს უჭერს „ქართლის ცხოვრებაში“ იმის მინიშნება, რომ ქრისტიანობამდე ზანა-

შიც ყოფილან „მეცნიერნი სჯულისანი“, რომელთა წრეშიც უნდა შექმნილიყო დამწერლობა.

ეს, რაც შეეხება ცნობებსა და გადმოცემებს კოლხეთში (ეგრისი). დამწერლობის არსებობის შესახებ. ვფიქრობთ, კიდევ უფრო საინტერესოა ამ საკითხის გასარკვევად ის არქეოლოგიური მასალები, რომლებიც, ერთი მხრივ, მიუთითებენ წერის მასალასა და იარაღზე და მეორე მხრივ, ჩვენს წინაშე სვამენ კითხვებს განსასჯელად და საკამათოდ.

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიური გათხრებისას (მცხეთა, ბიჭვინთა, ვანი, ფიჭვნარი, სებასტოპოლისი...) ნახულ იქნა საწერი იარაღი – სტილოსები. სტილოსები წვეტიანი ლითონების, ან ძვლის ღერებია, რომლითაც წერდნენ გასანთლულ ფირფიტებზე. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უფრო გავრცელებული იყო ძვლისა და ბრინჯაოს სტილოსები. სტილოსის ერთი ბოლო თუ წვეტიანია, მეორე ბრტყელია, ნიჩბისებური, დაწერილის წასაშლელად, თუ ფირფიტის მთელი ზედაპირის გასასწორებლად. საწერ მასალად იყენებდნენ თიხის ფირფიტებს, ქვას, ქვიშაქვისაგან და კირქვებისაგან დამზადებულ სტელებს და სხვა. ფიქრობენ, რომ ტრადიციული წერის ტექნიკა მეღანი და კალამი III საუკუნიდან ვრცელდება (მცხეთის არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით). ასევე ვარაუდობენ, რომ რომაულ სამარხებში აღმოჩენილი მინის ცილინდრული ჭურჭლები სამეღნეებად გამოიყენებოდა.

წერის ტექნიკის განვითარებულობაზე მიუთითებს გრაფიტობის – ე. წ. ნაკაწრი წარწერებისა და დიპინტიების – საღებავით, ან მეღნით შესრულებული წარწერების სიმრავლე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამ სახის წარწერებია ნახული ბიჭვინთაში, სოხუმში, ვანში, ფიჭვნარში, ციხისძირში, გონიოში. ყველა ეს წარწერები ლათინურად, ან ბერძნულადაა შესრულებული; უფრო მეტად, ბერძნულად. ამიტომ მკვლევარები აკეთებენ დასკვნას, რომ კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში ბერძნული ენა და დამწერლობა იყო გაბატონებული. ამასთან, მიუთითებენ იმასაც, რომ წერა-კითხვის მცოდნენი მოსახლეობის საშუალო ფენებშიც ყოფილან.

მართლაც, დღემდე მოპოვებული ეპიგრაფიკული მასალა სხვანაირი დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ვფიქრობთ, მთლად მართებული არ იქნებოდა ასეთი კატეგორიული დასკვ-

ნის გაკეთება მას შემდეგ, რაც ჩვენს ხელთაა უცხოელ ავტორთა მტკიცებები იმის შესახებ, რომ კოლხებს გააჩნიათ დამწერლობა. ამ თვალსაზრისით, ალბათ, საინტერესოა „ვანის ქვეყნის“ ერთ-ერთ დიდ დასახლებაში – დაბლა გომში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სამარხებად გამოყენებულ ქვევრებზე დატანილი ნიშების შესწავლის შედეგები.

მკვლევარმა ვ. ლიჩელმა შეისწავლა რა ეს ნიშნები, მიიჩნია აქამდე უცნობ ასოთა ერთობლიობად. იგი ფიქრობს, რომ ეს ასო-ნიშნები სემიტური დამწერლობის ერთ-ერთი განშტოებიდანაა განვითარებული დამოუკიდებელი გზით. ძნელია იმის თქმა, რამდენად სწორია ეს ვარაუდი, მაგრამ მხოლოდ ეს ერთი წარწერა ხომ არ იქნებოდა ამ ნიშნებით? უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი ბევრი იქნებოდა, მაგრამ ჩვენს ხელთ მხოლოდ ეს აღმოჩნდა. ამიტომ იმის გამო, რომ ჯერჯერობით ხელთ არა გვაქვს კოლხური დამწერლობის ნიმუშები, არ შეიძლება უგულვებლყოთ უცხოელ ავტორთა გადმოცემები კოლხური დამწერლობის არსებობის შესახებ.

სწორედ ასეთი ვითარების განმარტებისათვის ს. ყაუხჩიშვილი წერდა: რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში და მის მეზობელ ქვეყნებში ბერძნული ენა იყო საერთაშორისო ენა (როგორც ლათინური – რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში). ადგილობრივი ენების გვერდით მოსახლეობის ფართო წრეებში იცოდნენ ბერძნული ენაც... ხომ არ არის წარმოსადგენი, რომ IV საუკუნეში მცხეთაში იმიტომ ჭრიდნენ წარწერას ბერძნულად, რომ ქართულად წერა არ იცოდნენ?.. ცხადია არა. ამას ასეთი ახსნა აქვს: ქართული დამწერლობა კი იყო იმ საუკუნეებში, მაგრამ ჯერჯერობით საამისო მასალები არ არის აღმოჩენილი.

ყველა ზემოთქმული სარწმუნო ხდება იმიტომაც, რომ მომდევნო დროის ეგრისში განათლების არსებული დონე სწორედ ასეთ წანამძღვრებს უნდა დაფუძნებოდა. მხედველობაში გვაქვს ფაზისის რიტორიკული სკოლა. ამ სკოლის შესახებ ცნობას გვაწვდის თემისტოსის, რომელიც თავის დროზე იყო სენატორი, პროკონსული და კონსტანტინოპოლის პრეფექტი, განთქმული ფილოსოფოსი და რიტორი. რიტორიკა მას და მამამისს – ეგენიოსსაც ამ სკოლაში უსწავლიათ. თემისტოსის მე-17 სიტყვაში დახასიათებულია „მუხების ეს ტადარი“ და მითითებულია მისი ადგილსამყოფელიც „კონტოს ბოლოში, ფაზისის მანლობლად, სადაც არგომ,

თესალიიდან წამოსულმა, დაისადგურა“. მართალია, ადრე ოტტო ზეეკის მიერ ეკვექვემ იყო დაყენებული ამ სკოლის ფაზისთან ახლოს მდებარეობა, მაგრამ როგორც ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს, თვით თემისტოისის განსაზღვრა ამ ქალაქისა „ფაზისის მახლობლად“ და მის მიერვე დაკავშირება ადგილისა არგონავტების ლაშქრობასთან, შეუძლებელად ხდის აქ სინოპი ვიგულისხმობ.

თემისტოისის ამ ცნობის პირველი შეფასება ი. ჯავახიშვილმა მოგვცა: „თემისტეს სიტყვებითგან ჩანს, რომ ელლინური სწავლა-განათლების ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩენილია კოლხეთში, – მიუთითებს მკვლევარი და თუ მას დაუკავრებთ, ქვეყანა ელლინური კულტურისა და „მუშათა სადგურად“ უქცევია. ასე, რომ იმ დროს კოლხებს ელლინთა სადღესასწაულო ყრილობებზედაც კი უსახელებიათ თავი რიტორიკითა და მჭევრმეტყველებით“. თემისტოისის სიტყვის საფუძვლიანი ანალიზი მოცემული აქვს ს. ყაუხჩიშვილს, სადაც ხაზგასმით მიუთითებს, რომ „პირველ რიგში იქ თვით ადგილობრივი კოლხები ისწავლიდნენ“. ამ რიტორიკული სკოლის ბრწყინვალე მუშაობის შედეგი უნდა იყოს ის, რომ კოლხებში (ლაზებში) რიტორიკული ხელოვნება, როგორც ეს ჩანს მე-6 საუკუნის ისტორიკოსთა – პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის თხზულებებიდან, დიდ სიმაღლეზე იდგა.

ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ეს სკოლა VI საუკუნეშიც ფუნქციონირებდა. აქ უნდა მიეღო განათლება, ან ემუშავა პეტრე იბერიის აღმზრდელსა და თანამოაზრე იოანე ლაზს. იგი წერს: „ეს სკოლა VI საუკუნეშიც არსებობდა. უთუოდ იქ სწავლობდნენ ის ლაზი დიდებულები, რომლებიც VI საუკუნის შუა წლებში ჯერ საიდუმლო კრებაზე და შემდეგ სასამართლოში წარმოთქვამდნენ ბრწყინვალე სიტყვებს. არავითარ შემთხვევაში არ არის დასაეჭვებელი, რომ მურვანიოსის აღსაზრდელად დასავლეთ საქართველოდან გამოწვეული მითრიდატე ამ სკოლასთან დაკავშირებული იქნებოდა. ის ან კოლხეთის სკოლის პროფესორი იყო, ან, ყოველ შემთხვევაში, ამ სკოლაში მიიღებდა განათლებას... უნდა ვიფიქროთ, რომ მოწაფესა და მასწავლებელს – მურვანიოსსა და მითრიდატეს (ე. ი. პეტრე იბერიელსა და იოანე ლაზს) თეოდოსის სასახლის დატოვებას და პალესტინაში სამოღვაწეოდ წასვლას აიძულებს ის ოპოზიციური სულისკვეთება, რომელიც მათ მოტ-

ანილი აქვთ ბიზანტიაში საქართველოდან, იბერიიდან და ლაზიკიდან.

ფაზისის რიტორიკული სკოლა, შ. ნუცუბიძის აზრით, ახ. წ.-ის III საუკუნის II ნახევარში მაინც უნდა დაარსებულიყო. როგორც ზემოთ ითქვა, ს. ყაუხჩიშვილის აზრით, იგი VI საუკუნეშიც ფუნქციონირებდა, რადგან აქ უნდა მიეღოთ რიტორიკული განათლება აიეტს, ფარტამს და გუბაზის მკვლევლობასთან დაკავშირებულ სასამართლოზე გამოსულ ბრალმდებლებს. იმება კითხვა: – რა ენაზე მიმდინარეობდა აქ სწავლება, ვისთვის იყო ეს სკოლა განსწავლული და თუ VI საუკუნეშიც არსებობდა, რატომ არ იხსენიება პროკოპი კესარიელთან, აგათიასთან, მენანდრესთან?

ნ. ლომოურის აზრით, III-IV საუკუნეთა ფაზისში და საერთოდ, დასავლეთ საქართველოს ქალაქებში ბერძნული მოსახლეობა იმ რაოდენობით არ შეიძლებოდა ყოფილიყო წარმოდგენილი (თუკი საერთოდ იყო), რომ მისთვის აქ საგანგებო უმაღლესი სასწავლებელი დაარსებულიყო. თვით ფაქტი ამ სკოლის დაარსებისა ცხადყოფს, რომ მისი არსებობისათვის აქ სათანადო პირობები არსებობდა. ამ საკითხზე ს. ყაუხჩიშვილი წერდა, რომ „კოლხთა მაღალ წრეებში ზერძნული ენა გავრცელებული იქნებოდა, მაგრამ უმაღლეს სკოლაში, რასაკვირველია, პირველ რიგში ადგილობრივი ენა იქნებოდა ძალაში, როგორც განათლების ენა. მის გვერდით ბერძნულ ენას საპატიო ადგილი ექნებოდა დათმობილი“. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ ფაზისის უმაღლესი სკოლის ფუნქციონირების დროს (IV ს.), როცა ეგრისის სახელმწიფო თავისი ძლიერების ზენიტს აღწევს და იმპერიას მხოლოდ ფორმალურად ემორჩილება – უნდა ვივარაუდოთ, რომ უმაღლესი სკოლა ქვეყნის ინტერესების სამსახურში უნდა მდგარიყო და ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ერთგული მოქალაქეები უნდა აღეზარდა. ამას ეროვნულ მსოფლმხედველობასა და მშობლიურ ენაზე დამყარებული სწავლება თუ შეძლებდა. ამიტომ ეგრისის ხელისუფლება დაინტერესებული იქნებოდა ამ სასწავლებელში ადგილობრივი ენის სწავლებით. ადგილობრივი კოლხური ენა ამ დროს არც ისე დიდი ხნის წინ არის გამოყოფილი საერთო ქართული ფუძე ენიდან. გ. კლიძოვმა ლექსიკონ-სტატისტიკური მეთოდის (ე. წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდი) გამოყენებით (100-სიტყვიანი საცდელი სიის მიხედვით) დაადგინა,

რომ სვანურის გამოყოფა ფუძე ენიდან უნდა დაწყებულიყო ჩვ. წ.-მდე II ათასწლეულის შემდეგ, ხოლო ქართულ-ზანურის დივერგენცია ჩვ. წ.-მდე VII საუკუნეზე მოდის. იგივე მეთოდით თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა 200-სიტყვიანი საცდელი სიის ანალიზით დაადგინეს, რომ საერთო ქართველური (წინარე ქართველური) ფუძე ენიდან სვანური გამოიყო ჩვ. წ.-მდე X საუკუნეში, ხოლო ქართულ-ზანური დივერგენცია მოხდა ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე. როგორც ვხედავთ, ფაზისის სკოლის მოქმედების დრო 300-400 წლითაა დაშორებული ამ მოვლენიდან. ამიტომ IV საუკუნის კოლხისათვის სულაც არ იქნებოდა გაუგებარი აღმოსავლური ქართული ენა. სარწმუნო ჩანს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის აზრი, რომ მართალია, არსებობდა ფუძე ქართული ენის დაშლის შედეგად მიღებული ტომობრივი ენები ქართველისა და მეგრელებისა, მაგრამ ეს ენები ერთმანეთის მიმართ დიალექტებს წარმოადგენდნენ და იმდენად ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, რომ შეიძლებოდა ერთიან ენაზე ლაპარაკი. ეს მით უფრო დამაჯერებელია, რომ ი. ჯავახიშვილის გამოკვლევათა შედეგად დადგინდა, რომ „ქართველ ერს თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ენაც ჰქონდა და აქვს ახლაც, რომელიც – მეგრელებისა და სვანებისთვისაც ერთადერთი სამწერლობო კულტურის ენა იყო და არის ახლაც, რომლის შექმნა-შემუშავებაში მეგრელებსა და სვანებსაც თავისი წვლილი აქვთ შეტანილი“. ი. ჯავახიშვილმა წარმართული კულტებისა და იმ დროის ქართველ ტომთა წარმართული რწმენა-წარმოდგენების შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ „ოდესღაც ქართველ ტომებს სათავისთავო სათემო ღვთაებათა გარდა, ყველასათვის საერთო რწმენა ჰქონდათ, საერთო ქართული წარმართობაც ყოფილა“. სვანები ახლაც კვირიას საპატივცემულო ფერხულის „ადრე კილაი საქმისაი“-ს შესრულებისას სიტყვებს ქართულად ამბობენ. ასევე, ახალი წლის დღესასწაულის ჩვეულების თანახმად მეგრელი მეკვლევც თავის წარმოსათქმელ სიტყვებს მეგრულად კი არა, ქართულად ამბობს ხოლმე. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ი. ჯავახიშვილი დაასკვნის, რომ „არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა; ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია“.

ეს მით უფრო სარწმუნოდ გამოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძვ. წ.-ის IV-III საუკუნეები იყო სწორედ აღმოსავლური ქართული ტომების და, პირველ რიგში, მესხთა ფართოდ განსახლებისა და პოლიტიკური აქტივობის, მესხური ე. ი. ქართის ენოვანი (დღევანდელი იმერლებისა და გურულების) წინაპარი ტომების დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ძვ. წ.-ის III-II საუკუნეებში მაინც დამკვიდრების ხანა. ასევე, უფრო ადრე პერიოდიდან, ადრე რკინის ხანიდან ჩანს ინტენსიური ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ტრადიციულად ქართლში შემავალი შიდაშიანი აჭარისა (აჭარისწყლის ხეობის) ზღვისპირეთთან: ციხისძირის, გონიოს, ფიჭვნარის, ურეკის და სხვა ცნობილ დასახლებებთან.

მოტანილი ადგილები იმის მაჩვენებელია, რომ ოდითგანვე ქართველ ხალხს, უძველეს ქართულ ტომებს აკავშირებდა ერთი საერთო ენა და რწმენა-წარმოდგენები. მას ინარჩუნებდნენ საუკუნეების განმავლობაში და საერთო წინარე ქართული ენის დიფერენციაციის შემდეგაც არ იფიცებდნენ ერთ საერთო კონიე ენას. ამას ბევრად უწყობდა ხელს მდიდარი ხალხური ზეპირსიტყვიერება და როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ხალხური სიმღერები. მკვლევარი ა. არაბული ხალხური პოეზიის ნიმუშებზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად ასკვნის, რომ ხალხურ პოეზიაში დიალექტების სხვაობა მკვეთრად არის ნიველირებული; ხალხური ლექსების ენობრივი საფუძველი დიალექტი არ არის. ხალხური პოეზია უძველესი საბუთია იმისა, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებულია საერთო ხალხური პოეტური ენა, რომელიც, მართალია, დეტალებს ადგილობრივი კუთხური მეტყველებიდან თამამად იღებს, როცა ამის აუცილებლობაა, მაგრამ პოეტური სათქმელის მთლიან არქიტექტურას ხსენებული საერთო კონიე ენით ქმნის. ასეთივე დასკვნებია გაკეთებული უძველესი ქართული ხალხური სიმღერების ფორმისა და რიტმის შესწავლის საფუძველზე, „თუ როგორი უნდა ყოფილიყო უძველესი ზოგადქართველური სიმღერის ფორმა და რიტმი, – წერს მკვლევარი დ. გოგოჭური, – გაანალიზებული მასალების მიხედვით დგინდება. მთიბლურებში შენიშნული ცხრაამარცვლოვანება უძველესი ქართული მთოლოგიური ტექსტების საზომია და როგორც მეტრული სისტემა, მთელ წარმართულ საკულტო ფანრებს მოიცავს... ხელთა გვაქვს ქრისტიანობამ-

დელი ქართული ლექსის უძველესი საზომი, რომელიც მოიცავს მთელ სასულიერო წარმართულ-რიტუალურ ტექსტებს“.

ყველა ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ IV საუკუნისათვის, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ხანისათვის ეგრისი შეიძლება განვიხილოთ ერთიანი ქართული სამყაროს განუყოფელ ნაწილად, რომლის მოსახლეობას ერთიანი კონიენის დიფერენციაციის მიუხედავად, კარგად ესმის ქართული და ცხოვრობს იმავე რწმენა-წარმოდგენებით, რითაც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა.

ჩვ. წ-ის I საუკუნიდან, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, ქრისტიანობა გავრცელდა ქრისტეს პირველმოციქულთა მიერ და ერთდროულად, ხოლო, IV საუკუნის 20-იანი წლების ახლოს გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად. ამ აქტით ორივე ქართულმა სახელმწიფომ ამჟამად გამოხატა პროდასავლური ორიენტაცია და თავისი ბედი ამ სამყაროსთან ურთიერთობას დაუკავშირა. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე და განსაკუთრებით შემდეგ, საჭირო გახდებოდა საღვთისმეტყველო ლიტერატურა. დღეს საყოველთაოდ გაზიარებულია თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ორიგინალურ ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობას საფუძველი შეუშადა ნათარგმნმა მწერლობამ. ასე რომ, „შუმანიკის მარტვილობის“ დაწერამდე ქართულ ენაზე ყოფილა ბიბლიური წიგნები ძველისა და ახალი აღთქმის. (იაკობის თხზულებაში მოხსენიებულია „ევანგელე“ – სახარება, „პავლე“ – ეპისტოლენი და „ასერგანსი ფსალმუნნი“). შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა წინაპრებმა წმიდა წერილის დიდი ნაწილი, თუ სრული კანონი არა, ქართლის მოქცევის პირველ ათწლეულებში, IV საუკუნეშივე ამეტყველეს მშობლიურ ენაზე. მართალია, ყველაფერი ეს აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლს ეხება და ხსენებული მასალაც ჯერჯერობით მხოლოდ იქიდანაა ცნობილი, მაგრამ ქართლსა და ეგრისს შორის იმ დროს ინტენსიური ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური თანამშრომლობაა, ამასთან, თუ ვირწმუნებთ ლეონტი მროველის ცნობას: „და მეფობდა მირიან მუნ ქართლს, ჰერეთს და მოვაკანს და აქვდა ეგრისიცა ვიდრე ეგრის წყლამდე“, მაშინ გამოდის, რომ ეგრისის მნიშვნელოვანი ტერიტორია ეგრისწყლამდე ქართლის დაქვემდებარებაში ყოფილა. ბუნებრივია, ეგრი-

სი ისარგებლებდა იმ სიახლეებით, კულტურისა და განათლების იმ მიღწევებით, რითაც ქართლის მოსახლეობა. ეს სიახლე კი, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანული ლიტერატურა იყო. ამიტომ, ისმის კითხვა: – რამდენად გასაზიარებელია დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული აზრი იმის თაობაზე, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან IX-X საუკუნეებამდე დასავლეთ საქართველოში ღვთის მსახურებისა და სახელმწიფოსაკანცელარიო ენა ბერძნული იყო. ამ დებულების ავტორები ეყრდნობიან იმას, რომ დასავლეთ საქართველო მთელი ამ ხნის განმავლობაში ფაქტიურად ბიზანტიის იმპერიის ვასალური ქვეყანა იყო, ამასთან, ჯერჯერობით არაა ნახული ქართული ეპიგრაფიკული თუ სხვა სახის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც დაასაბუთებდა აქ ქართულ ენაზე საქმის წარმოებასა თუ ღვთისმსახურებას. ამასთან, ამ დებულებას ამაგრებენ იმითაც, რომ განსაკუთრებით VI-VII საუკუნეებში დიდი იყო ბიზანტიის გავლენა ეგრისში და აქაური საეპისკოპოსოები ექვემდებარებოდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქს.

დავიწყოთ იმით, რომ, როგორც წერილობითი წყაროებით მტკიცდება (სტრაბონი, არიანე, აგათია სქოლასტიკოსი), ჩვენთვის საინტერესო დროში ეგრისის ზღვისპირა ქალაქებშიც კი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივებია, რომელთა მშობლიური ენა ქართულია, ან არც ისე დიდი ხნის წინათაა გამოყოფილი მისგან კოლხური (ლაზური). V საუკუნემდე მოსალოდნელიც არაა, რომ აქ იყოს ადგილობრივ ენაზე შექმნილი წერილობითი ნიმუში. ისე, როგორც ქართლში, აქაც ბერძნულ და ლათინურ ენაზე შექმნილი ნიმუშებს ვხვდებით. უნდა ვიფიქროთ, რომ ისე, როგორც ქართლის ეკლესიაში, აქაც ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზაციის პირველ ეტაპზე იმპერიიდან იქნებოდნენ მოწვეული მღვდელმსახურები. ღვთისმსახურებაც ბერძნულ ენაზე იქნებოდა. ეს პროცესი ემთხვევა ეგრისის სამეფოს გაძლიერების ხანას, როცა მკვლევართა უმრავლესობის აზრით, იმპერიას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებში ჯარები აღარ ჰყავს ჩაყენებული და ეგრისის დამოკიდებულება იმპერიის მიმართ ნომინალურია. ის უფრო მოკავშირეა იმპერიის. ასეთ პირობებში ხელისუფლება დანტერესებული იქნებოდა ეკლესიაში ადგილობრივი ენის გაბატონებით, ამიტომ საფიქრებელია, რომ ეგრისის ხელისუფალნი ბიზანტიამში

შექმნილი მძიმე პირობების გამოყენებით, მიაღწევდნენ იმპერიის დაყოფილებას იმაზე, რომ ეგრისის ეკლესიაში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე ყოფილიყო (ალბათ, სახელმწიფო საქმის წარმოებაც), მით უმეტეს, რომ IV ს-ის მეორე ნახევარში თუ არა, V ს-ის დასაწყისში რეალური ჩანს ქართულ ენაზე საღვთისმეტყველო ლიტურატივის გაჩენა. ამ დროს ეგრისის ეკლესია დამოუკიდებელია, ავტოკეფალურია ისე, როგორც იმ დროის იმპერიის ყველა პროვინციისა და დიოცეზის ეკლესია. ასე იყო დადგენილი ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე და იგივე დააკანონა 381 წლის მსოფლიო საეკლესიო კრებამაც. XI ს-ის ცნობილი კანონისტი მათეოს ბალსამონი ამ კრების მეორე კანონის განმარტებისას აღნიშნავს, რომ ამ კანონის თანახმად, პროვინციათა ყველა მიტროპოლიტი ავტოკეფალურნი იყვნენ და ხელდასხმულები თავისი კრების მიერ. ეგრისი ამ დროს დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, ამიტომ მისი ეკლესია, მით უფრო დამოუკიდებელი იქნებოდა.

VI ს-ის შუა ხანებში (553 წ.) ეგრისში, წერილობითი წყაროს მიხედვით, ოთხი საეპისკოპოსო ჩანს: ფაზისის, კამახის (კალმახის), სებასტოპოლისის, პეტრას. თუ ვივარაუდებთ, რომ ბიჭვინთის საეპისკოპოსო კვლავ განაგრძობს არსებობას (და ეს ასეც იყო), გამოდის, რომ ამ დროს ხუთი საეპისკოპოსოა. აქედან, ორი თუ სამი სამხრეთ ეგრისში, ორი კი ჩრდილოეთით, აფხაზეთში. ამ დროს, ჩვენი ვარაუდით, ყველა ეს საეპისკოპოსო დამოუკიდებელია და ღვთისმსახურებაც აქ ქართულ ენაზე სრულდება. საქმე იმაშია, რომ მას შემდეგ, რაც სვანური და კოლხური გამოეყო წინარე ქართულს, ეგრისის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა. ბიზანტიის იმპერიის მხრივ მუდმივმა საშიშროებამ და მოსახლეობის მიგრაციამ მთიდან ბარისაკენ, სოციალური განვითარების ტემპები შეანელა. სვანური და კოლხური ენები დარჩნენ ე. წ. საშინაო, საოჯახო ენებად. ისინი სამწერლო, სალიტურატურო ენების რანგში ვერ ავიდნენ. ამას ხელი შეუწყო ქართლთან ინტენსიურმა ურთიერთობამ და აღმოსავლური ქართულის ფართოდ გამოყენებამ საღვთისმეტყველო ლიტურატივის სახით. ასე, რომ, ეგრისი საკუთარი ანბანის შექმნისა თუ სამწერლობო ენის ჩამოყალიბების აუცილებლობას არ გრძნობდა. მალე საშიშროება შეიქმნა გარედან თავს მოხვეული ენის – ბერძნულის გაბატონებისა. ასეთ პირობებ-

ში ეგრისელებისათვის ხელსაყრელი იყო მათთვის ახლობელი ენის – ქართულის გამოყენება. მით უმეტეს, რომ V-VI საუკუნეებისათვის ქართული აღმოსავლურ სამწერლობო-სალიტურატურო ენად იყო ქცეული. ამ პროცესს ხელს უწყობდა ორ მოძმე ქვეყანას შორის ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა. გაჭირვების ჟამს ქართლისათვის ეგრისი იყო თავშესაფარი და პირიქით. ასე იყო ადრე და ასე გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეებშიც. VI ს-ის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით ქართლში ირანელთა გავლენის შესუსტების შემდეგ, როცა ქართლის ერისთავი გახდა გუარამი, კვლავ გაგრძელდა ვახტანგ გორგასლის მიერ „ყოველი ქართლის“ შექმნის პროცესი. ახლაც ქვეყნის მესვეურები თავიანთი მიზნებისათვის იყენებენ ქრისტიანულ ეკლესიას. ეროვნულ-იდეოლოგიური კონსოლიდაციის პროცესი ახალი ძალით იმლდება ქართლსა და ეგრისის ტერიტორიაზე. ამის შესანიშნავი მოწმობაა ჯვრის ტიპის ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა ქართლსა, კახეთსა და ეგრისში, კირიონის ხელდასხმა გუგარქის, ქართლის და ეგრისის კათალიკოსად. სწორედ ამ ხანაში, V-VI საუკუნეებში ჩანს აგებული ეგრისში ყველა ის ეკლესია, რომლებიც სიახლოვეს ამჟღავნებენ აღმოსავლურ ქართულ სამშენებლო სტილთან. ამის მაგალითებია ჯვრის ტიპის ჭყონდიდის ტაძარი; ვაშნარის ნაშენობა, რომელიც უჯარმას მოგვაგონებს და კიდევაც უტოლდება მას რაღაც შუალედებში მანც, ბობოყვათის (ციხისძირი) სამნავიანი ბაზილიკა, რომელსაც თან ახლავს ქვის სვეტისთავი, მარმარილოს სვეტის ნატეხები და „ბოლნურ-ჯვრიანი“ ქვა; ბიჭვინთის, ციხისძირის, შუხუთის მოზაიკები, სადაც უცხოურთან ერთად მრავლად მოიპოვება ადგილობრივი, ქართული დეტალები; ფოთში ნახული ადრეფეოდალური ხანის საამშენებლო აგურებზე ხელით და ტვიფრით გამოყვანილი ქართული ასო-ნიშნების მსგავსი ნაწერები, თიხის საბეჭდავი, რომელზედაც ქართული ასოა ამოჭრილი და სხვა მრავალი მიუთითებენ ქართულის გავლენასა და მოქმედებას ამ სივრცეში. ქართული ამ დროს ეგრისის სახელმწიფო-საკანცელარიო ენაა, რაც წერილობითი წყაროებითაც დასტურდება. ირანის მეფე ზოსროსთან მისული ელჩები ადრე გაფორმებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებებზე ლაპარაკობენ, ზოლო მენანდრეს ცნობა, რომელიც სვანი მთავრების სახარკო სიაში შეტანასა და

ეგრისის მეფეების მიერ სვანების მთავრების დანიშნას ვგამცნობს, მიუთითებს, რომ საკუთრივ ეგრისისათვის საჭირო დოკუმენტები ადგილობრივ, ქართულ ენაზე იქნებოდა შედგენილი.

ამ აზრს კიდევ უფრო ამაგრებს ისიც, რომ როცა ლაზი ელჩები ირანის მეფე ზოსროსთან გამოცხადდებიან დახმარების სათხოვნელად და გამოთქვამენ პრეტენზიებს ბიზანტიელთა პოლიტიკის მიმართ, ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი ბიზანტიელთა მხრივ ადგილობრივი ენის შეზღუდვა-უგულებელყოფაზე, მაშინ, როცა არ ავიწყდებათ სხვა მათი მოქმედებანი. როგორც ჩანს, ბიზანტია ამ მხრივ ფრთხილ პოლიტიკას ატარებდა, უფრთხილდებოდა ადგილობრივთა ეროვნულ გრძნობებს, რომ მათი მხარდაჭერა არ დაეკარგა.

VII ს-ის 20-იანი წლებიდან, როგორც ეგრისის, ისე ქართლის ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოახდინა ჰერაკლე კეისრის (610-641 წწ.) ლაშქრობებმა ირანის წინააღმდეგ. ჰერაკლე შეუბრალებლად გაუსწორდა მოწინააღმდეგესაც და ორგულობაში ეჭვმიტანილებსაც. „ჰერაკლემ დაამხო არამარტო სპარსთა სახელმწიფო, მისი ნაწილობრივ მოკავშირე ქართლის სახელმწიფოც ძალზე დაასუსტა და სასტიკად დასაჯა... სწორედ ამ დროს მოხდა ქართული ეკლესიის ოურისდიქციის საზღვრების დამცრობა“. როგორც მემატნიანე ვგამცნობს, „მაშინ კვლად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვისპირი“. ამ ამბებთან აკავშირებს მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოთა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შეყვანას. იგი წერს: „ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში განლაგებული ბერძნული საეპისკოპოსოები ბიზანტიურ ნოტიციებში ჩნდება ჰერაკლეს ლაშქრობის შემდეგ, VII ს-ის პირველი მესამედიდან“. ამავე პერიოდიდან თვლის ის ბერძულ ენას გაბატონებულად ამ ეკლესიებში. „ბერძნული ენა, – წერს იგი – დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილში საეკლესიო ენად ოფიციალურად იქცა მხოლოდ VII ს-ის 30-იანი წლებიდან, როცა ჰერაკლე კეისარმა დაიპყრო ზღვისპირეთი... აქ დაარსდა ლაზიკის, ანუ ფოთის ბერძნულენოვანი სამიტროპოლიტო, რომელშიც შედიოდა რამდენიმე ბერძნულენოვანი საეპისკოპოსო“.

მართლაც, ჩვენამდე მოღწეული საეკლესიო ნუსხების (ეკთესისები) მიხედვით, VII ს-ის შუა ხანებიდან კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი

დამოკიდებული ჩანს ფაზისის სამიტროპოლიტოში შემავალი ოთხი საეპისკოპოსო (როდოპოლისის, საისისა, პეტრასი, ზიგანეისა). აფხაზეთში – სებასტოპოლისსა და ჯიქეთში – ნიკოფსიის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსოები. VII საუკუნემდე ბერძნულ წყაროსა, ცნობასა თუ ნოტიციაში არ მოიძებნება მინიშნებაც კი იმისა, რომ VI –, ან IV-V საუკუნეებში აღნიშნულ მიწებზე ბერძნული საეპისკოპოსოები არსებობდნენ. გამოდის, რომ ზემოთ ხსენებული საეკლესიო ცენტრები მართლაც იმპერატორ ჰერაკლეს ზეობის ხანაში დაექვემდებარენ კონსტანტინოპოლის პატრიარქს. ამასთან, ეს უნდა მომხდარიყო იმპერატორის ზეობის ბოლო 15-20 წელიწადში, როცა მან წარმატებით ბრძოლები აწარმოა ირანში, ეგრისსა და ქართლში. ამ დროში შეიძლებოდა, როგორც დამორჩილებული, იმპერიის მოსაზღვრე ქვეყნის ეკლესია დაექვემდებარებინა დედაქალაქის ეკლესიისათვის, მაგრამ შეიძლებოდა ღვთისმსახურების ენაც დაენერგა? ამას ხომ ეკლესიის მთლიანი რეორგანიზაცია სჭირდებოდა; ჰქონდა კი ჰერაკლეს ეგრისსა და ქართლში ესოდენ დიდი გავლენა და საკუთარ ქვეყანაში მყარი პოზიციები? მას ხომ ეგრისელები, აფხაზები და ქართველები ირანთან გაცხარებული ბრძოლების დროსაც არ ემორჩილებიან და საბრძოლველად არ მიჰყვებიან შუაგულ სპარსეთში შესაჭრელად. დახმარებაზეც უარი უთხრეს, როცა წამოწყულ სპარსელებთან გადაწყვეტი ბრძოლა უნდა გამართულიყო. რაც შეეხება საკუთრივ ბიზანტიაში შექმნილ ვითარებას, ასეთია: მართალია, იმპერატორ ჰერაკლეს დროს ირანელებზე ბრწყინვალე გამარჯვებების შემდეგ აღდგა ბიზანტიის იმპერიის პრესტიჟი, მაგრამ მალე არაბთა თავდასხმები გახშირდა. სირია, მესოპოტამია, ეგვიპტე, სომხეთი იმპერიამ დაკარგა. ასევე არაბები შეიჭრნენ მცირე აზიაში და მიადწიეს ქალკედონიამდე, ბიზანტიელებმა ხელიდან გაუშვეს ზღვაზე ბატონობაც. დასავლეთში დაკარგეს ესპანეთი და ცოტა მოგვიანებით, აფრიკული სამფლობელოებიც. VII ს-ის შუა ხანებიდან ქართლში, ზოლო VIII ს-ის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველოშიც არაბები შემოდნენ. ასე, რომ ასეთ პირობებში მყოფი იმპერია ეგრისის ეკლესიაში არსებით ცვლილებებს ვერ მოახდენდა. მას ხომ ეგრისის მოსახლეობა დაუმორჩილებლობას უცხადებდა (697 წელს თვითონ მიიწვიეს არაბები!). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ჰერაკლემ უშუალოდ იმპერიას მიუერთა არა ეგრისის შავიზღვი-

სპირეთი, არამედ, როგორც მემატანე გვამცნობს, „წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვისპირი“. აქ ლაპარაკია ზღვისპირის იმ ვიწრო ნაწილზე, რომლითაც ფარსმან II-ის დროს (II ს.) ქართლის სამეფო ზღვაზე გადიოდა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საეკლესიო რეორგანიზაცია, რაც ბერძნული ნოტიციებით ჩანს, შესაძლებელია გაცილებით ადრე, იუსტინიანეს მოღვაწეობის ბოლო ხანაში დაწყებულიყო (აფხაზეთის ეკლესიაში) და პერაკლეს ზეობაში დასრულებულიყო. ამასთან, მიგვაჩნია, რომ თუ სარწმუნოა პერაკლეს დრომდე ეგრისის ეკლესიაში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე ჩატარება, არ შეიძლებოდა ბიზანტიისათვის მოკლე და რთულ პერიოდში ისეთი დიდი ცვლილებების განხორციელება ეგრისის ეკლესიაში, რომელიც ღვთისმსახურების ბერძნულით შეცვლას დასჭირდებოდა. ყველაფერს, რომ თავი დაეანებოთ, ასეთ პირობებში ეკლესიას ბერძნულის მცოდნე მრევლი სჭირდებოდა, სანდო წერილობითი წყარო კი (აგათია სქოლასტიკოსი) სულ სხვა სურათს იძლევა. ამ თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა მეფე გუბაზის მკვლევლობის გამო ბიზანტიელი სარდლების გასამართლების ზოგიერთი მომენტის გახსენება. აგათია მოგვითხრობს, რომ დედაქალაქიდან გამოგზავნილ მოსამართლე ათანასის, რომელიც თავისი ღირსების შეგნებით ქლაშიდში გამოწყობილი დაჯდა ერთ მაღალ სავარძელზე, თან ახლდნენ კაცნი, რომელთაც იცოდნენ სწრაფი წერა და დაწერილის წაკითხვა სხაპა-სხუბით, ე. ი. სასამართლოზე ყველაფერი სტენოგრაფიული წესით იწერებოდა. შემდეგ აგათია განაგრძობს, რომ „რუსტიკე და იოანე მოიყვანეს სატუსალოდან და დააყენეს მარცხნივ, როგორც ბრალდებულნი. მეორე მხარეზე დადგნენ ბრალმდებელნი, დარბაისელი კოლხები, რომელთაც უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელინთა ენა“. აგათიას მიერ საგანგებოდ იმის აღნიშვნა, რომ ბრალმდებელ დარბაისელ კოლხებს „კარგა ხანია შეესწავლათ ელინთა ენა“, იმაზე მიუთითებს, რომ ჩვეულებრივად კოლხებს ბერძნული ენა არ სცოდნიათ. აგათიას ამის გამო დასჭირდა ამაზე ხაზგასმამა. ეს რომ ასეა, კიდევ უფრო ნათლად ჩანს შემდეგ. აგათია განაგრძობს: „ბრალმდებლები, რომ ასეთ ბრალდებებს აყენებდნენ, კოლხთა ლაშქარს, რომელიც იქვე იყო თავმოყრილი, არც ნათქვამი სიტყვები ესმოდა და არც აზრების მნიშვნელობის გაგება შეეძლო,

მაგრამ იმას კი ზედებოდნენ, თუ რის შესახებ იყო თითოეული მათგანი გამოთქმული და მათი კამათის დროს თავიანთ გულისნაღებსაც ურთავდნენ და მათთან ერთად მიზერა-მოხვრასაც იცვლიდნენ. ისინი იცვლიდნენ გუნებას იმიხდა მიხედვითაც, იმედს ამჩნევდნენ ბრალმდებლებს, თუ სასოწარკვეთას“.

მოტანილი ადგილი თვალნათლივ აჩვენებს, რომ კოლხმა მოლაშქრეებმა ელინური, ბერძნული ენა არ იციან. მოლაშქრეები კი მოსახლეობის ფართო ფენების წარმომადგენლებია. შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ VI საუკუნის 60-იან წლებში ეგრისის მოსახლეობის ფართო ფენები (უმრავლესობა) არ ფლობს ბერძნულ ენას; თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვივლით სხვათა, რომ არც სახელმწიფო საქმის წარმოებაში და არც ეკლესიაში არ შეიძლებოდა ბერძნული ენა ყოფილიყო გაბატონებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, საუკუნეების განმავლობაში შეიქმნებოდა აუცილებლობა ბერძნული ენის შესწავლისა. კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი ეგრისის საეპისკოპოსოთა დამოკიდებულება, როგორც ჩანს, სულაც არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ვიგულისხმობთ აქაურ საეკლესიო ცენტრებში ღვთისმსახურების ბერძნულ ენაზე შესრულებას. მით უმეტეს, რომ მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესია თავიდანვე ღვისმსახურების ენად ადგილობრივ, ეროვნულ ენებს დასაშვებად თვლიდა.

ამ მოსაზრებას, ჩვენი აზრით ისიც უჭერს მხარს, რომ სწორედ პერაკლეს ზეობის ხანაში გახდა ფაზისის მიტროპოლიტი ქართლიდან გამოდევნილი კირიონ კათალიკოსი, რომელსაც იმპერატორი დიდ ანგარიშს უწევდა და უნდა ვიფიქროთ, რომ ქართლის ეკლესიაზე პროქალკედონიტური გავლენის მოსახდენადაც გამოიყენებდა. ასეთ ვითარებაში, სავარაუდოა, რომ ეგრისის საეპისკოპოსოებში ბერძნულ ენაზე ღვთისმსახურების შემოღება ბიზანტიის ინტერესებში არ შევიდოდა, რადგან მის საწინააღმდეგო რეაქციას გამოიწვევდა ქართლის ეკლესიაშიც.

საკითხის ასე დასმა ბევრი კითხვის წინაშე გვაყენებს. კერძოდ, რომელ ენაზე – კოლხურზე თუ ქართულზე მიმდინარეობდა საქმის წარმოება, ან ღვთისმსახურება; რატომ არ დასტურდება დოკუმენტურად ეს ვარაუდი (არ არის ნახული ეპიგრაფიკული, ლიტერატურული, ისტორიული მასალები), რატომაა, რომ ბერძნული (უცხოური) დომინირებს ამ საუკუნეებში

(IX ს-მდე მაინც) მშენებლობა-არქიტექტურაში და სხვა.

როგორც უკვე ზემოთ ითქვა, V საუკუნიდან ქართულ ენაზე არსებობს თარგმნილი და ორიგინალური საღვთისმეტყველო ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომია ეგრისელებისათვის. შექმნილია ანბანიც და ეგრისისათვის ამაზე ზრუნვის აუცილებლობაც მოხსნილია (ვითვალისწინებთ იმას, რომ ყველა ხალხის ცხოვრებაში დიდი მღწვევა აუცილებლობითა და მეცნიერებისა და კულტურის შესაბამისი დონით იბადება). ქართლიდან ეგრისში სისტემატიურია მოსახლეობის განიზვნა-ჩასახლება (განსაკუთრებით VI-VII საუკუნეებში), რასაც თან მოაქვს აღმოსავლურ-ქართული. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ეგრისში თავიდანვე ადგილობრივი კოლხურის გვერდით ფუნქციონირებდა ქართული ენა, რომელმაც შემდეგ სახელმწიფო და საეკლესიო ენის სტატუსი მოიპოვა. თუ ამჯერად საამისოდ არა გვაქვს ხელშესახები მასალა იმის გარდა, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, ეს ისტორიული ავტობიოგრაფია და არქეოლოგიური თვალსაზრისით ნაკლებ შესწავლილობით უნდა აიხსნას. რაც შეეხება ბერძნული თუ სხვა უცხოური მასალების საჭარბეს, მისი ახსნა შეიძლება იმით, რომ „ქართული ხელოვნება იმ პერიოდში, როდესაც საქართველო კულტურულად ბიზანტიურ ორბიტაში შედიოდა, აყალიბებს აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან ერთად, საერთო ნორმებს ე. წ. „ბიზანტიური მოტივებისას“. ამ არგუმენტებს საფუძველს ისიც უმაგრებს, რომ როგორც ჩანს, ეგრისის აღმოსავლეთი ტერიტორიები, ვაკე იმერეთი, ანუ „სამოქალაქო“ და არგვეთი ქართლის კათალიკოსის იურისდიქციაში შედიოდა დიდი ხნის მანძილზე. ვახუშტი ბატონიშვილი იმერეთის აღწერისას მიუთითებს: „არს ხონს ეკლესია დიდი, გუმბათიანი, შეენიერნაგები, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ვაკისა. ეს იყო ერთობასა შინა ქართლის მთავარ ეპისკოპოზისა: შემდგომად განყოფისა დასვეს აქა ეპისკოპოზი“.

აკად. დ. მუსხელიშვილი ითვალისწინებს რა ვახუშტის ამ ცნობას, დაასკვნის, რომ „მთელ იმ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს სწორედ ვაკე იმერეთს, არგვეთის უდიდეს ნაწილს რაჭა-ლეჩხუმიანად, არც ერთი ბიზანტიური საეპისკოპოსო კათედრა არ მოიხსენიება... ყველა ზემოთ თქმული გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ამ ტერიტორიაზე უკვე მაშინ (VII-IX საუკუნეებში) მცხეთის კათალიკოსის იურისდიქცია მოქმედებდა ქართული ენით, ქართული მწიგნობრობით და აქედან გამომდინარე, ყველა ღრმა შედეგებით“.

ამრიგად, ეგრისში ჩვ. წ-ის IV საუკუნი-სათვის, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ხანისათვის, მომზადებული იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ნიადაგი იმისათვის, რომ ქრისტიანული ეკლესია ეროვნულ საფუძველზე აშენებულყო. ამაში დიდი როლი ითამაშა ქართლთან მჭიდრო თანამშრომლობამ, ქართული კულტურის, ენისა და ლიტერატურის ფართოდ გავრცელებამ და იმ შეურიგებელმა დაპირისპირებამ, რომელიც არსებობდა ბიზანტიასა და ირანს შორის ქართლსა და ეგრისში გაბატონებისათვის. ბიზანტია გადააწყვეტ მომენტში იძულებული იყო ანგარიში გაეწია ეგრისელთა მისწრაფებისა და სურვილებისათვის მათი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად ირანელებთან ბრძოლაში. ამ მხრივ ეგრისელებისათვის ყველაზე დიდ მონაპოვარს წარმოადგენდა ღვთისმსახურების ქართულ ენაზე აღსრულება, რაც აქაურ ეკლესიას ქვეყნის ერთიანობასა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სამსახურში აყენებდა.

ბიჭიძე ღი.ასამიძე







აიას სოფიას ქართული ტაძარი

ე ვ გ ე ნ ი ლ ა ნ ს ე რ ე ს

1925 წლის ზაფხულში თურქეთში, კერძოდ ანატოლიაში იმოგზაურა მხატვარმა ევგენი ლანსერემ. რის საფუძველზეც შეიქმნა მისივე ჩანახატებით დასურათებული საინტერესო წიგნი „ზაფხული ანგორაში“. ეს არის ლაზეთის სამყარო. ადამიანები, რომლებიც მას იქ ზვდებოდნენ, ძირითადად ლაზები იყვნენ... მაგრამ მან ეს არ იცოდა. ყველას მათ იგი უწოდებს თურქებს და მხოლოდ ორჯერ იხსენიებს ლაზებს, როგორც გამორჩეული სილამაზის და ღირსებით სავსე ტომს, რომელიც ყველას მოსწონს და უყვარს; და კიდევ..., როცა მათ ცეკვებზე ლაპარაკობს... ამ ცეკვების რამდენიმე ჩანახატიც გაუკეთებია... საერთოდ ამ ჩანახატებში, მაშინვე ცნობთ ლაზებს, რომელნიც მართლა გამოირჩევიან თავიანთი აღნაგობითა და სილამაზით. მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ჩანახატს ამ წიგნიდან.



ჩ ა ნ ა ხ ა ტ ე ბ ი



წიგნიდან – მესხეთი



მოსე ჯანაშვილი

ჭანეთს, ანუ ლაზეთს დღეს უჭირავს ვიწრო ზოლი ჭანეთის მთასა და შავ ზღვას შორის ტრაპიზონამდე. მაგრამ ჭანთა მფლობელობა უწევდა მდინარე ღაღისამდე (ჭანურ – მეგრული ღაღესი უდრის ქართულს ლეღესს, ღელის ხეცს, მდინარეს).

ჭანთა ასეთი ფართო მოსახლეობით აიხსნება ის, რომ კონსტანტინოპოლის, იერუსალიმისა და სხვა ადგილების ბერძნები, – როგორც იუწყება გ. ნადარეიშვილი, – დღესაც ტრაპიზონ-სამსუნიის მთელ მიდამოს ლაზეთს ეძახიან.

ყოველი მარცვალი ნაყოფიერებს აქ. თუმცა, არა ყველგან. მრავალნაირი ზილი ხარობს აქ, მეტადრე ფორთოხალი. აქაურობა შემკულია წალკოტებითა, მტილებითა და სავარდებით.

... მთელს მესხეთში მცხეთის კათალიკოსს ჰყვანდა 13 ეპისკოპოზი. უერთავ მათ შესახებ ცნობას ძველის ძველიდამ:

„მაწყვერელი“: – გვირგვინ-ბისონიანი არს. ამისი სამწყსო: ყვების-კორტანეთს შუა რომ წყარო დის, იმას ზეთ ხეობა და სადგური, სულ აწყური, დიასამიძის სახლი და ახალციხის-წყლის გაღმართი გურიის წარდგომამდის.

კუმურდოელის სამწყსო: ხერთვისის ზეთ სულ ჯავახეთი სვეთამდი.

იშხნელის სამწყსო: გურჯი-ბოლახს აქეთ, სულ თორთომი, ტაოს ქვემოთი არტანუჯის თავის საკრულავი ჰქვიან იმას აქეთ, გაღმა ორჯონის მთის აქეთი, სულა საკავკასიძო ისპირ-ტრაპიზონის მთას გარდამოღმა.

ანჩელის სამწყსო: სამწყალს აქეთი. ხანძთას და ოპიზას შუა დახატულაა, იმას ქვემოთი ნიგალისხევი, გაღმა და გამოღმართი გონიას საზღვრამდის.

მტბეგარის სამწყსო: დახატულას ზელათი ანაკეროს აქეთი სულა შავშეთ მიჭიხიანთ ბატონის კათალიკოზის იმ ქვეყნის ეპისკოპოსის იასაულიც ის ყოფილა, აჭარა-დანდალოთ ზეთი მას ჰქონია, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათლის სამწყსო ყოფილა.

წურწყაბლის სამწყსო: ხურსიძის სახლი, სულა ბოცოთ ხევი ხერთვის ქვეით.

წყაროსთაველის სამწყსო: ზეთ და მის ზეთ პალა კაციო კოლას საზღვრამდინ მტკვარს აქეთი. აქ არტაანი.

ერუშნელის სამწყსო: ტალამოს ზეთი, სულა არტაანი კოლის საზღვრამდინ.

ვარაშკერტელის სამწყსო: ყაღზევანს ზეთ ვალაშკეთს აქით ხინუის და დევაბონის აქეთი. ანელის სამწყსო: სულა ზირიშტიანი და შირავონი და მალასბერეთი.

კარელის სამწყსო: სულა კარი და კოლისა და ოლთისის საზღვრის გარდამოღმა გაგჩევანი და კაღზევანი.

ბანელის სამწყსო: სულა ბანი, ტაოსკარი, ფანასკერტი, ჰარიზის ხეობა, სულა ოლთისი და ნარუმაკანი.

დადაშნელის სამწყსო: სულა კოლა და ხორტევალი ყარასალზედ მიდგამამდი.

ამ ეპისკოპოსებთ მაკურთხეველი და უფროსი ქართლის კათალიკოზია; იმის ხელ არის ყველა“. ... ქართველობა შარავანდელით იმოსებოდა და მის იერსა და ჰანგს პატივით ეყრობოდნენ კულტუროსანი ერები.

ამ მხრივ ქართველობას მოელოდა უმეტესი ზრდა-განვითარება, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, დიდებული მესხეთი მისდა უნებურად გამოვარდა საერთო შეწყობილობიდან და მით შეასუსტა საქართველოს ძარღვისცემა.

უკულმა ტრიალი იყო მონგოლების შემოსევის დროიდანვე. საქართველოს მტრების წაქეზებით განდგნენ მესხეთის ათაბაგები... 1626 წელიწადი შეიქმნა საბედისწეროდ: უარყოფილ იქმნა ქრისტიანობა და მასთან ერთად მამაპაპათა მიერ შექმნილი და დაზოგვილი საქრისტიანო კულტურა. ყველანი გამაჰმადიანდნენ. ეპისკოპოსები განდევნეს. წიგნები მოსპეს. სალოცავები შეიძულეს. საყდრები დააქციეს, ან მიზეთებად გადააკეთეს. რის შემუსვრაც ვერ მოახერხეს, დასტოვეს ვერანად... მრავალი მათგანი (თითქმის ნახევარ მილიონამდე) აიყარა და გადასახლდა ბურსას, სამსუნს და სხვ. ასე მოგვეყდნენ ეს ერთსისხლ და ერთხორც მძანები, ჩვენთან ერთად ერთ ენაზე მოლაპარაკე ქართველები, დიდებული წინაპრების შვილები.

აღსრულდა წინასწარმეტყველის სიტყვები (ესაია 33,-13-15; იერემია 50,39) „ჭალაკთა შინა დაემკვიდრნენ ურჩხულნი; ქალაქთა შინა აღმოსცენდნენ ეკალთა ხენი, ციხენი მათნი იქმნენ საყოფელად ურჩხულთა და სამკვიდრებელად სირთა, და შეითხვივნენ ეშმაკნი და ვირ-დეენი... მუნ განისვენებენ ვირდეენი, მუნ მართვენი ისხნენ გძღარბთა, მუნ შეკრბენ ნადირნი“.

მის შემდეგ მესხეთმა ვეღარ აღმოაცენა ვერცერთი მნათობი, მაშინ როდესაც დანაშთენ საქართველომ აღმოაცავილა მთელი რიგი სჯულმდებლებისა, მემატიანეებისა, მეიგავ-არაკეთა, პირველხარისხოვან მგონებისა (გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი) და სხვა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა.

... მაგრამ, შეუძლებელიაო, ამბობს ერის სიბრძნე, დამშრალი რუ ისევ არ ახმაურდესო. შეუძლებელია, რომ მესხებმაც დაივიწყონ თავიანთი ფრიად ნაყოფიერი წარსული, თავიანთი მამა-პაპათა ბრწყინვალე მესხეთი, სამცხე-კლარჯეთ-ჭანეთი... აკვანი საქართველოს დიდებისა, უძვირფასესი სპეკალი ქართველ მეფე-კურაპალატების გვირგვინში.

... აქეთკენ მოდიოდნენ ბერძენთა გმირები ოქროს საწმისის გასატაცებლად.

აქვე ნახეს მათ მშვენიერი სასახლეები, რომლის აუზებში დიოდოლო შადრევნად ღვინო, რძე, წყალი. ნახეს მშვენიერად დამუშავებული ვენანები, ქალები, რომელნიც სხვადასხვა ბალახით ამზადებდნენ წამლებს.

აქაური იყო მითრიდატ დიდი; ჭანის ქალი იყო დედა გამოჩენილი მეცნიერ-გეოგრაფოსის სტრაბონისა, რომელმაც ქებით მოიხსენია ივერიის კრამიტით გადახურული სახლები, საზოგადო დაწესებულებათა შენობები, ერის სიმშვენიერე და სხვა.

აქაური ქალი იყო დედა ათანასე დიდისა.

აქაური იყო წმიდა ნინო, 13-ნი მამანი, კლავ გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი და სხვა... დამაარსებელი პარზალისა, ტბეთისა, ანჩისა, ზახულისა, ოპიზისა, შატბერდისა, ზარზმისა, ბანასი, ეოშისა და სხვა.

აქ მოღვაწეობდა დიდი მწერალი ბერაი, მიქელ მოღრეკილი, უდიდებულესი ქართველი ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელები, ეფრემ მცირე და მრავალი სხვა მწერალი, პეტრიწი ფილოსოფოსითურთ.


აქ გამოჩნდა პირველი მგოსანი ფილიპე (X), და ბოლოს უკვდავი შავთელი და შოთა რუსთაველი.

აქ აღორძინდნენ დიდი მეფეები: — გურამები, აშოტები, დავითები, ბაგრატები. აქედან იყვნენ საუკუნო სახსენებელი კათალიკოზები, მაგ. არსენი დიდი და სხვა.

ტაოელი იყო დიდებული ჩვენი მეფე დავით კურაპალატი, მამობილი ბაგრატ III-ისა. „მიზეზი მყუდროებისა და კეთილსინდისიერებისა მთელს აღმოსავლეთში“ და განსაცდელისაგან მხსნელი კონსტანტინოპოლისა სახელოვან თორნიკეს გალაშქრებით იმპერატორის მტრების წინააღმდეგ.

მოსე ჯანაშვილი
1915 წ.





კავკასიური ზარების ორთაბრძოლა


სიზმრადა მაქვს ნახული განძი საქართველოსი,
ღვთისმშობელი ხახულის, ყინწვისის ანგელოსი...
ვიცი, სიზმრად მინახავს, ბედისწერა მიტანს –
ღიმილს ჩემთვის ინახავს მცხეთის სერაფიტა...

ჩუქურთმაში ვაზი ტირის ქარაგმულად,
სიმღერები ლაზის საით დაკარგულა?
შე ლაზურო აფრავ, – ჩემო საპერანგე,
ლეგენდად თუ ზღაპრად – საით დამეკარგე?

სიზმარო და ზღაპარო, გიცნობ ლაზისტანად,
მაგრამ ვილამ ახაროს ე მაგ ვაზისთანა?
ანდა ვილამ გათალოს ე მაგ ანძისთანა?
ჰოი, რა მაცდურია, ზღვაო, შენი სახე.
ჩემი დიოსკურია კარგად შემინახე.

მაგრამ განა გავთავდით, განა წახდა ყისმათი, –
საქართველო, სადამდის? მარად უკუნისამდის!
მეც მწვავს ძველი ჭრილობა, ძველისძველი გზები...
მაგრამ დედაშვილობას, ნულა მესიზმრები...

შოთა ნიშნიანიძე





ოქრომრავალი



ისევ სუნთქავს აქ მისი გადარჩენილი სული.

სველითა და ტკივილით გვავესებს შენი წარსული კოლხეთის მიწავ... აწ უკვე დიდზე დიდი ხანია პარტახად და ნაოზრად ქცეული სიმაღლე იმ დიდი, იღუმალი სიბრძნისა, მთელს ახლო სამყაროს რომ აოცებდა და იზიდავდა.




გ ა ნ ძ ი კ ო ლ ხ ე თ ი ს


ჩვენც იმ შენი უბველესი ხალხ-
ის შთამომავლები ვართ.

შენს შემდეგაც ბევრჯერ
გვძარცვეს, გვანგრის, აგვაოხრეს...

მაგრამ ერთი, რაც ვერ მოსპეს,
ეს შენი სულია.

დიდება შენს სახელს კოლხე-
თის მიწავ!






თიხის ჭურჭელი – ძვ. წ.ად.-ის მე-3 ათასწლეული
ფოტო ლ.სკლიპასოვსკისა.

საქართველო... მსოფლიოს წალკოტი... უწინ, რომ დედამიწის
სამოთხე იყო... ქვეყანა, რომლის მცხოვრებლებმაც ქვეყნიერება
გაანათლეს... რომელმაც ანტიკური ბერძნული სიბრძნე წარმოშვა,
ახლა ყაჩაღთა გამოქვაბულებად და მღვიმეებად ქცეულა.

ქრისტეშორი დე კასტელი



მაცხოვარი. მშვიდობა ყოველთა

გასული წლის დეკემბრის ბოლოს თბილისის „ციხეგრ გალერეაში“ მხატვართა ახალ გამოფენაზე ლაზი მოქანდაკის, ნერსე ბაწაშის საინტერესო ნამუშევარი ვნახეთ. ესაა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს ქანდაკება – მაცხოვარი. ეს ქანდაკებაც იმ ციკლიდანაა, რომელსაც ვერასოდეს შორდება იგი. ვისაც საშუალება ჰქონია ენახა ნერსე ბაწაშის პლასტიკური კომპოზიციები: „ნოეს კიდობანი“, „გარდამოხსნა“, „ძმთა მონანიება“ (ეს აფხაზეთის თემა) და სხვა მსგავს თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრები, და რომელთაც შეიძლება საერთო სათაურად „მშვიდობა ყოველთა“ ვუწოდოთ, ალბათ, შეუგრძენია ის მწვავე ტკივილი, რომელმაც ბოლო ათწლეულის (და უფრო ადრინდელისაც) განმავლობაში, ყველა ჩვენთაგანის გულში დაისადგურა. ტკივილი, რომელიც კიდევ უფრო მწვავე იმიტომაცაა მისთვის, რომ იგი აფხაზეთიდან ლტოლვილია. ათასობით ადამიანთან ერთად მასაც ფეხით გადმოუვლია სვანეთის უღელტეხილი, საკუთარ სახლ-კარსა და წინაპართა საფლავებს მოშორებულს ტანჯვით ჩამოუღწევია ჩვენამდე. ეს ჩვენი საერთო ტკივილია, საერთო ტრაგედიაა.

მშვიდობა მუდამ ენატრებოდა იმ ძირ-ძველ კოლხეთის მიწას, რომლის შვილიც თვითონაა. ამ მიწასავით ტანჯული და ტკივილით სავსე იყო მისი – მშობლების, ძმის, ახლობლების ბედიც... სულ ბავშვი ოჯახთან ერთად ჯერ ციმბირში, შემდეგ ყაზახეთში გადაასახლეს, სადაც 15 წელი დაჰყო. ესეც კომუნისტური რეჟიმის თანამდევნი ჩვენი (და არა მარტო ჩვენი) სამწუხარო რეალობა იყო... მწარე სინამდვილე, რომელიც დღესაც ბევრს ახსოვს. შემდეგ, როგორც იქნა, დაბრუნდა. 1972 წელს სამხატვრო აკადემიაც დაამთავრა. მონაწილეობდა მხატვართა გამოფენებზე თბილისშიც, მოსკოვშიც...

„მშვიდობა ყოველთა“ მაცხოვრის ბაგეთაგან წარმოთქმული ეს ნანატრი სიტყვები იყო და ახლაც არის მისი შთაგონების მთავარი წყარო.

მშვიდობასა და კვლავაც მრავალ შემოქმედებით შთაგონებას ვუსურვებთ მას.

ისმინე ჩვენი ხმა, დედა საქართველო!

ჩვენ, თურქეთის ქართველობამ და საერთოდ აქაურმა ყველა კავკასიელმა, ძალიან კარგად ვიცით, რომ სრულიად კავკასიაში არის საქართველო – ქართველი ხალხი თავისი თვითმყოფადი კულტურით, ტრადიციული სახელმწიფოებრიობითა და თავისი გამორჩეული კაცთმოყვარული ხასიათითა და ადათ-წესებით. ამიტომ იგი ღმერთმა ადრიდანვე დედაშიწაზე იმ 12 გამორჩეულ კულტურულ ხალხებს შორის მოაქცია, რომელნიც ღირსჰყო და დააჯილდოვა თავისი დამწერლობით. მართალია, ქართული დამწერლობა (ანბანი) ძალიან კარგად პასუხობს ყველა მკვიდრი კავკასიელი ტომის (დაღესტნურ-ჩეჩნური ტომებიდან დაწყებული, დამთავრებული ჩერქეზულ-ადიღურ-ყაბარდო, აფსუა-აბაზინური ტომებით) ენობრივ თვისებებს. იგი გარეშე ძალებისა და რელიგიების (ირანი, არაბეთის სახალიფო, ოსმალეთი და რუსეთი) მტრული მოქმედების შედეგად ვერ გადაიქცა სრულიად კავკასიელთა დამწერლობად და უფრო მეტიც, ქართველთა ეს მონათესავე ტომები, აღნიშნული გარეშე მტრული ძალებისა და რელიგიების ქართველთა საწინააღმდეგო მოქმედების შედეგად, სამწუხაროდ, მუდმივმოქმედ მტრებად ექცნენ ქართველებს.

ჩვენში თურქული გაზეთები: „საბაჰი“, „ზამანი“, „თურქიე“, „მილიეთი“, და სხვ. საქართველოსა და ე.წ. „აფხაზთა“ ანუ, როგორც თვითონ ამბობენ, აფსუათა გარედან ხელოვნურად შექმნილ პრობლემას მეტად შერყენილად, დამახინჯებულად წარმოგვიდგენენ: ქართველებს დამპყრობლებად სახავენ, ხოლო ქართველების მიერ ვითომ დამონებულ აფსუებს სამშობლოს დამცველებად გვაცნობენ. მაღლობა ღმერთს, რომ ბოლო დროს გზები გაიხსნა, ქვეყნები, ხალხები დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ნამდვილი, ჯანსაღი ინფორმაციები ჩვენამდეც აღწევს. ამასთან ერთად, ასე თუ ისე, საქართველოს ისტორიაც ვიცით...

1. ჩვენ ვიცით, რომ ისტორიული საქართველო შედგება შემდეგი ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქებისაგან, ესენია: ქართლი, კახეთი, ჰერეთი, მესხეთი, ჯავახეთი, ფშავ-ხევსურეთი, იმერეთი, სვანეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, გურია, აჭარა და სხვ.

2. ჩვენ ვიცით, რომ მას შემდეგ, რაც ჩრ. კავკასიაში, მდინარეების: თერგისა და ყუბანის მხარეებში შემოიჭრნენ რუსები, აზოვ-კასპიის ზღვებს შორის განალაგეს სამხედრო-საკორ-

დონო ხაზი ციხე-სიმაგრეებით. საარსებო სივრცეებდაკარგული დაღესტნელები, ჩეჩენ-ინგუშები, ოსები და ჩერქეზ-ადიღ-ყაბარდოელი ტომების ერთი ნაწილი გამოსავალს ნახულობს კავკასიის მთ. ქედის სამხრეთ კალთებზე, ანუ ქართულ მიწაზე გადმოსვლა – დამკვიდრებაში. ასე გაჩნდა (მე-18-19 სს:) ქართულ მთიანეთში (მზიანეთში) კავკასიელ მთიელთა თემები: აფსუა-აბაზინების – აფხაზეთში, ოსების ქართლში – ცხინვალის მხარეში, ჩეჩენ-ქისტების – კახეთში, ხოლო ავარ-წახურ-დიდოელების თემები ჰერეთში, ანუ დღევანდელ საინგილოში, რომელიც ქართველ და რუს ბოლშევიკ ლიდერთა ბრალით 1921 წლიდან მათივე ხელით ქართულ, სომხურ და დაღესტნური ტერიტორიების ხარჯზე დაარსებულ „კომუნისტურ“ აზერბაიჯანს გადაეცა!

ჩვენ, თურქეთის ქართველები ვიყავით საქართველოში და შემოვიარეთ, აგრეთვე, საინგილოს ზოგიერთი, როგორც ქართული (ალაბადი, მოსული, კანდახი, იენგიანი), ისე ლეკური სოფლები (თალა და ჭარი). როგორც გამოიკვია, 1921 წ. საინგილოში ინგილოები, ანუ ქართველები და აღნიშნული ლეკური თემების მოსახლეობა ერთად შეადგენდნენ, თურმე 90 %. კომუნისტურმა აზერბაიჯანმა, კომუნისტურ საქართველოსგან განსხვავებით, თავის რესპუბლიკაში მოხვედრილ ქართველებს, ლეკებს, ლეზგებს, თათრებს, თალიშებსა და ქურთებს, არავითარი ავტონომია, არც პოლიტიკური და არც კულტურული, არ მისცა, ყველა ეს ხალხები ძალდატანებით ეროვნებით „აზერბაიჯანელებად“ გამოაცხადა და დღემდე დევნასა და შიშში აცხოვრა. მაგრამ საქართველოში სრულიად საწინააღმდეგო საქმიანობას ვხედავთ ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობაში. ქართველი ხელისუფალნი იმ დღიდან მოყოლებული ბოლო წლებამდე აფსუებს, ოსებსა და სხვებსაც ანებივრებდნენ, ეფერებოდნენ, ყველაფერში უთმობდნენ, ქართველებს ართმევდნენ და მათ კვებავდნენ და ასე მომავალ ურჩხულებსა და ჯალათებს ზრდიდნენ. თურმე იმ 80 თუ 90 ათას „აფხაზად“ წოდებულ აფსუებში 30.000-მდე ქართველია, რომლებიც მსუქანი ლუკმისათვის აფხაზად ჩაეწერნენ. ეს პროცესი, თურმე, 20-იან წლებშივე დაწყებულია და შემდეგ 50 – 80-იან წლებში ფართო ხასიათი მიუღია. ამავე წლებში თურმე, ასევე

ინტენსიური ხასიათი მიუღია აფხაზეთის მთის ხეობებიდან ბარისაკენ, უფრო კი ზღვისპირა ქალაქებისაკენ „აფსუა მთიელის ბარისაკენ მოწოლას“, უფრო სწორად აფსუებისაგან ხელოვნურად, დაჩქარებით საქალაქო მოსახლეობის შექმნას. მოკლედ რომ ვთქვათ, აფხაზეთში მცხოვრებ ერთ მუჭა – 12 % აფსუას, თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობა და ბედნიერება დაფუძნებული ჰქონდა უმრავლესობის, ანუ ძირითადად, ქართველთა ნამუსიან შრომაზე. მსგავს რამეს იქვე კავკასიის მთავარი ქედის გადაღმა მყოფ მთიელთა ავტონომიებში, თურმე, ვერ ნახავ, იქ ყველაფერი არა ეროვნული, არამედ რუსული ენისა და კულტურის სამსახურშია ჩაყენებული. 1886-1986 წწ. ანუ ერთ საუკუნეში, აფხაზეთში რუსულმა და სომხურმა მოსახლეობამ ცალ-ცალკე 71-ჯერ იმატა, თავის სამშობლოში – აფხაზეთში ქართველ მოსახლეობას 4-ჯერაც არ უმატია.

სეპარატისტი აფსუების 40 წლიანი აშკარა ანტიქართული მოქმედების შედეგად, აფხაზეთში ე.ი. საქართველოში ქართული ენა და მისი დამწერლობა გამოიდევნა; სამაგიეროდ, ფართო გზა მიეცა რუსულ ენას, თურმე დღეს აფსუა ოჯახების 80 %-ზე მეტმა კარგად იცის რუსული ენა ე.ი. ოჯახის ენა იგი, ხოლო ქართული ენა 2 %-აც კი არ იცის!

შემდეგ, კიდევ უფრო აღშფოთებულნი ვართ იმით, რომ ქართველმა დიპლომატებმა, ხელი მოაწერეს აფსუა კაცთმოძულებთან „შეთანხმებას“, რაც საქართველოსთვის არის წამებინანი,


სრულიად საზიანო. რა დიდი ნიჭი და დიპლომატობა უნდა იმას, რომ როდესაც აფსუა მკვლელი და მოლაღატე გეუბნება: „იარაღით ხელში მებრძოლი ქართველი ვერ დაბრუნდება აფხაზეთში საცხოვრებლად“, ქართველმა „დიპლომატებმა“ შემხვედრი და სამართლიანი პრეტენზია უნდა წაუყენონ მათ: „ის მკვლელი და მძარცველი აფსუა, რომელმა რუსეთიდან დაქირავებულ მკვლელებთან ერთად უამრავი მხეცობა ჩაიდინა ქართველი ერის წინაშე, საქართველოში – აფხაზეთში ვერ იცხოვრებს-თქო“. ანდა, „კოდორის ხეობიდან გაიყვანეთ ჯარიო“, გეუბნებათ ყაჩაღი და მოლაღატე აფსუა. ქართველო „დიპლომატო“, შენც რატომ არ ეუბნები ხმამაღლა: „როდესაც აფხაზეთიდან ჩემი მონაწილეობით გაირიკება რუსი, ჩერქეზ-ადილი, ჩეჩენი და სხვა მკვლელ-მძარცველთა ხროვა და ზედ მივაყოლებთ ომში მონაწილე აფსუა მკვლელებსაც, მაშინ მშვიდობიან ზონად ვაქცევთ კოდორის ხეობას-თქო“... ეს დალატის ტოლია, კმარა! შეჩერდით! კიდევ როდემდის-ღა უნდა დააპატარაოთ საქართველო!!!

თურქეთის რესპუბლიკის ქართველთა სახელით: ასლან ჰურშიდ ოღლუ ბასილაძე, მუსტაფა ნუროდლუ გაბაიძე, იუსუფ ქაია ფუტკარაძე, ყასიმ შამიოდლუ კენჩხოშვილი, ოსმან ქამალ ვარანი ნაცვლიშვილი.


თურქეთი იზმირი-ბურსა 1994 წ. აგვისტო. გადმოიბეჭდა გაზეთ საქართველოდან

ერთი-ორ სიტყვას გეტყვი და დასწერე, ჩემო ძმაო!
 ბავშვები სულ ამოწყდნენ, როგორ ვქნათ, ჩემო ძმაო!
 დედა შვილს უძახის და ვერ ხედავს, ჩემო ძმაო!
 დაშლილი, დაფანტული, – ასე ვართ, ჩემო ძმაო!
 არც სახლი და არც კერა გვაქვს, ჩემო ძმაო!
 ჩვენ ამგვარად მტირალი დავდივართ, ჩემო ძმაო!
 მხარში ვინ მოგვიდგება, არ ვიცი, ჩემო ძმაო!
 მხარში ამოგვიდექით, ისევ თქვენ ჩემო ძმაო!
 ლამის სული ამოგვხვდეს, რა ვქნათ, ჩემო ძმაო!
 აი, წლევეანდელმა ომმა რა მოგვიტანა, ჩემო ძმაო!

ხალხური




სოფელი ხოფა. კოლხური წნული სახლი (ფაცხა)
ბოლქვისებრი სახურავით



ისლის სახლი, ისლის სახლი,
ქარი! ქარი! ქარი!
შენ მაჩვენე მზის სიახლე
და ზღაპრების მხარე.
მე ზღვის ნისლებს გადავყევი
და მთებს მივეფარე.
ველარ ვნახე შენი სახე,
ველარ მოგისწარი.
ჩემი სისხლი შენსკენ იწევეს,
ჩემი სისხლი ჩქარი...
ისლის სახლი, ისლის სახლი...
ქარი!
ქარი!
ქარი!

კონსტანტინე გამსახურდია



მაკრიალი. ეკლესიის ნანგრევი



საქართველო არასოდეს


მე მგონია, უცხოელი ისტორიკოსები და არქეოლოგები, თავიანთი დაუკვირვებელი დასკვნებით ამაოდ მიაწერენ ჩვენს ქვეყანაში ნაპოვნ უძველესი ხანის მატერიალური კულტურის ძეგლებს რომელიღაც ერებს, რომელთა სახელწოდებაც თავად არ უწყვიან.

... პინდარის მიერ ნახსენები „შავგვრემანი კოლხების“ ხელოვნება ცნობილი იყო ძველ საბერძნეთში. ათინაში ნაპოვნ ჰიდრიას აწერია: „კოლხის მიერ ვარ გაკეთებული“. ცნობილია, ერთ-ერთ ათინურ ამფორაზე წარწერა: „კოლხმა მომხატა“. ჰეროდოტე გვიმოწმებს, რომ ძველი კოლხების ტილოს მრეწველობა საქვეყნოდ ცნობილი ყოფილა: „კოლხურ ტილოს“ ბერძნები სარდონულს უწოდებენ. მართო კოლხები და ეგვიპტელები ამზადებენ ერთი და იგივე წესით ტილოს.

ქსენოფონტე ურჩევდა თავის ხალხს: „ბადეები ფაზიანული და კართაგენული წესით მოქსოვეთ“.

ზომ დიდად გულამაყნი იყვნენ ბერძნები. ისინი ყველა არაბერძნული მოდგმის ხალხს „ბარბაროსს“ უწოდებდნენ. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთი ბერძენი ისტორიკოსი (ცხადია, არა ერთად-ერთი... სხვებიც. რედ.) წერს:

„ძლიერი და მამაცი ტომია ლაზები. ისინი ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზედ მეტად ქედმაღლობენ. იქნება, არც ისე უსაფუძვლოდ“. იქვე აქებს მათს „სიმდიდრეს, სიუხვეს, მორჭმულობასა და ქვეშევრდომთა სიმრავლეს“. კოლხური სახელმწიფო, კოლხური საომარი



არ მოკვდება

წესები, კოლხური ნუმიზმატიკა და კოლხური პატრიოტიზმი ცნობილი იყო რომაელებისა და ბერძნების ანალებში. მეოთხე საუკუნეში, რომის სენატში წარმოთქმულ სიტყვაში ნახსენებია რომის ხელისუფლების გარეშე მყოფი კოლხთა იმპერია.

კოლხური პატრიოტიზმის უჭკნობი ძეგლია კოლხი დარბაისელი აიეტის მიერ წარმოთქმული სიტყვა კოლხთა მეფის, გუბაზის მკვლელთა გასამართლებისას (VI ს.). ეს სიტყვა, უშესანიშნავესი ნიმუში კოლხური რიტორიკული ხელოვნებისა, შემონახულია ძველ ბიზანტიურ ანალებში.

... ჩვენი ხალხი არასოდეს მოკვდება... ყოველი გზის პირად ციხეს ნახავ ძველს და ყოველი გზის ასაქცევთან ვაჟკაცს შეხვდები, მტრის ტყვიებით დაცხრილულს.

შრომის, ბრძოლის და სიმტკიცის ემბლემაა ეს ციხეები. ... ეს მათ გადაარჩინეს ქართველი ხალხი მოზღვავებული მტრების იერიშებს, თორემ ეს ბედითი „ხიდი ხალხებისა“, რომელსაც „კაკასიას“ უწოდებდნენ ძველთაგან, ისეთი ძნელად დასაცავი იყო, რომ ჩვენი ქვეყნის გასაგისი არ დარჩებოდა ამ ქვეყანაზე.


პროპორციულად არც ესპანეთს, არც იტალიას და არც საფრანგეთს, ძველი ხუროთმოძღვრების ამ კლასიკურ ქვეყნებს, არ გააჩნიათ ამდენი ციხე, ბასტიონი და გოლოლი, რამდენიც საქართველოს.

ჩვენი ხალხი არასოდეს მოკვდება.

კონსტანტინე გამსახურდია

ცა ლურჯია, ზღვა ლურჯია,
მთა ლურჯია, ლურჯია,
შემიკაზმეთ ჩემი ლურჯა,
შემოვენთო ზურგშია.
მფარავს შენი ტრფობის
გრძნობა
გაჩენილი სულშია,
გულში თამარ მეფე მიზის
თავზე ხურავს ზურჩია,
ჩემი ტკბილი საქართველო
სულ მწყურია, სულ მშია,
მთა ლურჯია, ზღვა ლურჯია,
ცა ლურჯია, ლურჯია.

იაკობ (იაშა) თანდილაშა



შ ი ნ ა ა რ ს ი

კაცად-კაცადმან თავისი ტვირთი იტვირთოს.....	4
საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს.....	6
წმიდა ლაზი მოწამენი.....	10
იმედი გვაქვს შენი ღმერთო (ლექსი).....	12
ი. სიხარულიძე. ლაზები.....	14
ი. ჯავახიშვილი. ქრისტიანობის გავრცელების დასაწყისი.....	24
პ. ინგოროყვა. წიგნიდან „გიორგი მერჩულე“. ლაზეთის საისტორიო ოლქის – სოტიროპოლისა და ალანეთის შესახებ. შესავალი წერილი გ. ანდრიაძისა.....	26
იაკობ (იაშა) თანდილავა. ტრაპიზონის იმპერია. ლექსი.....	37
მ. გაბაშვილი. ტრაპიზონის იმპერია.....	41
ს. ჯანაშია. ეგრისის... ..	42
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. სტატიიდან – ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის. (იოანე ლაზი).....	44
შ ნუცუბიძე. იოანე ლაზი.	46
ქ. გაფრინდაშვილი. ლაზები საზღვარგარეთის ქართულ ეკლესია-მონასტრებში.....	51
დ. ბაქრაძე. წიგნიდან: არქეოლოგიური მოგზაურობანი გურიასა და აჭარაში.....	55
წ. ბაწაში. ფარულქრისტიანთა საკითხისათვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში.....	58
მ. ლებანიძე. ფხიზლად.....	67
საქართველოში (ხალხური ლექსი).....	68
ზ. ჭიჭინაძე. წიგნიდან „ლაზისტანი“.....	70
კ. თოფურია. თიფიელი ფიხუნია. ქართულენოვანი მოსახლეობის უძველესი მეფე. ქართული სახელმწიფოებრიობა 3400 წლისა.....	75
ც. არდაშელია. ლაზეთი...ლაზეთი.....	81
რობინ ფედენი. არგონავტების ნაკვალევზე. თარგმნა რ. გაჩეჩილაძემ.....	84
ი. მარი. ნიკო მარის მოგზაურობა ლაზეთში. (თარგმნა ზ. თორიამ).....	88

მ. ვარშანიძე. გაღმა რომ ჩანს (ლექსი).....	92
ნ. ლუჯავა. „ლაზეთი“.....	93
გ. ჩიტაია. ლაზური ორნამენტი.....	96
არსენ ფოჩხუა.....	100
ზ. გორგილაძე. წამით ხეივა ვარსკვლავები (ლექსი).....	101
ბ. დიასამიძე. განათლება და ქრისტიანული ენა ეგრისში.....	102
ევგენი ლანსერეს ჩანახატები.....	112
მ. ჯანაშვილი. წიგნიდან: მესხეთი.....	114
შ. ნიშნიანიძე. სიზმრადა მაქვს ნახული (ლექსი).....	117
ოქრომრავალი განძი კოლხეთის.....	118
ნ. ბაწაში. მაცხოვარი. შშვიდობა ყოველთა.....	121
ისმინე ჩვენი ხმა, დედა საქართველოვ! თურქეთის ქართველების წერილი.....	122
კ. გამსახურდია. ისლის სახლი (ლექსი).....	125
კ. გამსახურდია. საქართველო არასოდეს არ მოკვდება.....	126
ი. თანდილავა. ცა ლურჯია... (ლექსი).....	128



რედაქტორი თინათინ კობალაძე

სარედაქციო კოლეგია

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ანდრია აფაქიძე, გიორგი ანდრიაძე, ეპისკოპოსი თეოდორე, მონაზონი ევგენია, ზურაბ თორია (პასუხისმგებელი მდივანი), ზაზა სხირტლაძე, გივი ლამბაშიძე, დეკანოზი მიქაელი (წურწუშია) ედიშერ ჭელიძე.

კორექტურა წაიკითხა ნანა ლეჟავამ

კომპიუტერული მომსახურება ნატო გურამიშვილისა და მერი მანველიძისა.

გამოქვეყნებული ძველი ფოტომასალის ავტორები უმეტესად უცნობია

საქართველოს საპატრიარქო
კოლხეთის კულტურის საერთაშორისო ცენტრი
თბილისი. ერეკლე II-ის №1.
ტელ: 98-95-21

GEORGIAN PATRIARCHATE „JVARI VAZISA“
(The Cross of Vine) №2. 2003
Tbilisi 1, Erekle's square

Грузинская Патриархия
”Джвари Вазиса”(Лозовый Крест)
№2. 2003
Тбилиси, пл. Ираклия II, 1

მკითხველის საყურადღებოდ!
საუბარი ლაზეთისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის მმართველ, ეპისკოპოს თეოდორესთან იბეჭდება ჟურნალის მომდევნო, ტაო-კლარჯეთისადმი მიძღვნილ ნომერში

2004



ანჩისხატის ჩარჩოს მოჭედულობის დეტალი.
ბექა ოპიზარი

ქართული ანბანი

ა	უ	ა	a	1	ბ	უ	ბ	s	200
ბ	ყ	ბ	b	2	բ	բ	թ	†	300
გ	ვ	გ	g	3	գ	ვ	չ		
დ	ძ	დ	d	4	Ծ	ყ	ղ	u	400
ე	წ	ე	e	5	Փ	ფ	ք	p	500
ვ	ჩ	ვ	v	6	Թ	՛	յ	k	600
ზ	ც	ზ	z	7	Ո	წ	Զ	z	700
თ	ც	თ	t	8	Գ	ყ	ყ	g	800
ი	ძ	თ	t	9	Գ	ყ	ყ	š	900
კ	რ	ი	i	10	Ի	Բ	Բ	č	1000
ლ	კ	კ	k	20	Շ	Բ	Ս	c	2000
მ	თ	ლ	l	30	Ժ	ძ	ძ	z	3000
ნ	ძ	მ	m	40	Բ	მ	ვ	q	4000
ო	ჩ	ნ	n	50	Տ	Տ	ժ	ç	5000
პ	კ	ო	j	60	Է	Բ	ბ	x	6000
ჟ	ყ	ო	o	70	Կ	Կ	յ	q	7000
რ	ყ	პ	p	80	Ճ	Ճ	ճ	ž	8000
ს	ყ	რ	r	90	Ն	ნ	Յ	h	9000
ტ	ჩ	ს	s	100	Ժ	ძ	გ	ω	10000

